

# Publikationen

zur rechtlichen Zusammenarbeit

10/2024

შედარებითი სამართლის  
ქართულ - გერმანული ჟურნალი

Deutsch-Georgische Zeitschrift  
für Rechtsvergleichung



Gefördert durch:



Bundesministerium  
der Justiz

aufgrund eines Beschlusses  
des Deutschen Bundestages



10/2024

# შვედარეზიტი სამართლი

ქართული-გერმანული ჟურნალი

Deutsch-Georgische  
ZEITSCHRIFT FÜR  
RECHTSVERGLEICHUNG



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი

წინამდებარე პუბლიკაცია გამოიცემა გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ფონდის (IRZ) ფინანსური მხარდაჭერით.

გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ფონდი (IRZ) შეიქმნა 1992 წელს და ამ დროიდან გერმანიის იუსტიციის ფედერალური სამინისტროს დაკვეთით დახმარებას უწევს პარტნიორ სახელმწიფოებს სამართლებრივი რეფორმების გატარებაში. ასეთი პროცესების მხარდაჭერა წარმოადგენს IRZ-ის ამოცანას, რომლის ფარგლებშიც ცენტრალური მნიშვნელობა ენიჭება პარტნიორი სახელმწიფოს ინტერესებს.

საქართველოსთან IRZ-ის თანამშრომლობა ეფუძნება საქართველოს და გერმანიის იუსტიციის სამინისტროთა 2005 წლის შეთანხმებას, რომლის განხორციელებაც 2006 წლიდან მიმდინარეობს. თანამშრომლობის მთავარი სფეროებია: საერთაშორისო შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების იმპლემენტაცია ქართულ კანონმდებლობასა და სამართალში, საკონსულტაციო საქმიანობა სისხლის სამართალში და სასჯელაღსრულების სფეროში და პრაქტიკოსი იურისტების განვითარებით იურიდიული განათლება.

Die vorliegende Publikation wird durch finanzielle Unterstützung der Deutschen Stiftung für internationale rechtliche Zusammenarbeit e.V (IRZ) herausgegeben.

Seit ihrer Gründung im Jahr 1992 berät die Deutsche Stiftung für internationale Rechtliche Zusammenarbeit e.V. (IRZ) ihre Partnerstaaten im Auftrag des Bundesministeriums der Justiz und für Verbraucherschutz bei der Reformierung ihrer Rechtssysteme und der Justizwesen. Rechtsstaatlichkeit und Demokratisierung sind Voraussetzung, um grundrechtliche Freiheiten zu wahren, stabile staatliche und gesellschaftliche Strukturen zu stärken sowie wirtschaftliches Wachstum anzuregen. Diesen Entwicklungsprozess zu unterstützen ist Aufgabe der IRZ, wobei die Bedürfnisse des jeweiligen Partnerstaats immer im Mittelpunkt stehen.

Die Zusammenarbeit mit Georgien basiert auf einer gemeinsamen Erklärung zwischen dem georgischen Justizministerium und dem Bundesministerium der Justiz von 2005 und wurde im Jahr 2006 aufgenommen. Die Schwerpunkte der Tätigkeit liegen in der Umsetzung internationaler Abkommen in georgisches Recht, in der Beratung im Straf- und Strafvollzugsrecht sowie der Aus- und Fortbildung von Rechtsanwenderinnen und Rechtsanwendern.

DEUTSCHE STIFTUNG FÜR  
INTERNATIONALE RECHTLICHE  
ZUSAMMENARBEIT E.V.




Gefördert durch:



Bundesministerium  
der Justiz

aufgrund eines Beschlusses



ISSN 2587-5191 (ბეჭდვითი)

ISSN 2667-9817 (ელექტრონული)

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, 2024

© საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდი (IRZ) 2024

© ავტორები, 2024

www.lawjournal.ge

## მთავარი რედაქტორები

ასოც. პროფ. ლადო სირდაძე  
პროფ. დოქ. ოლაფ მუთჰორსტი

## გამომცემლები

პროფ. დოქ. საპატიო დოქ. ტიცინა ქიუზი	ადვოკატი თემურ ბიგვავა
პროფ. დოქ. ოლაფ მუთჰორსტი	ადვოკატი ზვიად ბატიაშვილი
ნოტარიუსი რიხარდ ბოკი	ხატია პაპიძე
მოსამართლე ვოლფრამ ებერჰარდი	დოქ. არჩილ ჩოჩია
პროფ. დოქ. არკადიუმ ვუდარსკი	ადვოკატი გორა ოყრეშიძე
მოსამართლე დოქ. ტიმო უტერმარკი	დემეტრე ეგნატაშვილი
ადვოკატი დოქ. მაქს გუთბროდი	ადვოკატი ქეთევან ბუაძე
პროფ. ტანელ კერიკმაე	ადვოკატი ნიკოლოზ შეყილაძე
პროფ. დოქ. გიორგი ხუბუა	თორნიკე დარჯანია
პროფ. დოქ. ნუნუ კვანტალიანი	ასისტ. პროფ. დოქ. თემურ ცქიტიშვილი
პროფ. დოქ. ზვიად გაბისონია	სულხან გველესიანი
ფრანკ ჰუბფელდი	ნატალი გოგიაშვილი
ხათუნა დიასამიძე	ჰატიმ ჰუსეინი
ასოც. პროფ. დოქ. სულხან გამყრელიძე	დანიელ ფოა
ასოც. პროფ. ლადო სირდაძე	დიმიტრიოს პაპადოპულოსი
დავით მაისურაძე	ოსკარ ფონ კოსელი
ადვოკატი გიორგი ჟორჟოლიანი	რაფაელ კნეერი

## ტექნიკური რედაქტორი

დავით მაისურაძე

## სამუშაო ჯგუფი

სოფო ზარანდია  
ნინო ქავშბაია  
თათია ჯორბენაძე  
ანა ბაიაძე  
ტილმან სუტორი



# სარჩევი

## სტატიები

- სამოქალაქო და კომერციულ დავებზე სასამართლო განსჯადობასთან დაკავშირებული შეთანხმებების აუცილებელი საერთაშორისო ხასიათი ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 12 დეკემბრის რეგულაციის 25-ე მუხლის გაგებით  
*ჰანეს რიოზლერი* 7
- პიროვნული ზიანის ანაზღაურება საქართველოსა და გერმანიაში  
*ზურაბ ძლიერიშვილი / ულრიხ ჰაგენლოხი* 78
- გაქვითვის სამმხრივი შეთანხმებები (ნაწილი II): სინალაგმატურობა და სახელშეკრულებო პრიორიტეტი  
*რალფ ბრუბეიკერი* 86
- ანგარიშის მწარმოებლის ლიკვიდაციის პროცესში, დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობიდან გამომდინარე, ბენეფიციარი მესაკუთრის დაკმაყოფილების სამართლებრივი გარანტიები  
*ანი გოგიშვილი* 103
- პირობადებული თავდებობა და თავდებობის შინაარსის გამართვის ალტერნატიული ფორმები  
*გიორგი რუსიაშვილი* 112



## სამოქალაქო და კომერციულ დავებზე სასამართლო განსჯადობასთან დაკავშირებული შეთანხმებების აუცილებელი საერთაშორისო ხასიათი ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 12 დეკემბრის რეგულაციის 25-ე მუხლის გაგებით\*

პროფ. დრ. ჰანეს რიოზლერი

LLM (ჰარვარდი), სამოქალაქო სამართლის, საერთაშორისო კერძო სამართლისა და სამართლის შედარებითი კვლევის პროფესორი და მედიისა და კომუნიკაციის სამართლის ინსტიტუტის (IMKR) დირექტორი, ზიგენის უნივერსიტეტი

### I. შესავალი: საერთაშორისო ხასიათის მნიშვნელობა

სამართლებრივი ურთიერთობის საერთაშორისო ხასიათი წარმოადგენს ძირითად ამოსავალ კრიტერიუმს, როგორც საერთაშორისო სამოქალაქო საპროცესო სამართლისთვის, ასევე საერთაშორისო კერძო სამართლისთვის. საერთაშორისო შინაარსის გარეშე, ამ ორ სფეროში არსებული საკმაოდ რთული რეგულაციების გამოყენება, რომლებიც სახელწოდებაშივე ატარებენ საერთაშორისო ხასიათს, სისტემასთან შეუსაბამო და უშედეგო იქნება. ბოლო წლებში, ევროკავშირის ისედაც საკმაოდ გაფართოებუ-

ლი საერთაშორისო კერძო სამართლისა და საერთაშორისო სამოქალაქო საპროცესო სამართლის საერთაშორისო კონტექსტის გარეშე გამოყენება<sup>1</sup> ევროკავშირის კანონმდებლის მიერ საკუთარი კომპეტენციის გადაჭარბება იქნებოდა - ევროკავშირის შესაბამისი სამართლებრივი აქტების, მათ შორის აქ განხილული ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 12 დეკემბრის რეგულაციის<sup>2</sup> საფუძველს წარმოადგენს ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 81-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც ევროკავშირმა უნდა განავითაროს „საერთაშორისო ხასიათის სამოქალაქო საქმეებში სასამართლო თანამშრომლობა“.<sup>3</sup> ამის საპირისპიროდ, წმინ-

\* გერმანულიდან თარგმნა დავით მაისურაძემ.

<sup>1</sup> იხ. R. Michaels, The New European Choice-of-Law Revolution, Tulane Law Review 82 (2008), 1607; J. v. Hein/G. Rühl (Hrsg.), Kohärenz im Internationalen Privat- und Verfahrensrecht der Europäischen Union, 2016; H. Rösler, Die Europäisierung von IZVR und IPR als Herausforderung für die deutsche Gerichtsorganisation, ZVglRWiss 115 (2016), 533.

<sup>2</sup> ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 12 დეკემბრის რეგულაცია (EU №1215/2012 სასამართლო განსჯადობის, გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ სამოქალაქო და სავაჭრო საქმეებში (განახლებული ტექსტი), ABI.EU 2012 № L 351, გვ. 1.

<sup>3</sup> Art. 81 Abs. 1 S. 1 AEUV. მიუხედავად ამისა, არსებობს ევროკავშირის საპროცესო სამართლის აქტები, რომლებიც ემყარება ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 114-ე მუხლს; მაგალითად, ევროპარლამენტისა და საბჭოს 2020 წლის 25 ნოემბრის



დად ეროვნული პროცესები უმეტესწილად მიეკუთვნება ეროვნულ სამოქალაქო საპროცესო სამართალს.<sup>4</sup>

თუ რა პირობებშია მოცემული საერთაშორისო ხასიათი, უმეტეს შემთხვევაში, აშკარად ჩანს, მაგალითად, სხვა სახელმწიფოში მომხდარი ავარიის დროს, ხელშეკრულების საზღვარგარეთ დადების ან ვალდებულების შესრულების ადგილის სხვა ქვეყანაში განსაზღვრისას.<sup>5</sup> თუმცა, არსებობს უფრო რთული შემთხვევებიც. მაგალითად, 2021 წელს, ევროპულმა სასამართლომ გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს (BGH) მიმართვის საფუძველზე მომხმარებელთა სასარგებლოდ გადაწყვიტა, რომ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 12 დეკემბრის რეგულაციის 17 I c მუხლის<sup>6</sup> გაგებით, დავის საერთაშორისო ხასიათის დასადასტურებლად საკმარისია, თუ მომხმარებელი საცხოვრებლად საზღვარგარეთ გადავა, თუნდაც ეს მოხდეს ხელშეკრულების დადების შემდეგ, მაგრამ სარჩელის შეტანამდე.<sup>7</sup> განსხვავე-

ბით საერთაშორისო კერძო სამართლისგან (რომი I-ის მე-6 მუხ.), აქ ყურადღება ექცევა საცხოვრებელ ადგილს არა ხელშეკრულების დადების, არამედ სარჩელის შეტანის მომენტში. მოცემულ საქმეში საერთაშორისო სამომხმარებლო სასამართლო განსჯადობის დასაბუთებისთვის საკმარისი აღმოჩნდა გადახდისუნარო მომხმარებლის მიერ გერმანიის, დრეზდენის ბანკში გახსნილი ანგარიში და შემდეგ შვეიცარიაში გადასახლების ფაქტი.<sup>8</sup>

საერთაშორისო ხასიათისა და ევროკავშირის საერთაშორისო სამოქალაქო საპროცესო სამართლის მოზაიკას ევროპულმა სასამართლომ 2024 წლის 8 თებერვალს კიდევ ერთი აგური შემატა გახმაურებულ<sup>9</sup> საქმეში „Inkreal s.r.o. vs Dúha reality s.r.o.“,<sup>10</sup> რომელშიც საუბარია კომერციულ მხარეებს შორის სამოქალაქო და სავაჭრო საქმეებში სასამართლო განსჯადობის შეთანხმებებზე ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 12 დეკემბრის რეგულაციის 25-ე მუხლის

დირექტივა (EU) 2020/1828 მომხმარებელთა კოლექტიური ინტერესების დაცვის მიზნით გაერთიანებული სარჩელების შესახებ და დირექტივა 2009/22/EG-ის გაუქმების შესახებ, ABI.EU 2020 № L 409, გვ. 1.

<sup>4</sup> გამონაკლისია, მაგალითად, ისეთი ნორმების ზეგავლენა, როგორცაა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი და ევროკავშირის ძირითადი უფლებების ქარტიის 49-ე მუხლი.

<sup>5</sup> ზოგადად საერთაშორისო ხასიათის თაობაზე შდრ. R. Geimer, Internationales Zivilprozessrecht, 9. Aufl., Köln 2024 Rn. 10 f.; R. Magnus, Der grenzüberschreitende Bezug als Anwendungsvoraussetzung im europäischen Zuständigkeits- und Kollisionsrecht, ZEuP 2018, 507; A. Grimm, Der Auslandsbezug im internationalen Privat- und Zivilverfahrensrecht, Jena 2021, S. 31 ff.; J. Heinig, Grenzen von Gerichtsstandsvereinbarungen im Europäischen Zivilprozessrecht, Jena, 2010, S. 113 ff.; siehe für das IPR D. Martiny, in: Münchener Kommentar zum BGB, 8. Aufl., München 2021, Art. 3 Rom I-VO Rn. 91.

<sup>6</sup> ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 12 დეკემბრის რეგულაცია (EU) №1215/2012 სასამართლო განსჯადობის, გადაწყვეტილებების აღიარებისა და აღსრულების შესახებ სამოქალაქო და სავაჭრო საქმეებში (განახლებული ტექსტი), ABI.EU 2012 № L 351, გვ.1.

<sup>7</sup> EuGH Urt. v. 30.9.2021 – C-296/20, ECLI:EU:C:2021:784 = EuZW 2022, 177 – Commerzbank; das Urteil betraf die Parallelvorschrift Art. 15 Abs. 1 lit. c des zwischen der EU sowie Dänemark, Island, Norwegen und

der Schweiz geschlossenen Lugano-Übereinkommens (Übereinkommen über die gerichtliche Zuständigkeit und die Anerkennung und Vollstreckung von Entscheidungen in Zivil- und Handelssachen, ABI.EU 2009 Nr. L 147, S. 1); kritisch zu dem Urteil etwa C. v. Bary, Neues zum prozessualen Verbraucherschutz aus Luxemburg: Verbrauchereigenschaft und Wohnsitzwechsel, IPRax 2022, 457 (458 ff.), da es die situativen Anwendungskriterien entwertet und die Vorhersehbarkeit der Zuständigkeit für den Unternehmer nicht genüge. Den Verbraucherbegriff bei einem Vertrag mit gemischten Zwecken, d.h. mit teils privaten und teils beruflichen Zielen (dual use), versteht der EuGH demgegenüber sehr eng, siehe EuGH Urt. v. 20.1.2005 – C-464/01, ECLI:EU:C:2005:32 = NJW 2005, 653 – Gruber; dazu H. Rösler/V. Siepmann, Der Beitrag des EuGH zur Präzisierung von Art. 15 I EuGVO, EuZW 2006, 76.

<sup>8</sup> ნორმის ტექსტში ნათქვამია, „ვინაიდან მომხმარებელი მისი იურისდიქციის ტერიტორიაზე ცხოვრობს“ და არა „ცხოვრობდა“.

<sup>9</sup> ევროპის კერძო საერთაშორისო სამართლის ასოციაციის (EAPIL) ბლოგზე, ე. წ. „Inkreal-ის შესახებ ონლაინ სიმპოზიუმის“ ფარგლებში, სწრაფადვე გამოქვეყნდა რამდენიმე ჩანაწერი მას შემდეგ, რაც გამოიცა ევროკავშირის სასამართლოს გადაწყვეტილება. (<https://eapil.org>).

<sup>10</sup> EuGH Urt. v. 8.2.2024 – C-566/22, ECLI:EU:C:2024:123 – Inkreal = EuZW 2024, 262 (m. Anm. R. Wagner).

შესაბამისად.<sup>11</sup> ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 12 დეკემბრის რეგულაციის 25-ე მუხლის გამოყენებისთვის საკმარისია, თუ კომერციულ დავაში, რომელიც სხვა მხრივ მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივი დავაა, მხარეები აირჩევენ ევროკავშირის წევრი სხვა ქვეყნის სასამართლოებს ან კონკრეტულად განსაზღვრულ სასამართლოს. ამ საკითხზე გენერალურმა ადვოკატმა *ჟან რიშარდ დე ლა ტურმა* განსხვავებული შეხედულება დააფიქსირა თავის საბოლოო დასკვნებში,<sup>12</sup> თუმცა ევროპის სასამართლო, როგორც ცნობილია, ხშირ შემთხვევაში გენერალური ადვოკატის შეთავაზებებს მიჰყვება.<sup>13</sup> გენერალური ადვოკატი მიიჩნევდა, რომ გარდა უცხო ქვეყნის სასამართლოს არჩევისა, რაც სუბიექტური კრიტერიუმია, საჭიროა ასევე ობიექტური, ანუ სასამართლო განსჯადობის შეთანხმების ფარგლებს მიღმა არსებული უცხოური კავშირიც.<sup>14</sup> ევროპის სასამართლოს ამ

გადანყვეტილებაზე წინამდებარე სტატიაში ყურადღება გამახვილდება, რადგან მას პრაქტიკული და დოგმატური მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო სამოქალაქო საპროცესო სამართლისთვის და აჩენს მსგავს ვითარებებზე დაკვირვების საჭიროებას.

## II. მხარეთა ავტონომია სასამართლო განსჯადობასთან მიმართებით

სამოქალაქო და სავაჭრო საქმეებში სასამართლო განსჯადობის შეთანხმება, რომელიც ცალკე, ძირითადი ხელშეკრულებისა<sup>15</sup> და საერთაშორისო კერძო სამართლისგან<sup>16</sup> დამოუკიდებლად უნდა შეფასდეს, არის ყველაზე ძლევამოსილი ინსტრუმენტი, რომლითაც მხარეები განაგებენ თავიანთ უფლებებს საერთაშორისო სამართლებრივ ურთიერთობებში.<sup>17</sup> შესაბამისად, ასეთი შეთანხმება ხშირად გვხვდება ხელშეკ-

<sup>11</sup> იხ. ნეგატიური დეფინიცია ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 12 დეკემბრის რეგულაციის 1-ელ მუხლში.

<sup>12</sup> ეს მოსაზრება ფრანგულ სამართლებრივ ლიტერატურაში ფართოდ არის გავრცელებული; იხილეთ ამის შესახებ გენერალური ადვოკატის 2023 წლის 12 ოქტომბრის დასკვნებში მოყვანილი წყაროები საქმეში C-566/22, ECLI:EU:C:2023:768, ველი 32-ე.

<sup>13</sup> H. Rösler, *Europäische Gerichtsbarkeit auf dem Gebiet des Zivilrechts – Strukturen, Entwicklungen und Reformperspektiven des Justiz- und Verfahrensrechts der Europäischen Union*, Tübingen 2012, S. 336.

<sup>14</sup> გენერალური ადვოკატის დასკვნითი მოხსენება, ECLI:EU:C:2023:768 ველი. 32 – Inkreal; ასევე Magnus, ZEuP 2018, 507 (534); P. Mankowski, in: T. Rauscher (Hrsg.), *Europäisches Zivilprozess- und Kollisionsrecht*, Bd. I, 5. Aufl., Köln 2021, Art. 25 Brüssel Ia-VO Rn. 35 (beide unter Rückgriff auf die Wertung in Art. 3 Abs. 3 Rom I-VO, anders als der Generalanwalt); a.A., nämlich eine Parteivereinbarung über ein ausländisches Gericht (subjektiver Auslandsbezug) sei ausreichend, P. Gottwald, in: Münchener Kommentar zur ZPO, 6. Aufl., München 2022, Vorbemerkung zu Art. 1 Brüssel Ia-VO Rn. 33; R. Hausmann in: C. Reithmann/D. Martiny (Hrsg.), *Internationales Vertragsrecht*, 9. Aufl., Köln 2022 Rn. 7.20; K. S. Danelzik, *Die Gerichtsstandsvereinbarung zwischen ZPO, EuGVVO und HGÜ*, Baden-Baden 2019, S. 204, 212 (er bezeichnet eine Konstellation wie in Inkreal als „externe Parteivereinbarung“); R. Geimer, in: ders./R. Schütze (Hrsg.), *Europäisches Zivilverfahrensrecht*, 4.

Aufl., München 2020, Art. 25 EuGVVO Rn. 177 (es brauche keinen objektiven Auslandsbezug zum forum prorogatum).

<sup>15</sup> Art. 25 Abs. 5 Brüssel Ia VO და Art. 3 lit. d HGÜ (ჰააგის კონვენცია სასამართლო განსჯადობის შესახებ 2005 წლის 30 ივნისი, გამოქვეყნებული ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში 2009 წელს, L133, გვ. 3). გერმანული გაგებით, ეს წარმოადგენს დამოუკიდებელ მატერიალურ-სამართლებრივ ხელშეკრულებას პროცესულურ ურთიერთობებზე (BGH, 29.2.1968 – VII ZR 102/65, BGHZ 49, 384 (386) = NJW 1968, 1233); იხ. Common Law-ის გაგების შესახებ: M. Illmer, *Gerichtsstandsvereinbarung, internationale*, in: J. Basedow/K. J. Hopt/R. Zimmermann (Hrsg.), *Handwörterbuch des Europäischen Privatrechts*, Tübingen 2009, S. 688 (689).

<sup>16</sup> თუმცა, ექსკლუზიურად კომპეტენტური სასამართლოს შეთანხმება შეიძლება იყოს ერთ-ერთი გარემოება, რომელიც კონკლუდენტურად მიუთითებს სამართლის არჩევაზე, Art. 3 Rom I-VO-ს შესაბამისად (მე-12 Erwägungsgrund); P. Hay/H. Rösler, *Internationales Privat- und Zivilverfahrensrecht*, 5. Aufl., München 2016, Nr. 107 (S. 164 ff.). კომბინირებული (გამოხატული) სასამართლო განსჯადობისა და სამართლის არჩევის შეთანხმება შეიძლება გამოიწვიოს პროცესულურად ეკონომიკურად სასარგებლო თანხვედრა განსჯადობასა და გამოსაყენებელ სამართლებრივ ნორმას შორის.

<sup>17</sup> P. Mankowski, *Rechtswahl und Gerichtsstandsvereinbarung im Lichte der Spieltheorie*, in: T. Eger/J. Bigus/C. Ott/G. v. Wangenheim (Hrsg.), *Internationalisierung des*

რულების სტანდარტული პირობების სახით. სასამართლო განსჯადობის შეთანხმება, ისევე როგორც სამართლის არჩევის შეთანხმება, ზრდის მხარეების სამართლებრივ უსაფრთხოებას, რაც უკავშირდება მოქმედი სამართლის პრინციპს (*lex fori*), პროცესის ენას, ხარჯებს, პროცესის ხანგრძლივობას, საერთაშორისო კერძო სამართლის გამოყენებას, აგრეთვე მანძილსა და სხვა ფაქტორებს.<sup>18</sup> მკაფიოდ განსაზღვრული დათქმა სასამართლოს შესახებ ამცირებს ტრანზაქციულ ხარჯებს და ამით ხელს უწყობს საერთაშორისო ბიზნეს გარიგებებს.<sup>19</sup> მხარეები, როგორც წესი, თანხმდებიან ექსკლუზიურ სასამართლო განსჯადობაზე, რაც კანონით დადგენილი სტანდარტია,<sup>20</sup> თუმცა ასევე გვხვდება განსხვავებული ფორმები, როგორცაა ასიმეტრიული<sup>21</sup> ან პირობითი<sup>22</sup> შეთანხმებები.

გარემოებათა მიხედვით, მხარეებმა, შეიძლება, აირჩიონ, როგორც ამ მოლაპარაკებაში ძლიერი მხარის ქვეყნის სასამართლო, ისე მესამე, ანუ ნეიტრალური ფორუმი – მნიშვნელობა არ აქვს, რა იქნება ამ შეთანხმების მიზეზი, ჩიხში შესული სახელშეკრულებო მოლაპარაკებიდან გამოსავალი თუ სასამართლოს პროფესიული

კომპეტენცია და სხვა (მაგალითად, მტკიცებითი ან შემდგომში აღსრულებასთან დაკავშირებული) მახასიათებლები.<sup>23</sup> რა მიზეზები ამოძრავებდათ მხარეებს *Inkreal*-ის საქმეში, ჯერჯერობით გაურკვეველია. ყოველ შემთხვევაში, არ შეიძლება თითოეული მხარის მიერ საკუთარი ქვეყნის სასამართლო განსჯადობის დანესების მცდელობა ჩიხად მიჩნეულიყო: ორივე მხარე წარმოშობით სლოვაკეთიდანაა.

ზოგჯერ მხარეები იმიტომ თანხმდებიან უცხოური ფორუმების სასარგებლოდ, რომ მათდამი მიმართვა, როგორც პრაქტიკულად, ისე სამართლებრივად, ხშირად გაცილებით რთულია და შესაბამისად, შემზღვეველი ეფექტი აქვს. „გარე თამაშის“ შემთხვევაში, უფრო იშვიათად ხდება დავის ნაადრევი ესკალაცია, რაც იწვევს ადვოკატისა და სასამართლოს ხარჯებს. ამ აზრის შესაბამისად, მხარეებმა *Inkreal*-ის საქმეში

Rechts und seine ökonomische Analyse, Festschrift für Hans-Bernd Schäfer, Wiesbaden 2008, S. 369 (380).

<sup>18</sup> Hay/Rösler, IPR und IZVR, (Fn. 16), Nr. 22 (S. 36).

<sup>19</sup> საერთაშორისო ტრანზაქციების დილემის შესახებ და (ანუ ნაკლები საერთაშორისო და მეტი ეროვნული გარიგებების დადება) G. Rühl, Statut und Effizienz – Ökonomische Grundlagen des Internationalen Privatrechts, Tübingen, 2011, S. 39 ff.; J. Basedow, The Law of Open Societies – Private Ordering and Public Regulation in the Conflict of Laws, Leiden 2015, S. 91 ff.; zu den Vorteilen der Gestaltungsfreiheit auch A. Mills, Party Autonomy in Private International Law, Cambridge, 2018.

<sup>20</sup> ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 12 დეკემბრის რეგულაციის 25 | 2 მუხ. ჰააგის კონვენცია მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოს არჩევის უფლება ექსკლუზიურად არის შეთანხმებული, ჰააგის კონვენციის 3 „a“ მუხლის შესაბამისად.

<sup>21</sup> ფინანსურ ბაზრებზე გავრცელებული ასიმეტრიული შეთანხმებები, რომლებიც მხოლოდ ერთ მხარეს (მაგალითად, კრედიტორს) ზღუდავენ, სადავოა; ამ საკითხზე იხილეთ M. Lehmann/A. Grimm, Zur Zulässigkeit asymmetrischer Gerichtsstandsvereinbarungen nach Art. 23 Brüssel I-VO, ZEuP 2013, 890 (im Zusammenhang mit einem Urteil der französischen Cour de cassation); M. Keyes/B. A. Marshall, Jurisdiction Agreements:

Exclusive, Optional and Asymmetrical, Journal of Private International Law 11 (2015), 345; H. Wais, Einseitige Gerichtsstandsvereinbarungen und die Schranken der Parteiautonomie, RabelsZ 81 (2017), 815; B. A. Marshall, Asymmetric Jurisdiction Clauses, Oxford 2023. ასევე არსებობს ჯვარედინი დათქმები. ეს განიმარტება საერთაშორისო არბიტრაჟის მაგალითზე. მაგალითად, შეთანხმებაში, რომელიც, ერთი მხრივ, ევროპული კავშირისა და ევროპული ატომური ენერჯის გაერთიანებას და, მეორე მხრივ, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოს შორის გაფორმდა, ABI.EU 2021, L 149, მუხლი 1, პროცედურული წესების 24-ე პუნქტში ნათქვამია: „არბიტრაჟის მოსმენა (ლონდონში) ჩატარდება, თუ მოსარჩელეა ევროპული კავშირი, ხოლო ბრიუსელში, თუ მოსარჩელეა გაერთიანებული სამეფო.“

<sup>22</sup> H. Rösler, Mehr Freiheit wagen im Kollisionsrecht – Zur Zulässigkeit von floating choice-of-law clauses im Wirtschafts-, Familien- und Erbkollisionsrecht der Europäischen Union, in: A. Dutta/C. Heinze (Hrsg.), „Mehr Freiheit wagen“ – Beiträge zur Emeritierung von Jürgen Basedow, Tübingen 2018, S. 277.

<sup>23</sup> შდრ. R. A. Schütze, Rechtswahl- und Gerichtsstandsklauseln bei equal bargaining power der Parteien, in: J. Dammann/W. Grunsky/T. Pfeiffer (Hrsg.), Gedächtnisschrift für Manfred Wolf, München 2011, S. 551.

სასამართლოსთვის მიმართვამდე მოლაპარაკების ზოგადი ვალდებულება დააწესეს.<sup>24</sup> პრაქტიკაში იზრდება საფეხუროვანი დათქმების გამოყენება. მაგალითად, სასამართლო ან (ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 12 დეკემბრის რეგულაციის მიღმა მყოფი) საარბიტრაჟო განხილვა ხშირად მხოლოდ (ზოგჯერ ვადებით შეზღუდული) მედიაციის შემდეგ იწყება.<sup>25</sup>

სასამართლო განსჯადობის თაობაზე შეთანხმება, რომელიც ფორმალურად და მატერიალურად ნამდვილი<sup>26</sup> და ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 12 დეკემბრის რეგულაციის მიხედვით შესაბამისი<sup>27</sup> უნდა იყოს, კიდევ უფრო მეტი საპროცესო ეკონომიკური უპირატესობით გამოირჩევა: იგი ამცირებს ერთი მხარის მიერ მეორესთვის საზიანო ან პროცესის გამაჭიანურებელ “Forum shopping”-ის<sup>28</sup> რისკს და განსჯადობის საკითხზე დავების რაოდენობას. აქედან გამომდინარე, ალბათ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 12 დეკემბრის რეგულაციის 25-ე მუხლი წარმოადგენს მთელი ევროპის საერთაშორისო სამოქალაქო საპროცესო

სამართალში ყველაზე მნიშვნელოვან დებულებას, მიუხედავად იმისა, აცნობიერებენ თუ არა ამას მხარეები. სტატისტიკურად, ევროპის სასამართლო ხშირად მსჯელობს ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 12 დეკემბრის რეგულაციის 25-ე მუხლზე ან მის წინამორბედ 1968 წლის რეგულაციებზე<sup>29,30</sup> საერთო ჯამში, ევროპის სასამართლო პრაქტიკა სამოქალაქო და სავაჭრო საქმეებში სასამართლოსთან თანამშრომლობის მხრივ განსაკუთრებით მრავალფეროვანია. 2015-2022 წლებში თითქმის 250 შუამდგომლობა შევიდა ევროპულ სასამართლოში შუალედურ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.<sup>31</sup>

მხარეთა ავტონომიის უპირატესობა კანონით დადგენილი განსჯადობის დაცვის სახელმწიფო ინტერესთან შედარებით ინვესს სასამართლო ადგილმდებარეობებისა და მართლწესრიგების კონკურენციას, მათ შორის, მხარეებისთვის მეტად ან ნაკლებად ხელსაყრელი ფაქტობრივი პირობებისა და სამართლებრივი ნორმების გათვალისწინებით. მხარეთა ავტონომიის პრინციპის გათვალისწინება<sup>32</sup> და ამ გზით გაჩენილი

<sup>24</sup> ხელშეკრულების დებულება ასეთია: „ხელშეკრულებიდან გამომდინარე ან მასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ყველა გაურკვეველობა ან დავა, პირველ რიგში, საერთო მოლაპარაკებების გზით მოგვარდება [...], რათა ორივე მხარისთვის მისაღებ გადაწყვეტილებამდე მივიდეს.“ ამის შემდეგ მოდის სასამართლოს ადგილის შეთანხმება. გენერალური ადვოკატის დასკვნა ECLI:EU:C:2023:768, მუხლი მე-10 – Inkreal.

<sup>25</sup> უნოდებენ „escalation clauses“-ს ან „multi-step dispute resolution clauses“-ს; ამის თაობაზე: S. Kröll, Eskalationsklauseln im internationalen Wirtschaftsverkehr, ZVglRWiss 114 (2015), 545; K. P. Berger, Law and Practice of Escalation Clauses, Arbitration International 22 (2006) 1 ff.

<sup>26</sup> თითქმის ყოველთვის მოთხოვნილი წერილობითი ფორმის თაობაზე იხ. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 12 დეკემბრის რეგულაციის 1 I 3, III მუხ. (მდრ. ჰააგის კონვენციის 3 C მუხლს). სასამართლოს არჩევის შეთანხმების ბათილობა განისაზღვრება არჩევითი ფორუმის სამართლის მიხედვით ბოლო რეფორმის შემდეგ, ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 12 დეკემბრის რეგულაციის 25 I 1 მუხლი (ამ ნორმის წინასახეა ჰააგის კონვენციის 5 I მუხლი).

<sup>27</sup> ფარგლების მნიშვნელოვან შეზღუდვებს აჯამებს ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 12 დეკემბრის რეგულაციის 25 IV მუხლი.

<sup>28</sup> თუმცა, მოსარჩელის მხრიდან ფორუმ შოპინგი, რომლითაც ის შესაძლოა სარგებლობს როგორც ტერიტორიული სიახლოვით, ასევე იმ ფორუმში მოქმედი პროცედურული, კოლიზიური და, შესაძლოა, მატერიალური სამართლის უპირატესობებით („first mover advantage“), თავისთავად არ არის გაკიცხვის საგანი. H. Linke/W. Hau, Internationales Zivilverfahrensrecht, 9. Aufl., Köln 2024, Rn. 4.24.

<sup>29</sup> დაწყებული ჯერ კიდევ საერთაშორისო სამართლის ინსტრუმენტით: ბრიუსელის კონვენციით სამოქალაქო და კომერციულ საქმეებში სასამართლო განსჯადობისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ 27.9.29; შემდგომი დამატებების შესახებ იხ. კონსოლიდირებული ვერსია ABI.EG 1998 Nr. C 27, S. 1. ბრიუსელი I-ს (რეგულაცია (EG) Nr. 44/2001, ABI.EG 2001 Nr. L 12, S. 1) ეს საერთაშორისო სამართლის აქტი შემოაქვს კავშირის სამართალში.

<sup>30</sup> 2015-2022 წლებისთვის ევროკავშირის სასამართლოს (EuGH) პრეცედენტული სამართლის შეფასებამ შემდეგი შედეგი აჩვენა: მუხ. 7 I, II; მუხ. 1, მუხ. 17, მუხ. 24 Nr. 1 და მე-7 ადგილზე მუხ. 25. M. Mantovani, <https://eapil.org/2022/11/18/eu-private-international-law-before-the-ecj-back-to-procedural-issues>.

<sup>31</sup> Linke/Hau, IZVR (Fn. 28), Rn. 1.9.

<sup>32</sup> ვრცლად Basedow, Law of Open Societies (Fn. 19), S. 147 (Nr. 253): Partiautonomie „represents, as it were, a human right in a globalized world“; zudem J. Basedow,

კონკურენცია, სასამართლოების მიერ, ნაწილობრივ, ჯერ კიდევ განიხილება, როგორც ტერიტორიული იურისდიქციის შეზღუდვა, რის გამოც, ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის<sup>33</sup> ფარგლებს გარეთ, ხშირად უგულებელყოფილია სასამართლო განსჯადობის შეთანხმებები. ეს განსაკუთრებით იმ შეთანხმებებს ეხება, რომლებიც ითვალისწინებს შიდასახელმწიფოებრივი განსჯადობის უარყოფას (დეროგაცია) და ამის სანაცვლოდ, უცხო ქვეყნის სასამართლოების განსჯადობის დადგენას (პროროგაცია).<sup>34</sup>

ამასთან, ურთიერთდობის ინტერესებიდან გამომდინარე, შესაძლოა გავითვალისწინოთ აშშ-ის უზენაესი სასამართლოს შეხედულება, რომელმაც 1972 წელს პირველად აღიარა დეროგაციული დათქმა „forum selection clause“ და აღნიშნა: „ამერიკული ბიზნესისა და ინდუსტრიის გაფართოება დიდად ვერ ნახალისდება, თუ,

სოლიდური ხელშეკრულებების მიუხედავად, დავრჩებით პროვინციალურ შეხედულებაზე, რომ ყველა დავა უნდა გადაწყდეს ჩვენი კანონებითა და ჩვენს სასამართლოებში. [...] ჩვენ ვერ შევექმნით სავაჭრო და ეკონომიკურ ურთიერთობებს მსოფლიო ბაზრებსა და საერთაშორისო წყლებში მხოლოდ ჩვენი პირობებით, ჩვენი კანონებითა და ჩვენს სასამართლოებში განხილვის აუცილებლობით.“<sup>35</sup>

ამავე აზრს ნაწილობრივ იზიარებს ევროპაც,<sup>36</sup> სადაც კანონმდებელი და სასამართლო პრაქტიკა<sup>37</sup> დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მხარეთა ავტონომიას სამოქალაქო და სავაჭრო საქმეებში, მაშინ როცა ავტონომია უფრო შეზღუდულია საოჯახო და მემკვიდრეობით საკითხებში.<sup>38</sup> ქონებრივი მოთხოვნებისთვის მხარეთა ავ-

Theorie der Rechtswahl oder Parteiautonomie als Grundlage des Internationalen Privatrechts, *RebelsZ* 75 (2011), 32.

<sup>33</sup> აშშ-ში, „The Bremen“-ის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ, დადასტურდა, რომ განსაკუთრებულად *forum non conveniens* არგუმენტის გამოყენება შეუძლებელია. *US Supreme 12.6.1972 – 71-322, The Bremen v. Zapata Off-Shore Company, 407 U.S. 1 (1972); Carnival Cruise Lines, Inc. v. Shute, 17.4.1991 – 89-1647, 499 U.S. 585 (1991); Great Lakes Insurance SE v. Raiders Retreat Realty Co., LLC, 21.2.2024 – 22-500, 601 U.S. (2024)*. ამის შემდეგ, სასამართლოს ადგილის შეთანხმებები *prima facie* მოქმედია. მიუხედავად ამისა, მათი აღიარების ხარისხი სხვადასხვა ფედერალურ და საშტატო სასამართლოში განსხვავდება. *J. Coyl, Data on Choice-of-Court Clause Enforcement in US, https://conflictoflaws.net/2023/data-on-choice-of-court-clause-enforcement-in-us.*

<sup>34</sup> მაგალითად იხ. *H. Kronke, The Fading of the Rule of Law and its Impact on Choice of Court Agreements and Arbitration Agreements – Law and Policy, IPRax 2024, 106. Nordafrika und den Nahen Osten nennt B. Elbalti, https://conflictoflaws.net/2024/bahraini-high-court-on-choice-of-court-and-choice-of-law-agreements.*

<sup>35</sup> *The Bremen v. Zapata Off -Shore Co., 407 U.S. 1 (9) (1972) von Chief Justice Warren Burger.*

<sup>36</sup> თუმცა არა ძალიან განსხვავებულ „jurisdictional filters“ და ისეთ მეთოდებში, რომლებსთვისაც აშშ-ში არ არსებობს ევროკავშირის მსგავსი ფედერალიზებული საერთაშორისო სამოქალაქო საპროცესო და კერძო სამართალი. *P. Hay, Notes on the European Union’s Brussels-I “Recast” Regulation, The European Legal Forum*

2013, 1 (8); *J. Basedow, Federal Choice of Law in Europe and the United States – A Comparative Account of Interstate Conflicts, Tulane Law Review 82 (2008), 2119.*

<sup>37</sup> ეს ასეა გერმანული სასამართლო პრაქტიკისთვისაც: *BGH 17.10.2019 – III ZR 42/19, BGHZ 223, 269 = NJW 2020, 399* ამ გადაწყვეტილების შემდეგ, სასამართლო განსჯადობის შეთანხმების უგულებელყოფამ შეიძლება ზიანის ანაზღაურების ვალდებულება წარმოშვას, § 280 Abs. 1 BGB. *Zustimmend P. Hay, Forum Selection Clauses – Procedural Tools or Contractual Obligations? Conceptualization and Remedies in American and German Law, IPRax 2020, 505.*

<sup>38</sup> საერთაშორისო ქორწინების საქმეებში, მეუღლეებს ჯერ კიდევ არ შეუძლიათ სასამართლო იურისდიქციის შეთანხმების დადება: ევროპარლამენტისა და საბჭოს 2019 წლის 12 ივლისის რეგულაცია შეზღუდავს ამ შესაძლებლობას მშობელთა პასუხისმგებლობის საკითხებში, სადაც ბავშვს უნდა ჰქონდეს მნიშვნელოვანი კავშირი არჩეულ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოსთან ევროპარლამენტისა და საბჭოს 2019 წლის 12 ივლისის რეგულაციის მე-10 მუხლი). თუმცა, (გარკვეულ იურისდიქციებზე შეზღუდული) სასამართლო ადგილის შეთანხმებები შესაძლებელია *EuUnthVO*-ის მე-4 მუხლისა და *EuGüVO/EuPartVO*-ის მე-7 მუხლის შესაბამისად, რადგან საქმე ეხება ქონებრივ მოთხოვნებს. თუ მემკვიდრემ აირჩია სამართლებრივი სისტემა რომელიმე წევრი სახელმწიფოს სასარგებლოდ, *EuErbVO*-ის მე-5 მუხლი აძლევს მემკვიდრეებს შესაბამის სასამართლო შეთანხმების შესაძლებლობას. იხ. *Linke/Hau, IZVR (Fn. 29), Rn. 6.1. Auch die Rechtswahlmöglichkeiten im Internationalen Familien- und Erbrecht sind beschränkt, siehe H. Rösler, Rechtswahlfreiheit im*

ტონომიის უფრო მკაფიო გამოხატულება საბოლოოდ დაკავშირებულია საერთო ბაზრის<sup>39</sup> განვითარების მიზანთან. ევროკავშირში სასამართლოს არჩევის შეთანხმებები დასაშვებია სამომხმარებლო და შრომით ხელშეკრულებებშიც კი, თუმცა კანონში ამ საკითხებზე მკაფიო შეზღუდვებია განსაზღვრული.<sup>40</sup> სამაგიეროდ, ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 12 დეკემბრის რეგულაციის 25-ე მუხლის თანახმად, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში<sup>41</sup> ამატომ, ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 12 დეკემბრის რეგულაციის 25-ე მუხლის თანახმად, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს სასამართლოს ან სასამართლოების მიერ უნდა გადაწყდეს.<sup>45</sup>

ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 12 დეკემბრის რეგულაციიდან ახლანდელ რეგულაციაზე რეფორმის შედეგად გადასვლამ მხარეთა ავტონომია კიდევ უფრო გააძლიერა, რადგან ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 12 დეკემბრის რეგულაციის 25 I მუხლის

თანახმად, მხარეთაგან არც ერთს არ მოეთხოვება, რომ საცხოვრებელი ადგილი ჰქონდეს ევროკავშირში.<sup>43</sup> მეორე მხრივ, ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 12 დეკემბრის რეგულაციის 6 I მუხლი ზოგადად მოითხოვს, რომ მოქალაქის საცხოვრებელი ადგილი ჰქონდეს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში.<sup>44</sup> ამიტომ, ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 12 დეკემბრის რეგულაციის 25-ე მუხლის თანახმად, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს სასამართლოს ან სასამართლოების მიერ უნდა გადაწყდეს.<sup>45</sup>

Internationalen Scheidungsrecht der Rom III-Verordnung, *RabelsZ* 78 (2014), 155.

<sup>39</sup> საერთო ბაზარი ნახსენებია ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 12 დეკემბრის რეგულაციის მე-3 და მე-4 განმარტებით პუნქტში. იხ. v.a. Art. 3 Abs. 3 EUV und Art. 3 Abs. 1 lit. b, Art. 4 Abs. 2 lit. a, Art. 26, Art. 114 AEUV.

<sup>40</sup> ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 12 დეკემბრის რეგულაციის მე-19 და 23-ე მუხლების ფარგლებში Hay/Rösler, *IPR und IZVR*, (Fn. 16), Nr. 19 f. (S. 30 ff.); H. Rösler, *Verbraucherverträge (IPR und IZPR)*, in: J. Basedow/K. J. Hopt/R. Zimmermann (Hrsg.), *Handwörterbuch des Europäischen Privatrechts*, Tübingen 2009, S. 1612. Das Haager Übereinkommen vom 2005 klammert von vornherein viele Bereiche und so auch Verbraucher- und Arbeitsverträge aus (Art. 2 Abs. 1 HGÜ).

<sup>41</sup> იხილეთ ჰააგის კონვენციის მუხლი 6 C: კონვენციის წევრი სახელმწიფოს სასამართლო, რომელსაც მიმართეს, მაგრამ მხარეებს არ შეუთანხმებიათ, ვალდებულა უარი თქვას თავის განსჯადობაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც „ხელშეკრულების გამოყენება გამოიწვევს აშკარა უსამართლობას ან აშკარად ეწინააღმდეგება იმ ქვეყნის სასამართლოს მართლწესრიგს, სადაც მიმართვა მოხდა“. ასევე იხილეთ შვეიცარიული IPRG, 5 II მუხლი: „სასამართლო განსჯადობის შეთანხმება უქმდება, თუ ერთ მხარეს შეუსაბამოდ წაერთვა შვეიცარიული კანონმდებლობით დადგენილ სასამართლოში საქმის განხილვის უფლება.“ იხილეთ ასევე ამერიკული *Restatement (Second) of Conflict of Laws* (1971) ს. 80: „თუკი ეს არის უსამართლო ან გაუმართლებელი“. ასევე იხილეთ E. Gottschalk/S. Breßler, *Missbrauchskontrolle von Gerichtsstandsvereinbarungen*, *ZEuP* 2007, 56; J. Basedow, *Zuständigkeitsderogation*,

Eingriffsnormen und ordre public, P. Mankowski/W. Wurmnest (Hrsg.), *Festschrift für Ulrich Magnus zum 70. Geburtstag*, München 2014, S. 337. D. Coester-Waltjen, *Himmel und Hölle: Einige Überlegungen zur internationalen Zuständigkeit*, *RabelsZ* 79 (2015), 471.

<sup>42</sup> ეს ეხება ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებას, ECLI:EU:C:2024:123, *inkreal*-ის საქმეში, რომლის 34-ე პუნქტში ნათქვამია, რომ ევროკავშირის 1215/2012 რეგულაციის (ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 12 დეკემბრის რეგულაცია) 25-ე მუხლის საფუძველზე შერჩეული წევრი ქვეყნის სასამართლოები არ არიან უფლებამოსილი, შეაფასონ შეთანხმების შესაფერისობა ან სამართლიანობა.

<sup>43</sup> ამის საპირისპიროდ, ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 12 დეკემბრის რეგულაციის 23 I 1 მუხლი ჯერ კიდევ მოითხოვდა, რომ მხარეებიდან „მინიმუმ ერთს ჰქონოდა საცხოვრებელი ადგილი წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე“.

<sup>44</sup> გამონაკლისებია, ძირითადად, ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 12 დეკემბრის რეგულაციის 18 I მუხლის, 21 II მუხლი, 24-ე მუხლი და (რა თქმა უნდა) 25-ე მუხლი, რომელთაგან ყველა ნახსენებია 6 I მუხლით.

<sup>45</sup> თუ არჩეულია მესამე სახელმწიფოს სასამართლოები, მოქმედებს ამ სასამართლოს ავტონომიური დებულებები, მაგალითად, გერმანიაში გსსკ-ის 38-ე და მე-40 პარაგრაფები; იხ. Hein, *Die Neufassung der Europäischen Gerichtsstands- und Vollstreckungsverordnung (EuGVVO)*, *RIW* 2013, 97 (104). თუ შეთანხმებულია ევროკავშირის რომელიმე არანევრი სახელმწიფოს სასამართლო, რომელიც ჰააგის კონვენციის ხელშეკრულების მხარეა (მაგ., დიდი ბრიტანეთი), უპირატესობა ენიჭება ამ ხელშეკრულებას (იხ. ქვემოთ, სქოლიო 93).

### III. პრობლემის არსებითად განსაზღვრა: *Inkreal*-ის საქმის გარემოებები

საქმეს, რომელიც ევროპულ სასამართლოს შუალედური გადაწყვეტილების<sup>46</sup> მისაღებად გადაეცა, ორი ხელშეკრულება ედო საფუძვლად. აღნიშნული ხელშეკრულებებით, სლოვაკეთში მცხოვრებმა ფიზიკურმა პირმა სლოვაკური კომპანიისთვის, „Dúha reality“-სთვის, თითქმის 154,000 ევროს ოდენობის ორი სესხი გასცა. ორივე ხელშეკრულებაში, მოლაპარაკებების წარუმატებლობის შემთხვევაში,<sup>47</sup> განსაზღვრული იყო სასამართლო განსჯადობის ერთნაირი შეთანხმება. შესაბამისად, ხელშეკრულებიდან წარმოშობილი დავები უნდა განხილულიყო „ჩეხეთის შესაბამისი და ტერიტორიულად კომპეტენტური სასამართლოს მიერ, (სამოქალაქო საპროცესო სამართლის) შესაბამისად“. სახელშეკრულებო მოთხოვნები ფიზიკურმა პირმა *Inkreal*-ს (მოსარჩელე) – ასევე სლოვაკურ კომპანიას<sup>48</sup> – გადასცა, თუმცა, „Dúha reality-მ“ (მოპასუხემ) არ შეასრულა სესხის დაბრუნების ვალდებულება. მართალია, შეთანხმებები სასამართლო განსჯადობის თაობაზე, როგორც წესი, მხოლოდ ხელშეკრულების მხარეებს შორის მოქმედებს, მაგრამ *Inkreal*-ი სესხის ხელშეკრულების ვალდებულებით ურთიერთობაში ცესიის გზით შევიდა, რითაც ის ასევე სასამართლო განსჯადობის შეთანხმების სუბიექტად იქცა.<sup>49</sup>

ამის შემდეგ *Inkreal*-მა ჩეხეთის რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოში სარჩელი შეიტანა

როგორც თანხის დაბრუნებაზე, ასევე ადგილობრივი კომპეტენციის მქონე ჩეხეთის სასამართლოს განსაზღვრაზე ჩეხეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 III პარაგრაფის შესაბამისად.<sup>50</sup> პრიორიტეტული, განსაკუთრებით კი ექსკლუზიური, კომპეტენციის არარსებობის პირობებში, მოსარჩელე მხარემ სასამართლო განსჯადობის შეთანხმებაზე, კერძოდ, ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 12 დეკემბრის რეგულაციის 25 I მუხლზე დაყრდნობით იმოქმედა. თუმცა, ჩეხეთის რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოს გაუჩნდა ეჭვი ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 12 დეკემბრის რეგულაციის გამოყენებადობის მართებულობაზე, რადგან სასამართლო განსჯადობის შეთანხმება მხოლოდ მეორე წევრ ქვეყანაში (ჩეხეთის რესპუბლიკა) წარმოადგენდა საერთაშორისო ასპექტს, მაშინ როცა მხარეები ერთსა და იმავე ქვეყანაში (სლოვაკეთი) იყვნენ რეგისტრირებულნი. შესაბამისად, სასამართლომ ევროპის სასამართლოს დაუსვა კითხვა, იყო თუ არა ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 12 დეკემბრის რეგულაციის 25-ე მუხლი გამოყენებადი ამგვარ ვითარებაში.

საინტერესოა, რომ მსგავსი ვითარება ჯერ კიდევ ოცი წლის წინ ავსტრიის უმაღლესი სასამართლოს განხილვის საგანი იყო. იმჟამინდელ საქმეში ორი გერმანელი მხარე შეთანხმდა ავსტრიის, ლინცის საოლქო სასამართლოს განსჯადობაზე. თუმცა, ავსტრიის უმაღლესმა სასამართლომ (OGH) ეს საკითხი ევროპის სასამართლოს კი არ გადასცა,<sup>51</sup> არამედ „acte claire“-ის<sup>52</sup>

<sup>46</sup> Art. 267 AEUV; წინასწარი გადაწყვეტილების მიღების პროცესის თაობაზე იხ. *Rösler*, Europäische Gerichtsbarkeit (Fn. 13), S. 9.

<sup>47</sup> იხ. ზემოთ სქოლიო 24.

<sup>48</sup> შდრ. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 12 დეკემბრის რეგულაციის 63 I მუხლი.

<sup>49</sup> შდრ. EuGH Urt. v. 18.11.2020 – C-519/19, ECLI:EU:C:2020:933 = EuZW 2021, 398 Rn. 47 – *Ryanair/DelayFix*; *H. Dörner*, in: *I. Saenger* (Hrsg.), ZPO, 10. Aufl., Baden-Baden 2023, Art. 25 EuGVVO Rn. 38.

<sup>50</sup> ჩეხეთის რესპუბლიკის აქტი No. 99/1963 Sb. (Civil Procedure Code), 11 III პარაგრაფი: „Where the case falls within the jurisdiction of courts of the Czech Republic and the circumstances determining the local competence are missing or cannot be ascertained, the Supreme Court [Nejvyšší soud] shall determine by what court the case

will be heard and decided.“ [https://is.muni.cz/el/law/jaro2008/SOC026/um/99-1963\\_EN.pdf](https://is.muni.cz/el/law/jaro2008/SOC026/um/99-1963_EN.pdf).

<sup>51</sup> მხოლოდ ბოლო წლების განმავლობაში გაიზარდა ზემდგომი სამოქალაქო და საკონსტიტუციო სასამართლოების მიერ წინასწარი გადაწყვეტილების მიღების საკითხის წარდგენა. დაწვრილებით: *H. Rösler*, *Das Rechtsgespräch zwischen dem EuGH und den verschiedenen zivilgerichtlichen Instanzen über das Vertrags- und Deliktsrecht*, EuZW 2014, 606.

<sup>52</sup> ევროპის სასამართლოს მუდმივი პრაქტიკის თანახმად, ამ შემთხვევაში წინასწარი გადაწყვეტილების მიღების საკითხის წარდგენის ვალდებულება უქმდება; EuGH Urt. v. 6.10.1982 – 283/81, ECLI:EU:C:1982:335 = NJW 1983, 1257 – CILFIT. *Das lädt dazu ein, dies als Ausrede für das Unterbleiben von eigentlich gebotenen*

პრინციპით იმსჯელა, რომ საერთაშორისო ელემენტი არ არსებობდა და, შესაბამისად, ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 12 დეკემბრის რეგულაციის 23-ე მუხლის (დღევანდელი ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 12 დეკემბრის რეგულაციის 25 I მუხლის წინამორბედი) გამოყენების საფუძველი არ არსებობდა.<sup>53</sup> ავსტრიის უმაღლესი სასამართლოსგან განსხვავებით, ჩეხეთის რესპუბლიკის უმაღლესმა სასამართლომ, საბედნიეროდ, ევროკავშირის სამართლოს მიმართა. *Inkreal*-ის საქმის ფარგლებში მან ევროკავშირის სასამართლოს 2022 წლის 26 აგვისტოს გადაუგზავნა შემდეგი სადავო შეკითხვა:<sup>54</sup> „ქმნის თუ არა Nr. 1215/2012 რეგულაციის გამოყენების საფუძველს მხოლოდ ის გარემოება, რომ ერთსა და იმავე წევრ ქვეყანაში მყოფი ორი მხარე ევროკავშირის სხვა წევრი სახელმწიფოს სასამართლოების განსჯადობაზე შეთანხმდა?“.

#### IV. ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილების კლასიფიკაცია

ევროპის სასამართლომ, საბოლოო ჯამში, დაადგინა, რომ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 12 დეკემბრის რეგულაციის 25 I მუხლის ტექსტი არ მოითხოვს ზოგად ან სპეციალურ საერთაშორისო კონტექსტს. კერძოდ, არ არსებობს რაიმე სახის შეზღუდვა, რომელიც სასამართლო განსჯადობის შეთანხმების გარდა, დამატებით კავშირს მოითხოვდა ევროკავშირის

წევრ სახელმწიფოსთან.<sup>55</sup> გენერალურმა ადვოკატმა თავის დასკვნებში ამგვარი დასკვნა უარყო. მისი მოსაზრებით ნორმის ტექსტიდან სათანადო არგუმენტი არ გამომდინარეობდა.<sup>56</sup> თუმცა ეს გასაგებია, რადგან ზოგადად ევროკავშირის კანონმდებლობაში მრავლადაა ხარვეზები, უზუსტობები და ტექნიკური შეცდომები.

ევროპის სასამართლომ სწორად მიიჩნია, რომ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 12 დეკემბრის რეგულაციის გამოყენებისთვის<sup>57</sup> აუცილებელია ზოგადი საერთაშორისო ელემენტი (*international element/élément d'extranéité*) და ამის დასადასტურებლად – ტრადიციულად, როგორც ევროპის სამართლოს სჩვევია – მხოლოდ და მხოლოდ თავის წინა გადაწყვეტილებებზე მიუთითა.<sup>58</sup> მან განიხილა ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 12 დეკემბრის რეგულაციის ორი სამოტივაციო დათქმა:<sup>59</sup> მესამე სამოტივაციო დათქმა, რომელიც, ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 81 I მუხლის მსგავსად, საუბრობს „საერთაშორისო კონტექსტზე“, და 26-ე დათქმა, რომელიც „საერთაშორისო დავებზე“ საუბრობს.<sup>60</sup> სამწუხაროდ, ორივე პუნქტი განმარტების გარეშე ტოვებს „საერთაშორისო კონტექსტს“. მიუხედავად იმისა, რომ „სამოქალაქო და სავაჭრო საქმეებში, ასევე რჩენისა და გადახდისუუნარობის საკითხებში თანამშრომლობის შესახებ რეგულაციათა უმრავლესობა“<sup>61</sup> საერთაშორისო ხასიათზე არაფერს ამბობს, ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 81 I მუხლის საფუძველზე შედგენილ აქტებში, როგორც

Vorlagen zu nutzen, Rösler, Europäische Gerichtsbarkeit (სქ. მე-13), S. 195 ff.

<sup>53</sup> OGH 1.8.2003 – 1 Ob 240/02d, JBI 2004, 187; ამის თაობაზე: *D. Czernich*, Gerichtsstandsvereinbarung und Auslandsbezug, wbl 2004, 458 (461 ff.).

<sup>54</sup> იხ. ზემოთ სქოლიო 14.

<sup>55</sup> შდრ. EuGH ECLI:EU:C:2024:123 Rn. 17 – *Inkreal*.

<sup>56</sup> გენერალური ადვოკატის დასკვნითი ანგარიში ECLI:EU:C:2023:768 Rn. 22 – *Inkreal*.

<sup>57</sup> EuGH ECLI:EU:C:2024:123 Rn. 18 – *Inkreal*.

<sup>58</sup> EuGH Urt. v. 1.3.2005 – C 281/02, EU:C:2005:120 = EuZW 2005, 345 Rn. 25 – *Owusu*; Urt. v. 8.9.2022 – C 399/21, EU:C:2022:648 = EuZW 2022, 954 Rn. 27, 29 – *IRnova*. Siehe weiter zum Erfordernis des Auslandsbezugs EuGH Urt. v. 17.11.2011 – C-327/10, ECLI:EU:C:2011:745 = EuZW 2012, 103 Rn. 29 – *Hypotecní*

*banka/Lindner*; Urt. v. 7.2.2013 – C-543/10, ECLI:EU:C:2013:62 = EuZW 2013, 316 Rn. 17 – *Refcomp*; Urt. v. 14.12.2013 – C-478/12, ECLI:EU:C:2013:735 = NJW 2014, 530 Rn. 26 – *Maletic*; Urt. v. 7.5.2020 – verb. Rs. C-267/19 und C-323/19, EU:C:2020:351 = RIW 2020, 453 Rn. 35 – *Parking und Interplastics*; vgl. auch *Danelzik*, Gerichtsstandsvereinbarung (Fn 14), S. 195 ff.

<sup>59</sup> EuGH ECLI:EU:C:2024:123 Rn. 19 – *Inkreal*.

<sup>60</sup> თუმცა, 26-ე განმარტებით პუნქტში აღნიშნულია „იმ სასამართლო დავების დროისა და ხარჯების შემცირების (მიზნით), რომლებიც შეიცავს საერთაშორისო იურისდიქციას“; იხილეთ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 12 დეკემბრის რეგულაციის 39-ე მუხლი.

<sup>61</sup> გენერალური ადვოკატის დასკვნითი ანგარიში ECLI:EU:C:2023:768 Rn. 25 m.w.N. – *Inkreal*.



ნესი, ეს კონტექსტი არაპირდაპირ იგულისხმება.

თუმცა, აუცილებელი საერთაშორისო ხასიათის დეფინიციის არარსებობაც არ არის თანმიმდევრული. ევროკავშირის კანონმდებელმა ევროკავშირის სამოქალაქო და სავაჭრო საკითხთა საერთაშორისო აღსრულების რეგულაციის (EuMVVO)<sup>62</sup> 3 I მუხლსა და ასევე ევროკავშირის მცირე მოცულობის საჩივრების თაობაზე ევროკავშირის რეგულაციის (EuGFVO)<sup>63</sup> 3 I მუხლში განსაზღვრა შემდეგი: „საერთაშორისო სამართლებრივი საქმე ამ რეგულაციის ფარგლებში წარმოადგენს საქმეს, როდესაც მხარეებიდან მინიმუმ ერთს საცხოვრებელი ან მუდმივი ადგილსამყოფელი აქვს სხვა წევრ სახელმწიფოში და არა იმ ქვეყანაში, სადაც საქმე განიხილება.“<sup>64</sup> თუმცა, ამ აქტების გამოყენების სფერო მნიშვნელოვნად შეზღუდულია და ისინი არ ითვალისწინებენ იმ არსებით ასპექტს, როგორცაა მხარეთა ავტონომია, რაც მოცემულ საკითხში გადამწყვეტია.

მაგრამ, ევროპის სასამართლო EuMVVO-ის ნორმაზე მითითებას ტრამპლინივით იყენებს მისი შემდგომი განმარტებებისათვის. „სამოქალაქო საქმეებში საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში მოქმედი დებულებებისათვის [...] ერთგვაროვან ტერმინთა განმარტების ჰარმონიზაციაა საჭირო.“<sup>65</sup> ამრიგად, სასამართლო ითხოვს სამართლებრივ აქტებზე მალლა

მდგომ განმარტებას. თუმცა, უფრო დეტალურად განხილვისას ასეთი განმარტება უპრობლემო არ ჩანს, რადგან იგი ეხება განსხვავებულ სფეროებს (სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ვალდებულებითი სამართალი, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი), განსხვავებულ ფუნქციებს (საერთაშორისო საპროცესო და საერთაშორისო კერძო სამართალი) და ევროკავშირის კანონმდებლობის ეტაპობრივ ხასიათს, რომელიც კოდიფიკაციის იდეალზე არ არის დაფუძნებული.<sup>66</sup> შემდეგ ნაბიჯში ევროპის სასამართლო ხაზს უსვამს, რომ მისი პრაქტიკის მიხედვით,<sup>67</sup> საერთაშორისო ხასიათი არსებობს არა მხოლოდ მაშინ, როდესაც მხარეებიდან ერთს საცხოვრებელი ადგილი აქვს სხვა წევრ სახელმწიფოში, არამედ მაშინაც, „როდესაც შესაბამისი სამართლებრივი საქმის გარემოებები საერთაშორისო განსჯადობის განსაზღვრის საკითხებს წარმოშობს.“<sup>68</sup> ევროპის სასამართლო ამ განცხადებას, როგორც ჩანს, ზოგადად აკეთებს და არა მხოლოდ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 12 დეკემბრის რეგულაციის მიმართ.

ამ სისტემური მოსაზრებების შემდეგ ევროკავშირის სასამართლო ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 12 დეკემბრის რეგულაციის 25-ე მუხლის მიზნებს მიაპყრობს ყურადღებას. მისი შეხედულებით, ნორმის განმარტება უნდა

<sup>62</sup> ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2006 წლის 12 დეკემბრის (EG) № 1896/2006 რეგულაცია ევროპული დავალიანების მოთხოვნის პროცედურის დანერგვის შესახებ, ABI.EU 2006 № L 399, გვ. 1.

<sup>63</sup> ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2007 წლის 11 ივლისის (EG) № 861/2007 რეგულაცია მცირე მოთხოვნებისთვის ევროპული პროცესის დანერგვის შესახებ, ABI.EG 2007 № L 199, გვ. 1.

<sup>64</sup> Zu Hintergründen der expliziten Forderung eines grenzüberschreitenden Bezugs in EuMVVO und EuGFVO (wie auch in Art. 2 MediationsRL, ABI.EU 2008 Nr. L 136, S. 3) im Gesetzgebungsprozess, die aus der Beschränkung im Primärrecht bestehen, auf die der Rat verwies, siehe R. Arts, Zum Anwendungsbereich der EuInsVO – Das Ende der Lehre vom qualifizierten Gemeinschaftsbezug, IPRax 2014, 390 (292 f.).

<sup>65</sup> EuGH ECLI:EU:C:2024:123 Rn. 21 – Inkreal.

<sup>66</sup> შდრ. J. D. Lüttringhaus, Übergreifende Begrifflichkeiten im europäischen Zivilverfahrens- und Kollisionsrecht – Grund und Grenzen der rechtsaktsübergreifenden Aus-

legung, dargestellt am Beispiel vertraglicher und außervertraglicher Schuldverhältnisse, RabelsZ (2013), 31; weniger restriktiv M. Würdinger, Das Prinzip der Einheit der Schuldrechtsverordnungen im Europäischen Internationalen Privat- und Verfahrensrecht – Eine methodologische Untersuchung über die praktische Konkordanz zwischen Brüssel I-VO, Rom I-VO und Rom II-VO, RabelsZ 75 (2011), 102.

<sup>67</sup> ევროპის სასამართლო მითითებს მხოლოდ: EuGH Urte. v. 8.9.2022 – C-399/21, EU:C:2022:648 = EuZW 2022, 954 Rn. 28 – IRnova (bezogen auf Art. 24 Nr. 4 Brüssel Ia-VO über die Eintragung oder die Gültigkeit von Patenten) sowie Urte. v. 1.3.2005 – C 281/02, EU:C:2005:120 = EuZW 2005, 345 Rn. 26 – Owusu (bezogen auf Art. 2 EuGVÜ, heute Art. 4 Brüssel Ia-VO; vgl. oben Fn. 29). თუმცა, ამ ორივე გადაწყვეტილების მოსაზრებებს სასამართლო განაზოგადებს Inkreal-ის საქმეში.

<sup>68</sup> EuGH ECLI:EU:C:2024:123 Rn. 22 – Inkreal.

მოდეს კანონმდებლის მიზნების გათვალისწინებით: მხარეთა ავტონომიის გაძლიერება,<sup>69</sup> ევროკავშირის ტერიტორიაზე მყოფი პირების სამართლებრივი დაცვის გაუმჯობესება და სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა.<sup>70</sup> ევროპის სასამართლო ხაზს უსვამს, რომ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 12 დეკემბრის რეგულაციის მე-15 განმარტებითი დათქმის თანახმად, მე-4–26-ე მუხლებით განერილი განსჯადობის წესები მხარეებისთვის „მაღალი ხარისხით განჭვრეტადი“ უნდა იყოს.<sup>71</sup> პროცესის ეკონომიურობის თვალსაზრისით, სასამართლო აღნიშნავს გავრცელებულ არგუმენტს: ეროვნულმა სასამართლომ უნდა შეძლოს „თავისი იურისდიქციის განსაზღვრა სირთულეების გარეშე, საქმეზე არსებითი განხილვის გარეშე“.<sup>72</sup> ამასთან დაკავშირებით, ევროპის სასამართლოს შეიძლება დავეთანხმოთ, რომ ამ უპირატესობების მიღწევა ყველაზე მარტივად შესაძლებელია ევროკავშირის სამართლის გამოყენებით მოცემულ კონტექსტში, ანუ დამატებითი გარემოებების საჭიროების გარეშე.<sup>73</sup>

ევროკავშირის სასამართლო ასევე განიხილავს ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 12 დეკემბრის რეგულაციის 29-34-ე მუხლებით გათვალისწინებულ მიზანს — ევროკავშირის ფარგლებში საერთაშორისო პარალელური საქმეების მაქსიმალურად თავიდან აცილე-

ბას. ეს „lis pendens“ წესები ხელს უწყობს ევროპული მართლმსაჯულების კოორდინირებას,<sup>74</sup> რაც ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 12 დეკემბრის რეგულაციის ბოლო სარეფორმო ცვლილებებითაც გამყარდა.<sup>75</sup> ევროპის სასამართლოს შეხედულებით, მოცემული საკითხის 25-ე მუხლის ქვეშ განხილვა და მისი ერთიანი ევროპული გამოყენება ხელს შეუშლის<sup>76</sup> სხვადასხვა წევრ სახელმწიფოთა შორის შეუსაბამო გადაწყვეტილებების მიღებას. ეს დაარღვევდა სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს, იქნებოდა პროცესის ეკონომიურობის საწინააღმდეგო და შესაძლოა, გამოენვია დამატებითი პრობლემები, როდესაც საქმე შეეხება გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებას ევროკავშირის გარეთ.

სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და მხარეთა ავტონომიის გარდა, ევროპის სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ევროკავშირის საერთაშორისო სამოქალაქო პროცესის ძირითადი პრინციპების დაცვას.<sup>77</sup> ამასთან, სასამართლო არ ივიწყებს ევროკავშირის შიდა სამართლებრივი სისტემების მიმართ ურთიერთნდობის მნიშვნელოვან პრინციპს (თუმცა, მხოლოდ ზოგადად განიხილავს). განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ამ გადაწყვეტილებით მარტივდება სამართალზე წვდომა, რაც ხელს უწყობს ევროკავშირის ერთერთ მთავარ მიზანს — თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლის სივრცის<sup>78</sup> შექმნას.<sup>79</sup>

<sup>69</sup> ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 12 დეკემბრის რეგულაციის განმარტებითი პუნქტები მე-15, მე-19 და 22-ე.

<sup>70</sup> EuGH ECLI:EU:C:2024:123 Rn. 27 – Inkreal.

<sup>71</sup> იხ. EuGH ECLI:EU:C:2024:123 Rn. 27 – Inkreal.

<sup>72</sup> EuGH ECLI:EU:C:2024:123 Rn. 27 – Inkreal; bereits EuGH Urt. v. 28.1.2015 – C-375/13, ECLI:EU:C:2015:37 = NJW 2015, 1581 Rn. 61 – Kolassa; Urt. v. 3.7.1997 – C-269/95, ECLI:EU:C:1997:337 = RIW 1997, 775 Rn. 27 – Benincasa.

<sup>73</sup> იხ. EuGH ECLI:EU:C:2024:123 Rn. 29, 32 f. – Inkreal.

<sup>74</sup> ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 12 დეკემბრის რეგულაციის 21-ე განმარტებითი პუნქტი.

<sup>75</sup> ახალი ნორმების თანახმად, რომლებიც მიზნად ისახავს ტორპედო-სარჩელის წინააღმდეგ ბრძოლას (მა-

გალითად, გაჭიანურების მიზნით ნეგატიური აღიარებითი სარჩელის აღძვრა იქ, სადაც საქმე ნელა განიხილება) ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 12 დეკემბრის რეგულაციის 31 II-IV მუხლში, ახლა უკვე უპირატესობა ენიჭება იმ სასამართლოს, რომელიც შეთანხმებულია, როგორც ექსკლუზიურად განსჯადი; დეტალებისთვის იხილეთ A. Junker, Internationales Zivilprozessrecht, 6. Aufl., München 2023, § 20 Rn. 29.

<sup>76</sup> EuGH ECLI:EU:C:2024:123 Rn. 30 f. – Inkreal.

<sup>77</sup> ევროკავშირის საერთაშორისო სამოქალაქო პროცესის ფარგლებში პრინციპული განმარტებისთვის იხ. B. Hess, Europäisches Zivilprozessrecht, 2. Aufl., Berlin 2021 Rn. 3.11 ff.

<sup>78</sup> Art. 3 Abs. 2 EUV und Art. 4 Abs. 2 lit. j, Art. 67 ff. AEUV.

<sup>79</sup> EuGH ECLI:EU:C:2024:123 Rn. 35 – Inkreal.

## V. დასკვნითი შეფასება

### 1. სამართლებრივი უსაფრთხოებისა და მხარეთა ავტონომიის პრინციპები

საინტერესოა, რომ ერთსა და იმავე ნორმატიულ საფუძველზე და იმავე განმარტების მეთოდების<sup>80</sup> გამოყენებით, ევროპის სასამართლო და გენერალური ადვოკატი საერთაშორისო ხასიათის განსაზღვრაში საპირისპირო დასკვნებს აკეთებენ. ეს განსხვავება განპირობებულია საერთაშორისოობის საკითხზე დოგმატიური და პრაქტიკული ნორმატიული განჭვრეტის ნაკლებობით.<sup>81</sup> ეს გარემოება მოითხოვს ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 12 დეკემბრის რეგულაციის 25 I მუხლის მიღმა სხვა ნორმების გათვალისწინებასა და წონასწორობის უზრუნველყოფას სამართლებრივი უსაფრთხოებისა და მხარეთა ავტონომიას შორის, რომლებიც ევროკავშირის სამოქალაქო და სავაჭრო სამართალში განსჯადობის ძირითადი მიზნებია.

მით უმეტეს არადადამაკმაყოფილებელია არსებული მდგომარეობა *acquis*-ის ფარგლებში, რადგან მის უკან ევროკავშირის კანონმდებლის მიერ, ხშირ შემთხვევაში,<sup>82</sup> საგანგებოდ ღიად დატოვებული განსჯადობის საკითხი დგას. აქ საქმე ეხება ევროკავშირის საერთაშორისო სამოქალაქო საპროცესო და საერთაშორისო კერძო სამართლის ძირითად საკითხს, კერძოდ, როდისაა სახეზე ისეთი შიდასახელმწიფოებრივი საქმე, რომელიც მეორეული სამართლის აქტითა და საბოლოოდ ასევე ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 81-ე მუხლით აღარ არის გათვალისწინებული. გენერალური ადვოკატიც აღნიშნავს ამას, როდესაც წერს: „(მხარეთა სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა) ვერ გაამართლებს მხარე-

თა უფლებას, უპირობოდ ან ნებისმიერი კონტექსტის გარეშე გადაუხვიონ ეროვნული იურისდიქციის წესებიდან.“<sup>83</sup> სწორედ ამის გამო მოითხოვს გენერალური ადვოკატი საერთაშორისოობის განსაზღვრას ობიექტური კრიტერიუმებით. მისი აზრით, მხარეთა სუბიექტური გადაწყვეტილება უცხო ქვეყნის, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს სასარგებლოდ, ან მათი განზრახვა, რომ დავის ესკალაციის შემთხვევაში ეს ქვეყანა იქნეს ჩართული, საკმარის საფუძველს არ წარმოადგენს საერთაშორისო ხასიათის განსაზღვრისთვის.

მეორე მხრივ, ევროპის სასამართლო დამაჯერებლად ასაბუთებს, რომ ეს საერთაშორისო განსჯადობის გამჭვირვალობასა და წინასწარ პროგნოზირებას საფრთხეს შეუქმნიდა, რადგან პროროგირებულ სასამართლოს დამატებითი შესწავლის საჭიროება შეექმნებოდა.<sup>84</sup> „ბრიუსელის რეჟიმი“ 1968 წლიდან მოყოლებული სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.<sup>85</sup> გენერალური ადვოკატის შეხედულების საწინააღმდეგოდ აღსანიშნავია, რომ ეს ზედმეტად შეზღუდავს მხარეთა ავტონომიის ფარგლებს. მხარეთა ავტონომიას (როგორც ეს II თავში იყო განხილული) ძირითადად უპირატესობა უნდა მიენიჭოს, თუ კონკრეტულად დადგენილი ნორმები არ არსებობს. ბოლოს და ბოლოს, ევროკავშირის კანონმდებელმა მისი ბოლო რეფორმით ამის უფრო გაძლიერება განიზრახა.<sup>86</sup> აღნიშნულით, იგი საერთაშორისო ტენდენციის ნაწილი ხდება, როგორც ეს „ლუგანოს კონვენციაში“ და „ჰააგის კონვენციაში“ ჩანს, რაც ქვემოთ განიხილება.

<sup>80</sup> მიუხედავად იმისა, რომ დასკვნითი ანგარიშები კვლავაც ითვალისწინებს ლიტერატურას.

<sup>81</sup> ჰააგის კონვენციაზე, რომელსაც ეყრდნობიან როგორც ევროპული სასამართლო, ასევე გენერალური ადვოკატი, ქვემოთ დეტალურად ვიმსჯელებთ.

<sup>82</sup> ეს განსაკუთრებით გამოიხატება პირდაპირი მოქმედებისა და ევროკავშირის სამართლის უპირატესობის საკვანძო საკითხებში; დეტალურად იხილეთ *Rösler, Europäische Gerichtsbarkeit* (Fn. 13), S. 80 ff.

<sup>83</sup> გენერალური ადვოკატის დასკვნითი ანგარიში ECLI: EU:C:2023:768 Rn. 37 – Inkreal.

<sup>84</sup> EuGH ECLI:EU:C:2024:123 Rn. 33 – Inkreal.

<sup>85</sup> რამდენადაც ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 12 დეკემბრის რეგულაციაში და ა.შ. უარყოფილია მოძღვრება *forum non conveniens*; EuGH Urt. v. 1.3.2005 – C 281/02, EU:C:2005:120 = EuZW 2005, 345 Rn. 38 – Owusu; იხ. ზემოთ სქ. 41-ე. დამატებით იხ. სქ. 71-ე.

<sup>86</sup> იხ. ზემოთ სქ. 43-ე.

## 2. შედარება 2005 წლის ჰააგის კონვენციასთან სასამართლო განსჯადობის შეთანხმების შესახებ

სასწავლო მიზნებისთვის საინტერესოა თვალის გადავლება 2005 წლის 30 ივნისის ჰააგის კონვენციისთვის, რომელიც (ექსკლუზიურ) სასამართლო განსჯადობის შეთანხმებას ეხება.<sup>87</sup> 1 II მუხლში აღნიშნულია, რომ „(საქმე არის) საერთაშორისო, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მხარეები ერთსა და იმავე ხელშემკვრელ სახელმწიფოში ცხოვრობენ და მათ ურთიერთობებს, აგრეთვე ყველა სხვა სამართლებრივად მნიშვნელოვან ელემენტს, მხოლოდ ამ სახელმწიფოსთან აქვს კავშირი; ასეთ დროს სასამართლოს ადგილსამყოფელზე შეთანხმება არ არის მნიშვნელოვანი.“ გენერალური ადვოკატი აღნიშნავს, რომ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 12 დეკემბრის რეგულაციასთან ამ შეთანხმების „ორმხრივი გავლენის“ გათვალისწინებით, 25 I მუხლით გათვალისწინებული საერთაშორისო ხასიათი უნდა განისაზღვროს ჰააგის კონვენციის მიხედვით.<sup>88</sup>

თავდაპირველად ეს გასაგებად ჟღერს: საერთაშორისო სამოქალაქო საპროცესო სამართლის „ხალიჩა“ უკვე საკმაოდ ფერადია. სწორედ

ამ მიზეზით ევროკომისიამ ჰააგის კონვენციის ხელმოწერის რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ „უნდა იქნას უზრუნველყოფილი კონვენციისა და რეგლამენტის ჰარმონიული გამოყენება.“<sup>89</sup> ამ განცხადებაში ჩანს მსოფლიო თანამშრომლობისთვის პასუხისმგებლობის განცდა სამოქალაქო და სავაჭრო საქმეებში, თუმცა ეს ყველაფერი აშკარა სირთულეებთან არის დაკავშირებული.<sup>90</sup> ევროკავშირის სტრატეგიის ნაწილს წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის ნაწილობრივ „ჩახუტებას“ ანუ ჰააგის კონვენციის სამართლებრივი აქტების ნაწილობრივ მიღებას ევროპის კავშირის სამართალში.<sup>91</sup> ამასთან, ჰააგის კონვენცია მხოლოდ 2015 წლის 1 ოქტომბერს შევიდა ძალაში ევროკავშირისა და მექსიკის მიერ მისი რატიფიცირების შემდეგ. ამჟამად ჰააგის კონვენცია ევროკავშირის გარდა სულ რამდენიმე სხვა ქვეყანაში მოქმედებს,<sup>92</sup> რომელთა შორის, ბრეჟსიტის შედეგებიდან გამომდინარე, დიდი ბრიტანეთი<sup>93</sup> ყველაზე მნიშვნელოვან პარტნიორად ითვლება.

ამ პირობებიდან არ შეიძლება გამოვიტანოთ რაიმე დასკვნა ევროპული მართლმსაჯულების გეოგრაფიულად მეტად შეზღუდული და შინაარსობრივად მკაცრად განსაზღვრული სივრცის მიმართ რაიმე ინსტრუქციის თაობაზე. ჰააგის

<sup>87</sup> იხ. ზემოთ სქ. მე-15.

<sup>88</sup> გენერალური ადვოკატის დასკვნითი ანგარიში ECLI: EU:C:2023:768 Rn. 42 – Inkreal; იხ. ასევე Mankowski (Fn. 14), Art. 25 Brüssel Ia-VO Rn. 35, der Art. 1 Abs. 2 HGÜ ergänzend heranzieht. Siehe zu Parallelen R. Wagner/J. M. Schüngeler, Das Haager Übereinkommen vom 30.6.2005 über Gerichtsstandsvereinbarungen und die Parallelvorschriften in der Brüssel I-Verordnung, ZVglRWiss 108 (2009), 399.

<sup>89</sup> ევროკომისიის ანგარიში ევროპარლამენტისთვის, საბჭოსთვის და ევროპული ეკონომიკური და სოციალური კომიტეტისათვის სასამართლო იურისდიქციისა და სამოქალაქო და კომერციულ საქმეებში გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ საბჭოს რეგულაციის (EG) N44/2001 გამოყენების შესახებ, COM(2009) 174, გვ. 7. ციტატამდე მოცემულია შემდეგი ინფორმაცია: „ხელშეკრულება უნდა გამოიყენებოდეს ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც მინიმუმ ერთი მხარე არის კონვენციის მონაწილე ქვეყანაში რეზიდენტი, რომელიც არ არის ევროკავშირის წევრი, ხოლო რეგულაცია უნდა გავრცელდეს მაშინ, როდესაც მინიმუმ ერთი მხარე ცხოვრობს ევროკავშირის წევრ ქვეყანაში.“

<sup>90</sup> შდრ. H. Schack, HAVÜ nein danke! Zur weltweiten Urteilsanerkennung und zum Jurisdiction Project der Haager Konferenz für IPR, ZEuP 2023, 285; J. Basedow, EU-Kollisionsrecht und Haager Konferenz – ein schwieriges Verhältnis, IPRax 2017, 194.

<sup>91</sup> ამგვარად, ევროკავშირი მრავალი წინააღმდეგობის მიუხედავად შეუერთდა 2019 წლის 2 ივლისის ჰააგის კონვენციას სამოქალაქო და კომერციულ საქმეებში უცხოური გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2023 წლის 1 სექტემბერს, ABI.EU 2022 Nr. L 187, გვ. 4.

<sup>92</sup> გაერთიანებული სამეფოს გარდა ასევე მექსიკა, მოლდოვა, მონტენეგრო, სინგაპური და უკრაინა; <https://www.hcch.net>; შდრ. ზემოთ სქ. 46-ე.

<sup>93</sup> 2021 წლის 22 ივნისს ევროკავშირმა უარი განაცხადა გაერთიანებული სამეფოს მიერ მოთხოვნილ ლუგანოს კონვენციაში განწევრიანებაზე. ევროკავშირის განმარტებით, არ არსებობდა საკმარისი ურთიერთკავშირი, და ურთიერთობები მესამე ქვეყნებთან უნდა რეგულირდებოდა საერთაშორისო სამართლის შესაბამისად; იხ. COM(2021) 222 final.

კონვენციის მიზანია, მსოფლიო მასშტაბით მიღწეულ იქნას მხარდაჭერა სხვადასხვა სამართლებრივ გარემოში,<sup>94</sup> მით უმეტეს, რომ ამ ხელშეკრულებისთვის არ არსებობს საერთაშორისო სასამართლო. საბოლოო ჯამში, ევროპის სასამართლომ „Inkreal“-ის საქმეში უარყო ჰააგის კონვენციის 1 II მუხლის გათვალისწინება *argumento e contratio*-ს გამოყენებით: ევროკავშირის კანონმდებლის ნება არ ყოფილა, რომ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 12 დეკემბრის რეგულაციის 25-ე მუხლით მსგავსი შეზღუდვა განსაზღვრულიყო.<sup>95</sup> თუმცა ამავდროულად, ამგვარი ისტორიული განმარტების დამტკიცება ევროპის სასამართლოს ვალად რჩება. როგორც აღინიშნა, საერთაშორისო დავის დეფინიციის არარსებობა სტრუქტურული ნაკლია და ეს არ წარმოადგენს კანონმდებლის დამოკიდებულებასთან ჰააგის კონვენციის მიმართ კავშირს.

ევროკავშირის კანონმდებელი, როგორც ჩანს, თავს არიდებს ამ რთულ საკითხს და პასუხისმგებლობას აკისრებს სასამართლო პრაქტიკას ისევე, როგორც სხვა რთული ცნებების შემთხვევაში, როგორცაა ფიზიკური პირების ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი ან ეკონომიკური საქმიანობის მიმართვა მომხმარებლის სახელმწიფოსკენ. მაგალითად, ჯერ კიდევ 1968 წლის *Jenard*-ის ანგარიშში სასამართლოსა და აღსრულების ევროპული კონვენციისთვის მკაფიოდ აღნიშნული, რომ „(საერთაშორისო ურთიერთობის) ცნება არ არის ზუსტად განსაზღვრული კონვენციაში, რადგან საერთაშორისო ურთიერთობა შეიძლება გამომდინარეობდეს

სასამართლოში განხილული სამართლებრივი დავის კონკრეტული გარემოებებიდან.“<sup>96</sup>

### 3. ევროკავშირის საერთაშორისო კერძო სამართლისა და ანტი-SLAPP დირექტივის მიმოხილვა

ევროკავშირის საერთო ბაზრის მჭიდრო ურთიერთობების გათვალისწინებით, საჭიროა ევროპის სასამართლოს მხრიდან „საერთაშორისო ხასიათის“ ცნების დამატებითი განმარტება ევროკავშირის საერთაშორისო სამოქალაქო სამართლის (EU-IZVR) და საერთაშორისო კერძო სამართლის (EU-IPR) სხვადასხვა სამართლებრივ აქტებში.<sup>97</sup> ამ კონტექსტში, „Inkreal“-ის საქმეში<sup>98</sup> ევროსასამართლოს მიერ გაკეთებული განმარტებებითა და ევროკავშირის რომის I და II რეგულაციების მე-15 პრეამბულით მოთხოვნილი სამართლებრივი აქტების ზემდგომი განმარტება<sup>99</sup> აჩენს კითხვას, რამდენად ფართოდ ვრცელდება ევროპის სამართლოს დასკვნები საერთაშორისო ხასიათის შესახებ. შეიძლება წინსწრებით ითქვას, რომ აღნიშნული დასკვნები შესაძლოა გავრცელდეს სამართლის არჩევის დებულებებზე, განსაკუთრებით რომის I და II რეგულაციების შესაბამისად, რადგან საერთაშორისო ხელშეკრულებებში სამართლის არჩევის პრინციპი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. საინტერესოა, რომ ევროკავშირის კანონმდებე-

<sup>94</sup> ევროპის კომისიამ *Inkreal*-ის შესახებ თავის განცხადებაში მიუთითა იმაზე, რომ საერთაშორისო დონეზე შეთანხმების მიღწევა მაქსიმალურად ფართო მხარდაჭერით უნდა მოხდეს. ამან ხაზი გაუსვა ჰააგის კონვენციაში მიღებულ პრინციპს, რომელშიც განსაზღვრულია, რომ მომხმარებლისა და დასაქმებულების საქმეები (2 I "a" და "b" მუხლი) გამოთიშულია შეთანხმებიდან, ასევე, მაგალითად, სხეულის დაზიანების, ნივთის დელიქტური დაზიანებისა და უძრავ ქონებაზე საკუთრებიდან გამომდინარე უფლებების მოთხოვნებიც (2 II "j", "k", "l" მუხლი).

<sup>95</sup> EuGH ECLI:EU:C:2024:123 Rn. 38 – *Inkreal*.

<sup>96</sup> რ. პ. ჟენარის ანგარიში 1968 წლის 27 სექტემბრის შეთანხმების შესახებ, რომელიც ეხება სასამართლო იურისდიქციასა და სასამართლო გადანაცვლებების

აღსრულებას სამოქალაქო და სავაჭრო საქმეებში, გამოქვეყნებული ევროპის კავშირის ოფიციალურ ბიულეტენში 1979 წელს, ნომერი C 59, გვერდი: 1 (8).

<sup>97</sup> იხილეთ, მაგალითად, მიმდინარე საქმე ევროკავშირის სასამართლოში (საქმე C-774/22 – *JX/FTI Touristik GmbH*) მომხმარებლის სასამართლო განსჯადობის შესახებ, როდესაც მხარეები ცხოვრობენ ერთსა და იმავე წევრ სახელმწიფოში; ამასთან დაკავშირებით, გენერალური ადვოკატ ნ. ემილიუს ანგარიშები, 7.3.2024, ECLI:EU:C:2024:219.

<sup>98</sup> EuGH ECLI:EU:C:2024:123 Rn. 21 – *Inkreal*; იხ. ზემოთ სქ. 65-ე.

<sup>99</sup> ყველა რეგულაცია „პარმონიული უნდა იყოს“ (პარმონიული განმარტება).

ლი, ზოგადად, სამართლის არჩევას უშვებს ადგილობრივ საქმეებშიც კი.<sup>100</sup> თუმცა ეს თავისუფლება გარკვეულწილად შეზღუდულია: კანონმდებლობის შესაძლო გვერდის ავლის თავიდან ასაცილებლად, რომის I და II რეგულაციები ადგილობრივ და საერთო ბაზრის საქმეებში, „შესაძლებლობის ფარგლებში“, <sup>101</sup> უარს აცხადებს იმპერატიული ნორმების გაუქმებაზე<sup>102, 103</sup> „Inkreal“-ის საქმეზე, ამ შემთხვევაში, ეს პირდაპირ ვერ ითქმის.<sup>104</sup>

საწყისი შემთხვევისთვის ეს ნიშნავს შემდეგს: არც პირდაპირი და არც კონკლუდენტური შეთანხმებით, რომელიც სამართლის არჩევას შეეხება, არ შეიძლება გვერდი ავლა იმპერატიული სლოვაკური სამართლებრივი დებულებებისთვის. თუკი საქმის განმხილველი ჩეხეთის სასამართლო გადანყვეტდა კონკლუდენტურად შეთანხმებული სამართლის არჩევის დაშვებას ჩეხური სამართლის სასარგებლოდ რომის I რეგულაციის მე-3 მუხლის მე-2 წინადადების მიხედვით, სლოვაკეთის სამართლის იმპერატიული ნორმები მაინც უნდა გაეთვალისწინებინა. ამით კი წარმოიქმნებოდა სამართლის კომპლექსური მიქსი, ანუ *dépeçage*. თუმცა, საკითხავია, სასამართლო ასე უნდა მოიქცეს თუ არა, რადგან რომის I რეგულაციის<sup>105</sup> მე-12 პრეამბულის მიხედვით, სასამართლო განსჯადობაზე შეთანხმება მხოლოდ ერთ-ერთი საფუძველია კონკლუდენტურად სამართლის არჩევის დაშვებისთვის. ჩეხეთის სამართლის არჩევის საწინააღმდეგოდ

ასევე მეტყველებს, რომ ყველა მონაწილის, მათ შორის თავდაპირველი მსესხებლის, ადგილსამყოფელი სლოვაკეთია. საერთო ჯამში, ეს გარემოებები უფრო სლოვაკეთის სამართლისკენ იხრება.

მომავალში ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 12 დეკემბრის რეგულაციის რევიზიამ<sup>106</sup> უნდა შეძლოს საერთაშორისოობის უფრო მკაფიო განსაზღვრა. ის, რომ ევროკავშირის კანონმდებელი ამ საკითხს პერიოდულად მაინც განიხილავს, ნათელია ზემოთ მოცემული მსჯელობიდანაც,<sup>107</sup> ასევე ახლახან, ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 81 II "F" მუხლის საფუძველზე მიღებული ანტი-SLAPP დირექტივიდანაც,<sup>108</sup> სადაც SLAPP განიმარტება, როგორც „ტრატეგიული სარჩელები სამოქალაქო ჩართულობის წინააღმდეგ“. მიზანი არის დირექტივის დახმარებით ჟურნალისტების, მეცნიერების, აქტივისტებისა და მათი ორგანიზაციების მიმართ შანტაჟის მიზნით შეტანილი სარჩელების თავიდან აცილება. საერთაშორისო ხასიათი ანტი-SLAPP დირექტივის 5 I მუხლში შემდეგნაირადაა განსაზღვრული: „ამ დირექტივის მიზნებისთვის მიჩნეულია, რომ საკითხი საერთაშორისო ხასიათისაა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ორივე მხარეს აქვს საცხოვრებელი ადგილი იმ წევრ სახელმწიფოში, რომლის სასამართლოსაც მიმართეს, და ყველა სხვა შესაბამისი ფაქტორი ასევე იმავე წევრ სახელმწიფოსთანაა დაკავშირებული.“<sup>109</sup>

<sup>100</sup> ეს ბრიტანული სურვილების შედეგად წარმოიშვა. იხ. J. v. Hein, in: T. Rauscher (Hrsg.), *Europäisches Zivilprozess- und Kollisionsrecht*, Bd. III, 5. Aufl., Köln 2023, Art. 3 Rom I-VO Rn. 100.

<sup>101</sup> რომის I რეგულაციის მე-15 განმარტებითი პუნქტის მე-3 ნაწ.

<sup>102</sup> განსხვავებით იმ საერთაშორისო იმპერატიული ნორმებისგან, რომლებიც იშვიათად გვხვდება და შეიძლება ჩაითვალოს ჩარევის ნორმებად რომის I რეგულაციის მე-9 მუხლისა და რომის II რეგულაციის მე-16 მუხლის გაგებით. Hay/Rösler, *IPR und IZVR*, (Fn. 16), Nr. 108 (S. 166 ff.); F. Mautzsch, *Rechtswahl und ius cogens im internationalen Schuldvertragsrecht*, *RabelsZ* 75 (2011), 60.

<sup>103</sup> რომის I რეგულაციის მე-15 განმარტების მე-2 წინადადების თანახმად, შეზღუდვები უნდა მოქმედებდეს სასამართლო განსჯადობის შეთანხმებისგან დამოუკიდებლად. მათ გაუქმებას მხარს უჭერს G. Rühl, *Building Competence in Commercial Law in the Member*

*States*, Study for the JURI Committee, European Parliament, PE 604.980, Brüssel, 2018, S. 48.

<sup>104</sup> გენერალურ ადვოკატს არ სურს, რომის I რეგულაცია გამოიყენოს როგორც რეფერენცია; გენერალური ადვოკატის დასკვნითი ანგარიში ECLI:EU:C:2023:768, პუნქტები 40 და შემდეგ – *Inkreal*. ამაზე ევროკავშირის სასამართლო დუმს.

<sup>105</sup> იხ. ზემოთ სქ. მე-16.

<sup>106</sup> შდრ. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 12 დეკემბრის რეგულაციის 79-ე მუხლი.

<sup>107</sup> იხ. ზემოთ სქ. 63-65-ე.

<sup>108</sup> თუმცა საწყისი შემთხვევისთვის ასე ვარაუდობს F. Graf v. Westphalen, *Wirksamkeit einer isolierten (internationalen) Gerichtsstandsvereinbarung*, ZIP 2024, R5 (R6)).

<sup>109</sup> Art. 5 Abs. 2 Anti-SLAPP-Richtlinie lässt den Wohnsitzbegriff der Brüssel Ia-VO folgen.

ეს დებულება ეყრდნობა ჰააგის კონვენციის 1 II მუხლს, მიუხედავად იმისა, რომ დირექტივა სრულიად განსხვავებულ და განსაკუთრებულ სიტუაციას ეხება. ამასთანავე ევროკავშირის კანონმდებელმა თავი აარიდა საერთაშორისო ხასიათის პოზიტიური განსაზღვრის მცდელობებს.<sup>110</sup> ამის ნაცვლად, საერთაშორისო ხასიათი განისაზღვრება როგორც ზოგადი შემთხვევა, ხოლო შიდასახელმწიფოებრივი განსჯადობა – როგორც გამონაკლისი. ანტი-SLAPP დირექტივის 5 I მუხლის თანახმად, მხარეების საცხოვრებელი ადგილისა და სასამართლოს ადგილმდებარეობის დამთხვევის შემთხვევაშიც კი არ არის სავალდებულო, რომ საქმე მთლიანად შიდასახელმწიფოებრივი იყოს. ამ ნორმით ხდება გამიჯვნის პრობლემატიკის შებრუნება: თუ საერთაშორისო ხასიათი ხდება წესი და შიდასახელმწიფოებრივი საქმე – გამონაკლისი, მაშინ იცვლება გამიჯვნის საკითხიც, თუ როდის ითვლება საქმე შიდასახელმწიფოებრივად. ეს ტენდენცია შეესაბამება ევროკავშირის სასამართლოს Inkreal-ის გადაწყვეტილებას. სხვა მხრივ, მოცემული საკითხისთვის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 12 დეკემბრის რეგულაციის ფარგლებში ბევრი არაფერი თქმულა, რადგან ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 12 დეკემბრის რეგულაციის 25-ე მუხლის მიხედვით, უცხოური სასამართლო განსჯადობის შეთანხმების დროს, საბოლოოდ არსებობს საერთაშორისო ხასიათი, თუნდაც ის „მხოლოდ“ მხარეთა ნებას ეფუძნებოდეს.

**4. გერმანული კანონმდებლობის დუმილი ტერიტორიული განსჯადობის შეთანხმების არარსებობისას**

საწყისი შემთხვევა ამავდროულად ავლენს გერმანული განსჯადობის სამართლის ნაკლს. თუ პროროგაცია ვრცელდება სასამართლო განსჯადობის არასპეციფიკურ შეთანხმებაზე, რომელიც მხოლოდ რომელიმე ქვეყნის სასამართლოების საერთაშორისო განსჯადობას ადგენს და კონკრეტულ ადგილობრივ სასამართლოს არ განსაზღვრავს, და მხარეები თავიანთ არჩევანს შემდეგშიც არ აკონკრეტებენ, ადგილობრივი განსჯადობის საკითხი ძირითადად რჩება ავტონომიური ეროვნული სამოქალაქო საპროცესო სამართლის გადასაწყვეტი. შეთანხმების დამატებითი განმარტებისას ერთ-ერთი მხარის საცხოვრებელ ადგილზე მითითება, როგორც წესი, გამოირიცხულია, როდესაც პროროგაცია ნეიტრალურ ფორუმს ეხება, როგორც მოცემულ შემთხვევაში მოხდა. ჩეხურ<sup>111</sup> ან ავსტრიულ<sup>112</sup> სამართალში არსებული რეგულაციისგან განსხვავებით, გერმანიაში ასეთი დებულება არ არსებობს. ეს შეიძლება პრობლემებს იწვევდეს, რადგან ეროვნული რეგულაციის გარეშე კონკრეტული სასამართლოს განსაზღვრა შეუძლებელია.

<sup>110</sup> ევროკომისიის 2022 წლის 27 აპრილის წინადადება, COM(2022) 177 final, სხვაგვარად იყო ფორმულირებული. წინადადების 4 I მუხლის მიხედვით: „ამ დირექტივის მიზნებისთვის ითვლება, რომ საქმეს აქვს საერთაშორისო ხასიათი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ორივე მხარეს აქვს საცხოვრებელი ადგილი იმავე წევრ ქვეყანაში, სადაც საქმის განხილვა მიმდინარეობს.“ წინადადების 4 II მუხლში მოყვანილი იყო ორი გამონაკლისი: „თუ ორივე მხარეს აქვს საცხოვრებელი ადგილი იმავე წევრ ქვეყანაში, სადაც საქმის განხილვა მიმდინარეობს, საქმე მაინც საერთაშორისოდ ითვლება, თუ ა) იგი საჯარო ინტერესს ეხება და ერთი წევრი ქვეყნის ფარგლებს სცილდება ან ბ) მოსარჩელე ან მასთან დაკავშირებული ორგანიზაციები იმავე ან სხვა წევრ

ქვეყანაში წინა პერიოდში ან პარალელურად მიმართავდნენ იგივე მოპასუხეს ან მასთან დაკავშირებულ მოპასუხეებს სასამართლოში.“

<sup>111</sup> იხ. ზემოთ სქ. 50-ე.

<sup>112</sup> ავსტრიის იურისდიქციის ნორმის (JN) 28 I პარაგრაფი: „თუ სამოქალაქო საკითხზე არ არსებობს ან არ არის შესაძლებელი დადგინდეს შიდა სასამართლოს ტერიტორიული განსჯადობის პირობები, უმაღლესმა სასამართლომ უნდა განსაზღვროს კომპეტენტური სასამართლო, რომელიც ჩაითვლება ტერიტორიულად კომპეტენტურად შესაბამისი სამართლებრივი საკითხისთვის, როდესაც (მე-3 პუნქტი): შეთანხმებულია ში-

უარყოფილია ის მიდგომა, რომ სასამართლო განსჯადობის შეთანხმება უბრალოდ არანამდვილად მიიჩნევა. ამას ევროკავშირის სამართალი ენიშნავს: <sup>113</sup> ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 12 დეკემბრის რეგულაციის 25 | I მუხლის თანახმად, შესაძლებელია „რომელიმე ნევრი სახელმწიფოს სასამართლოს ან სასამართლოების“ არჩევა. გარდა ამისა, Inkreal-ის საქმის მსგავს ვითარებებში მხარეებს სურთ, რომ არ მიმართონ კანონით განსაზღვრულ იმ სასამართლოს, რომლებიც სხვა შემთხვევაში იქნებოდნენ საქმის განმხილველნი. გონივრულად გამოიყურება არჩევანის მოსარჩელისთვის მინდობა, <sup>114</sup> ბოლოს და ბოლოს მხარეებმა ნაწილობრივ ღია შეთანხმება დადეს, თუნდაც მათ ყოველთვის არ ესმოდათ ამგვარი შეთანხმების ზუსტი შედეგები. უკეთესი იქნება, თუ დავუშვებთ შემცველ განსჯადობას (ფედერალური) მთავრობის ადგილსამყოფელის მიხედვით. <sup>115</sup> ამავდროულად, საჭიროა კანონით განისაზღვროს სათადარიგო განსჯადობა.

## 5. საბოლოო დასკვნა

ევროპის სასამართლოს მიერ Inkreal-ის საქმეში მიღებული გადაწყვეტილება დასაბუთებით და შედეგობრივად იძლევა თანმიმდევრულ და ერთმნიშვნელოვან სურათს საერთაშორისო ხასიათის ცნების თაობაზე. ეს განსაკუთრებით ეხება სასამართლო განსჯადობის შეთანხმების მომენტს. არასწორია მიდგომა, რომლის მიხედვითაც საერთაშორისო ხასიათის დასადგენად დამატებითი გარემოებებია საჭირო. <sup>116</sup> უნდა დავასკვნათ: Inkreal-ის საქმის შემდეგ საერთაშორისო კომერცია შეიძლება უფრო მეტად დაეყრდნოს ევროკავშირის ფარგლებში, შეძლებისდაგვარად, ერთიან მიდგომას სასამართლო განსჯადობის შეთანხმებისადმი. ეროვნული შეზღუდვები, როგორცაა გერმანიის ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შინაარსის კონტროლი ან გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 38-ე პარაგრაფი, წინა პლანზე აღარ წამოიწევა. შედეგად, მხარეებს შეთანხმების საფუძველზე თავიდანვე შეეძლება სამართლებრივად უსაფრთხოდ გათვალონ, თუ რომელი სასამართლო განიხილავს მათ საქმეს.

დასახელმწიფოებრივი განსჯადობა, თუმცა ტერიტორიულად კომპეტენტური სასამართლო შეთანხმებული არ არის.“

<sup>113</sup> ამგვარადვე: Gottwald (Fn. 14), Art. 25 Brüssel Ia-VO Rn. 67.

<sup>114</sup> ამის საპირისპიროდ: Mankowski (Fn. 14), Art. 25 Brüssel Ia-VO Rn. 288.

<sup>115</sup> Geimer, IZPR (Fn. 5), Rn. 1754 (in Deutschland analog § 15 Abs. 1 S. 2 ZPO); Gottwald (Fn. 14), Art. 25 Brüssel Ia-VO Rn. 67. Vgl. aber KG Beschluss v. 13.1.2000, 19 W 5398/99, IPRax 2001, 44.

<sup>116</sup> შდრ. ასევე გენერალური ადვოკატის დასკვნითი ანგარიში ECLI:EU:C:2023:768 Rn. 47 და იქ მითითებული ნყაროები – Inkreal: „დროის მომენტად უნდა ჩაითვალოს სასამართლო განსჯადობის შეთანხმების დადების დრო და არა იმ სასამართლოს მიმართვის დრო, რომელიც მხარეებმა მიუთითეს,“ რაც „სასამართლო განსჯადობის განსაზღვრის სახელშეკრულებო ხასიათისა და სამართლებრივი უსაფრთხოების“ გამო დამაჯერებელია. ასევე, Czernich, wbl 2004, 458 (462).



## პიროვნული ზიანის ანაზღაურება საქართველოსა და გერმანიაში\*

პროფ. დოქ. ზურაბ ძლიერიშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე

ულრიხ ჰაგენლოხი

დრეზდენის უმაღლესი სამხარეო სასამართლოს პრეზიდენტი (პენსიონირებული)

### I ნაწილი:

#### ზიანის გამომწვევი ქმედება

##### A. სამართლებრივი მდგომარეობა გერმანიაში

ქართულ სამართალში, ისევე, როგორც გერმანიის სამოქალაქო კოდექსში მკაცრად დიფერენცირდება ზიანის გამომწვევი ქმედების ფაქტობრივი წინაპირობები და ამის შედეგად წარმოქმნილი ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი შედეგები. სამართლებრივი სიკეთის დარღვევასთან დაკავშირებულ საკითხებს მოკლედ უწოდებენ – პასუხისმგებლობის დამაფუძნებელ მიზეზობრიობას; ხოლო ზიანის ანაზღაურების საფუძველსა და მოცულობის საკითხებს – პასუხისმგებლობის შემავსებელ კაუზალობას.

მართლსაწინააღმდეგო ქმედების სამართალზე საქართველოსა და გერმანიის სამართალს შორის არსებითი განსხვავებები არსებობს იმ მხრივ, რომ გსკ-ის 823 I პარაგრაფის მიხედვით დელიქტური სამართლის დაცვით სარგებლობენ მხოლოდ ე. წ. აბსოლუტურად დაცული უფ-

ლებები. ხოლო, საქართველოს დელიქტური სამართალი, ძირითადად, ზოგად ქონებასაც იცავს. თუმცა, აღნიშნული განსხვავება საბოლოოდ არ აისახება ამ ტექსტში განხილულ პიროვნული ზიანის ანაზღაურებაზე. ერთი მხრივ, სიცოცხლე, სხეული და ჯანმრთელობა მიეკუთვნება გსკ-ის 823 I პარაგრაფით აბსოლუტურად დაცულ უფლებებს. მეორე მხრივ, ამ უფლებებში ბრალეული ჩარევა ასევე დაკავშირებულია სისხლის სამართლის ნორმების დარღვევასთან. ეს უკანასკნელი მიეკუთვნებიან დამცავ კანონებს, რომელთა დარღვევის შემთხვევაშიც გერმანული სამართალი გსკ-ის 823 II პარაგრაფით ასევე იცავს ქონებას.

##### I. სამართლებრივი სიკეთის დაზიანება

###### 1. სხეულისა და ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენება:

დელიქტით დაცულია სიცოცხლე, სხეული და ჯანმრთელობა.

სხეულის დაზიანებაში მოიაზრება სხეულის გარე მთლიანობაში ჩარევა, ხოლო ჯანმრთელობის დაზიანება მოიცავს შინაგანი (სხეულის

\* გერმანულიდან თარგმნა ნატალი გოგიაშვილმა.

ან გონებრივი) ფუნქციების დარღვევას. ცნებები "სხეული" და "ჯანმრთელობა" ერთმანეთს ბევრ სფეროში ფარავენ, რის გამოც ისინი ხშირად პარალელურად გამოიყენება.

### ა) სხეულისა და ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების დაცული სფერო:

სხეულის დაცვით არ არის დაცული ადამიანის მატერია, როგორც ასეთი, არამედ, სხეულის მთლიანობის დაცვა ემსახურება პიროვნების დაცვას და, როგორც ეს განსაკუთრებით სამედიცინო კუთხით მკურნალობის დროს იკვეთება, ადამიანის ინდივიდის თვითგამორკვევის უფლებას. ფედერალური სასამართლო ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს:<sup>1</sup>

„მას (იგულისხმება: ფედერალური სასამართლო) უფლება საკუთარ სხეულზე ესმის, როგორც ზოგადი პიროვნული უფლებების კანონით გამოხატული ნაწილი და სხეულის დაზიანებას, რომელიც გსკ-ის 823 I პარაგრაფში ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების გვერდით პირდაპირ არის მოხსენიებული, წარმოადგენს ყოველგვარ უნებართვო ჩარევას სხეულის მთლიანობაში, როდესაც ეს ჩარევა არ არის სამართლებრივი სუბიექტის თანხმობით გამართლებული (...). გსკ-ის 823 I პარაგრაფის დაცვის საგანი არ არის მატერია, არამედ არის პიროვნების ყოფნისა და განსაზღვრის არეალი (ავტორების შენიშვნა: იგულისხმება გარე დაცვის არეალის მნიშვნელობით), რომელიც სხეულის მთლიანობაში მჟღავნდება (...). გსკ-ის 823 I პარაგრაფი სხეულს იცავს, როგორც პიროვნების ბაზისს.“

ამ დაცვის მიზნის გათვალისწინებით, სხეუ-

ლის დაზიანების ფაქტი შესაძლებელია დადგინდეს იმ შემთხვევაშიც, როდესაც დაზიანება ეხება სხეულის იმ ნაწილებს, რომლებიც სხეულიდან ამოღებულია და მოგვიანებით კვლავ მასში დაბრუნებისთვისაა განკუთვნილი.<sup>2</sup> იგივე პრინციპი ვრცელდება თვითგამორკვევის უფლების დაცვაზე სპერმის მიმართ, რომელიც დონორმა გაყინა იმისთვის, რომ მოსალოდნელი უნაყოფობის შემთხვევაში საკუთარი შთამომავლობის ყოლის შესაძლებლობა ჰქონოდა.<sup>3</sup>

ზიანის მიყენების ზღვარი გადალახულად მიიჩნევა, როდესაც სხეულზე ზემოქმედების შედეგები არ არის უმნიშვნელო.<sup>4</sup> მაგალითად, არსებით ტკივილად შეიძლება ჩაითვალოს ხელის დარტყმით ყურში გამოწვეული ტკივილი.<sup>5</sup>

ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენება დგინდება მაშინ, როდესაც ადამიანის შიდა (სხეულეზრივი ან გონებრივი) ცხოვრებისეული პროცესები ისე ირღვევა, რომ საჭირო ხდება სამედიცინო მკურნალობა<sup>6</sup> ან გამოწვეულია შრომისუნარობა.<sup>7</sup> გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, აღნიშნულმა ზემოქმედებამ გამოიწვია თუ არა ტკივილი ან არსებითად შეიცვალა თუ არა ჯანმრთელობის მდგომარეობა. შესაბამისად, მაგალითად, აივ ინფექცია, როგორც ასეთი, უკვე წარმოადგენს ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენებას, მაშინაც კი, თუ ეს არ გამოიწვევს იმუნური სისტემის, დაავადება AIDS-ის, განვითარებას.<sup>8</sup>

### ბ) ფსიქიკური დარღვევების სპეციალური პრობლემა

პრაქტიკაში უდიდესი პრობლემები წარმოიქმნება მაშინ, როდესაც ზიანის მომტანი შემთხვევა იწვევს ფსიქიკურ დარღვევებს. ეს ეხება,

<sup>1</sup> BGH, Urteil vom 9. November 1993 - VI ZR 62/93 - BGHZ 124, 52, juris Rn. 11.

<sup>2</sup> BGH, Urteil vom 9. November 1993 - VI ZR 62/93 - BGHZ 124, 52, juris Rn. 12.

<sup>3</sup> BGH, Urteil vom 9. November 1993 - VI ZR 62/93 - BGHZ 124, 52, juris Rn. 13; სრულად: *Herberger/Martinek/Rüßmann/Weth/Würdinger*, jurisPK-BGB, 10. Aufl., გსკ-ის 823 I პარაგრაფი (Stand: 27.02.2024), Rn. 6; *Wilhelmi* in: *Erman BGB, Kommentar*, 17. Auflage 2023, § 823 BGB, Rn. 17.

<sup>4</sup> *Staudinger/Hager* (2017); 823 BGB, B 8.

<sup>5</sup> *J. Lange/Hansen* in: *Herberger / Martinek / Rüßmann / Weth / Würdinger*, jurisPK-BGB, 10. Aufl., § 823 Abs. 1BGB (Stand: 27.02.2024), Rn. 5.

<sup>6</sup> *J. Lange/Hansen* in: *Herberger / Martinek / Rüßmann / Weth / Würdinger*, jurisPK-BGB, 10. Aufl., § 823 Abs. 1BGB (Stand: 27.02.2024), Rn. 3; შდრ. ასევე *Wilhelmi* in: *Erman BGB, Kommentar*, 17. Auflage 2023, § 823 BGB, Rn. 19.

<sup>7</sup> *Staudinger/Hager* (2017), § 823 BGB, B. 20.

<sup>8</sup> BGH, Urteil vom 30. April 1991 - VI ZR 178/90 - BGHZ 114, 284, juris Rn. 28 f.; BGH, Urteil vom 14. Juni 2005 - VI ZR 179/04 - BGHZ 163, 209, juris Rn. 9.

როგორც იმ საკითხს, თუ რა ინტენსივობის შემთხვევაში გადალახავს ფსიქიკური დარღვევა ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების ზღვარს, ასევე მისი სამართლებრივი შერაცხადობის საკითხს.

### ა) ფაქტობრივი წინაპირობები

ფედერალური სასამართლო 2022 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილებაში (ადრე გამოტანილი გადაწყვეტილებებისგან ნაწილობრივი განსხვავებით) განმარტავს, თუ როგორ უნდა შეფასდეს სამართლებრივად სულიერი ტკივილის, მწუხარების ან შოკის მსგავსი მდგომარეობები:<sup>9</sup>

„ა) ... აა) ჩამოყალიბებული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, ფსიქიკური დარღვევები, რომლებსაც დაავადების ღირებულება აქვთ, შესაძლოა განიხილებოდეს, როგორც ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენება, გსკ-ის 823 I პარაგრაფის გაგებით (შდრ. *Urteile vom 8. Dezember 2020 - VI ZR 19/20, BGHZ 228, 264 Rn. 8; vom 21. Mai 2019 – VI ZR 299/17, BGHZ 222, 125 Rn. 7; vom 27. Januar 2015 - VI ZR 548/12, NJW 2015, 1451 Rn. 6 ...*). ...

ე. წ. „შოკური ზიანის“ შემთხვევაში, ისევე, როგორც პირდაპირი ზემოქმედების დროს, დაავადების ღირებულების მქონე ფსიქიკური დარღვევა წარმოადგენს ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენებას გსკ-ის 823 I პარაგრაფის მიხედვით, თუნდაც ის დაზარალებულში ირიბად იყოს გამოწვეული სხვა პირის უფლებაში ჩარევის შედეგად. თუ ფსიქიკური დარღვევა პათოლოგიურად აღქმადია, ანუ მას აქვს დაავადების ღირებულება, ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების დასადასტურებლად აუცილებელი არ არის, რომ აღნიშნული დარღვევა სცილდებოდეს იმ ჯანმრთელობის დაზიანებებს, რომლებიც, როგორც წესი, ახლო ნათესავის უფლებების დარღვევის დროს დაზარალებულებს უფითარდებათ...

ე. წ. „შოკური ზიანის“ შემთხვევებში პასუხისმგებლობის საფუძველს არ წარმოადგენს მესამე პირის უფლებების დარღვევა, არამედ არის

სარჩელის შემომტანის პირადი - ფსიქიკური - ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენება.

გარდა ამისა, სენატი საფრთხეს ხედავს იმაში, რომ არსებული პრაქტიკის მიხედვით „შოკური ზიანის“ სახით ჯანმრთელობის დარღვევის არსებობის შემონმებისას სარჩელის შემომტანის ზიანსა და ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფი ნათესავების მოსალოდნელ რეაქციას შორის შედარებამ შეიძლება უსამართლო შედეგები გამოიწვიოს.

... განსაკუთრებით მხოლოდ გაუფრთხილებლობით გამოწვეული, ირიბად წარმოშობილი ფსიქიკური დარღვევებისთვის პასუხისმგებლობის უსაზღვროდ გაფართოების თავიდან აცილების ლეგიტიმური ინტერესი შეიძლება დაკმაყოფილდეს გსკ-ის 823 I პარაგრაფის პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი ნიშნების საფუძვლიანად შემონმების გზით, ვიდრე ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების ფაქტობრივი მახასიათებლის მიმართ დამატებითი შეზღუდვების დაწესებით. მაგალითად, გასათვალისწინებელია, რომ ფსიქიკური დარღვევებისთვის პასუხისმგებლობა, რომლებიც პირველადი ზიანის სახით განიხილება, მხედველობაში მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება მიღებული, თუ დარღვევას აქვს დაავადების ღირებულება და ამდენად, მოქმედებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 286-ე მკაცრი მტკიცების მასშტაბი, რომელიც მოითხოვს მოსამართლის სრულ დარწმუნებას (იხ. ამასთან დაკავშირებით და ადეკვატურობის და ბრალის სხვა შესაძლო „ფილტრებთან“ დაკავშირებით *Senatsurteil vom 8. Dezember 2020 - VI ZR 19/20, BGHZ 228, 264 Rn. 21, 22 und 24 f.*). გარდა ამისა, ფსიქიკური ჯანმრთელობის დარღვევების შემთხვევებში შერაცხადობის საკითხი საჭიროებს სპეციალურ შემონმებას (...).

ცალეკულ შემთხვევებში, როდესაც სხეული ან ჯანმრთელობა უმნიშვნელოდ ზიანდება, რომელსაც ცხოვრების წარმართვის მცირეოდენი დარღვევა მოჰყვა და არ აქვს ხანგრძლივი შედეგები, შესაძლოა მორალური ზიანის ანაზღაურება უარყოფილი იქნეს, თუ ეს მხოლოდ დროებითია, ყოველდღიურ ცხოვრებაში ტიპურია და

<sup>9</sup> BGH, Urteil vom 6. Dezember 2022 - VI ZR 168/21 - BGHZ 235, 239, juris Rn. 13 ff.

საკითხი ეხება სხეულის ან სულიერი კეთილდღეობის ისეთ დაზიანებებს, რომლებიც ხშირად სხვა მიზეზებითაც წარმოიქმნება, გარდა კონკრეტული ზიანის შემთხვევისა. ამაში მოიაზრება დარღვევები, რომლებიც ინტენსივობითა და დაზიანების ხასიათით მხოლოდ უმნიშვნელოა და ჩვეულებრივ შემთხვევებში არ რჩება გრძელვადიანად დაზარალებულის ფსიქიკაში, რადგან ის უკვე შეჩვეულია მსგავს დარღვევებს სხვა ადამიანებთან თანაცხოვრებაში (მდრ. *Senatsurteil vom 26. Juli 2022 - VI ZR 58/21, VersR 2022, 1309 Rn. 7 mwN*).

ბბ) ... სამართლებრივი თვალსაზრისით ... არაფერია წინააღმდეგობრივი იმაში, რომ სააპელაციო სასამართლომ, სასამართლოს ექსპერტის სამედიცინო შეფასებაზე დაყრდნობით, დაადგინა, რომ დაზარალებულის შემთხვევაში გამოვლენილი ადაპტაციის დარღვევა, რომელსაც თან ახლავს დებრესიული სიმპტომატიკა, შიში და შფოთვა, ყოველდღიური რუტინული აქტივობების შესრულების შეზღუდვა და სოციალური კონტაქტებიდან გამოთიშვა, წარმოადგენს პათოლოგიურად აღქმად ფსიქიკურ დარღვევას, რომელიც დაავადების ხარისხს ატარებს....“

ამ განმარტებებიდან გამომდინარეობს, რომ გსკ-ის 823 I პარაგრაფის მიხედვით ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენებისთვის არ აქვს მნიშვნელობა, ვისთან გამოვლინა ზიანის მიმყენებლის პასუხისმგებლობის ქვეშ არსებული პირდაპირი ზიანის მოვლენით გამოწვეული ფსიქიკური დარღვევა, რომელსაც დაავადების ღირებულება აქვს. სამართლებრივი განსხვავება მდგომარეობს მხოლოდ იმაში, რომ ზიანის დადგომის შედეგად პირდაპირ დაზარალებული პირის, როგორცაა მაგალითად, ავარიაში მოყოლილი ავტომობილის დაშავებული მგზავრის ფსიქიკური დარღვევა, შეიძლება წარმოიჩინდეს როგორც ე.წ. პირველადი ზიანის (ანუ ავარიისგან გამომწვეული პირდაპირი დაზიანება, მაგალითად, სახსრის მუდმივი გაშეშება) გამო გამოწვეული შედეგობრივი ზიანი (მეორეული ზიანი). აღნიშნულს სამართლებრივი გავლენა აქვს იმ მოთხოვნებზე, რომლებიც უნდა დაყენდეს შერაცხადობისა (ამაზე მოგვიანებით ბბ) პუნქტში) და

მიზეზობრივი კავშირის (ამაზე მოგვიანებით გგ) პუნქტში) დასადასტურებლად.

მესამე პირისთვის, რომელიც ზიანის გამომწვევი მოვლენის შედეგად პირდაპირ არ არის დაზარალებული (თვითმხილველი, ნათესავი და ა.შ.), ფსიქიკური დარღვევა პირველადი ზიანის სახით არის წარმოდგენილი. ამიტომ, მის შემთხვევაში პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი მიზეზობრიობის პრინციპების მიხედვით უნდა შეფასდეს, შესაძლებელია თუ არა, ერთი მხრივ, (ფსიქიკურად გადამცემი) ფაქტობრივი მიზეზობრივი კავშირის დადგენა და, მეორე მხრივ, სამართლებრივი შერაცხადობის არსებობა ზიანის მოვლენასა და ფსიქიკურ დარღვევას შორის. თუმცა, უშუალოდ ავარიაში მოხვედრილ პირთანაც შესაძლებელია იყოს პირველადი ზიანის შემთხვევა, თუ ფსიქიკური დარღვევა გამოწვეული არ არის სხვა განცდილი დაზიანებით (მაგალითად, განცდილი ფიზიკური ზიანის შედეგად წარმოშობილი სასონარკვეთილება), არამედ განპირობებულია ავარიის შედეგად განვითარებული პოსტტრავმული სტრესული აშლილობით (ავარიის შოკი).

### **ბბ) ფსიქიკურ დარღვევების დროს შერაცხადობის საკითხი**

პასუხისმგებლობის შეზღუდვის ეფექტის გამო, ფსიქიკური დარღვევების შემთხვევაში, შერაცხადობის ასპექტებს არსებითი მნიშვნელობა აქვთ.

მინიმუმ, ტენდენციის სახით, შერაცხადობის არსებობისთვის მიმართული მოთხოვნების შეფასებისას საჭიროა განვასხვაოთ ზიანის შემთხვევის შედეგად უშუალოდ დაზარალებულის ფსიქიკური დარღვევები და მესამე პირების ფსიქიკური დარღვევები. დამატებითი განსხვავებები წარმოიქმნება იმის მიხედვით, თუ რა სიასლოვეში იმყოფება მესამე პირი პირდაპირი ზიანის მოვლენასთან (მაგალითად, ახლო ნათესავი ან უშუალო მსხვერპლის ახლო მეგობარი; ზიანის მოვლენის თვითმხილველი ან აქვს სხვა

მჭიდრო კავშირი მასთან). ფედერალური სასამართლო ამასთან დაკავშირებით განმარტავს:<sup>10</sup>

„ფსიქიკური ჯანმრთელობის დარღვევების შემთხვევაში შერაცხადობა საჭიროებს სპეციალურ შემონიშნებას (შდრ. *Senatsurteile vom 21. Mai 2019 - VI ZR 299/17, BGHZ 222, 125 Rn. 11; vom 17. April 2018 - VI ZR 237/17, BGHZ 218, 220 Rn. 13; vom 20. Mai 2014 - VI ZR 381/13, BGHZ 201, 263 Rn. 9 f.; vom 22. Mai 2007 - VI ZR 17/06, BGHZ 172, 263 Rn. 13 ff. ...*) ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება შეზღუდულია დარღვეული ნორმის დაცვითი მიზნით. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არსებობს მხოლოდ მაშინ, თუ მოთხოვნილი ანაზღაურების მოვლენები წარმოშობილია იმ საფრთხის სფეროდან, რომლის თავიდან აცილების მიზნითაც იქნა შემოღებული დარღვეული ნორმა. ამისთვის, ნორმამ სწორედ მოცემული ზიანის წინააღმდეგ უნდა უზრუნველყოს სამართლებრივი სიკეთის დაცვა; მოთხოვნილი უფლებების დარღვევა ან ზიანიც კი, თავისი ბუნებითა და წარმოშობით, უნდა მოხვდეს დარღვეული ნორმის დაცვითი მიზნის ფარგლებში. ამ უკანასკნელ შემთხვევაში აღნიშნული არ არსებობს, როდესაც ისეთი საფრთხე წარმოიქმნა, რომელიც მიეკუთვნება ზოგად ცხოვრებისეულ რისკს და ამრიგად დაზარალებულის რისკის სფეროს. ზიანის მიმყენებელს არ შეიძლება პასუხისმგებლობა დაეკისროს ისეთი დარღვევებისთვის ან ზიანისთვის, რომლებსაც დაზარალებული თავის ცხოვრებაში ჩვეულებრივ განიცდის. აქედან გამომდინარე, საჭიროა შეფასებითი განხილვა (შდრ. *Senatsurteile vom 21. Mai 2019 - VI ZR 299/17, aaO; vom 17. April 2018 - VI ZR 237/17, aaO; vom 20. Mai 2014 - VI ZR 381/13, BGHZ 201, 263 Rn. 10, mwN*).

ამ კონტექსტში, ფსიქიკური ზიანის მიმართ შერაცხადობა, მაგალითად, უარყოფილ უნდა იქნას მაშინ, როდესაც დაზარალებული ზიანის გამომწვევ მოვლენას მხოლოდ საბაზად იყენებს, რათა ნევროზული სურვილით, მზრუნველობისა და უსაფრთხოების მიღების მისწრაფებით, ცდილობს, თავიდან აიცილოს შრომითი

ცხოვრების სირთულეები და დატვირთვა. (...). ანალოგიური შეიძლება ითქვას მაშინ, როდესაც ზიანის გამომწვევი მოვლენა სრულიად უმნიშვნელოა, პირდაპირ არ ეხება დაზარალებულის ზიანის მდგომარეობას და ამიტომ, კონკრეტულ შემთხვევაში ფსიქიკური რეაქცია აღარ არის გასაგები, რადგან ის მოვლენასთან შედარებით აშკარად არათანაზომიერია. (...) ზოგადად, ფსიქიკური ზიანის შერაცხადობა არ იქნება წარუმატებელი იმიტომ, რომ დაზარალებული ფიზიკური ან სულიერი მდგომარეობის გამო განსაკუთრებულად მოწყვლადია, რადგან ზიანის მიმყენებელს არ აქვს უფლება, იყოს იმ მდგომარეობაში, თითქოს მან მანამდე სრულიად ჯანმრთელი პირი დააზიანა. (...) სადავო შემთხვევაშიც განხილულ ე. წ. „მოკური ზიანის“ საკითხშიც, უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკით აღიარებულია, რომ ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისთვის აუცილებელი დაცვის მიზნობრივი კავშირი არ არსებობს, როდესაც მესამე პირი, რომლისთვისაც ზიანის მიყენება განპირობებულია დაზარალებულის ფსიქიკური დარღვევით, პირადად არ არის მასთან მჭიდრო კავშირში. ასევე ამ შემთხვევაში რეალიზდება მხოლოდ საერთო ცხოვრებისეული რისკი, რომელიც ზიანის მიმყენებელს არ შეიძლება შეერაცხოს (შდრ. *Senatsurteile vom 21. Mai 2019 - VI ZR 299/17, BGHZ 222, 125 Rn. 12; vom 20. März 2012 - VI ZR 114/11, BGHZ 193, 34 Rn. 8, ...*).“

შერაცხადობისა და ზოგადი ცხოვრებისეული რისკის ზღვარი სასამართლო პრაქტიკაში ძირითადად იმით განისაზღვრება, იყო თუ არა დაზარალებულისთვის ზიანის მიმყენებლის მიერ პირდაპირ, თავსმოხვეული მისთვის ტრავმული მოვლენა, თუ დაზარალებულს შემთხვევით და ირიბად შეეხო ზიანის მოვლენა, მაგალითად, როგორც თვითმხილველი.

ამგვარად, გერმანული სასამართლოები, როგორც წესი, დადებითად აფასებენ ფსიქიკური დაზიანებების სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხს, როდესაც პოლიციის ან სამაშველო სამსახურის თანამშრომლები მძიმე საგ-

<sup>10</sup> BGH, Urteil vom 6. Dezember 2022 - VI ZR 168/21 - BGHZ 235, 239, juris Rn. 24 ff.

ზაო-სატრანსპორტო შემთხვევის დროს პროფესიული მოვალეობის შესრულებისას, ფსიქიკურ ზიანს განიცდიან. ამას არ ცვლის ის ფაქტი, რომ ამ შემთხვევაში რეალიზდება პროფესიული სპეციფიკური რისკი, რომლის გადაჭრისა და მართვისთვის ისინი მზად იყვნენ თავიანთი ტრენინგისა და პროფესიული საქმიანობის ფარგლებში<sup>11</sup> იგივე განმარტება გააკეთა ფედერალურმა სასამართლომ, როდესაც პოლიციის თანამშრომელი გამოიძახეს მასობრივი თავდასხმის ადგილზე.<sup>12</sup> შერაცხადობის არსებობა ძირითადად ასევე აღიარებულია მაშინ, როდესაც ავარიაში უშუალოდ მონაწილე პირი განიცდის ფსიქიკურ დაზიანებას,<sup>13</sup> რადგან მასზეც უშუალოდ თავსმოხვეულია ავარიაში მონაწილეობა.<sup>14</sup>

ამის საწინაარმდეგოდ, ფედერალურმა სასამართლომ უარყო პოლიციის თანამშრომლების ფსიქიკური დაზიანების პასუხისმგებლობის სამართლებრივი შერაცხადობის არსებობა, თუ ისინი შემთხვევით იმყოფებოდნენ ავარიის ადგილზე და უშედეგო სამაშველო მცდელობის შემდეგ უყურებდნენ, თუ როგორ დაიწვა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად რამდენიმე ავტომობილის მგზავრ.<sup>15</sup> როდესაც პირველი დაზარალების აღმომჩენები ან თვითმხილველები, მესამე პირის დაზიანების მოვლენაში უშუალო მონაწილეობით გამონეული ფსიქიკური ტრავმის შედეგად ზიანდებიან, ეს, ძირითადად, განიხილება, როგორც ზოგადი ცხოვრებისეული რისკი.

დადგენილი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, შერაცხადობის არსებობა ასევე უნდა იქნას უარყოფილი იმ შემთხვევაში, როდესაც და-

ზარალებული ზიანის მოვლენას იყენებს, როგორც საბაზს დახმარებისა და უსაფრთხოებისაკენ მიმართული ნევროტული მისწრაფების დასაკმაყოფილებლად, რათა თავიდან აიცილოს ცხოვრების სირთულეები და დატვირთვა.<sup>16</sup>

სამართლებრივი პასუხისმგებლობის შერაცხადობა არ მოითხოვს, რომ ფსიქიკური დარღვევის გამომწვევი დამაზიანებელი ქმედება პირდაპირ მიმართული იყოს სხეულის ან ჯანმრთელობის მიმართ. ასევე, პიროვნული თავისუფლების უფლებისა და პიროვნების პატივისცემის უფლების დარღვევაც შეიძლება საკმარისი იყოს. თუმცა, ამის წინაპირობა ისაა, რომ ფსიქიკური რეაქცია არ იყოს სრულიად უჩვეულო. შერაცხადობა შეიძლება არსებობდეს, თუ პატივის დარღვევა განსაკუთრებული სიმძიმისაა და შეურაცხყოფილი პირის მიმართ შესაძლებელია მისი განსაკუთრებული მგრძობელობის გათვალისწინება.<sup>17</sup>

### გგ) მიზეზობრივი კავშირის მტკიცების ტვირთი

ფსიქიკური დარღვევის ზიანის მიზეზობრიობის დასაბუთება და მტკიცების ტვირთი დაზარალებულზეა.

თუ დაზარალებული არ არის ზიანის მოვლენით უშუალოდ დაზარალებული მესამე პირი, ფსიქიკური დარღვევა მისთვის პირველადი ზიანის სახეს იღებს. ეს ნიშნავს, რომ მან უნდა დაამტკიცოს მიზეზობრივი კავშირის არსებობა ისე, რომ სასამართლოსთვის სრულად სარწმუნო იყოს.<sup>18</sup>

<sup>11</sup> BGH, Urteil vom 8. Dezember 2020 - VI ZR 19/20 - BGHZ 228, 264, juris Rn. 16.

<sup>12</sup> BGH, Urteil vom 17. April 2018 - VI ZR 237/17 - BGHZ 218, 220, juris Rn. 16.

<sup>13</sup> BGH, Urteil vom 9. April 1991 - VI ZR 106/90 - NJW 1991, 2347, juris Rn.9 ff.; BGH, Urteil vom 16. März 1993 - VI ZR 101/92 - NJW 1993, 1523, juris Rn. 8 ff., კონვერსიული ნევროზისთვის.

<sup>14</sup> შდრ. BGH, Urteil vom 22. Mai 2007 - VI ZR 17/06 - BGHZ 172, 263, juris Rn. 14.

<sup>15</sup> BGH, Urteil vom 22. Mai 2007 - VI ZR 17/06 - BGHZ 172, 263, juris Rn. 13 ff.

<sup>16</sup> BGH, Beschluss vom 10. Juli 2018 - VI ZR 580/15 - NJW 2018, 3097, juris Rn. 7; BGH, Urteil vom 10. Februar 2015 - VI ZR 8/14 - NJW 2015, 2246, juris Rn. 11.

<sup>17</sup> BGH, Urteil vom 3. Februar 1976 - VI ZR 235/74 - NJW 1976, 1143, juris Rn. 24.

<sup>18</sup> BGH, Urteil vom 6. Dezember 2022 - VI ZR 168/21 - BGHZ 235, 239, juris Rn. 17; BGH, Urteil vom 8. Dezember 2020 - VI ZR 19/20 - BGHZ 228, 264, juris Rn. 24; BGH, Urteil vom 29. Januar 2019 - VI ZR 113/17 - BGHZ 221, 43, juris Rn. 12.

თუ ფსიქიკური დარღვევა, პირიქით, პირველადი ზიანის შედეგია, ანუ ჩვეულებრივი ზიანის მოვლენით უშუალოდ გამოწვეული სხეულის დაზიანებაა, ის პასუხისმგებლობის შემავსებელი მიზეზობრიობის ე. წ. მეორეულ ზიანად მიიჩნევა.<sup>19</sup> ამის მაგალითია, როდესაც დაზარალებულმა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად მიიღო დაზიანება, რომელიც მისი ცხოვრების წესს არღვევს და მისი მტკიცებით, ამ უბედური შემთხვევის გამო ის ფსიქიკურად ტრავმირებულია. აღნიშნულს, (რომელიც A.III.1 პუნქტში უფრო დანვრილებით განიხილება), გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 287-ე პარაგრაფის<sup>20</sup> მიხედვით აქვს ის შედეგი, რომ მტკიცებისთვის არ არის საჭირო ე. წ. სრული მტკიცება. მნიშვნელოვანია, რომ ამ შემთხვევაში, მიზეზობრივი კავშირის არსებობისთვის სახეზე იყოს საკმარისი ან საკმარისზე მეტი ალბათობა.<sup>21</sup> ეს ძალაშია მაშინაც, თუ ფსიქიკური დარღვევა წარმოიქმნება საკუთარი და უცხო პირველადი ზიანის ერთობლივი ზემოქმედებით, ანუ თუ პოსტტრავმული სტრესული აშლილობა ეფუძნება იმას, რომ დაზარალებულმა ზიანის მოვლენით დაკარგა როგორც ახლო პირი, ასევე თავად მიიღო მძიმე დაზიანებები. თუმცა, თუ დაზარალებულს ზიანის მოვლენით სხვა დაზიანებები არ მიუღია, მაშინ მისთვისაც მტკიცებულებით წარდგენილი ავარიის გამომწვევი ფსიქიკური დარღვევა („ავარიის შოკი“) ატარებს პირველადი ზიანის სახეს.

## დდ) ბრალი

თუ ფსიქიკური დარღვევა, რომელსაც აქვს დაავადების ღირებულება, გამოწვეულია ზიანის გამომწვევი მოვლენით, ზემოთ აღწერილ პირველად და მეორეულ ზიანს შორის დიფერე-

ნცირება ასევე გავლენას ახდენს ბრალეულობის დონეზე. ამასთან დაკავშირებით, იხილეთ განმარტებები A. I. 6 პუნქტში.

## გ) სამკურნალო მიზნით ჩარევის სპეციალური პრობლემა

დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, სამკურნალო მიზნით სხეულის მთლიანობაში ჩარევა ფაქტობრივად სხეულის დაზიანებას წარმოადგენს. ამიტომ, აღნიშნული საჭიროებს ნამდვილ თანხმობას, რათა ჩარევა გამართლებული იყოს. აღნიშნულთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ იხილეთ სამედიცინო სამართლისა და მენეჯმენტის ჟურნალის №2(3)-2023 გამოცემაში<sup>22</sup> არსებული განმარტებები.

## 2. ადეკვატურობა

როგორც ქართულ სამართალში<sup>23</sup>, პასუხისმგებლობის სამართლებრივი შერაცხადობა გერმანიაშიც მოითხოვს არა მხოლოდ საბუნებისმეტყველო-მეცნიერული მიზეზობრიობის („conditio sine qua non“-ის მნიშვნელობით) არსებობას, არამედ ადეკვატურ მიზეზობრივ კავშირსაც.

ეს არ არსებობს იმ შემთხვევაში, თუ მეორეული დაზიანებისას აღარ ვლინდება პირველადი დაზიანების რისკი.<sup>24</sup> "ადეკვატურობის ფილტრის" მეშვეობით გამორიცხულია ისეთი მიზეზობრივი პროცესები, რომელთა ზიანის მიმყენებისთვის შერაცხვაც არ შეიძლება იყოს სამართლიანი, რადგან ზიანის გამომწვევი ქმედება იწვევს განსაკუთრებულად უცნაური, არასა-

<sup>19</sup> BGH, Urteil vom 29. Januar 2019 - VI ZR 113/17 - BGHZ 221, 43, juris Rn. 12.

<sup>20</sup> აგრეთვე: ჰაგენლოხი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, Seite 444 ff.; <http://lawlibrary.info/ge/books/Civil-Procedure-Com.pdf>.

<sup>21</sup> BGH, Urteil vom 29. Januar 2019 - VI ZR 113/17 - BGHZ 221, 43, juris Rn. 12.

<sup>22</sup> ჰაგენლოხი, პაციენტის ინფორმირება გერმანიაში, სამედიცინო სამართლისა და მენეჯმენტის ჟურნალის

№2(3)-2023 გამოცემაში, გვ. 1-ელი და შემდგომი; <https://lawjournal.ge/wp-content/uploads/MedLaw-232023.pdf>.

<sup>23</sup> იქვე, რუსიაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, 412-ე მუხლის მე-7 ველი და შემდგომი.

<sup>24</sup> BGH, Urteil vom 28. Januar 2003 - VI ZR 139/02 - NJW 2003, 1116, juris Rn. 9; BGH, Urteil vom 20. September 1988 - VI ZR 37/88 - NJW 1989, 767, juris Rn. 18.

ვარაუდო და ჩვეულებრივი მოვლენების მიმდინარეობისას მოულოდნელი გარემოებებით გამოწვეულ შედეგს.<sup>25</sup>

ამ მაღალი მოთხოვნების გათვალისწინებით, ადეკვატურობის ნაკლებობა მხოლოდ გამოწვევის შემთხვევებში დგინდება. არსებითად უფრო მნიშვნელოვანია (თუმცა უფრო მრავალფეროვანი გადასვლებით) შემდეგში წარმოდგენილი ობიექტური შერაცხადობის (ამაზე მე-3 პუნქტში) და დაცვის მიზნის კავშირის (ამაზე მე-4 პუნქტში) პასუხისმგებლობის შემზღუდველი ეფექტები.

### 3. შერაცხადობა

„conditio sine qua non“-ის მნიშვნელობით მიზეზობრიობივი კავშირის არსებობის გარდა, პასუხისმგებლობა მოითხოვს სამართლებრივი შერაცხადობის არსებობასაც ზიანის გამომწვევ ქმედებასა და დამდგარ ზიანთან ერთად.

#### ა) შემთხვევითი მოვლენები

სამართლებრივი პასუხისმგებლობის შერაცხადობის კავშირი არ წყდება მხოლოდ იმით, რომ პირველადი ზიანის შედეგად წარმოიქმნება მეორეული ზიანი; მაგალითად, როდესაც ზიანის შედეგად მიღებული ბარძაყის მოტეხილობის ოპერაციის შემდეგ, მიუხედავად სათანადო პრევენციისა, წარმოიქმნება თრომბოზი. როგორც ზემოთ ფსიქიკური აშლილობის მაგალითზე (ზემოთ A. I. 1. ბ) ბბ)) აღინიშნა, სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება ხდება, გარდა ძალიან იშვიათი შემთხვევებისა.

#### ბ) ადამიანური ჩარევები მიზეზობრივ კავშირში

ძირითადად, შერაცხადობის შესაძლებლობა არსებობს მაშინაც კი, თუ მეორეული ზიანი არ არის შემთხვევითობის შედეგად წარმოსობილი, არამედ ადამიანური ქმედებით ან უმოქმედობით არის განპირობებული. ამასთან, საწყის

ეტაპზე არ აქვს მნიშვნელობა, ადამიანური ჩარევა არის თუ არა თავად დაზარალებულის ან მესამე პირისგან მომდინარე; მაგალითად, თუ ზემოთ მოყვანილ მაგალითში მკურნალმა ექიმებმა დაარღვიეს თავიანთი მოვალეობა და არ განახორციელეს თრომბოზის პროფილაქტიკა.

თუმცა, გარკვეულწილად, მნიშვნელოვანი განსხვავება მაინც ჩანს იმ შემთხვევაში, თუ ადამიანური ჩარევა თავდაპირველად იწვევს აკრძალულ ქმედებას ან თუ დაშავებულის მიმართ აკრძალული ქმედება უკვე განხორციელებული იყო მანამდე, სანამ ნებელობითი ადამიანური ქცევა დაემატებოდა. პირველ ჯგუფში ხვდება შემდეგი შემთხვევები:

- (შესაძლოა, გადამეტებული) ღონისძიებები საფრთხის თავიდან ასაცილებლად (მაგალითად: ავტომობილის მძღოლი ამჩნევს, რომ საპირისპირო მიმართულებით მოძრაობა მანქანამ გზის შუა ხაზი გადაკვეთა და, მისი აზრით მოსალოდნელი შეჯახების თავიდან ასაცილებლად, საკუთარ მანქანას სიფრთხილის მიზნით გზის გვერდით ორმოსკენ მიმართავს)
- გადაუდებელი დახმარების ზომები (მაგალითად: ყინულოვან ავტობანზე მომხდარი ავარიის შემდეგ, პირველი დახმარების აღმომჩენი აჩერებს თავის მანქანას საგზაო ზოლზე, რათა ავარიაში მოყოლილი მანქანის მგზავრებს დაეხმაროს. გზის გადაკვეთისას ის თვითონ მოცურდება ყინულზე და ამ დროს იღებს დაზიანებას);
- შიშის რეაქციები (მაგალითად: წინ მიმავალი მოტოციკლის მძღოლი იწვევს ძრავის უკუაღებას. ამის შედეგად, მის უკან მოძრავი სკუტერის მძღოლი შეშინდება და ეცემა);
- დევნის შემთხვევები პოლიციის თანამშრომლების ან კერძო პირების მიერ (მაგალითად: ავტოსაგზაო შემთხვევის შემდეგ, თვითმხილველი ცდილობს ავარიის ადგი-

<sup>25</sup> BGH, Urteil vom 8. Dezember 2020 - VI ZR 19/20 - BGHZ 228, 264, juris Rn. 23; OLG Hamm, Urteil vom 28. Oktober 2022 - I-7 U 25/22 - juris Rn. 58; Ebert in: Erman BGB,

Kommentar, 17. Auflage 2023, Vorbemerkung vor § 249, Rn. 31.



ლიდან მიმალული პირის შეჩერებას და მისდევს მას. შეუფერებელი სიჩქარის გამო, თვითონვე ავარიულად ეჯახება).

მიუხედავად იმისა, რომ იშვიათია, დაზარალებულის ადამიანური რეაქციის მიერ პასუხისმგებლობის გამომწვევი მიზეზობრივი კავშირის წარმოქმნა, ნებელობითი ჩარევები პასუხისმგებლობის შემავსებელ მიზეზობრივ კავშირში ხშირია. ეს არ ეხება მხოლოდ იმ საკითხს, ხდება თუ არა მოვლენათა მიმდინარეობაში ჩარევა იმით, რომ წარმოიქმნება შემდგომი ზიანი; მაგალითად, ზემოთ ხსენებულ შემთხვევაში, არასაკმარისი პროფილაქტიკის შედეგად თრომბოზის წარმოშობა. უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ზიანის გამომწვევი მრავალი გარემოებებისას საბოლოოდ წარმოშობილი ქონებრივი დანაკარგის მოცულობა დამოკიდებულია დაზარალებულის გადაწყვეტილებებზე (რომელ ექიმთან გაივლის მკურნალობას; რა მკურნალობის მეთოდებს ან რა რეაბილიტაციის ღონისძიებებს აირჩევს და ა.შ.).

### ა) ზოგადი მოსაზრებები

არც გერმანიაში და არც საქართველოში არ არის პირდაპირ დარეგულირებული, ამგვარი კონსტელაციების დროს, რა პირობების არსებობის შემთხვევაში წყდება სამართლებრივი პასუხისმგებლობის შერაცხადობა. თუმცა, კანონმდებელმა შერეული ბრალის (გსკ-ს 254-ე პარაგრაფი; სსკ-ის 415-ე მუხლი) გათვალისწინებით მიუთითა, რომ ზიანის მიმყენებლის მხრიდან ზემოქმედება მიზეზობრივი კავშირის მიმდინარეობაზე არ უნდა იწვევდეს პასუხისმგებლობის სამართლებრივი შერაცხვის მარტივად შეწყვეტას. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა პასუხისმგებლობის შემავსებელი მიზეზობრიობის შემთხვევაში, როდესაც ხშირად დაზარალებულის ნებელობაზეა დამოკიდებული, თუ რომელი ზი-

ანი (ზარალის აღმოფხვრის ხარჯების დაბრუნების თვალსაზრისით) წარმოიშობა საბოლოოდ. საკანონმდებლო კონცეფცია იმ მიმართულეობით მიდის, რომ ძირითადად საჭიროა დიფერენცირებული შენონადობა და არა მიზეზობრივი კავშირის შეწყვეტა.<sup>26</sup>

ეს ასევე მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც ჩარევა მესამე პირისგან ხდება, მაგალითად, ზემოთ ხსენები თრომბოზის პროფილაქტიკის ჩაუტარებლობის შედეგად. მესამე პირის ქმედება დაზარალებულის პასუხისმგებლობის შემსუბუქების სასარგებლოდ ვერ იმოქმედებს. თუმცა, პირველ და მეორე ზიანის მიმყენებელს შორის სოლიდარულ მოვალეთა ურთიერთგანონასნორების ფარგლებში ხორციელდება სათანადო შეჯერება, რომელიც ეფუძნება გსკ-ის 254-ე პარაგრაფსა და სსკ-ის 415-ე მუხლებს.

შეჯამების სახით, გსკ-ის 254-ე პარაგრაფსა და სსკ-ის 415-ე მუხლში ჩადებული კანონმდებლის იდეა აჩვენებს, რომ მიზეზობრივი კავშირის შეწყვეტა მარტივად არ ხდება.

### ბ) სასამართლო პრაქტიკის ძირითადი პრინციპები

#### (1) პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი მიზეზობრიობის შერაცხადობა

პასუხისმგებლობის სამართლებრივი შერაცხადობა არ გამოირიცხება მხოლოდ იმით, რომ ზიანის შემთხვევა უშუალოდ გამომწვეული იყო დაზარალებულის ნებელობითი ქმედებით. შერაცხადობის ასეთ კონსტელაციებში რჩება ისეთი შემთხვევები, როდესაც დაზარალებულის გადაწყვეტილებას ჰქონდა გამამართლებელი მიზეზი ან მისი ქმედება გამომწვეული იყო პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი მოვლენით და მისი რეაქცია არ აღმოჩნდა უჩვეულო ან სრულიად შეუსაბამო.<sup>27</sup>

<sup>26</sup> ცალსახად: BGH, Urteil vom 29. Oktober 1974 - VI ZR 168/73 - BGHZ 63, 189, juris Rn. 16; J. Lange/Hansen in: Herberger/Martinek/Rüßmann/Weth/Würdinger, jurisPK-BGB, 10. Aufl., § 823 Abs. 1 BGB (Stand: 27.02.2024), Rn. 57.

<sup>27</sup> BGH, Urteil vom 9. Juni 2022 - III ZR 24/21 - BGHZ 234, 102, juris Rn. 57; BGH, Urteil vom 14. Dezember 2021 - VI ZR 676/20 - NJW-RR 2022, 526, juris Rn. 23; BGH, Urteil vom 8. Juli 2014 - II ZR 174/13 - BGHZ 202, 26, juris Rn. 18; BGH, Urteil vom 14. Juni 2012 - IX ZR 145/11 - BGHZ 193, 297, juris Rn. 44.

ამ თემაზე გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში წარმოიშვა რთული კაზუსტიკა. სატრანსპორტო შემთხვევების სამართლის სფეროში არსებული ზოგიერთი კონსტელაცია დეტალურადაა განხილული შედარებით სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალის 2024 წლის 1-ელ ნომერში.<sup>28</sup> ზემოთ აღნიშნულ განმარტებებზე წინასწარ არის მითითებული. ასევე განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს ჰამმის ზემდგომი სასამართლოს შემდეგი გადაწყვეტილება:<sup>29</sup>

„დღესასწაულზე მოპასუხემ მოსარჩელე წახალისა, რომ მასთან ერთად საცეკვაოდ ასულიყო არამდგრადი ლუდის მაგიდის კომპლექტის სკამზე. მოსარჩელე ცეკვის დროს ნაიქცა და სხეულის დაზიანების გამო მოპასუხისგან ზიანის ანაზღაურება მოითხოვა. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნულთან დაკავშირებით შემდეგი განმარტება გააკეთა:

„ზიანის მიყენება... მოპასუხეს სამართლებრივი პასუხისმგებლობით ვერ შეერაცხება. არც სხვების თვითდაზიანებისგან დაცვის ზოგადი ვალდებულება არსებობს და არც მათი თვითდაზიანებისკენ ფსიქოლოგიურად წახალისების ზოგადი აკრძალვა, თუკი - რაც აქ გამორიცხულია - თვითდაზიანება არ არის გამონკვეული, მინიმუმ, ნაწილობრივ გამართლებადი მოტივაციის შექმნით (მაგალითად, ე. წ. „დევენის შემთხვევებში“). თუ, როგორც მოცემულ შემთხვევაში, დაზიანების მიყენებაში თანამონაწილედ მიჩნეული პირის როლი დაზარალებულის თვითდაზიანების გადაწყვეტილების წახალისებითა და საფრთხის შემცველ საქმიანობაში აქტიური მონაწილეობით შემოიფარგლება, მაშინ პასუხისმგებლობისთვის აუცილებელი სამართლებრივი შერაცხადობა არ არსებობს. სხვაგვარად შეიძლება განხილული იყოს მხოლოდ მაშინ, თუ მოპასუხეს მოსარჩელესთან მიმართებით, „ექსპერტის“ ან მსგავსი როლის მიღებით, ეკისრებოდა გარანტორის ფუნქცია საერთო საქმიანობის განხორციელებისთვის, ან თუ თავისი ქცევით და-

მატებითი საფრთხე შექმნა მოსარჩელის დაზიანებისთვის.... ვერც ერთი ეს პირობა საკმარისად ვერ იქნა დამტკიცებული და არც სხვა გზით იკვეთება. თავიდანვე არსებობდა რისკი, რომ სკამი, მასზე ასვლისა და ცეკვის შემთხვევაში, არამდგრადი გახდებოდა და ადამიანები, რომლებიც სკამზე ავიდნენ, ბალანსს დაკარგავდნენ და დაეცემოდნენ. ეს რისკი ყველა მონაწილისთვის აშკარად შესამჩნევი იყო, მათ შორის, უპირველესად, თავად მოსარჩელისთვის. მოპასუხის ქცევით არ შექმნილა არანაირი განსაკუთრებული დამატებითი საფრთხე. წარმოქმნილი ინციდენტი კი წარმოადგენს იმ რისკის რეალიზაციას, რომელიც თავიდანვე აშკარა და ზოგადი იყო, კერძოდ, არამდგრადი სკამის საცეკვაოდ გამოყენებისას.“

ზოგადად, შერაცხადობა არსებობს მაშინაც, თუ პირდაპირი სამართლებრივი სიკეთის შელახვა მეორე ზიანის მიმყენებლის მიერ ხორციელდება, რომლის საზიანო ქმედებაც პირველი ზიანის მიმყენებლის არასათანადო ქცევის შედეგია. თუმცა, ამგვარ შემთხვევებში პასუხისმგებლობის სამართლებრივი შერაცხადობა განსაკუთრებით პრობლემატურია, თუ მეორე ზიანის მიმყენებელი განზრახ მოქმედებს. აღნიშნულის უკეთ გასაგებად მოყვანილი იქნება ჰამმის ზემდგომი სასამართლოს შემდეგი გადაწყვეტილება:<sup>30</sup>

„მოსარჩელე და მისი ნაცნობი მოპასუხის სასტუმროს სტუმრები იყვნენ. ორივე მათგანი აპირებდა სასტუმროს გარეთ საშობაო წვეულეებაზე დასწრებას და ვარაუდობდნენ, რომ უკან დაბრუნდებოდნენ გვიან ღამით, ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ. იმის გამო, რომ სასტუმრო ღამით დაკეტილია, მოპასუხეებს შესასვლელი კარის გასაღები გადასცეს. თუმცა, ამის შესახებ მათ ღამის დასუფთავების მორიგე პერსონალი არ გააფრთხილეს, რის გამოც დასუფთავების პერსონალმა მისთვის გადაცემული გასაღები კარის შიგნით საკეტში დატოვა. ამის გამო,

<sup>28</sup> *Rusiashvili/Hagenloch*, ავტომობილის მფლობელის პასუხისმგებლობის ზოგადი მიმოხილვა გერმანული და ქართული სამართლის მიხედვით, *lawjournal.ge* 1-2024, გვ. 1, 9 და შემდგომნი; <https://lawjournal.ge/wp-content/uploads/DGZR-1-2024-GEO-1.pdf>.

<sup>29</sup> OLG Hamm, Beschluss vom 20. Oktober 2015 - 9 U 142/14 - MDR 2016, 159, juris Rn. 4.

<sup>30</sup> OLG Hamm, Urteil vom 7. November 2012 - I-30 U 80/11 - NJW-RR 2013, 349, juris 76 ff..

ლამის 4:00 საათზე ძლიერი ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ მყოფი დაბრუნებული სტუმრები შესასვლელი კარის გაღებას ვერ ახერხებდნენ. მათ კარი მოქაჩეს და ხმაურით სცადეს ყურადღების მიქცევა. ამაზე მორიგე დასუფთავების პერსონალის (სასამართლოს გადანყვეტილებაში მოხსენიებული როგორც I.) ყურადღება მიიპყრეს, რომელმაც გარკვეული დროის შემდეგ გადანყვიტა, კარი ოდნავ გამოეღო. იმის გამო, რომ დასუფთავების პერსონალს გერმანული ენა თითქმის არ ესმოდა, მოსარჩელემ და მისმა ნაცნობმა ვერ შეძლეს აეხსნათ, რომ ისინი სასტუმროს სტუმრები იყვნენ. ამის შემდეგ, ორივე სტუმარი, დასუფთავების პერსონალის წინააღმდეგობის მიუხედავად, ოდნავ გაღებულ კარს ძლიერად მიაწვა და სასტუმროში შეიჭრა. ამ დროს წარმოშობილი კონფლიქტისას დასუფთავების პერსონალმა თავის არეში დაზიანება მიიღო. რადგან იგი კვლავინდებურად ფიქრობდა, რომ ორივე სტუმარი შემოჭრილი პირები იყვნენ, აიღო გრძელი დანა და სტუმრებს კიბისკენ მიმავალ გზაზე დაედევნა. მომდევნო კონფლიქტისას, რომლის დროსაც დასუფთავების პერსონალმა დანა გამოიყენა, მოსარჩელე დაიჭრა, ხოლო მისი ნაცნობი დაიღუპა”.

ამასთან დაკავშირებით ჰამმის ზემდგომი სასამართლო, სხვა საკითხებთან ერთად, აღნიშნავს:

„(2) ... ამ შემთხვევაში მოსარჩელის ჯანმრთელობას სასტუმროში შესვლის დროს საბოლოოდ მესამე პირის, კერძოდ, I-ის განზრახ ქმედებით მიაღდა ზიანი. ამგვარ შემთხვევებში მიზეზობრივი კავშირი და, შესაბამისად, „პირველი ზიანის მიმყენებლის“ პასუხისმგებლობა პირდაპირ არ დგინდება. მართალია, ამგვარ შემთხვევებში მიზეზობრივი კავშირი მარტივად არ წყდება (BGH NJW 2000, 947), მაგრამ აუცილებელია შეფასებითი მსჯელობა, რათა დადგინდეს, შესაძლებელია თუ არა, და როგორ, დარჩეს წინამორბედი ქმედება სამართლებრივი შერაცხადობის საფუძვლად.

თავდაპირველად, გერმანიის ფედერალური სასამართლო ითხოვდა, რომ პირველადი ზიანის მიმყენებელს უნდა გამოენდია განზრახ მოქმედი მესამე პირის ქცევა. (ე. წ. „Grünstreifenfall“-სადაც შერაცხადობის უარყოფა მოხდა BGH

NJW 1972, 904). (ავტორების შენიშვნა: ე. წ. „Grünstreifenfall“-ის საფუძველი იყო ის, რომ მოპასუხემ გამოიწვია საგზაო შემთხვევა, რის შედეგადაც გზის გარკვეული მონაკვეთი დაიბლოკა. მოუთმენელმა მძღოლებმა ავარიის ადგილს მიმდებარე საფეხმავლო და ველობილიკით აუარეს გვერდი, რის შედეგადაც დააზიანეს მწვანე ზოლი. შესაბამისმა ორგანომ მოპასუხეს ზიანის ანაზღაურების სახით მწვანე ზოლის აღდგენის ხარჯების გადახდა მოთხოვა). ამის საწინააღმდეგოდ გამოითქვა მოსაზრება, რომ „მეორე ზიანის მიმყენებლის“ განზრახვა არ არის საკმარისი, იმისთვის რომ შერაცხადობის უარყოფა მოხდეს და რომ ამგვარი, განზრახ ქმედებების შერაცხვა, პირველი ზიანის მიმყენებელს არ უნდა გამოერიცხოს მხოლოდ იმიტომ, რომ მეორე ზიანის მიმყენებლის ქცევა პირდაპირ გამომწვეული ან პროვოცირებული არ ყოფილა მის მიერ. მოგვიანებით გადანყვეტილებაში ფედერალურმა სასამართლომ გამომწვევის მოთხოვნა შემოსაზღვრა თავად დაზარალებულის გადანყვეტილებით (ე. წ. „Weidezaunfall“, შერაცხადობა დადასტურდა, BGH NJW 1979, 712). (ავტორების შენიშვნა: მანევრის დროს ტანკებმა დააზიანეს მოსარჩელის მინდვრის ღობე, რის შედეგადაც საძოვარზე მყოფი საქონელი გაიქცა. ორი ძუძუმწოვარა ძროხა ველარ იპოვეს. უმაღლესი სასამართლოს მიერ მისი განხილვისას ვარაუდობდნენ, რომ ისინი მესამე პირებმა მოიპარეს). შემდგომში გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ შერაცხადობის შეზღუდვა განახორციელა იმ შემთხვევაში, როდესაც მეორე ჩარევა აღარ ახორციელებს პირველი ჩარევის შედეგად წარმოშობილ ზიანის რისკს, ეს რისკი უკვე სრულიად გამქრალია და შეფასებითი განხილვისას ორ ჩარევას შორის მხოლოდ ზედაპირული, თითქოსდა შემთხვევითი კავშირი არსებობს (BGH NJW 1989, 767). შესაბამისად, მესამე პირის ქმედების შემთხვევაში შერაცხადობა მხოლოდ მაშინ შეიძლება დადასტურდეს, როდესაც პირველი დაზარალებლის ქმედებამ გამოიწვია საფრთხის განსაკუთრებული ზრდა, რაც უნდა დადგინდეს ყველა გარემოების შეჯერებით. ამ შემთხვევაში, მესამე პირის შესაძლო განზრახვი ქმედება არ წარმოადგენს გადამწყვეტ კრიტი-

რიუმს. ასევე, მეორე დამზარალებლის განზრახვი ქმედებაც შეიძლება მიენეროს პირველ დამზარალებელს, თუ „პირველის ქმედებით“ ნარმოიშვა სპეციფიკური შესაძლებლობა, რომ მეორე ზიანის მიმყენებელს განზრახ ემოქმედა (...) და წარმოშობილი ზიანი დაცული ნორმის მიზანთან შესაბამისობაში მოდის (BGH NJW 1989, 2127).

(3) მოცემულ შემთხვევაში, კონკრეტული ზიანის განვითარება ობიექტურად პროგნოზირებადი იყო და მოვლენების ჩვეულებრივი მიმდინარეობის მიხედვით, სრულიად არარეალური არ ჩანდა; მოპასუხეებმა თავიანთი ქცევით საფრთხის განსაკუთრებული ზრდა გამოიწვიეს და მოსარჩელის დაზიანებები ნორმის დაცვით მიზანში ხვდებოდა.

პროგნოზირებადი იყო, რომ მეტად ან ნაკლებად ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ მყოფი სასტუმროს სტუმრები, რომლებიც ზამთარში გვიან ღამით დახურული სასტუმროს შესასვლელი კარის წინ იდგნენ და არ შეეძლოთ მათთვის წინასწარ გადაცემული გასაღების გამოყენება, რადგან კარის შიგნიდან სხვა გასაღები იყო ჩარჩენილი, შეეცდებოდნენ ხმაურითა და ძალდატანებით მიეპყროთ ყურადღება, რათა შესვლა მოეხერხებინათ. ასევე, სრულიად გამორიცხული არ იყო, რომ – გაუფრთხილებელი – თანამშრომელი, როგორც I იყო, სტუმრების ქცევის გამო შეშინებულიყო და შეეცადა დაეცვა საკუთარი თავი და/ან სასტუმრო, როდესაც უცნობი, ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები დაჟინებით ცდილობდნენ სასტუმროში შეღწევას. მოპასუხეებმა I-სთვის ინფორმაციის არ მიწოდებითა და ინსტრუქციის არ მიცემით შექმნეს განსაკუთრებული საფრთხე, რომ კონფლიქტით დასრულებულიყო შეხვედრა მოსარჩელესა და I-ს შორის, რამაც შემდგომი მოვლენები განავითარა, რამაც მოსარჩელის ჯანმრთელობა დააზიანა.

გამონვეული ზიანი ასევე მოიცავს ხელშეკრულებით ნაკისრი ძირითადი ვალდებულებებისა და ხელშეკრულებიდან გამომდინარე დაცვისა და ზრუნვის ვალდებულებების დაცვის მიზანს. კერძოდ, ვალდებულება, რომ სასტუმროს სტუმარს მიეცეს ნვდომა მის მიერ დაჯავშნილ

ნომერში ყოფნის, ასევე გულისხმობს ვალდებულებას, რომ ეს ნვდომა შეუფერხებლად და უსაფრთხოდ იყოს უზრუნველყოფილი. შესაბამისად, ზიანი, რომელიც სასტუმროს სტუმარმა სასტუმროში შესვლის პროცესში განიცადა, მოხვედრილია სახელშეკრულებო ვალდებულებების დაცვის მიზნის ფარგლებში.

შერაცხადობა არ შეწყვეტილა მოვლენების სივრცითი და/ან დროითი შეწყვეტით. ასეთი შეწყვეტა შესაძლებელი იქნებოდა, თუ უშუალო დაზიანების მოქმედება ობიექტური მესამე პირის შეხედულებით აღიქმებოდა, როგორც დამოუკიდებელი ქმედება მეორე ზიანის მიმყენებლის მხრიდან, რომელიც არ იქნებოდა არც დროით და არც სივრცით კავშირში სტუმრების სასტუმროში შესვლის მცდელობასთან. ამ შემთხვევაში, მოვალეობის დარღვევითა და მისი შედეგებით (ინფორმაციის მინოდების ნაკლებობა და სასტუმროში შესვლის შეუძლებლობა) გამონვეული საფრთხის ზრდა აღარ იარსებებდა, და მეორე ზიანის მიმყენებლის განზრახვი ქმედება აღიქმებოდა, როგორც დამოუკიდებელი ქმედება, რომელიც პირველი ზიანის მიმყენებელს სამართლებრივად აღარ შეერაცხებოდა. მოცემულ შემთხვევაში, ასეთი სივრცითი და/ან დროითი შეწყვეტა, მაგალითად, მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, თუ სტუმრები თავდაპირველად დანის დანახვის გამო გაიქცეოდნენ, I კი დიდ მანძილზე და ხანგრძლივი დროის განმავლობაში გაუჩერებლად დაედევნებოდა მათ, მათი გაჩერების გარეშე, და საბოლოოდ მათ ზიანს მიაყენებდა, რადგან, მაგალითად, სტუმრები დაღლილობის გამო ვეღარ გააგრძელებდნენ სვლას. ამგვარი სიტუაცია – ობიექტური მესამე პირის შეხედულებით – იმით გამოირჩეოდა, რომ მოპასუხეთა მიერ მოვალეობის დარღვევით გამონვეული სიტუაცია, რომელმაც I-ის თავდაპირველი რეაგირება გამოიწვია სასტუმროს დასაცავად, რადგან მან სტუმრები პოტენციურ შემოჭრილ პირებად მიიჩნია, დაზიანების მოქმედების მომენტში აღარ იარსებებდა. რადგან I-სთვის სასტუმროს ან მისი ბინადრების მიმართ არსებული საფრთხე, რომელიც მისი შეხედულებით არსებობდა, სტუმრების გაყრის შედეგად დასრულდებოდა (იგი მიაღწევდა თავის მიზანს – „დაეცვა“ სასტუმრო), შესაბამისად, I-ის

ქმედებები აღარ იქნებოდა მოპასუხეთა მიერ მოვალეობის დარღვევით გამოწვეულ საფრთხის ზრდასთან კავშირში, არამედ იქნებოდა დამოუკიდებელი და სხვა მოტივებით განპირობებული ქმედება, რისთვისაც მოპასუხეებს აღარ ექნებოდათ პასუხისგების ვალდებულება.“

კიდევ ერთი მაგალითი იმისა, თუ როდის არსებობს შერაცხადობა ცხოველის საფრთხისგან წარმოშობილი სამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის: თუ კურიერი, მორბენალი და მყეფარი ძაღლისგან თავის დასაცავად გარბის და ბაღის კარის გადახტომისას თავს დაიზიანებს. ბაღის კარის გადახტომა არის გონივრული რეაქცია, რათა სწრაფად შეიქმნას ბარიერი მასსა და აგრესიულ ძაღლს შორის.<sup>31</sup>

## (2) შერაცხადობა პასუხისმგებლობის შემაჯავებელი მიზეზობრიობისას

### (2.1) დაზარალებულის ქმედება

თუ დაზარალებული პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი გარემოებების რეალიზების შემდეგ არასწორად ჩაერევა მოვლენების შემდგომ განვითარებაში, მაშინ, როგორც ზემოთ აღინიშნა, კანონმდებლის კონცეფციის მიხედვით, შესაბამისი მიზეზობრივი წვლილი უნდა შეფასდეს გსკ-ის 254 II პარაგრაფისა და სკ-ის 145 II მუხლების კრიტერიუმების მიხედვით. მიზეზობრიობის შეწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაზარალებული ძალიან უჩვეულო (ექსტრემალურ) ქმედებებს მიმართავს.<sup>32</sup> ასეთი შემთხვევა შეიძლება იყოს, მაგალითად, როდესაც დაზარალებული უარს ამბობს ხელში შეჭრილი შუშის ნამსხვრევის ამოღებაზე, მიუ-

ხედავად იმისა, რომ აღნიშნულმა შეიძლება ხელის ფუნქციონირების უნარი სამუდამოდ დააკარგვინოს.<sup>33</sup>

### (2.2) მესამე პირის ქმედება

პირისთვის ზიანის მიყენების შემთხვევაში, მესამე პირების არასათანადო ქცევის შერაცხადობის საკითხები ძირითადად წამოიჭრება მაშინ, როდესაც არსებობს პირველადი ზიანის სამედიცინო შეცდომით მკურნალობის შემთხვევა.

უპირველესად აღსანიშნავია, რომ პირველადი ზიანის მკურნალობაზე პასუხისმგებელი ექიმები არ არიან დაზარალებულის დამხმარე პირები (Erfüllungsgehilfe), რის გამოც მათი სამედიცინო ბრალეულობის შერაცხვა გსკ-ის 254 II 2 და 278-ე პარაგრაფების (რეგულირების შინაარსით შედარებადია სკ-ის 415 II და 396-ე მუხლებთან) მიხედვით გამორიცხებულია.<sup>34</sup> ეს იმაზეა დაფუძნებული, რომ დაზარალებული ექიმთან არ მიდის იმისთვის, რომ საკუთარი ვალდებულებები შეასრულოს ზიანის გამოსასწორებლად. პირიქით, სწორედ ზიანის მიმყენებლის პირდაპირი მოვალეობაა, რომ ზიანის შედეგები, შესაძლებლობის ფარგლებში, აღმოფხვრას და დაზარალებულს, გსკ-ის 249 2 პარაგრაფის (საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ამის შესაბამისი ნორმა არ არის გათვალისწინებული)<sup>35</sup> მიხედვით, ამასთან დაკავშირებული ხარჯები აუნაზღაუროს.<sup>36</sup>

იმის გამო, რომ ზიანის ანაზღაურების მომწესრიგებელი ზოგადი სამართლებრივი პრინციპების მიხედვით, ზიანის მიმყენებელი ვალდებულია, დაზარალებულს აუნაზღაუროს მისი სამართალდარღვევითი ქმედებით გამოწვეული

<sup>31</sup> LG Kempten, Urteil vom 28. Juli 2023 - 35 O 129/23 - juris Rn. 50 f..

<sup>32</sup> J. Lange/Hansen in: Herberger/Martinek/Rüßmann/Weth/Würdinger, jurisPK-BGB, 10. Aufl., § 823 Abs. 1 BGB (Stand: 27.02.2024), Rn. 57.

<sup>33</sup> OLG Braunschweig, Urteil vom 11. März 2004 - 1 U 77/03 - juris Rn. 14.

<sup>34</sup> Ebert in: Erman BGB, Kommentar, 17. Auflage 2023, Vorbemerkung vor § 249, Rn. 63; Staudinger/Höpfner (2021) BGB § 254, Rn. 105.

<sup>35</sup> აღნიშნულთან: რუსიაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, 408-ე მუხლი, ველი მე-20 და შემდგომნი..

<sup>36</sup> შდრ. BGH, Urteil vom 29. Oktober 1974 - VI ZR 42/73 - BGHZ 63, 182, juris Rn. 11; OLG Oldenburg, Urteil vom 21. September 2023 - 1 U 173/22 - DAR 2024, 394, juris Rn. 15; Saarländisches Oberlandesgericht Saarbrücken, Urteil vom 28. Februar 2012 - 4 U 112/11 - MDR 2012, 581, juris Rn. 39 ff.; ყოველთვის, დაზიანებული ავტომობილის შეკეთებისთვის.

მთელი ზიანი (შდრ, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით: რუსიაშვილი, კომენტარი საქართველოს სამოქალაქო კოდექსზე, მუხლი 408, შენიშვნა მე-3), მიზეზობრივი კავშირის შეწყვეტა მხოლოდ მაშინ შეიძლება იქნას განხილული, თუ მესამე პირის ქცევა სრულიად უჩვეულო და არასწორია. ასეთ ქცევად ითვლება, როდესაც შეფასებითი განხილვისას მეორე ზიანის შემთხვევაში აღარ ვლინდება პირველი ზიანით წარმოქმნილი რისკი. ეს შემთხვევა სახეზეა პირველადი ზიანის არასწორი სამედიცინო მკურნალობის დროს მაშინ, თუ პირველადი ზიანით გამოწვეული რისკი მთლიანად გამქრალია და ორ ზიანს შორის მხოლოდ ზედაპირული კავშირი არსებობს. გარდა ამისა, მიზეზობრივი კავშირი შეწყდება პირველადი ზიანის არასწორი მკურნალობის შემთხვევაში მაშინ, თუ მეორე ზიანის გამომწვევი ექიმი უჩვეულოდ მაღალი დოზით არ გაითვალისწინებს კეთილსინდისიერ სამედიცინო ქცევასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს და დაარღვევს ყველა სამედიცინო ნეცსა და გამოცდილებას.<sup>37</sup>

#### 4. დაცვის მიზნითი კავშირი

ზოგადი მოსაზრებით, ვალდებულების გაუფრთხილებლობით დარღვევის შემთხვევაში ზიანის ანაზღაურება მხოლოდ მაშინ შეიძლება იქნეს მოთხოვნილი, თუ ზიანის დადგომით რეალიზდება ის საფრთხე, რომლის თავიდან აცილებასაც შესაბამისი ქცევის ნორმა ემსახურება (ე. წ. დაცვითი მიზნის კავშირი).<sup>38</sup> ამგვარად, დარღვეული ქცევის ვალდებულების მიზანი უნდა იყოს კონკრეტულად დამდგარი ზიანის თავიდან აცილება. პირის დაზიანებასთან დაკავშირებული საკითხები, ძირითადად, საგზაო შემთხვევების სამართლის ფარგლებში წამოიჭრება.

ამიტომ, განმეორების თავიდან აცილების მიზნით, გთხოვთ იხილოთ ამ საკითხის განმარტება შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალის 2024 წლის მე-5 ნომერში.<sup>39</sup>

#### 5. პასუხისმგებლობის შემზღუდავი შეთანხმებები – დახმარება /საფრთხის თავად შექმნა

როდესაც საქმე ეხება პასუხისმგებლობის შემზღუდვის კონკლუდენტური ფორმით შეთანხმებების აღიარებას საფრთხის შემცველ ქმედებებსა თუ დახმარებასთან დაკავშირებით, გერმანული სასამართლო პრაქტიკა ფრთხილ მიდგომას იჩენს, რადგან ასეთ სამართლებრივ ნებაზე (შეთანხმებაზე) მარტივად დაყრდნობა არ შეიძლება. განსაკუთრებით, როცა საქმე ეხება თანამონაწილეობით სახიფათო ქმედებებს, გადაწყვეტილება, როგორც წესი, მიიღება ან კონკრეტული გაუფრთხილებლობის კრიტერიუმების, ან „venire contra factum proprium“ პრინციპის გამოყენებით. თუ დაზარალებული საკუთარ თავს იგდებს ისეთ განსაკუთრებულ საფრთხეში, რომლის პასუხისმგებლობა პირველი ზიანის მიმყენებელს ეკისრება, სასამართლო პრაქტიკა, როგორც წესი, უარს ამბობს პასუხისმგებლობის საერთოდ გამორიცხვაზე და, ამის ნაცვლად, შენონადობას ახდენს შესაბამისი მიზეზობრივი წვლილის კრიტერიუმების მიხედვით გსკ-ის 254-ე პარგრაფი (შედარებისთვის სკ-ის 415-ე მუხლი) მიხედვით.

ფედერალურმა სასამართლომ 2003 წელს დღემდე მოქმედი პრინციპები შემდეგნაირად შეაჯამა:<sup>40</sup>

ა) კითხვა, არის თუ არა და რა მოცულობითაა შეზღუდული ან გამორიცხული სპორტულ

<sup>37</sup> სრულად: BGH, Urteil vom 22. Mai 2012 - VI ZR 157/11 - NJW 2012, 2024, juris Rn. 15; BGH, Urteil vom 6. Mai 2003 - VI ZR 259/02 - NJW 2003, 2311, juris Rn. 18; BGH, Urteil vom 20. September 1988 - VI ZR 37/88 - NJW 1989, 767, juris Rn. 17 f.; OLG Koblenz, Beschluss vom 25. September 2017 - 5 U 427/17 - juris Rn. 23; OLG Hamm, Urteil vom 15. November 2016 - I-26 U 37/14 - NJW 2003, 2311, juris Rn. 37 f..

<sup>38</sup> BGH, Urteil vom 18. Juli 2023 - VI ZR 16/23 - DAR 2023, 685, juris Rn. 12; BGH, Urteil vom 7. Februar 2023 - VI

ZR 87/22 - NJW 2023, 2109, juris Rn. 9; BGH, Urteil vom 14. Februar 2023 - VI ZR 295/20 - NJW 2023, 1878, juris Rn. 22.

<sup>39</sup> რუსიაშვილი/ჭაგენლობი, ავტოსაგზაო შემთხვევაში მონაწილე ავტომობილის მფლობელთა პასუხისმგებლობა: ავარიის შემთხვევაში წვლილთა შენონა, lawjournal.ge 5-2024, Seite 1, 21 ff.; <https://lawjournal.ge/wp-content/uploads/DGZR-5-2024.pdf>.

<sup>40</sup> BGH, Urteil vom 1. April 2003 - VI ZR 321/02 - BGHZ 154, 316, juris Rn 21 ff..

ლონისძიებებში მონაწილეთა ურთიერთპასუხისმგებლობა, იმის გათვალისწინებით, რომ მონაწილეთა თანხმობა განაცხადეს კონკრეტული სპორტიდან გამომდინარე საფრთხეებზე, მრავალმხრივი განხილვის საგანია, იქნება ეს სპორტთან დაკავშირებული სიფრთხილის აუცილებელი დონე (შეზღუდული გაუფრთხილებლობის მასშტაბი), თანხმობა, (უსიტყვოდ) პასუხისმგებლობის უარყოფა ან გამორიცხვა, საკუთარი რისკის ქვეშ მოქმედება, თუ კონკურენტის მიმართ არაკეთილსინისიერი მოთხოვნის წამოყენება (...).

(1) ...

მეორე მხრივ, განმხილველი სენატის სასამართლო პრაქტიკის თანახმად, სპორტულ საბრძოლო თამაშებში მონაწილე პირი, პრინციპულად, ვარაუდობს იმ ზიანის რისკს, რომლის თავიდან აცილებაც შეუძლებელია, თუნდაც თამაშის წესები დაცული იყოს. შესაბამისად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა კონკურენტის მიმართ იმ შემთხვევაში შეიძლება დაყენდეს, თუ დადასტურდება, რომ მან თამაშის წესები დაარღვია (BGHZ 63, 140 - ფეხბურთის მატჩი). დაზიანებებს, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას თამაშის წესების დაცვის შემთხვევაშიც კი, ყველა მონაწილე წინასწარ ითვალისწინებს. ამიტომ, წინააღმდეგობაში მოდის ... და არღვევს „თვითწინააღმდეგობის“ („venire contra factum proprium“) პრინციპს, თუ დაზარალებული მოითხოვს ზიანის ანაზღაურებას მოპასუხისგან, მიუხედავად იმისა, რომ თავადაც შესაძლოა აღმოჩენილიყო იმავე მდგომარეობაში, რომელშიც ახლა მოპასუხე იმყოფება, და ასეთ შემთხვევაში (სრულიად სამართლიანად) გააპროტესტებდა, რომ მისგან არ მოეთხოვათ ზიანის ანაზღაურება, ვინაიდან მან თამაშის წესები დაიცვა (...).

სენატმა შემდეგ ხაზი გაუსვა, რომ საბრძოლო თამაშებში პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება წარმოადგენს დამოუკიდებელ შემთხ-

ვევათა ჯგუფს, რომელიც ემყარება სავალდებულო თამაშის წესებს, თუმცა, წინააღმდეგობრივი ქცევის გავლენის პრინციპები სპორტული საბრძოლო თამაშების ფარგლებს სცდება (...).“

შესაბამისად, „venire contra factum proprium“ პრინციპის მიხედვით შესაძლოა პასუხისმგებლობის შეზღუდვის წინაპირობა ისაა, რომ დაზარალებული ურთიერთდამოკიდებული საფრთხის ზრდის გამო თავადაც მარტივად შეიძლება აღმოჩენილიყო ზიანის მიმყენებლის როლში.<sup>41</sup> აღნიშნულის ტიპური მაგალითებია კონტაქტური გუნდური სპორტის სახეობები, როგორებიცაა ფეხბურთი ან რაგბი.

თუ ურთიერთდამოკიდებული საფრთხის პოტენციალი არ არსებობს, მაშინ პირადი რისკის აღება, ჩვეულებრივ, მხოლოდ შერეული ბრალის არსებობის შემთხვევაში შეიძლება გათვალისწინებულ იქნას პასუხისმგებლობის შემცირების მიზნით. ეს ვრცელდება, მაგალითად, იმ შემთხვევაზე, როდესაც ავტომობილის მგზავრი ნდობას უცხადებს აშკარად ალკოჰოლურ ზემოქმედების ქვეშ მყოფ მძღოლს ან არ ერევა მისი აშკარად მაღალი რისკის შემცველი მართვის სტილის დროს.<sup>42</sup> იგივე პრინციპი მოქმედებს, როდესაც დაზარალებული განზრახ იყენებს თავს ისეთი საფრთხის ქვეშ, რომელსაც მნიშვნელოვნად ზრდის ცხოველი.<sup>43</sup>

ამ ძირითადი პრინციპებიდან გამომდინარე, გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ ავტორბოლის დროს ორი ავტომობილის შეჯახების საკითხზე განმარტა:<sup>44</sup>

„ასეთი შეჯიბრების მონაწილე მძღოლებს, ზოგადად, კარგად ესმით მასთან დაკავშირებული საფრთხეები. მათთვის ცნობილია, რომ გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებები მნიშვნელოვან რისკებს ექვემდებარება. თუმცა, ისინი ამ რისკს იღებენ სპორტული გართობის, დაძაბულობისა და შესაძლოა, ადრენალინის გამო. შეჯიბრების თითოეულ მონაწილეს შეუძლია დაეყრდნოს იმ გარემოებას, რომ მას არ დაეკისრება პასუხისმგებლობა ისეთი ზიანისთვის,

<sup>41</sup> BGH, Urteil vom 20. Dezember 2005 - VI ZR 225/04 - NJW-RR 2006, 813, juris Rn. 15; Staudinger/Hager (2017) Vorbemerkung zu §§ 823 ff., Rn. 50.

<sup>42</sup> ასევე: OLG Braunschweig, Urteil vom 24. Juni 2021 - 7 U 1404/19 - DAR 2022, 88, juris Rn. 4.

<sup>43</sup> BGH, Urteil vom 20. Dezember 2005 - VI ZR 225/04 - NJW-RR 2006, 813, juris Rn. 12 ff..

<sup>44</sup> BGH, Urteil vom 1. April 2003 - VI ZR 321/02 - BGHZ 154, 316, juris Rn 29.

რომელიც მან სხვა მონაწილეს მიაყენა, თუკი ეს ზიანი გამონვეულია შეჯიბრებისთვის დამახასიათებელი ტიპური რისკებით და არ მოჰყოლია წესების მნიშვნელოვანი დარღვევა. ამგვარი ზიანის მოთხოვნა აშკარა წინააღმდეგობაში მოდის და კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად არ უნდა იქნეს დაშვებული. ეს, უპირველეს ყოვლისა, იმ შემთხვევაში ვრცელდება, თუ დაზღვევა არ არსებობს; რა იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ დაზღვევა იარსებებდა, აღნიშნული საკითხი მოცემულ შემთხვევაში არ უნდა გადაწყდეს.“

სხვა გადაწყვეტილებებში, გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ აღნიშნა, რომ დახმარების (მაგ., სამეზობლო დახმარების) დროს, სულ მცირე, არსებული პასუხისმგებლობის დაზღვევის შემთხვევაში, კონკლუდენტური ფორმით პასუხისმგებლობის გამორიცხვა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება იქნას ნაწარაუდები. ამისთვის აუცილებელია, რომ ზიანის მიმყენებელი მოითხოვდეს პასუხისმგებლობის უარყოფას და დაზარალებულს სამართლიანი შეფასებით არ უნდა შეძლებოდა ასეთი პირდაპირი მოთხოვნისთვის უარის თქმა, თუკი საკითხი წინასწარ იქნებოდა განხილული.<sup>45</sup> გერმანიის ფედერალური სასამართლო შეჯამების სახით განმარტავს:<sup>46</sup>

„მარტივად არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პირი, რომელსაც სასარგებლო დახმარებას უწევენ, უარს ამბობს დელიქტური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე (...). თუმცა, პასუხისმგებლობის შეზღუდვა შესაძლებელია გსკ-ის 242-ე პარაგრაფის საფუძველზე ხელშეკრულების შემავსებელი განმარტების გზით დადგინდეს. (Senatsurteil vom 10. Februar 2009 - VI ZR 28/08, VersR 2009, 558 Rn. 13 ...).“

ასეთი შეზღუდვა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას შეიძლება იქნას მიჩნეული, რადგან ის წარმოადგენს ხელოვნურ სამართლებრივ კონსტრუქციას ნებელობითი ფიქციის საფუძ-

ველზე, რომელიც ეფუძნება პასუხისმგებლობაზე უარის თქმის ვარაუდს, რაზეც შეთანხმების დადებისას არავის უფიქრია. წინაპირობაა, რომ, როგორც წესი, ზიანის მიმყენებელი, თუკი საკითხი წინასწარ იქნებოდა განხილული, მოითხოვდა პასუხისმგებლობაზე უარის თქმას და დაზარალებულს ასეთ შეთავაზებაზე სამართლიანი შეფასებით არ უნდა შეძლებოდა უარის თქმა. ეს წინაპირობები, როგორც წესი, არ არსებობს, თუ ზიანის მიმყენებელს პასუხისმგებლობა აქვს დაზღვეული, რადგან პასუხისმგებლობის შეზღუდვა, რომელიც ათავისუფლებს არა ზიანის მიმყენებელს, არამედ პასუხისმგებლობის დაზღვევს, როგორც წესი, არ შეესაბამება მხარეთა ნებას. პასუხისმგებლობაზე უარის თქმის ვარაუდისთვის ასევე არასაკმარისია მხოლოდ ის ფაქტი, რომ ზიანი დახმარების განწევსას წარმოიშვა და ზიანის მიმყენებელსა და დაზარალებულს შორის მჭიდრო პიროვნული ურთიერთობა არსებობს. ამისთვის, როგორც წესი, აუცილებელია, რომ ზიანის მიმყენებელს არ გააჩნდეს პასუხისმგებლობის დაზღვევა, მისთვის არსებობდეს მიუღებელი პასუხისმგებლობის რისკი და, გარდა ამისა, არსებობდეს განსაკუთრებული გარემოებები, რომლებიც კონკრეტულ შემთხვევაში პასუხისმგებლობაზე უარის თქმას განსაკუთრებულად მართებულად წარმოაჩენს. (Festhaltung BGH, 10. Februar 2009, VI ZR 28/08, VersR 2009, 558).“

თუ დაზარალებულსა და ზიანის მიმყენებელს შორის არსებობს ინტენსიური საფრთხის გაზიარების ურთიერთობა და ამასთან, არ არსებობს დაზღვევა, მაშინ სასამართლო ინსტანციების პრაქტიკა, როგორც წესი, მიიჩნევს, რომ მხარეები კონკლუდენტური ქცევით შეთანხმდნენ პასუხისმგებლობის გამორიცხვაზე მარტივი გაუფრთხილებლობის (მაგრამ არა სიფრთხილის სტანდარტის მნიშვნელოვანი დარღვევის) შემთხვევაში. ეს ეხება, მაგალითად, ერთობლივად მთაზე ცოცვას<sup>47</sup> ან საერთო ექსპედიციებს. თუ ზიანის მიმყენებელი და დაზარალებული

<sup>45</sup> BGH, Urteil vom 10. Februar 2009 - VI ZR 28/08 - VersR 2009, 558, juris Rn. 16; OLG Rostock, Urteil vom 18. Dezember 2020 - 5 U 91/18 - juris Rn. 62.

<sup>46</sup> BGH, Urteil vom 26. April 2016 - VI ZR 467/15 - NJW-RR 2017, 272, juris Rn. 10.

<sup>47</sup> KG Berlin, Beschluss vom 22. September 2020 - 4 U 1064/20 - juris Rn. 37.



ერთიანდებიან საერთო კრიმინალური ქმედებისთვის, რომლის დროსაც საგრძნობლად იზრდება საკუთარი თავის დაზიანების რისკი, მაგალითად, საერთო ძალებით სეიფის აფეთქება, და ამ დროს ერთი დამნაშავე მეორე დამნაშავეს აზიანებს, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შესაძლოა ეწინააღმდეგებოდეს კეთილსინდისიერების პრინციპს.<sup>48</sup>

სასამართლო პრაქტიკაში ასევე არსებობს ტენდენცია, რომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა არ დაკმაყოფილდეს, თუ სპორტული ინციდენტების დროს თამაშის წინის, დაუფიქრებლობის, გადაღლილობის ან სხვა მსგავსი მიზეზების გამო მცირედით დაირღვევა ისეთი წესი, რომელიც მოთამაშის დაცვას ემსახურება და/ან წესის დარღვევა იმ ზღვარზეა, სადაც სპორტთან დაკავშირებული დასაშვები სიმკაცრე და დაუშვებელი უსამართლობა ერთმანეთს ეჯახება.<sup>49</sup> აღნიშნულის დასაბუთება ხშირად სპორტისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური გაუფრთხილებლობის მასშტაბით ხდება, რადგან მსგავსი (რაც, სპორტულ უსამართლობას აშკარად არ გამოხატავს) წესის დარღვევები შეიძლება სწრაფ და საბრძოლო თამაშში ისეთმა მოთამაშემაც კი დაუშვას, რომელიც კეთილსინდისიერად და ყურადღებით მოქმედებს.<sup>50</sup>

განსაკუთრებით პრობლემურია ერთობლივი „სიამაყის გამოცდები“ ან სხვა ტიპის „ძალის გამოცდა“ ან გადამეტებული ქცევა, რომელთათვისაც (კლასიკური სპორტის სახეობებისგან განსხვავებით) აღიარებული წესები არ არსებობს. ამგვარ შემთხვევებში სასამართლოები უფრო ხშირად ინდივიდუალურ გადაწყვეტილებებს

ბებს იღებენ, სადაც პასუხისმგებლობა, როგორც წესი, არ გამოირიცხება, არამედ უფრო ურთიერთდამოკიდებული მიზეზობრივი წვლილი გსკ-ის 254-ე პარაგრაფისა და სკ-ის 415-ე მუხლის ფარგლებში, შეფასების შედეგად, სამართლიანად ნაწილდება.<sup>51</sup> ასეთი შემთხვევებია, მაგალითად, დაბადების დღის აღნიშვნისას „ხულიგნურ“ და გადამეტებულ ფორმად ქცეული „უხეში ცეკვა“ („Rempeltanzes - Danz op de Dee“) <sup>52</sup> ან 12 წლის ბავშვების მიერ ჩატარებული „ჯოხებით ბრძოლა“ (1,5 მეტრიანი ხის ჯოხებით ჩატარებული „საბრძოლო თამაში“).<sup>53</sup>

## 6. ბრალი

ბრალეულობის საფუძველზე გასაკიცხი ქმედება უნდა მოიცავდეს პასუხისმგებლობის დამაფუძნებელ, ფაქტობრივ გარემოებას, ანუ პირველადი ზიანის შემთხვევას. ამის საპირისპიროდ, იგი არ უნდა მოიცავდეს პასუხისმგებლობის შემავსებელ მიზეზობრიობას, მაგალითად, ისეთი ფსიქიკური დარღვევის წარმოშობისას, რომელიც მეორეულ ზიანად ითვლება.<sup>54</sup>

გსკ-ის 276 პარაგრაფის შესაბამისად, გაუფრთხილებლობით განხორციელებული ქცევისთვის საჭირო ზიანის დადგომის წინასწარ განსაზღვრის შესაძლებლობა არ მოითხოვს, რომ ზიანის მიმყენებელს დეტალურად შეეძლოს წარმოდგენა, როგორ განვითარდება ზიანის პროცესი და კონკრეტულად რა ფორმით განხორციელდება პირველადი ზიანი. საკმარისია, რომ ზიანის მიმყენებელს, ზოგადად, შეეძლოს ზიანის დადგომის შესაძლებლობის წინასწარ განსაზღვრა.<sup>55</sup>

<sup>48</sup> შდრ. OLG Hamm, Urteil vom 21. Oktober 2022 - I-7 U 96/21 - MDR 2023, 230, juris Rn. 30, დაზღვევის თაღლითობის მიზნით ორი ავტომობილის ერთმანეთთან შეთანხმებული შეჯახების შედეგად, უნებურად წარმოშობილ დაზიანებასთან დაკავშირებით.

<sup>49</sup> OLG Koblenz, Beschluss vom 17. Juli 2015 - 3 U 382/15 - NJW-RR 2016, 536, juris Rn. 11; OLG Hamm, Urteil vom 22. Oktober 2012 - I-6 U 241/11 - juris Rn 14; OLG Köln, Beschluss vom 27. Mai 2010 - 19 U 32/10 - juris Rn. 10; Staudinger/Hager (2017) Vorbemerkung zu §§ 823 ff., Rn. 50).

<sup>50</sup> BGH, Urteil vom 16. März 1976 - VI ZR 199/74 - NJW 1976, 2161, juris Rn. 15.

<sup>51</sup> აღნიშნულზე დეტალურად: Staudinger/Hager (2017) Vorbemerkung zu §§ 823 ff., Rn. 51.

<sup>52</sup> BGH, Urteil vom 7. Februar 2006 - VI ZR 20/05 - NJW-RR 2006, 672, juris Rn. 11.

<sup>53</sup> OLG München, Urteil vom 22. November 2012 - 23 U 3830/12 - NJW-RR 2013, 800, juris Rn. 11 und 15.

<sup>54</sup> BGH, Urteil vom 8. Dezember 2020 - VI ZR 19/20 - BGHZ 228, 264, juris Rn. 25; BGH, Urteil vom 3. Februar 1976 - VI ZR 235/74 - NJW 1976, 1143, juris Rn. 17, 23.

<sup>55</sup> BGH, Urteil vom 8. Dezember 2020 - VI ZR 19/20 - BGHZ 228, 264, juris Rn. 25; BGH, Urteil vom 30. April 1996 - VI ZR 55/95 - BGHZ 132, 341, juris Rn. 14 f..

## II. ხანდაზმულობა

დაუშვებელი ქმედებიდან წარმოშობილი მოთხოვნები გერმანიაში ექვემდებარება გსკ-ის 195-ე პარაგრაფის მიხედვით სამწლიანი ზოგადი ხანდაზმულობის ვადას. ეს ვადა, როგორც წესი, იწყება იმ წლის ბოლოს, როდესაც მოთხოვნა წარმოიშვა და დაზარალებულმა შეიტყო პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი გარემოებების, მათ შორის, ზიანის მიმყენებელი პირის შესახებ. უხეში გაუფრთხილებლობით უცოდინრობა გათანაბრებულია ცოდნასთან (გსკ-ის 199 I პარაგრაფი). სიცოცხლის, სხეულის, ჯანმრთელობის, თავისუფლებისა და სექსუალური თვითგამორკვევის განზრახ დარღვევის შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადა 30 წელია (გსკ-ის 197 I 1 პარაგრაფი).

### 1. სამწლიანი ხანდაზმულობის ვადის დანყება

#### ა) ზოგადი პრინციპი

გსკ-ის 199 I 2 პარაგრაფის მიხედვით, ხანდაზმულობის ვადის დასაწყებად საჭირო ცოდნა, როგორც წესი, არსებობს მაშინ, როდესაც დაზარალებულს ზიანის ანაზღაურების სარჩელის (თუნდაც მხოლოდ აღიარებითი სარჩელის) შეტანა წარმატებით შეუძლია. ამასთან, აუცილებელი არ არის, რომ დაზარალებულმა იცოდეს ყველა დეტალი, რომელიც შესაძლოა სამართლებრივი შეფასებისთვის მნიშვნელოვანია, და არც ის, რომ მას უკვე ჰქონდეს საკმარისად საიმედო მტკიცებულებები, რათა დავა არსებითად რისკის გარეშე წარმართოს.<sup>56</sup> ამგვარად,

ხანდაზმულობის ვადის დანყება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რა დროიდან არის დაზარალებულისთვის სარჩელის შეტანა გამართლებული.<sup>57</sup> თუ დაზარალებული ქმედუენარო ან შეზღუდულად ქმედუენარინია, მნიშვნელობა ენიჭება მისი კანონიერი წარმომადგენლის ცოდნას.<sup>58</sup>

დაზარალებულის, მისი ე. წ. წარმომადგენლის (შდრ. გსკ-ის 166 I პარაგრაფი, ნანილობრივ შეესაბამება სკ-ის 106 I მუხლი) ცოდნა ან უხეში გაუფრთხილებლობით უცოდინრობა ცოდნად შეერაცხება. ცოდნის წარმომადგენლები არიან ის პირები, რომლებსაც დაზარალებული ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული საკითხის კონტროლს ანდობს. ასეთ პირებად ძირითადად ითვლებიან დაზარალებულის მიერ ჩართული ადვოკატები.<sup>59</sup> ორგანიზაციული ერთეულების (სახელმწიფო ორგანოები, კომპანიები და სხვა) შემთხვევაში, ცოდნის მქონე წარმომადგენლებად მიიჩნევიან ის თანამშრომლები, რომელთა მოვალეობაა სამოქალაქო სამართლის მიხედვით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნების წაყენება („რეგრესის განყოფილება“).<sup>60</sup> თუ ასეთ შემთხვევებში ზიანის მიმყენებელმა არ იცის, გადაეცა თუ არა დაზარალებულისთვის ცნობილი ინფორმაცია რეგრესის საკითხებზე პასუხისმგებელ თანამშრომლებს, დაზარალებულს ეკისრება ე. წ. მეორეული განმარტების ტვირთი.<sup>61</sup> ასეთ შემთხვევაში, დაზარალებულმა სამოქალაქო დავის პროცესში საკმარისი სიზუსტით უნდა ახსნას, როდის რა ინფორმაცია შეატყობინა რეგრესის განყოფილების თანამშრომლებს.<sup>62</sup>

<sup>56</sup> BGH, Urteil vom 25. Juli 2017 - VI ZR 433/16 - NJW 2017, 3510, juris Rn. 34; BGH, Urteil vom 8. Dezember 2015 - VI ZR 37/15 - NJW-RR 2016, 856, juris Rn. 14; BGH, Urteil vom 27. Mai 2008 - XI ZR 132/07 - NJW-RR 2008, 1495, juris Rn. 32.

<sup>57</sup> BGH, Urteil vom 25. Juli 2017 - VI ZR 433/16 - NJW 2017, 3510, juris Rn. 34; BGH, Urteil vom 17. Juni 2016 - V ZR 134/15 - NJW 2017, 248, juris Rn. 11.

<sup>58</sup> BGH, Urteil vom 16. Mai 1989 - VI ZR 251/88 - NJW 1989, 2323, juris Rn. 11 f..

<sup>59</sup> BGH, Urteil vom 16. Mai 1989 - VI ZR 251/88 - NJW 1989, 2323, juris Rn. 12.

<sup>60</sup> BGH, Urteil vom 18. Oktober 2022 - VI ZR 1177/20 - VersR 2023, 129, juris Rn. 28; BGH, Urteil vom 15. März 2011 - VI ZR 162/10 - NJW 2011, 1799, juris Rn. 11 ff..

<sup>61</sup> BGH, Urteil vom 18. Oktober 2022 - VI ZR 1177/20 - VersR 2023, 129, juris Rn. 30.

<sup>62</sup> მეორეული განმარტებითი ტვირთის შესახებ შეჯამება: *Hagenloech*, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 102-ე მუხლი, unter 3. b) aa) (3)); <http://lawlibrary.info/ge/books/Civil-Procedure-Com.pdf>.

## ბ) ზიანის ერთიანობის პრინციპი

კონკრეტული საზიანო ქცევის შედეგად წარმოშობილი ქონებრივი დანაკარგები, როგორც წესი, ხანდაზმულობის სამართლის თვალსაზრისით ერთიანობას წარმოადგენენ (ე. წ. ზიანის ერთიანობის პრინციპი).<sup>63</sup>

ამგვარად, ყველა წინასწარ პროგნოზირებადი ზიანის ფორმისთვის ხანდაზმულობის ვადა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც პირველად გამოვლენილი ზიანის გამო სარჩელის შეტანა გამართლებულია. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს, შესაძლებელია თუ არა ამ დროისთვის ზიანის, ან მისი ნაწილის, თანხობრივი განსაზღვრა. თუ ზიანის თანხობრივი განსაზღვრა ჯერ კიდევ შეუძლებელია, დაზარალებულმა უნდა შეიტანოს აღიარებითი სარჩელი; საჭიროების შემთხვევაში, ის შეიძლება კომბინირებული იყოს პრიორიტეტული შესრულების მოთხოვნის სარჩელის იმ ზიანის ნაწილთან, რომლის განსაზღვრა ციფრობრივად უკვე შესაძლებელია.<sup>64</sup> თუ ასეთი აღიარებითი სარჩელი არ აღიძვრება, ხანდაზმულობის ვადა მოიცავს ყველა შემდგომ ზიანს, რომელიც, როგორც შესაძლო შედეგი, წინასწარ პროგნოზირებადი იყო.<sup>65</sup>

აღიარებითი სარჩელი დაუშვებელია აღიარებითი ინტერესის არარსებობის გამო, თუ დაზარალებულის მხრიდან გონივრული შეფასებით არ არსებობს საფუძველი, რომ მომავალში დამატებითი ზიანის წარმოშობა მოსალოდნელად ჩათვალოს. შესაბამისად, ხანდაზმულობა არ ითვლება დაწყებულად, თუ მოგვიანებით აღმოჩნდება ისეთი ქონებრივი დანაკარგი, რომლის განსაზღვრა წინასწარ შეუძლებელი იყო.

ამ შემთხვევაში დაზარალებული პროგნოზის რისკის გამო გარკვეული დილემის წინაშე აღმოჩნდება: თუ ის წინასწარ, „ძალიან ადრე“

აღძრავს აღიარებით სარჩელს, არსებობს საფრთხე, რომ სასამართლოები აღიარებით ინტერესს უარყოფენ და მის სარჩელს დაუშვებლად ცნობენ. თუ დაზარალებული არ შეიტანს აღიარებით სარჩელს და მოგვიანებით წარმოიშობა მისთვის მოულოდნელი ქონებრივი დანაკარგი, ის რისკავს, რომ სასამართლოები ამ დანაკარგს წინასწარ პროგნოზირებადად ჩათვლიან და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას ხანდაზმულად მიიჩნევენ. ამ სიტუაციის სათანადოდ გათვალისწინების მიზნით, სასამართლოებს (ეფექტური სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის მიზებითაც) ევალებათ, აღიარებითი სარჩელის შეტანის ზედმეტად მაღალი პროცესუალური ბარიერები არ დაანესონ.<sup>66</sup> ეჭვის შემთხვევაში, მიზანშეწონილია, რომ აღიარებითი ინტერესი დადასტურებულად იქნეს მიჩნეული.

თუმცა, ეს არ ცვლის იმ ფაქტს, რომ დაზარალებულმა აღიარებითი სარჩელის აღძვრისას, მინიმუმ, უნდა განმარტოს, რა დამატებითი ზიანის წარმოშობის ემინია.<sup>67</sup>

## III. მტკიცების ტვირთი/მტკიცებულებების წარდგენა

### 1. პირველადი და მეორეული ზიანის გამიჯვნა

ზოგადი პრინციპების მიხედვით, დაზარალებულს ევალება დაამტკიცოს პირველადი ზიანის არსებობის ფაქტობრივი გარემოებები, მათ შორის, მიზეზობრივი კავშირი. რაც შეეხება მეორეულ ზიანს, გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 287-ე პარაგრაფი ითვალისწინებს გარკვეული მტკიცებულებების შემსუბუქების შესაძლებლობას.<sup>68</sup> ეს ნიშნავს, რომ პი-

<sup>63</sup> BGH, Urteil vom 21. Dezember 2021 - VI ZR 455/20 - NJW 2022, 1093, juris Rn. 14; BGH, Urteil vom 27. Februar 2020 - VII ZR 151/18 - BGHZ 225, 23, juris Rn 14; BGH, Beschluss vom 15. November 2018 - IX ZR 60/18 - juris Rn. 7; BGH, Urteil vom 26. Juli 2018 - I ZR 274/16 - NJW-RR 2018, 1301, juris Rn. 26.

<sup>64</sup> BGH, Urteil vom 27. Februar 2020 - VII ZR 151/18 - BGHZ 225, 23, juris Rn 14.

<sup>65</sup> BGH, Urteil vom 27. Februar 2020 - VII ZR 151/18 - BGHZ 225, 23, juris Rn 14.

<sup>66</sup> BGH, Urteil vom 21. Dezember 2021 - VI ZR 455/20 - NJW 2022, 1093; juris Rn. 14.

<sup>67</sup> BGH, Urteil vom 30. Juli 2020 - VI ZR 397/19 - NJW 2020, 2806, juris Rn. 29; BGH, Urteil vom 5. Oktober 2021 - VI ZR 136/20 - NJW-RR 2022, 23, juris Rn. 28.

<sup>68</sup> იქვე, ჰაგენლოხი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, გვ. 444-ე და შემდგომნი.; <http://lawlibrary.info/ge/books/Civil-Procedure-Com.pdf>.

რველადი ზიანისა და მის შედეგად წარმოშობილი მეორეული ზიანის მიზეზობრივი კავშირის დასამტკიცებლად არ არის საჭირო სრულყოფილი მტკიცება (მოსამართლის სრულად დარწმუნება), არამედ აუცილებელია საკმარისი ან დასაბუთებული ვარაუდი.<sup>69</sup>

თუკი საკითხი ეხება იმას, განვითარდა თუ არა ერთიანი ზიანის შემთხვევიდან სხვადასხვა, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ზიანის ფორმა, მაშინ თითოეული ზიანის ფორმა წარმოადგენს დამოუკიდებელ პირველად ზიანს. მაგალითად, თუ დაზარალებულმა საგზაო შემთხვევის შედეგად ყელის მალეების დისტორზია მიიღო, გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 287-ე პარაგრაფის მიხედვით მტკიცებულებების შემსუბუქების პრინციპი ვრცელდება იმის დასადგენად, არის თუ არა მასში წარმოქმნილი სმენითი პრობლემები დისტორზიის შედეგი. თუმცა, თუ დაზარალებული ამტკიცებს, რომ მას ასევე აქვს მუხლის დაზიანება, რომელიც ავარიასთან არის დაკავშირებული, ეს მუხლის დაზიანება წარმოადგენს პირველად ზიანს (და არა დისტორზიის მეორეულ ზიანს).<sup>70</sup>

განსაკუთრებით სამედიცინო მკურნალობისას დაშვებული შეცდომების შემთხვევაში, პირველადი და მეორეული ზიანის გამიჯვნა ხშირად პრობლემურად წარმოჩინდება. ამ დროს, გერმანიის ფედერალური სასამართლო განმსაზღვრელ კრიტერიუმად იყენებს უშუალოდ იმ ზიანს, რომელიც, სავარაუდოდ, სამედიცინო შეცდომით გამოწვეულ ჯანმრთელობის მდგომარეობის კონკრეტულ გაუარესებას წარმოადგენს, ანუ უშუალოდ დამდგარ ზიანს.<sup>71</sup> ეს წარმოადგენს პირველად ზიანს, ხოლო მისგან განვითარებული შედეგი – მეორეულ ზიანს.

ამ მთლიან თემატიკასთან დაკავშირებით, გერმანიის ფედერალური სასამართლო სამედიცინო პასუხისმგებლობის სამართლებრივ დავაში (სადაც დაზარალებულმა განაცხადა, რომ ხე-

რხემლისთვის არასწორი კონტრასტული ნივთიერების შეყვანის შედეგად კუდუსუნის პარალიზება განუვითარდა) განმარტავს:<sup>72</sup>

„სააპელაციო სასამართლომ სწორად მიიჩნია, რომ, ზოგადად, პაციენტს ევალება დაამტკიცოს მიზეზობრივი კავშირი სამედიცინო შეცდომასა და მის მიერ სადავოდ ქცეულ ჯანმრთელობის ზიანს შორის. ამასთან, გასხვავდება პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი და პასუხისმგებლობის შემავსებელი მიზეზობრიობა. პირველი ეხება სამედიცინო შეცდომის მიზეზობრივ კავშირს უფლებების უშუალო შელახვასთან, ანუ პაციენტის პირველადი ზიანის, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების, წარმოშობასთან. ამ მხრივ მოქმედებს გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 286-ე პარაგრაფის მიხედვით მკაცრი მტკიცების სტანდარტი, რომელიც პრაქტიკულ ცხოვრებაში დარწმუნებისათვის საჭირო დონეს მოითხოვს. პასუხისმგებლობის შემავსებელი მიზეზობრიობის ანუ უფლებების შელახვის მიზეზობრივი კავშირის ყველა შემდგომ (მოყოლილი) ზიანის დადგენა კი რეგულირდება გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 287-ე პარაგრაფით; ამ შემთხვევაში, მოსამართლის დარწმუნებისთვის საჭიროა დასაბუთებული ალბათობა (...).

ბბ) სამართლებრივი ინტერესის შელახვა (პირველადი ზიანი), რომელზეც პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი მიზეზობრიობა ვრცელდება, არ წარმოადგენს მხოლოდ კონტრასტული ნივთიერების შეყვანას კათეტერში და შემდგომ მის გასვლას ხერხემლის სივრცეში. სადავოდ ქცეული სხეულის დაზიანება (პირველადი ზიანი) აღიქმება უფრო, როგორც სავარაუდო სამედიცინო შეცდომით გამოწვეული ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება მისი კონკრეტული ფორმით (...). ეს ნიშნავს, რომ დავის შემთხვევაში პირველადი ზიანი არის კუდუსუნის პარალიზება, რომელიც, მოსარჩელის მტკიცებით, კონტრასტული ნივთიერების არასწორი გამოყენების შედეგად წარმოიშვა...“

<sup>69</sup> BGH, Urteil vom 29. Januar 2019 - VI ZR 113/17 - BGHZ 221, 43, juris Rn. 12.

<sup>70</sup> შდრ. BGH, Urteil vom 29. Januar 2019 - VI ZR 113/17 - BGHZ 221, 43, juris Rn. 11 ff..

<sup>71</sup> BGH, Beschluss vom 14. Januar 2014 - VI ZR 340/13 - NJW-RR 2014, 1147, juris Rn. 6; BGH, Urteil vom 2. Juli 2013 - VI ZR 554/12 - NJW 2013, 3094, juris Rn. 16.

<sup>72</sup> BGH, Beschluss vom 14. Januar 2014 - VI ZR 340/13 - NJW-RR 2014, 1147 - juris Rn. 5 f..

მტკიცების სამართლებრივი თავისებურებები განსაკუთრებით გვხვდება სამედიცინო პასუხისმგებლობისა და წუნდებული პროდუქტის პასუხისმგებლობის სამართალში.

## 2. ცხოვრებისეული გამოცდილებით ნავარაუდები მტკიცება (Anscheinsbeweis)

მნიშვნელოვანი რელევანტურობა, განსაკუთრებით, საგზაო შემთხვევების დროს, აქვს ცხოვრებისეული გამოცდილებით ნავარაუდები მტკიცებას (Anscheinsbeweis).

ცხოვრებისეული გამოცდილებით ნავარაუდები მტკიცების (Anscheinsbeweis) არსებობა განიხილება იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა ტიპური მოვლენის განვითარება, რომელიც ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ამყარებს მიზეზობრივი კავშირის ან დანაშაულებრივი ქცევის არსებობის ვარაუდს.<sup>73</sup> დამატებითი დეტალებისთვის იხილეთ შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალის 2024 წლის მე-5 ნომერში მოცემული განმარტებები.<sup>74</sup>

## B. სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოში

### I. სამართლებრივი სიკეთის დაზიანება

#### 1. სხეულისა და ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენება

საქართველოს სამოქალაქო კოდექსით (შემდეგ - სკ) გათვალისწინებული დელიქტური სამართლის ნორმები (992-1016-ე მუხლები) აწესრიგებენ არასახელმეკრულე ვალდებულებითი ურთიერთობებიდან წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების საკითხს.

სკ-ის 992-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. აღნიშნულის მიხედვით, სამართლებრივი შედეგი (ზიანის ანაზღაურების ვალდებულება) ქმედების აბსტრაქტული შემადგენლობიდან (სხვა პირის მიმართ განხორციელებული ქმედება) გამომდინარეობს. დელიქტიდან გამომდინარე სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა – ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, პირს დაეკისრება ერთდროულად რამდენიმე პირობის არსებობის შემთხვევაში: 1) უნდა არსებობდეს მართლსაწინააღმდეგო ქმედება, 2) სახეზე უნდა იყოს ზიანი, 3) უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი დამდგარ შედეგსა (ზიანს) და მართლსაწინააღმდეგო ქმედებას შორის, 4) ზიანის მიმყენებელს, როგორც წესი, უნდა მიუძღოდეს ბრალი. მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების პრინციპიდან გამომდინარე, მოსარჩელე ვალდებულია დაამტკიცოს ზიანის არსებობა და მისი მოცულობა, ასევე მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. თავის მხრივ, ზიანის მიმყენებელმა უნდა დაამტკიცოს თავის ქმედებაში მართლსაწინააღმდეგობისა და ბრალის არარსებობა.<sup>75</sup>

„საქართველოს სამოქალაქო კოდექსში გენერალური დელიქტური დათქმა - 992-ე მუხლი, შექმნილია შვეიცარიის ვალდებულებითი სამართლის 41 I მუხლის მიხედვით. ის საკუთარ თავში აერთიანებს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის (შემდეგ-გსკ) 823 I, 823 II და 826-ე პარაგრაფების რეგულირების სფეროს. სკ-ის 992-ე მუხლი, აყალიბებს დელიქტური პასუხისმგებლობის წინაპირობებს. დელიქტური პასუხისმგებლობის შემოსაზღვრის მთავარი მექანიზმი საქართველოში, განსხვავებით გერმანიისაგან,

<sup>73</sup> BGH, Urteil vom 10. Oktober 2023 -VI ZR 287/22 - MDR 2023, 1587 - juris Rn. 17; BGH, Urteil vom 1. August 2023 - VI ZR 82/22 - NJW 2023, 3159, juris Rn. 26; BGH, Beschluss vom 28. Februar 2023 - VI ZR 98/22 - NJW-RR 2023, 700, juris Rn. 12.

<sup>74</sup> რუსიაშვილი/ჰაგენლოხი, ავტოსაგზაო შემთხვევაში მონაწილე ავტომობილის მფლობელთა პასუხისმგებლობა: ავარიაში შეტანილ წვლილთა შენონა, lawjournal.ge 5-2024, გვ. 1, 8 და შემდგომი; <https://lawjournal.ge/wp-content/uploads/DGZR-5-2024.pdf>.

<sup>75</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები: №ას-176-163-2015, 04 ოქტომბერი, 2016 წ.; №ას-809-776-2016, 04 აპრილი, 2017 წ.; №ას-769-737-2016, 20 ივნისი, 2018 წ.; №ას №ას-72-72-2018, 15 თებერვალი, 2018 წ.; №ას-1426-2018, 11 აპრილი, 2019 წ.; №ას-1418-2019, 31 ივლისი, 2020 წ.; №ას-749-2020, 12 ოქტომბერი, 2020 წ.; №ას-748-2020, 19 ნოემბერი, 2020 წ.; №ას-934-2020, 25 მარტი, 2021 წ.; №ას-111-2020, 14 აპრილი, 2022 წ.; №ას-1129-2023, 26 დეკემბერი, 2023 წ.

პირველ რიგში, არის არა აბსოლუტურ სიკეთეებზე აპელირება (გსკ-ის 823 I პარაგრაფში ჩამოთვლილი აბსოლუტური სიკეთეები), არამედ მართლწინააღმდეგობის განზოგადებული შემაღგენლობა. თუმცა თავის მხრივ, მართლწინააღმდეგობა სახეზე გვაქვს, არა მხოლოდ მაშინ, როდესაც ქმედება წინააღმდეგობაში მოდის სამართლის კონკრეტულ ნორმასთან, არამედ, ასევე, რა თქმა უნდა, აბსოლუტური სიკეთეების დაზიანებისას.<sup>76</sup> პირს დელიქტიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლება წარმოეშობა, მაშინ, როდესაც მის სამართლებრივ სიკეთეს უკანონო (არამართლზომიერი) ხელყოფის შედეგად ზიანი მიადგება. დელიქტური ვალდებულება, ემსახურება ატარებს დაბალანსებისა და კომპენსაციის ფუნქციას.<sup>77</sup>

ზიანი წარმოადგენს პირის ქონებრივი და არაქონებრივი ინტერესების მისი ნების საწინააღმდეგო ხელყოფას.<sup>78</sup> ზიანის ანაზღაურება იწვევს ქონებრივი ან არაქონებრივი ხასიათის უარყოფითი შედეგების დადგომას. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი სახის ვალდებულების დარღვევით გამოწვეული ზიანის არსებობისას.<sup>79</sup>

როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, ასევე განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობა, ერთმანეთისაგან განასხვავებს ქონებრივ და არაქონებრივ ზიანს. ქონებრივი ზიანი ქონებრივი სიკეთის ხელყოფით შემოიფარგლება. ქონებრივ ზიანში იგულისხმება არა მხოლოდ დაზარალებულის ქონებრივი აქტივების შემცირება, არამედ პასივების გაზრდაც. ქონებრივი ზიანი შეიძლება იყოს, როგორც სახელმწიკრულებო ვალდებულების დარღვევის (სკ-ის

394-ე მუხლი), ისე არასახელმწიკრულებო (დელიქტური) ვალდებულების (სკ-ის 992-ე მუხლი) დარღვევის შედეგი.<sup>80</sup> არაქონებრივი (მორალური) ზიანი კი წარმოადგენს აბსოლუტური უფლებების ხელყოფის შედეგს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ერთმანეთისაგან განასხვავებს სხეულისა და ჯანმრთელობის დაზიანებას, მაგრამ სხეულის დაზიანება ამავდროულად ჯანმრთელობის დაზიანებაცაა, რამდენადაც ჯანმრთელობა უფრო ფართო ცნებაა და გულისხმობს პირის ფიზიკურ, ფსიქიკურ და სოციალურ კეთილდღეობას.<sup>81</sup>

### ა) სხეულისა და ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების დაცული სფერო

აბსოლუტური სამოქალაქო უფლებების დარღვევის შედეგად წარმოიშობა დელიქტური ვალდებულებები, რომელიც მიმართულია მიყენებული ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაკენ.<sup>82</sup> ეს განმარტება შესაბამისობაშია ევროპული დელიქტური სამართლის პრინციპებთან (PETL), კერძოდ, 2:101-ე მუხლთან. პრინციპები ჩამოთვლის დაცულ ინტერესებს, რომელთაგან სიცოცხლე, სხეულებრივი და მენტალური ერთიანობა, ჯანმრთელობა, ღირსება და თავისუფლება იმსახურებს განსაკუთრებულ დაცვას, რომლის შემდგომ მოდის საკუთრების უფლება და ქონებრივი ინტერესი.<sup>83</sup> ამიტომ სიცოცხლის, ფიზიკური ხელშეუხებლობისა და ჯანმრთელობის, საკუთრების ან სხვა აბსოლუტური უფლების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება უფრო ნაკლებად მკაცრ წინაპირობებს მოითხოვს, ვიდრე პასუხისმგებლობა წმინდა ეკონომიკური ინტერესების

<sup>76</sup> რუსიაშვილი/ვაგენლობი, შედარებითი სამართლის ჟურნალი, 6/2023, გვ.19.

<sup>77</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1169-2022.

<sup>78</sup> რუსიაშვილი წიგნში: რუსიაშვილი/დარჯანია/მაისურაძე, ზოგადი ვალდებულებითი სამართალი, კაზუსების კრებული, თბილისი, 2020, გვ.147.

<sup>79</sup> ბოლინგი/ლუტრინგჰაუსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნების სისტემური ანალიზი, თბილისი, 2009, გვ.33.

<sup>80</sup> რუსიაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ჭანტურია (რედ.), 2019, მუხლი 408-ე, ველი 9.

<sup>81</sup> გელაშვილი, პაციენტის უფლებები, თბილისი, 2024, გვ.181.

<sup>82</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, თბილისი, 2007, გვ. 76.

<sup>83</sup> Principles of European Tort law (PETL), European Group on Tort Law, ხელმისაწვდომია: <http://www.egtl.org/PETL-English.html>; Principles of European Tort law, Text and Commentary, European Group on Tort Law, 2005, p.75.

დარღვევისთვის.<sup>84</sup> ზიანის მიმყენებლის მიერ ზიანის ანაზღაურებით კრედიტორი უნდა აღდგეს იმ მდგომარეობაში, რომელშიც იგი იქნებოდა, თუკი ადგილი არ ექნებოდა ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელ გარემოებას.<sup>85</sup>

სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობის შემოწმებისას სასამართლო იკვლევს, რამდენად ვლინდება სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებების ის ერთობლიობა, რომლებიც სასარჩელო მოთხოვნის, ან მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლის წარმატებას განაპირობებს. სასამართლო ვალდებულია, განსაზღვროს მოთხოვნის ფარგლები (ისე რომ არ გასცდეს მას), მოძებნოს დავის მომწესრიგებელი შესაბამისი სამართლის ნორმა (სპეციალური ან ზოგადი წესი) და დაადგინოს იმ გარემოებათა არსებობა/არარსებობა (ფაქტობრივი გარემოებები), რომლებიც ამ ნორმის გამოყენებისთვის აუცილებელ წინაპირობებს წარმოადგენენ. მოთხოვნის საფუძვლის განსაზღვრა სასამართლოს პრეროგატივაა და მხარის მიერ სარჩელის დამფუძნებელ ნორმად კანონის ამა თუ იმ დანაწესის მითითება სასამართლოსთვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში შემაფერხებელ გარემოებას არ წარმოადგენს. „*jura novit curia*“ (ლათ. „სასამართლომ იცის კანონები“, „სასამართლომ იცის სამართალი“) საკასაციო სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაშია ასახული. (შდრ: სუსგ-ები: №ას-934-2020, 25 მარტი, 2021 წ.; №ას-667-2023, 16 ნოემბერი, 2023 წ.).

განსაზღვრული სამართლებრივი მიზნის შესაძლო მიღწევისას, როდესაც ერთი მოთხოვნა განსხვავებული სამართლებრივი საფუძვლით წარმოიშობა, არსებობს მოთხოვნის საფუძველთა შორის კონკურენცია.<sup>86</sup> მოთხოვნის საფუძველთა შორის კონკურენციის დროს მოთხოვნის

სამართლებრივი საფუძველი მოცემულია კანონის იმ ნორმებში, რომელთა თანახმად ერთ პირს მეორისაგან შეუძლია განსაზღვრული მოქმედების შესრულება ან ასეთი მოქმედებისაგან თავის შეკავება.<sup>87</sup> ერთი და იმავე მოთხოვნის განხორციელება სხვადასხვა სამართლებრივი საშუალებით არის შესაძლებელი. ამ დროს, უფლებამოსილ პირს ეკუთვნის თეორიულად ერთმანეთთან თანაბარი, ერთი და იმავე ინტერესის დაცვისათვის გამიზნული ალტერნატიული სამართლებრივი საშუალებების ერთობლიობა. მოთხოვნათა კონკურენციისაგან განსხვავებით, სადაც მოსარჩელის უფლებამოსილებაა მოთხოვნათა შორის არჩევა, მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციის დროს, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთაგან ერთ-ერთის გამოყენება სასამართლოს უფლებამოსილება და ვალდებულებაა.<sup>88</sup>

თითოეული მოთხოვნის დამფუძნებელი სამართლის ნორმა განსაზღვრავს მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს, თუმცა მისი განმარტება და ფაქტობრივ გარემოებებზე მისადაგება სასამართლოს უფლებამოსილებაა. მოთხოვნის საფუძველი ორი ნაწილისაგან შედგება: ა) ნორმის შემადგენლობა, რომელიც მოიცავს ცალკეულ წინაპირობას და ბ) სამართლებრივი შედეგი, რომელიც კანონის საფუძველზე დადგება იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა ნორმის შემადგენლობით განსაზღვრული ყველა წინაპირობა.

პაციენტის მოთხოვნა ზიანის ანაზღაურებაზე გამომდინარეობს, ერთი მხრივ სკ-ის 992-ე გენერალური დელიქტური დათქმიდან და სპეციალური სამედიცინო დელიქტის მომწესრიგებელი 1007-ე მუხლიდან ან, შესაძლოა, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა სამედიცინო მომსახურების სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევით წარმოიშვას. ჯანმრთელობისა და

<sup>84</sup> ბათილიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 992-ე, ველი 5, [www.tsu.ge](http://www.tsu.ge).

<sup>85</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 02 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-754-2021.

<sup>86</sup> ბოლინგი/ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილების მიღების მეთოდიკა, თბილისი, 2004, გვ. 38-42.

<sup>87</sup> ჰაგენლოხი, რამდენიმე მოთხოვნის უფლების საფუძვლის ურთიერთმიმართება (ე. წ. მოთხოვნის უფლებათა

კონკურენცია) გერმანულ სამოქალაქო სამართალში, GIZ, №9 (2019), გვ. 38-42.

<sup>88</sup> ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, გვ. 132; ბოლინგი/ლუტრინგჰაუსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძველების სისტემური ანალიზი, თბილისი-ბრემენი, 2009, გვ. 14; ჩაჩავა, მოთხოვნებისა და მოთხოვნის საფუძველების კონკურენცია კერძო სამართალში, თბილისი, 2011, გვ. 39; ჭენშელი, სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდიკა, თბილისი, 2009, გვ. 84.

სხეულის დაზიანებისათვის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას სკ-ის 408-ე მუხლი ითვალისწინებს, ხოლო არაქონებრივი ზიანის მოთხოვნის საფუძველი სკ-ის 413-ე მუხლია. ამავდროულად, „პაციენტის უფლებების შესახებ“ კანონით, პაციენტს ასევე უფლება აქვს, მოითხოვოს კომპენსაცია ქონებრივი და არაქონებრივი ზიანისა, რაც გამოწვეულია მისი უფლებების დარღვევით.

მაშასადამე, პაციენტისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება შეიძლება დაეფუძნოს როგორც დელიქტურ, ისე სახელმწიკრულებო ნორმებს. თუმცა, თუ დელიქტებისათვის დამახასიათებელია პაციენტის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ხელშეუხებლობის უფლების ხელყოფა, სახელმწიკრულებო ნორმები რელატიური ურთიერთობისას მოვალეობის დარღვევით დამდგარ ზიანზე აკეთებს აქცენტს. ამასთან, სამედიცინო დელიქტის ნორმებით ზიანის ანაზღაურების დაკისრებისას გამოიყენება სახელმწიკრულებო ზიანის მომწესრიგებელი ნორმები. სახელმწიკრულებო თუ დელიქტურ ნორმებს შორის არჩევანისას, მთავარი არგუმენტია ხელმწიკრულების სასარგებლოდ პაციენტის თვითგამორკვევის ფარგლების განსაზღვრა მხარეთა მიერ, რაც ექიმსა და პაციენტს შორის ურთიერთობაში ფუნდამენტური მნიშვნელობისაა, თუმცა ეს ფაქტი არ გამორიცხავს დელიქტური ნორმების გამოყენების შესაძლებლობას, რომელიც ყოველთვის რელევანტურია აბსოლუტური სიკეთეების ხელყოფისას, მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ ხელმწიკრულების მხარე და პაციენტი ზოგჯერ არ არის ერთი და იგივე პირი (მაგ., ბავშვებისათვის სამედიცინო მომსახურების განევისას).<sup>89</sup>

სამედიცინო შეცდომით მოქალაქის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების გამო ანაზღაურების მოთხოვნა ექიმის ან სამედიცინო დაწესებულების მიმართ პაციენტს

შეიძლება წარმოეშვას, როგორც სახელმწიკრულებო, ასევე დელიქტური ნორმების საფუძველზე.<sup>90</sup> ამასთან, სკ-ის 326-ე მუხლის თანახმად, სახელმწიკრულებო ვალდებულებასთან დაკავშირებული წესები გამოიყენება ასევე სხვა არასახელმწიკრულებო ვალდებულებათა მიმართ, თუკი ვალდებულების ხასიათიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. მითითებული ნორმა წარმატებულადაა გამოყენებული სასამართლო პრაქტიკაში პერსონალისა და სამედიცინო დაწესებულების მიერ პაციენტის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის შედეგად წარმოშობილი დავების სამართლებრივი კვალიფიკაციისას. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების მიხედვით აღნიშნული ვალდებულება წარმოიშობა დაზარალებულის აბსოლუტური, სუბიექტური სამოქალაქო უფლებების დარღვევის შედეგად, ატარებს არასახელმწიკრულებო ხასიათს და მიმართულია მიყენებული ქონებრივი და/ან მორალური ზიანის ანაზღაურებისაკენ.<sup>91</sup>

“ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოების არსებობის შემთხვევაში, ნავარაუდები სამართლებრივი მდგომარეობის აღდგენის ორიენტირი სახელმწიკრულებო თუ არასახელმწიკრულებო ზიანის დადგომის შემთხვევაში (სკ-ის 326-ე მუხლი), განმტკიცებულია სკ-ის 408 I მუხლში, რომლის ნორმატიული მიზნიდან გამომდინარეობს, რომ აღდგეს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოების დადგომამდე, ე. ი. ვალდებულების დარღვევამდე. სკ-ის 408-ე მუხლის თანახმად, პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება”.<sup>92</sup>

ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტი მიმართულია ვალდებულების დარღვევის პრევენციით

<sup>89</sup> გელაშვილი, პაციენტის უფლებები, თბილისი, 2024, გვ.176.

<sup>90</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1169-2022.

<sup>91</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1268-1526-2010; სუსგ №ას-260-244-2014, 28 მაისი, 2014 წ.

<sup>92</sup> რუსიაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი III, ჭანტურია (რედ.), 2019, მუხლი 408-ე, ველი 10.



სა და მხარეთა ინტერესთა წონასწორობის აღდგენისკენ. საჯარიმო სანქციები ქართული სამართლისათვის უცხოა. ზიანის ანაზღაურება გულისხმობს შემდეგი პრინციპების დაცვას: ზიანის სრულად ანაზღაურება; უსაფუძვლო გამდიდრების არდაშვება; ადევანტურობა.<sup>93</sup>

არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების საფუძველია ერთი მხრივ, სხეულისა და ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენება, მეორე მხრივ, ისეთი პირადი უფლებების დარღვევა, როგორცაა თვითგამორკვევის უფლება, მათ შორის, ინფორმირებული თანხმობა და ინფორმაციული უსაფრთხოების უფლება, კონფიდენციალობა. „სხეულის ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევაში არაქონებრივი ზიანის არსებობა პრეზუმირებულია, ვინაიდან დამატებითი სამედიცინო ჩარევა, სხეულზე ზემოქმედება, ჯანმრთელობის დაზიანება მტკიცებულებების გარეშეც ქმნის ვარაუდის საფუძველს, რომ დაზარალებულმა განიცადა მორალური ზიანი. ფიზიკურ ტკივილს, დისკომფორტს, იარას ყოველთვის თან ახლავს სტრესი, შფოთვა, ცხოვრების ხალისის დაკარგვა, ზოგჯერ შიში, უიმედობა, უმწეობის შეგრძნება, დათრგუნვა და სხვა უარყოფითი ემოციური განცდები, რაც ფსიქიკური კეთილდღეობის დარღვევაა.“<sup>94</sup>

სკ-ის 413 I მუხლის მიხედვით, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილი იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ არაერთ საქმეზე განმარტებულია, რომ საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს სკ-ის 413-ე მუხლით გათვალისწინებული მიზნის სწორად განსაზღვრას. სამართლებრივ ურთიერთობებს ჩვეულებრივ, შესაძლოა, თან ახლდეს მორალური, სულიერი განცდები, მაგრამ სამოქალაქო პასუხისმგებლობა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ე. ი. კანონი პირდაპირ განსაზღვრავს, თუ რომელი სიკეთის ხელყოფის შემთხვევაში შეუძლია დაზა-

რალეზულს, მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისათვის. განსახილველი ნორმის მიზანია, შეამციროს, შეზღუდოს ამ ნორმით გათვალისწინებული შედეგის დაუსაბუთებელი გაფართოება, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა და წესრიგი. ფიზიკური და ზნეობრივი ტანჯვის ხასიათი უნდა შეფასდეს ზიანის მიყენების ფაქტობრივი გარემოებების, ასევე დაზარალებულის ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით (მაგ. ასაკი, ფიზიკური მდგომარეობა, პროფესია), აგრეთვე სხვა გარემოებათა გათვალისწინებით, რაც ადასტურებს, თუ რა სიმძიმის ტანჯვა განიცადა დაზარალებულმა. შესაბამისად, მორალური ზიანი სახეზეა, როდესაც სახეზეა ადამიანის ფსიქიკის სფეროში ნეგატიური ცვლილების არსებობა, რაც გამოიხატება ფიზიკურ და ზნეობრივ ტანჯვაში. ზიანის ანაზღაურებისას გადამწყვეტ როლს ასრულებს ზიანის სიმძიმე. მსუბუქი სულიერი განცდები, მსგავსად მსუბუქი ფიზიკური ტკივილისა, მხედველობაში არ მიიღება, ხოლო როდესაც ადგილი აქვს ისეთ ზიანს, რომლის დროსაც, როგორც წესი, მოსალოდნელია მძიმე ფსიქიკური განცდები, სულიერი ტანჯვა, და ა. შ. მოქმედებს ე. წ. მორალური ზიანის პრეზუმფცია და ზიანის მიმყენებლის მიერ სანინაალმდეგოს დადასტურებამდე ივარაუდება, რომ დაზარალებულმა პირმა მძიმე სულიერი ტკივილი განიცადა. მორალური ზიანის ანაზღაურებას აკისრია სამი ფუნქცია: პირველი – დააკმაყოფილოს დაზარალებული; მეორე – ზემოქმედება მოახდინოს ზიანის მიმყენებელზე; მესამე – თავიდან აიცილოს პიროვნული უფლებების ხელყოფა სხვა პირების მიერ. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება მიზნად არ ისახავს მიყენებული ზიანის სრულ რესტიტუციას, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ექვივალენტი არ გააჩნია და შეუძლებელია მისი სრული კომპენსაცია. მორალური ზიან-

<sup>93</sup> ძლიერიშვილი, ვალდებულების შესრულება, თბილისი, 2006, გვ.76.

<sup>94</sup> გელაშვილი, პაციენტისათვის მიყენებული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების თავისებურებანი, „მართლმსაჯულება და კანონი“, №4, 2020, გვ.12.

ნის ანაზღაურების ოდენობა უნდა იყოს გონივრული და სამართლიანი.<sup>95</sup> ეს საკითხი სასამართლოს შეფასებითი მსჯელობის საგანია და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, თავად შემთხვევის ინდივიდუალურობისა და თავისებურების გათვალისწინებით უნდა გადაწყდეს.<sup>96</sup>

მორალური ზიანის ოდენობა დამოკიდებულია პირის ფსიქიკურ სფეროში ნეგატიური შედეგების ხარისხსა და ხასიათზე, რასაც, თავის მხრივ, კონკრეტული პირის სუბიექტური თავისებურებები განაპირობებს. მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ისეთი გარემოებები, როგორცაა: დამდგარი ზიანის სიმძიმე, დაზარალებულის სუბიექტური დამოკიდებულება მორალური ზიანის მიმართ, განცდების ინტენსივობა, შელახული უფლების მნიშვნელობა, მოპასუხის მიერ მატერიალური ზიანის ანაზღაურება, ბრალის ხარისხი, დაზარალებულის ცხოვრებისეული პირობები (საოჯახო, ყოფითი, მატერიალური, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ასაკი და ა.შ.), ქონებრივი მდგომარეობა, მკურნალობის ხანგრძლივობა, შრომის უნარის დაკარგვა და სხვა. მორალური ზიანის ანაზღაურების უმთავრეს მიზანს არ წარმოადგენს ხელყოფილი უფლებების რესტიტუცია. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება ვერ აღუდგენს დაზარალებულს ხელყოფამდე არსებულ სულიერ მდგომარეობას, მისი მიზანია არამატერიალური სიკეთის ხელყოფით გამოწვეული ფიზიკური და მორალური ტანჯვის შემსუბუქება, ნეგატიური განცდების სიმძიმისა და ინტენსივობის შემცირება.<sup>97</sup> მორალური ზიანისათვის ფულადი კომპენსაციის ოდენობა არ უნდა იყოს უზომოდ გაზრდილი და არ რეალობას აცდენილი, მისი მიზანი არ უნდა იყოს მოპასუხის დასჯა. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ხელყოფის ხასიათი, მისი გავლენა პირის არამატერიალურ სიკეთეზე.<sup>98</sup>

## ბ) სამკურნალო მიზნით ჩარევა

სკ-ის 1007-ე მუხლის თანახმად, სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობისას (ქირურგიული ოპერაციის ან არასწორი დიაგნოზით დამდგარი შედეგი და სხვ.) პირის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საერთო საფუძვლებით. ზიანის მიმყენებელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ დაამტკიცებს, რომ ზიანის დადგომაში მას ბრალი არ მიუძღვის. ამავე კოდექსის 997-ე მუხლით, პირი ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, რომელიც მიადგა მესამე პირს მისი მუშაკის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით თავისი შრომითი (სამსახურებრივი) მოვალეობის შესრულებისას. პასუხისმგებლობა არ დადგება, თუ მუშაკი მოქმედებდა ბრალის გარეშე.<sup>99</sup>

სკ-ის 1007-ე მუხლით გათვალისწინებული სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება სკ-ის 992-ე მუხლით განსაზღვრული ოთხი წინაპირობის არსებობას მოითხოვს: უნდა დადგინდეს მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ზიანი, მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და ზიანს შორის და ბრალი. ნორმის მიზნიდან გამომდინარე, მართლსაწინააღმდეგო ქმედებად მიიჩნევა სამედიცინო დაწესებულების მიერ არასწორად განხორციელებული დიაგნოსტიკა და მკურნალობა, რამაც გამოიწვია ზიანი.<sup>100</sup>

პაციენტს აქვს უფლება მიიღოს ხარისხიანი მომსახურება და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მომსახურება მისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს (უფლება ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების სტანდარტების დაცვაზე). პაციენტის უფლებების შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმად, საქართველოს თითოეულ მოქალაქეს უფლება აქვს სამედიცინო მომსახურების ყველა გამწვევი პირისაგან მიიღოს ქვეყანაში აღიარებული და დანერგილი

<sup>95</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1444-2022.

<sup>96</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-645-2019.

<sup>97</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-660-660-2018.

<sup>98</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1040-2018.

<sup>99</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-38-2021.

<sup>100</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1124-1044-2017.

პროფესიული და მომსახურების სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო მომსახურება. რაც შეეხება პაციენტის უფლებას უსაფრთხოებაზე, იგი პრაქტიკულად მოიცავს ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების სტანდარტების დაცვასა და პრევენციულ ღონისძიებებზე უფლებებს. ყველას აქვს უფლება განთავისუფლდეს იმ საფრთხეებისაგან, რომლებიც განპირობებულია ჯანდაცვის სამსახურების ცუდი ფუნქციონირებით, საექიმო გულგრილობითა და სამედიცინო შეცდომებით, და ხელი მიუწვდებოდეს სამედიცინო მომსახურებასა და მკურნალობაზე, რომელიც აკმაყოფილებს უსაფრთხოების მაღალ სტანდარტებს.<sup>101</sup>

პაციენტის უფლებების შესახებ საქართველოს კანონის მე-10 „ა.ა“ და „ა.ბ“ მუხლის საფუძველზე, პაციენტს ან მის კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს: კომპენსაცია ქონებრივი და არაქონებრივი ზიანისა, რომლებიც გამოწვეულია: პაციენტის უფლებების დარღვევით; მცდარი სამედიცინო ქმედებით.

„სამედიცინო პერსონალის ქმედებით ან უმოქმედობით გამოწვეული პაციენტის ფიზიკური ან ფსიქიკური მდგომარეობის გაუარესების ან სიკვდილის შემთხვევაში, პაციენტს, მის ნათესავს ან კანონიერ წარმომადგენელს შეუძლია მოითხოვოს პაციენტისათვის მიყენებული როგორც მორალური, ასევე მატერიალური ზიანის ანაზღაურება.<sup>102</sup>

„მცდარი საექიმო ქმედების“ განმარტება მოცემულია ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 „ო“ მუხლის ქვეპუნქტში და გულისხმობს ექიმის მიერ უნებლიეთ პაციენტის მდგომარეობისათვის შეუსაბამო სადიაგნოზო და/ან სამკურნალო ღონისძიებების ჩატარებას, რაც მიყენებული ზიანის უშუალო მიზეზი გახდა. საექიმო შეცდომად მიიჩნევა ექიმის მიერ საზოგადოდ აღიარებული სამედიცინო

და ეთიკური სტანდარტების, კანონმდებლობით განსაზღვრული წესების დარღვევა, რამაც განაპირობა პაციენტის შეუსაბამო სადიაგნოზო და/ან სამკურნალო ღონისძიებები, რაც, თავის მხრივ, პაციენტისათვის ზიანის მიყენების უშუალო მიზეზი გახდა.<sup>103</sup>

საექიმო შეცდომით პირისათვის მიყენებული ზიანი შესაძლოა, იყოს როგორც ქონებრივი, ისე - არაქონებრივი. მატერიალური (ქონებრივი) ზიანი შესაძლოა, გამოიხატოს ჯანმრთელობის დაზიანებით, დამატებითი ხარჯების განწევით და სხვა. ხოლო მორალური (არაქონებრივი) ზიანი ვლინდება პირის მორალურ განცდებსა და სულიერ ტკივილში, რომელსაც იგი განიცდის მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად. საკასაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე შეაფასა შვილის გარდაცვალებით მშობლისათვის მიყენებული მორალური ზიანი და განმარტა: უდავოა, რომ ახალგაზრდა შვილის გარდაცვალებით მშობელი განიცდის მნიშვნელოვან მორალურ ტკივილს, რაც დაკავშირებულია განგრძობად ნეგატიურ განცდებსა და სტრესულ მდგომარეობასთან... მორალური ტანჯვით მიყენებული ზიანის (არაქონებრივი ზიანის) ანაზღაურება ვერ აღუდგენს დაზარალებულს ხელყოფამდე არსებულ სულიერ მდგომარეობას, მისი მიზანია არამატერიალური სიკეთის ხელყოფით გამოწვეული ტანჯვის შემსუბუქება, ნეგატიური განცდების სიმძიმისა და ინტენსივობის შემცირება.<sup>104</sup>

ერთ-ერთი საქმის მიხედვით მოსარჩელემ მოპასუხე კლინიკაში გაიკეთა საკეისრო კვეთა. იგი კლინიკიდან გაეწერა სამი დღის შემდეგ. კლინიკიდან განერის მე-8 დღეს მოსარჩელემ მიმართა მოპასუხე კლინიკას იმ ჩივილით, რომ კლინიკიდან განერის მესამე დღიდან აღენიშნება მაღალი ტემპერატურა. მოპასუხე კლინიკამ მოსარჩელეს უმკურნალა ორი კვირის განმავ-

<sup>101</sup> კვანტალიანი, პაციენტის უფლებები და ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები, თბილისი, 2012, გვ.94-96.

<sup>102</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1124-1044-2017, პ. 34.

<sup>103</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1268-1526-2009.

<sup>104</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 16 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №ბს-327-309(2კ-07).

ლობაში, თუმცა უშედეგოდ. მოსარჩელე გადაყვანილი იქნა სხვა კლინიკაში, სადაც მას ჩატარებული კვლევების საფუძველზე დაესვა სეფსისის დიაგნოზი, საჭირო გახდა ქირურგიული ოპერაციის ჩატარება, რომლის დროსაც მოსარჩელეს ამოკვეთეს საშვილოსნო. გაცემული სამკურნალო და შრომითი რეკომენდაციების თანახმად, პაციენტს შემდგომშიც ესაჭიროებოდა უროლოგის ამბულატორიული მეთვალყურეობა. სსიპ სამედიცინო ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოსთვის მიმართვის საფუძველზე პროფესიული განვითარების საბჭომ მოპასუხე კლინიკის ექიმს, კერძოდ, მოსარჩელის მკურნალ გინეკოლოგს შეუჩერა საქმიანობა სამი თვის ვადით და დაევალა სათანადო კვალიფიკაციის კურსის გავლა. მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა მოპასუხე კლინიკისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ, მორალური ზიანის ასანაზღაურებლად - 100 000 ლარის დაკისრება. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ წინამდებარე საქმეში მთავარ სამართლებრივ საკითხს წარმოადგენდა სამედიცინო მომსახურების განევის შემდგომ, წარმოიშვა თუ არა მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძველი. **განსახილველ შემთხვევაში, ცალსახაა, რომ მოსარჩელემ მიიღო ჯანმრთელობის იმდენად დიდი ზიანი, რომ ვეღარ შეძლებს განახორციელოს რეპროდუქციული უნარი, ასევე, აღნიშნული პერიოდის განმავლობაში მას აწუხებდა მუდმივი ტკივილები და, ამასთან ერთად, დიაგნოზის დაუსმელობით გამოწვეულ გაურკვევლობაში ყოფნით დამატებით იქმნებოდა ფსიქოლოგიური წნეხი, ასევე, აღნიშნული პერიოდის მანძილზე, მოსარჩელეს არ შეეძლო ახლადდაბადებულ შვილთან და ოჯახთან სათანადო, სრულფასოვანი კავშირის ქონა, რაც დამატებით იწვევს ფსიქოლოგიურ ზენოლას. ამ ყველაფერთან ერთად, ხაზგასასმელია ისიც, რომ შეუძლებელია მოსარჩელემ აღიდგინოს ჯანმრთელობის თავდაპირველი მდგომარეობა და სრულფასოვნად შეძლოს ცხოვრების გაგრძე-**

**ლება, აშკარაა, რომ აღნიშნულ პერიოდში მიღებული როგორც ფიზიკური უნარების შეზღუდვა, ისე ფსიქოლოგიური ტრავმები (უშედეგო მკურნალობა, ხანგრძლივი უმწეო მდგომარეობა, აქტიური ცხოვრების შეუძლებლობა, ცხოვრების წესისა და რითმის შეცვლა, მკურნალობის უშედეგობის გამო ცხოვრების ხალისის დაქვეითება, ნერვული დაძაბულობა, რაც პირს არასრულფასოვნების კომპლექსსა თუ სხვა ნეგატიურ განცდებს უყალიბებს) მოსარჩელეს აუცილებლად დაუქვეითებს ცხოვრების ხარისხს.** საბოლოოდ, პაციენტისთვის მიყენებული ტრავმის, ზიანის ხარისხისა და სიმძიმის, ტანჯვის ხანგრძლივობის, ტანჯვის სამომავლო ხანგრძლივობის, მორალური ზიანის ცხოვრების ხარისხზე ზეგავლენის (თუ როგორ იმოქმედა დაზიანებამ პაციენტის ყოველდღიურ ცხოვრებაზე, მათ შორის მუშაობის უნარზე, ოჯახური ურთიერთობების შენარჩუნებაზე), პაციენტის ასაკის (რომ ტანჯვის ხანგრძლივობა მოსარჩელის ასაკის გამო ალბათობის მაღალი ხარისხით ცხოვრების უფრო დიდ პერიოდს მოიცავს), ასევე ფსიქოლოგიური ზემოქმედების (რაც გამოიხატება ემოციურ სტრესსა და ფსიქიკურ ტანჯვაში), მოპასუხის პასუხისმგებლობის ხარისხის (რომ ის წარმოადგენს კლინიკას, რომელიც სპეციალიზებულია, მათ შორის მსგავსი პაციენტების მკურნალობის მიმართულებით), ასევე, უზენაესი სასამართლოს მიერ მორალურ ზიანზე ჩამოყალიბებული პრაქტიკისა (იხ. სუსგ.-ები ას-1102-1038-2015, 22.01.2016; ას-1584-2022, 02.11.2023; №ას-38-2021 18.05.2021; №ას-1129-2020 16.03.2021) და დამატებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული პრაქტიკის (იხ. ECHR: Case of Z v. Finland (1997); Case of G.N. and Others v. Italy (2009); Case of V.C. v. Slovakia (2011); Case of G.S. v. Bulgaria (2012); Case of Mehmet and Bekir Senturk v. Turkey (2013) გათვალისწინებით, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ 45 000 ლარი არის თანხის ის ოდენობა, რომელიც დააკომპენსირებდა მოსარჩელის მორალურ ზიანს.<sup>105</sup>

<sup>105</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2024 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-45-2024.

ერთ-ერთ საქმეზე დადგენილი იქნა, რომ მოსარჩელეს საკეისრო კვეთის შედეგად შეეძინა ვაჟი. ოპერაციის დროს სისხლის დიდი ოდენობით დაკარგვის გამო მშობიარეს დასჭირდა სისხლის გადასხმა. ნათესავებმა სისხლის ბანკისგან შეიძინეს სისხლი, რომელიც გადაესხა მშობიარეს. გარკვეული პერიოდის შემდეგ ბავშვსაც და დედასაც განუვითარდათ სხვადასხვა დაავადება, ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ ექიმები თავად დაუკავშირდნენ მოსარჩელეს და აცნობეს, რომ სისხლის ბანკში შეძენილი სისხლით, რამდენიმე პირი შიდასით დაავადდა. დედასაც და შვილსაც აუღეს ანალიზი და ორივე მათგანს დაუდასტურდა შიდასით. დაზარალებულებმა მიმართეს სასამართლოს სისხლის ბანკის წინააღმდეგ მორალური და მატერიალური ზიანის (200000 ლარის) ანაზღაურების მოთხოვნით. სასამართლომ სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა და სისხლის ბანკს დაეკისრა 20000 ლარის ანაზღაურება. სასამართლოს განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ საექვო დონორისგან სისხლის ნიმუშის აღება/შემომწება ვერ მოხერხდა, სასამართლომ მიიჩნია, რომ დონორი დაავადებული იყო შიდასით, ვინაიდან „აივ“ ვირუსით დაინფიცირდნენ ის რეციპიენტები, რომლებსაც ამ დონორისგან გადაესხათ სისხლი. ამასთან, მოსარჩელე ორსულობისას არაერთხელ შემონმდა შიდასზე, რაც ადასტურებდა იმას, რომ სისხლის გადასხმამდე მას არ ჰქონდა შიდასი. სისხლის ბანკმა, როგორც მწარმოებელმა, პასუხი უნდა აგოს უხარისხო პროდუქტით მომხმარებლისათვის მიყენებული ზიანის გამო. მართალია, მოცემულ დავაში მოპასუხე სისხლის ბანკი იყო, ვინაიდან პაციენტების ნათესავებმა უშუალოდ მწარმოებლისგან შეიძინეს სისხლი და სასამართლომაც სწორედ პროდუქტის მწარმოებლის პასუხისმგებლობაზე იმსჯელა, თუმცა, მტკიცების იგივე სტანდარტი უნდა გავრცელდეს სამედიცინო დანესებულებისთვის, მათ მიერ შეძენილი სისხლის გადასხმაზეც.<sup>106</sup>

### გ) პაციენტის გარდაცვალებით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურება

სამედიცინო დელიქტით პაციენტის გარდაცვალების შემთხვევაში ოჯახის წევრებს ზიანის მიმყენებლის მიმართ აქვთ განუვითარებული ხარჯების, მათ შორის, დაკრძალვასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, ასევე, კმაყოფაზე მყოფ პირებს, სარჩოს მოთხოვნის უფლება. ხოლო, რაც შეეხება არაქონებრივ ზიანს, ეროვნულ პრაქტიკაში დამკვიდრებული განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის სიტყვასიტყვითი გაგებიდან გამომდინარე, ოჯახის წევრის გარდაცვალებით გამოწვეული მორალური ზიანი არ ექვემდებარება ანაზღაურებას. (შდრ. სუსგ №ას593-568-2016, 14 ივლისი, 2017 წელი). თუმცა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 16 მაისის გადაწყვეტილებით შეიცვალა მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე არსებული ერთიანი მიდგომა, რომლის მიხედვითაც მეუღლის, შვილის ან სხვა ახლობლის სიცოცხლის ხელყოფის გამო მიყენებული მორალური ზიანი არ ანაზღაურდებოდა იმ საფუძველზე, რომ აღნიშნული პირდაპირ არ იყო გათვალისწინებული მოქმედი კანონმდებლობით. დადგენილი პრაქტიკის ცვლილებას საფუძველად დაედო სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2018 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე „სარიშვილი-ბოლქვაძე საქართველოს წინააღმდეგ“. (CASE OF SARISHVILI-BOLKVDZE v. GEORGIA, საჩივარი N 58240/08, 19.07.2018წ. გადაწყვეტილება, 96-98; იხ.: <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/sarishvili-bolkvadze-saqartvelos-winaagmdag.pdf>). მითითებულ საქმეში მომჩივანი დავობდა, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო მისი შვილის სიცოცხლის დაცვა სამედიცინო გაუფრთხილებლობისგან. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა იმ დასაბუთებით, რომ საქართველომ არ შეასრულა მასზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულება და პაციენტის სიცოცხლის დასაცავად ვერ უზრუნველყო ფუნქციურად ეფექტური მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს არსებობა.

<sup>106</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-296-624-07.

ამასთანავე, ეროვნულმა სასამართლომ მოსარჩელეს არ მიაკუთვნა ადეკვატური კომპენსაცია, რადგან საქართველოს კანონმდებლობა მორალურ ზიანთან მიმართებით არ ითვალისწინებდა ნათესავებისათვის კომპენსაციის მიცემას. ევროპულმა სასამართლომ განმარტა შემდეგი: „კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების დარღვევის შედეგად არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება, პრინციპში, შესაძლებელი უნდა იყოს, როგორც სამართლიანი დაცვის საშუალების ერთი-ერთი ფორმა (იხ. *Paul and Audrey Edwards v. the United Kingdom*, N46477/99 §97, §101, ECHR 2002-II; *Bubbins v. the United Kingdom*, N2694/08, §65-68. 13, 03, 2012...), ვინაიდან დადგენილია, რომ მომჩივანმა უდავოდ განიცადა ფსიქოლოგიური სტრესი, ახალგაზრდა შვილის გარდაცვალების გამო, უპირობო საკანონმდებლო შეზღუდვით მომჩივანს გაუმართლებლად წაერთვა შესაძლებლობა სასამართლო გზით მოეთხოვა კომპენსაციის მიღება არაქონებრივი ზიანის სანაცვლოდ, როგორც მისთვის ხელმისაწვდომი სამოქალაქო სამართლებრივი დაცვის საშუალება. მოცემულ დავაზე სამართალწარმოების განახლების შემდეგ, ევროპული სასამართლოს მიერ ასახული მითითებების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა შვილის გარდაცვალებით გამოწვეული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესახებ. სასამართლომ გაითვალისწინა დამდგარი ზიანის სიმძიმე, დაზარალებულის განცდების ინტენსივობა, მხედველობაში მიიღო ის ფაქტი, რომ მოპასუხეებს არ ჰქონდათ პაციენტისათვის ზიანის მიყენების განზრახვა, ამასთან, სასამართლომ მიუთითა, რომ კომპენსაციის ოდენობა არ უნდა ყოფილიყო უსაშველოდ გაზრდილი და ზემოაღნიშნული დასაბუთებით, მოპასუხეებს დააკისრა გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით 20000 ლარის გადახდა.<sup>107</sup>

მითითებული გადანყვეტილების შემდეგ ეროვნულ სამართალში დამკვიდრდა ოჯახის

წევრის გარდაცვალებით გამოწვეული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების პრაქტიკა, თუმცა მკვეთრად განსხვავებულია ზიანის ოდენობა, რასაც, ერთი მხრივ, მოსარჩელის მოთხოვნა განაპირობებს, მეორე მხრივ კი, მოპასუხის ბრალისა და შედეგის სიმძიმე. „პაციენტს გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ექიმმა, მიუხედავად იმისა, რომ გულ-მკერდის არეში ძლიერი ტკივილების შესახებ შეტყობინება არსებობდა და მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის ნიშნები სახეზე იყო, მხოლოდ ტკვილგამაყურებელი და ანტისპაზმური ინექცია გაუკეთა, ვინაიდან ბრიგადას არ ჰქონდა ინფარქტის დიაგნოსტიკისათვის ელექტროკარდიოგრაფიის შესაბამისი აპარატი (ეკგ). შესაბამისად, არ იქნა ჩატარებული სტანდარტული გადაუდებელი მკურნალობა (ასპირინი, ნიდტროგლიცერინი და ა.შ.). მართალია, ექიმმა პაციენტს შესთავაზა სტაციონარში გადაყვანა, თუმცა პაციენტმა ფეხზე ადგომისთანავე დაკარგა გონება, შეწყვიტა სუნთქვა და რეანიმაციული ღონისძიებების მიუხედავად, ადგილზე გარდაიცვალა. გარდაცვალების მიზეზი კი, ექსპერტთა აზრით, გულის იშემიით გამოწვეული გულის გაჩერება იყო. მოპასუხის მიერ აღიარებული სტანდარტების დარღვევის, პაციენტისათვის შეუსაბამო სადიაგნოზო და სამკურნალო ღონისძიებების ჩატარების გამო სასამართლომ შვილის გარდაცვალებით გამოწვეული არაქონებრივი ზიანის საკომპენსაციოდ მოპასუხეს მოთხოვნილი 15000 ლარის ნაცვლად, დააკისრა არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება 5000 ლარის ოდენობით.<sup>108</sup>

ერთ-ერთ საქმეზე მოსარჩელეებმა სარჩელი აღძრეს მოპასუხე სამედიცინო კლინიკის წინააღმდეგ და მოითხოვეს მორალური ზიანის ანაზღაურება. მოსარჩელეებმა მიუთითეს, რომ მათ დედას მოპასუხე სამედიცინო დაწესებულებაში ჩაუტარდა ოპერაცია. მედპერსონალის შეცდომების შედეგად, რაც ტრაქეის დაზიანებაში გამოიხატა, პაციენტი გარდაიცვალა, რითიც მოსარჩელეებმა განიცადეს მორალური ზიანი. სასამართლოს გადანყვეტილებით, სარჩელი დაკ-

<sup>107</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 16 მაისის გადანყვეტილება საქმეზე №ბს-327-309(2კ-07).

<sup>108</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 20 თებერვლის გადანყვეტილება საქმეზე №ას-1800-2019.

მაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელების სასარგებლოდ დაეკისრა მორალური ზიანის - 100 000 ლარის გადახდა. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელებმა სათანადო მტკიცებულებებზე დაყრდნობით უზრუნველყვეს კლინიკის ექიმების მიერ სამედიცინო შეცდომის დაშვების ფაქტის დადასტურება (ინტუბაციის, რეანიმაციის ნაწილში), რაც ბრალეულ მიზეზობრივ კავშირშია მძიმე შედეგის დადგომასთან - ტრაქეის დაზიანებასთან, რამაც გამოიწვია პაციენტის გარდაცვალება. ტრაქეის დაზიანება რომ არ მომხდარიყო, პაციენტის სიცოცხლეს საფრთხე არ შეექმნებოდა, რადგან ის გეგმიური ოპერაცია, რისთვისაც პაციენტმა მიმართა სამედიცინო დაწესებულებას, ჩატარდა გართულების გარეშე და პაციენტის დამძიმება გამოწვეული იყო უშუალოდ ტრაქეის მემბრანოზული კედლის დაზიანებით, რასაც საბოლოოდ მოჰყვა ტრაქეის მემბრანის ნაკერის უბნის ნეკროზი, არტერიიდან სისხლდენა და გულის გაჩერება. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელების დედამ 53 წლის ასაკში კლინიკას მიმართა გეგმიური ოპერაციისათვის, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრებოდა. კლინიკის მედპერსონალის მიერ დაშვებული საექიმო შეცდომების შედეგად, შეცდომებით გამოწვეული გართულების შედეგების აღმოფხვრის მიზნით ჩატარებული ორი უშედეგო ოპერაციის შემდეგ, მესამე ოპერაციის მიმდინარეობისას, პაციენტი გარდაიცვალა. მშობლის გარდაცვალებით შვილებმა განიცადეს მნიშვნელოვანი მორალური ტკივილი, რაც დაკავშირებულია განგრძობად ნეგატიურ განცდებთან და სტრესთან. დამდგარი ზიანის სიმძიმის, მოსარჩელების სუბიექტური დამოკიდებულებით დამდგარი ზიანის მიმართ და განცდების ინტენსივობის მხედველობაში მიღებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხისათვის მორალური ზიანის ანაზღაურების სახით დაკისრებული თანხის ოდენობა - 100 000 ლარი - არის გონივრული და სამართლიანი.<sup>109</sup>

ერთ-ერთ საქმეზე პაციენტის მეუღლისა და შვილების სარჩელი მოპასუხე კლინიკის მიმართ

არასწორი მკურნალობის შედეგად პაციენტის გარდაცვალებით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურებისა და მოსარჩელეთა სასარგებლოდ სარჩოს გადახდის დაკისრების თაობაზე, არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ პაციენტი ოპერაციის ჩატარებამდე სამი წლის განმავლობაში იმყოფებოდა ამბულატორულ მკურნალობაზე დიაგნოზით: „მრავალკვანძოვანი ტოქსიკური ჩიყვი“. ქირურგიული ჩარევის მიზნით, პაციენტი მოთავსდა საავადმყოფოში. ქირურგიული ოპერაციის ჩატარებასა და ოპერაციასთან დაკავშირებული რისკების თაობაზე პაციენტის ინფორმირებული თანხმობა პაციენტმა დაადასტურა ხელმოწერით. საქმეში წარდგენილი მტკიცებულებების, მათ შორის – მხარეთა ახსნა-განმარტებების, სტაციონარული სამედიცინო ბარათის, ოპერაციის პროტოკოლის, სამედიცინო ბარათის, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სამედიცინო დასკვნის, დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტიზის ცენტრი სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის, სამედიცინო მეცნიერული შეფასების, სპეციალისტების დასკვნების, ასევე, მონმეთა და ექსპერტების/სპეციალისტების ჩვენებების ანალიზისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელებმა ვერ უზრუნველყვეს იმ გარემოების უტყუარად დადასტურება, რომ პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, რასაც მისი გარდაცვალება მოჰყვა, ექიმის შეცდომის შედეგს წარმოადგენდა.<sup>110</sup>

#### **დ) ფსიქიკური დარღვევისათვის მორალური ზიანის ანაზღაურება**

დაუცველ პაციენტთა ჯგუფს მიეკუთვნებიან ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებიც. გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარის არმქონე პირთა მსგავსად, მათი ფსიქი-

<sup>109</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-38-2021.

<sup>110</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-151-2023.

კური ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, ინფორმირებული თანხმობის ზოგადი წესიდან დაიშვება გამონაკლისი არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული მკურნალობის სახით და დღემდე ერთ-ერთ ყველაზე სადავო საკითხად მიიჩნევა ადამიანის უფლებების სფეროში. „ოვიედოს კონვენციის“ მე-7 მუხლის მიხედვით, ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა არანებაყოფლობითი მკურნალობა მხოლოდ იმ პირობით არის დასაშვები, თუ ამ ჩარევის გარეშე მათ ჯანმრთელობას სერიოზული საფრთხე ემუქრება. განმარტებითი ანგარიშის თანახმად, წინამდებარე მუხლის გამოყენების წინაპირობაა: პირი უნდა იტანჯებოდეს ფსიქიკური აშლილობით, დადგენილი უნდა იყოს ფსიქიკური ჯანმრთელობის დარღვევის არსებობა, ამასთან, ჩარევა აუცილებელი უნდა იყოს კონკრეტულად ამ ფსიქიკური აშლილობის სამკურნალოდ, რომლის გარეშეც მის ჯანმრთელობას რეალური და სერიოზული საფრთხე ემუქრება. მე-7 მუხლში საუბარია უშუალოდ პაციენტის ჯანმრთელობისთვის საფრთხის რისკზე, მაშინ როდესაც კონვენციის 26-ე მუხლით ნებადართულია სამედიცინო ჩარევა პაციენტის ნების სანაღმდეგოდ, თუ ეს აუცილებელია სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. „ოვიედოს კონვენციის“ გარდა, ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა დაცვის მექანიზმები ასახულია სხვადასხვა საერთაშორისო დოკუმენტში, რომლებიც განამტკიცებენ სახელმძღვანელო პრინციპებს ქვეყნის კანონმდებლობაში იძულებითი ზომების რეგულირებისათვის: ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No.R(83)2,434 გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 46/119 „ფსიქიკური დაავადებების მქონე პირთა დაცვისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების პრინციპები“ (1991),<sup>435</sup> მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (ჯანმო) მიერ გამოქვეყნებული ფსიქიკური ჯანმრთელობის კანონის ათი ძირითადი პრინციპი, მსოფლიო ფსიქიატრიული ასოციაციის ჰავაის დეკლარაცია (1983), მისი შესწორებული

ვერსიები, მადრიდის დეკლარაცია (1996) და სხვა.<sup>111</sup>

საქართველოს კონსტიტუციით ადამიანის ფიზიკური ხელშეუხებლობა დაცულია. მასში იგულისხმება არა მარტო ფიზიკური ძალადობისაგან თავისუფლება, არამედ თავისუფლება ყოველგვარი ფიზიკური ძალდატანებისაგან – თავისუფლება იმისათვის, რომ არ განიცადო რაიმე ფიზიკური ზემოქმედება საკუთარი ნების სანაღმდეგოდ. იგი სრულიად განსხვავებულ უფლებებს მოიცავს. ადამიანის ჯანმრთელობაში ყოველგვარი ჩარევა შეიძლება მხოლოდ მისი თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობით, ხოლო განსაკუთრებულ და გადაუდებელ შემთხვევებში, როდესაც ასეთი თანხმობის მიღება შეუძლებელია – მხოლოდ ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნების ინტერესის შესაბამისად.<sup>112</sup>

არანებაყოფლობითი მკურნალობა პირის ავტონომიაში, თვითგამორკვევის უფლებაში ჩარევაა და ამიტომ ამგვარი ჩარევის გამართლება უნდა შემომდგეს განსაკუთრებულად მკაცრი კრიტერიუმებით. განსაკუთრებული ძალისხმევაა საჭირო ფსიქიკური აშლილობის საფუძველზე თავისუფლების შეზღუდვის თავიდან ასარიდებლად, ვინაიდან ამგვარი ჩარევა იმდენად მკაცრი ზომია, რომ გამართლებულია მხოლოდ მაშინ, თუ დადგენილია, რომ სხვა, ნაკლებად მკაცრი ზომები არასაკმარისია ინდივიდუალური თუ საზოგადო ინტერესის დასაცავად.<sup>113</sup>

პაციენტისათვის სამედიცინო მომსახურების განევა ეფუძნება სარგებლის მოტანისა და ზიანის არმიყენების ძირითად პრინციპებს. პატერნალისტური მიდგომა, როცა პაციენტის სასარგებლოდ და მის ნაცვლად, გადანყვეტილებას იღებდა ექიმი, თანდათან ტრანსფორმირდა სამომხმარებლო ურთიერთობად, სადაც გადამ-

<sup>111</sup> გელაშვილი, პაციენტის უფლებები, თბილისი, 2024, გვ.171.

<sup>112</sup> გოცირიძე, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის

ძირითადი უფლებები დათავისუფლებანი, თბილისი, 2013, გვ.99.

<sup>113</sup> გელაშვილი, პაციენტის უფლებები, თბილისი, 2024, გვ.174.



წყვეტი პაციენტის ნებაა და ამ ნების უგულებელყოფა მიიჩნევა ადამიანის ღირსების შელახვად.<sup>114</sup>

ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ კონვენციის პირველი მუხლის თანახმად, კონვენციის მონაწილე მხარეებმა უნდა დაიცვან თითოეული ადამიანის ღირსება და ინდივიდუალურობა, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე უზრუნველყონ მათი ხელშეუხებლობა და სხვა უფლებები და ძირითადი თავისუფლებები ბიოლოგიასა და მედიცინაში (ძალაშია 01/03/2001-დან). ბიოსამედიცინო ეთიკაში აღიარებული ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია ავტონომია. ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 3 „ა“ მუხლით, იგი გულისხმობს პაციენტის უფლებას, დამოუკიდებლად განსაზღვროს მისთვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენასთან დაკავშირებული ყველა საკითხი. ეს წესი ხაზს უსვამს პაციენტის ავტონომიას პროფესიონალ სამედიცინო სფეროს მუშაკებთან ურთიერთობაში და ზღუდავს პატერნალისტურ მიდგომებს, რომლის პირობებში, ექიმის მხრიდან ზრუნვის და „აკეთე სიკეთეს“ პრინციპით, პაციენტის უფლებები შესაძლებელია იყოს იგნორირებული. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, ქმედუნარიანი და სრულწლოვანი პაციენტის თანხმობის გარეშე, მის მიმართ განხორციელებული სამედიცინო ჩარევა შეუთავსებელია ადამიანის თავისუფლებისა და ღირსების დაცვის მოთხოვნებთან (V.C. v. SLOVAKIA, (საჩივარი №18968/07 <<https://hudoc.echr.coe.int/eng>>), 08.11.2011წ., §107). ასევე, მნიშვნელოვანი პრინციპია სარგებლიანობის პრინციპი, რომელიც სამედიცინო მომსახურების გამწევს ავალდებულებს პაციენტის სასარგებლოდ მოქმედებას.<sup>115</sup> სარგებლიანობის პრინციპი მოიცავს „არ ავნო“ ვალდებულებასაც. სარგებლიანობა და ზიანის არმიყენება გულისხმობს სავარაუდო სარგებლის მაქსიმალურად გაზრდასა და სავარაუდო

ზიანის მინიმუმამდე შემცირებას. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული როგორც ფიზიკური, ისე - ფსიქიკური რისკი/ზიანი. რისკი უნდა იყოს მინიმუმამდე შემცირებული და სარგებლიანობის პროპორციული.<sup>116</sup>

საქართველოს კონსტიტუციის 13 I მუხლი იცავს ადამიანის თავისუფლებას. აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული „ადამიანის თავისუფლება“ გულისხმობს ადამიანის ფიზიკურ თავისუფლებას, მის უფლებას, თავისუფლად გადაადგილდეს ფიზიკურად, თავისი ნების შესაბამისად, იმყოფებოდეს ან არ იმყოფებოდეს რომელიმე ადგილზე. ადამიანის თავისუფლება არ არის აბსოლუტური და მასში ჩარევა შესაძლებელია მკაცრი კონსტიტუციურსამართლებრივი მოთხოვნების გათვალისწინებით, რომელიც იცავს ნებისმიერ ადამიანს შესაძლო სახელისუფლებო თვითნებობისაგან. კონსტიტუციურსამართლებრივი შემონმების სიმკაცრის ხარისხს ზრდის ის გარემოებაც, რომ ფიზიკური თავისუფლების შეზღუდვა, განსაკუთრებით კი მისი ყველაზე ინტენსიური ფორმა - თავისუფლების აღკვეთა, აფერხებს და ზოგჯერ სრულიადც გამორიცხავს ადამიანის მიერ სხვა უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციას (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №2/1/415). კონსტიტუციის ამ მუხლით გარანტირებული უფლება ერთ-ერთი იუსტიციური უფლებაა. იგი იცავს ადამიანის თავისუფლებას და გარანტირებულია არამარტო მატერიალური სამართლის ნორმით, არამედ კონსტიტუციურ რანგში აყვანილი პროცესუალური ნორმებით, რაც ხაზს უსვამს მის განსაკუთრებულ ადგილს ძირითად უფლებათა სისტემაში. იმავედროულად, იგი წარმოადგენს ევროპული კონვენციის მე-5 მუხლით გარანტირებული უფლების („თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება“) ანალოგს<sup>117</sup>. ადამიანის ფიზიკური

<sup>114</sup> გელაშვილი, სამედიცინო სამართლის პრინციპები, „მართლმსაჯულება და კანონი“, №2, 2021, გვ. 38.

<sup>115</sup> ჰაგენლოხი, პაციენტის ინფორმირება გერმანიაში, შედარებითი სამართლის ჟურნალი, 6/2023, გვ. 31 და შემდეგი.

<sup>116</sup> გელაშვილი, სამედიცინო სამართლის პრინციპები, „მართლმსაჯულება და კანონი“, №2, 2021, გვ. 39-40.

<sup>117</sup> ტურავა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებანი, თბილისი, 2013, გვ.130.

თავისუფლების სფერო არ არის აბსოლუტურად დაცული. პიროვნების დაკავება, დაპატიმრება, თავისუფლების აღკვეთა თუ მისი სხვაგვარი შეზღუდვა გამართლებულია საჯარო ინტერესის თვალსაზრისით, თუმცა, ჩარევა უნდა ხორციელდებოდეს სამართლებრივი განსაზღვრულობისა და სამართლის უზენაესობის პრინციპების სრული დაცვით, რათა ადამიანის თავისუფლება არ გახდეს ვინმეს თვითნებობის მსხვერპლი (*Engel and others v. The Netherlands* (საჩივარი №5100/71; 5101/71; 5102/71; 5354/72; 5370/72 <<https://hudoc.echr.coe.int/eng>>), 08.06.1976წ., §58; *Bozano v. France* (საჩივარი №9990/82), 18.12.1986წ., §54; *Assanidze v. Georgia* (საჩივარი №71503/01 <<https://hudoc.echr.coe.int/eng>>), 08.04.2004წ., §175). თავისუფლების ნებისმიერი შეზღუდვა უნდა ეფუძნებოდეს ნორმატიულად განსაზღვრულ საფუძველს, როდესაც სახელმწიფოს ჩარევის უფლება ანიჭებს. „თავისუფლების აღკვეთა“ არ მოიცავს მხოლოდ დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებულ ჩარევას, ანუ პიროვნების დაკავებას ან დაპატიმრებას დანაშაულის ჩადენის ეჭვის საფუძველზე და კანონიერ პატიმრობას სასამართლოს განაჩენის შესაბამისად. „თავისუფლების აღკვეთად“ განიხილება ხელისუფლების მხრიდან განხორციელებული ნებისმიერი ქმედება, რომელიც პიროვნების თავისუფლების დაკარგვას გულისხმობს, მათ შორის, „თავისუფლების აღკვეთად“ შეიძლება შეფასდეს ამა თუ იმ დაწესებულებაში ადამიანის იძულებით გამწესებაც, სადაც თავისუფლების შეზღუდვის ხარისხი თავისუფლების აღკვეთას უტოლდება. მაგალითად, ფსიქიკურად ან სხვაგვარად დაავადებული პირის თავისუფლების შეზღუდვა დახურული ტიპის სამკურნალო დაწესებულებაში ან თავშესაფარში მისი ნების საწინააღმდეგოდ, ან/და სამხედრო პირის მიმართ განხორციელებული თავისუფლების შეზღუდვა სამხედრო რეჟიმის შესაბამისად და სხვ.<sup>118</sup> თავისუფლებისა და პირადი უსაფრთხოების უფლება ის ფუნდამენტური

უფლებაა, რომელზეც დამოკიდებულია მრავალი სხვა უფლების უზრუნველყოფა. პირის თავისუფლება და უსაფრთხოება მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული, რის გამოც ევროპული სასამართლო იშვიათად განასხვავებს მათ. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ პირის დაკავების პროცედურამ უნდა დააკმაყოფილოს სახელმწიფოს კანონმდებლობით დადგენილი წესები.<sup>119</sup> ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გამოკვეთა, კონვენციის 5 I „ე“ მუხლის შესაბამისად, ფსიქიკური ავადმყოფობის საფუძველზე პირის კანონიერი დაპატიმრების სამი მინიმალური პირობა: 1) სარწმუნოდ უნდა იყოს ნაჩვენები, რომ პირი ფსიქიკურად დაავადებულია, რაც ნიშნავს, რომ ფსიქიკური აშლილობა კომპეტენტური ორგანოსთვის უნდა დადასტურდეს ობიექტური სამედიცინო მტკიცებულების საფუძველზე; 2) ფსიქიკური აშლილობა უნდა იყოს იმ ტიპის ან ხარისხის, რომ ამართლებდეს თავისუფლების იძულებით აღკვეთას; და 3) თავისუფლების აღკვეთის გახანგრძლივების კანონიერება დამოკიდებული უნდა იყოს ამგვარი აშლილობის განგრძობად ხასიათზე (**იხ. ვინტერვერპი ნიდერლანდების წინააღმდეგ, საჩივარი №6301/73, 24.10.1979წ., §39; ჯონსონი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 24.10.1997წ. §60, Reports 1997-VII; სტანევი ბულგარეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა], № 36760/06 <<https://hudoc.echr.coe.int/eng>>, § 145, 17.01.2012წ.) (საქმე X ფინეთის წინააღმდეგ (საჩივარი № 34806/04 <<https://hudoc.echr.coe.int/eng>>) 03.07.2012წ.; § 149. <https://www.globalhealthrights.org/wp-content/uploads/2016/07/CASE-OF-X-v.-FINLAND-Georgian-Translation-by-the-COE-Human-Rights-Trust-Fund.pdf>).**

ფსიქიკური ჯანმრთელობის საფუძველზე თავისუფლების აღკვეთის კონტექსტში, ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ პირის და-

<sup>118</sup> *გოცირიძე*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებანი, თბილისი, 2013, გვ. 56-57.

<sup>119</sup> *კორკელია/ქურდაძე*, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, თბილისი, 2004, გვ. 143.

პატიმრება იმდენად მკაცრი ზომაა, რომ ის გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როცა დადგენილია, რომ სხვა, ნაკლებად მკაცრი ზომები არასაკმარისია იმ ინდივიდუალური ან საზოგადო ინტერესის დასაცავად, რომელიც შეიძლება მოითხოვდეს პირის დაპატიმრებას (იხ. ვიტოლდ ლიტვა პოლონეთის წინააღმდეგ № 26629/95, § 78, ECHR 2000-III; ვარბანოვი ბულგარეთის წინააღმდეგ, № 31365/96, § 46, ECHR 2000-X; ასევე, სტანევი, ბულგარეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა], № 36760/06, § 143) (საქმე X ფინეთის წინააღმდეგ (საჩივარი № 34806/04 <<https://hudoc.echr.coe.int/eng>>)

03.07.2012წ.; § 151. <https://www.globalhealthrights.org/wp-content/uploads/2016/07/CASE-OF-X-v.-FINLAND-Georgian-Translation-by-the-COE-Human-Rights-Trust-Fund.pdf>).

ევროპული კონვენცია არ განმარტავს, თუ როგორ უნდა იქნეს გაგებული სიტყვები „სულით ავადმყოფები“. აღნიშნულ ტერმინს არ შეიძლება მიეცეს მკაფიოდ განსაზღვრული ინტერპრეტაცია: ამ ტერმინის მნიშვნელობა გამუდმებით განიცდის ევოლუციას, ვინაიდან ვითარდება ფსიქიატრიული კვლევა, მკურნალობა სულ უფრო მოქნილი ხდება და იცვლება საზოგადოების დამოკიდებულება სულიერად დაავადებულების მიმართ, ხდება მათი პრობლემების გააზრება. ნებისმიერ შემთხვევაში, 5 I „ე“ მუხლი ამკარად არ უნდა იქნეს ისე გაგებული, თითქოს უშვებს პირის დაკავებას მხოლოდ იმიტომ, რომ მისი აზრები ან საქციელი განსხვავდება კონკრეტულ საზოგადოებაში დამკვიდრებული ნორმებისგან. სხვაგვარი განმარტება არ იქნება შესაბამისობაში კონვენციის 5 I „ე“ მუხლის ტექსტთან, რომელიც იძლევა ამომწურავ ჩამონათვალს (იხ. Engel and others, 1976 წლის 8 ივნისი, სერია A #22, გვ. 24, პუნქტი 57, და საქმე Ireland v. the United Kingdom 1978 წლის 18 იანვარი, სერია A #25, გვ. 74, პუნქტი 194) იმ გამონაკლისებისა, რომლებიც ექვემდებარება შეზღუდულ ინტერპრეტაციას (mutatis mutandis, Klaas and others, 1978 წლის 6 სექტემბერი, სერია A #28, გვ. 21, პუნქტი 42, და Sunday Times-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1979 წლის 26 აპრილი,

სერია A #30, გვ. 41, პუნქტი 65). ეს არც 5 I „ე“ მუხლის საგანსა და მიზანს შეესაბამება, კერძოდ, რომ არავის შეიძლება წაერთვას თავისუფლება თვითნებური გზით (იხ. Lawless-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1961 წლის 1 ივლისი, სერია A #3, გვ. 52, და Engel and others-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, გვ. 25, პუნქტი 58). უფრო მეტიც, ეს უგულებელყოფდა თავისუფლების უფლების მნიშვნელობას დემოკრატიულ საზოგადოებაში (იხ. De Wilde, Ooms and Versyp-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1971 წლის 18 ივნისი, სერია A #12, გვ. 36, პუნქტი 65, და Engel and others-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, გვ. 35, პუნქტი 82; საქმე ვინტერვერპი ნიდერლანდების წინააღმდეგ (Winterwerp v. the Netherlands) (საჩივარი №6301/73), 24.10.1979წ., § 37. <https://rm.coe.int/168008ebe2>). სასამართლოს აზრით, გარდა გადაუდებელი შემთხვევებისა, ადამიანს არ უნდა აღეკვეთოს თავისუფლება, თუ დანამდვილებით არ იქნება ნაჩვენები, რომ იგი არის „სულით ავადმყოფი“. სულიერი აშლილობის ხასიათი, რაც უნდა დადგინდეს კომპეტენტური ეროვნული ხელისუფლების მიერ, საჭიროებს სპეციალურ ობიექტურ სამედიცინო შემოწმებას. უფრო მეტიც, სულიერი აშლილობა უნდა იყოს ისეთი სახის ან ხარისხის, რომ ამართლებდეს იძულებით დაკავებას (საქმე ვინტერვერპი ნიდერლანდების წინააღმდეგ (Winterwerp v. the Netherlands) (საჩივარი №6301/73), 24.10.1979წ., § 39. <https://rm.coe.int/168008ebe2>).

ფსიქიკური აშლილობის მქონე პირების თავისუფლების შეზღუდვის კანონიერებაზე მსჯელობისას აუცილებელია, შეფასდეს: აღნიშნულის მიზანი არის მხოლოდ სოციალური, თუ ასევე - თერაპიული. შესაბამისად, უნდა გაირკვეს, არის თუ არა საჭირო სათანადო მკურნალობის მიღების ფაქტის დადასტურება დაკავების კანონიერად მიჩნევისათვის. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ადრეული გადაწყვეტილებებით (ვინტერვერპი ნიდერლანდების წინააღმდეგ (Winterwerp v. the Netherlands) (საჩივარი №6301/73),

**24.10.1979წ., §51** და ემინგდენი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (**Ashingdane v. The United Kingdom**) (საჩივარი №8225/78 <<https://hudoc.echr.coe.int/eng>>),

**28.05.1985წ., §44**) სათანადო მკურნალობის უფლება არ მოიაზრებოდა კონვენციის 5 | „ე“ მუხლით დაცულ სფეროში და ყურადღება მხოლოდ დაცვის სოციალურ ფუნქციაზე მახვილდებოდა. მოგვიანებით, აერტსი ბელგიის წინააღმდეგ (**Aerts v. Belgium** (საჩივარი №25357/94), **30.07.1998წ., §49, §50**) საქმის შემდეგ, სასამართლო პრაქტიკამ ცნო კავშირი თავისუფლების შეზღუდვის კანონიერებასა და მისი აღსრულების პირობებს შორის, ასე რომ, მნიშვნელოვნად იქნა მიჩნეული განეული მკურნალობა და არა თავისუფლების აღკვეთის მიზანი. სათანადო მკურნალობის მიუღებლობა (რისთვისაც იზღუდება პირის თავისუფლება), წყვეტს აუცილებელ კავშირს დაკავების მიზანსა და მის კანონიერებას შორის, რაც საბოლოოდ იწვევს კონვენციის 5 | „ე“ მუხლის დარღვევას.

გადაწყვეტილებაში რუმანი ბელგიის წინააღმდეგ (**Rooman v. Belgium** [დიდი პალატა] (საჩივარი №18052/11), **31.01.2019წ.,** იხ: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ 2018-2020 წლებში მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებებისა და განჩინებების კრებული, საქართველოს უზენაესი სასამართლო, ანალიტიკური განყოფილება, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2020, გვ. 24-27) ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ იმსჯელა ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მომჩივნის თავისუფლების შეზღუდვაზე. დიდმა პალატამ დაადასტურა, რომ განვითარებული პრეცედენტული სამართლისა და არსებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, 5 | „ე“ მუხლით განსაზღვრული თავისუფლების აღკვეთა შეიძლება ჩაითვალოს ორმაგი ფუნქციის მქონედ: ვინტერვერპისა და ემინგდენის საქმეებში (ორივე ციტირებულია ზემოთ) ხაზგასმულ სოციალურ ფუნქციასთან ერთად, მას თერაპიული ფუნქციაც ეკისრება, ამდენად, ამგვარი პატიმრისთვის „სათანადო და ინდივიდუალიზებული მკურნალობა“ მისი თავისუფლების შეზღუდვის კანონიერების პირობად იქცა. **მკურნალობა მიზნად უნდა ისახავდეს პირის მდგომარეობის**

**გაუმჯობესებას და მისი საშიშროების შემცირებას, სამომავლოდ გათავისუფლების მიზნით** (დიდმა პალატამ გაიზიარა მსჯელობა: მიუხედავად ამისა, დაავადებამ შეასუსტა მომჩივნის აღქმის უნარი და დაუცველი გახადა იგი, ეს არ ნიშნავს, რომ პირს უნდა დაევალოს მკურნალობა. ამასთან, შემოთავაზებული უნდა ყოფილიყო მკურნალობა, რომელშიც მომჩივანი შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად ჩაერთვებოდა და ექნებოდა არჩევანის უფლება).

„საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ“ (ICCPR) ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციასა და ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტთან ერთად, ქმნის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ბილს. სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ პაქტის (შემდეგში „პაქტი“) შესრულებას ზედამხედველობას უწევს ადამიანის უფლებათა კომიტეტი. პაქტის 9 | მუხლით, თითოეულ ადამიანს აქვს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება. არავინ არ უნდა დაექვემდებაროს თვითნებურ დაკავებას ან დაპატიმრებას. არავის არ უნდა აღეკვეთოს თავისუფლება, გარდა კანონით გათვალისწინებული საფუძვლისა და პროცედურისა. ადამიანის უფლებათა კომიტეტის პრაქტიკით, პაციენტის იძულებითი მკურნალობა ფსიქიატრიულ დაწესებულებაში წარმოადგენს ადამიანის თავისუფლების უფლების შეზღუდვას პაქტის მე-9 მუხლის მიხედვით (იხ.: ადამიანის უფლებები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, პრაქტიკული სახელმძღვანელო იურისტებისათვის, ავტორთა კოლექტივი, თბ., 2011 წ, გვ. 21, 27). ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ კონვენციის მე-7 მუხლით, კანონით განსაზღვრული დამცავი მექანიზმების გათვალისწინებით, მძიმე ხასიათის ფსიქიკური დაავადების მქონე პირს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჩაუტარდეს ამ დაავადების მკურნალობასთან დაკავშირებული ჩარევა მისი თანხმობის გარეშე, როდესაც ამ ჩარევის გარეშე მის ჯანმრთელობას სერიოზული საფრთხე ემუქრება. ამდენად, არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების ინსტიტუტი, თავისი

არსით, ადამიანის თავისუფლების შეზღუდვის კანონიერი საფუძველია.

„ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონი (შემდეგში ტექსტში: „კანონი“) განსაზღვრავს იმ გარემოებებს, რომლის დროსაც სამედიცინო სფეროს თანამშრომლებისა და სამართალდამცავი ორგანოების ძალისხმევით, ფსიქიატრთა კომისიის დასკვნისა და სასამართლოს გადაწყვეტილებით პირს ეზღუდება თავისუფლება მისთვის მკურნალობის ჩატარების მიზნით. კანონის მიზანია, უზრუნველყოს ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთათვის ფსიქიატრიული დახმარების ხელმისაწვდომობა და უწყვეტობა, აღნიშნულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და ღირსების დაცვა; განსაზღვროს ფსიქიატრიის დარგის მუშაკთა უფლებები და მოვალეობანი.

ერთ-ერთ საქმეში მოსარჩელემ მიუთითა, რომ იგი ოჯახის წევრებთან კონფლიქტის გამო, არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული მკურნალობის მიზნით, მოპასუხე საავადმყოფოს ფსიქიატრიულ განყოფილებაში მოთავსდა. მოსარჩელის განმარტებით, ფსიქიატრთა კომისიამ, გარემოებების არასწორი შეფასების შედეგად, მიიღო დაუსაბუთებელი და უკანონო დასკვნა, რომ საჭირო იყო არანებაყოფლობითი სტაციონირება. მოსარჩელის განმარტებით, მორალური ზიანის არსებობის ფაქტი უკავშირდება იმ ფსიქოლოგიურ და ემოციურ სტრესს, რომელიც მან განიცადა თავისუფლების უკანონო შეზღუდვითა და მისი პირადი არაქონებრივი უფლებების ხელყოფით, კერძოდ, მის მიმართ არასათანადო მოპყრობისა და ღირსების შემლახავი ქმედებით განცდილი მძიმე სულიერი ტკივილისათვის. განსახილველ შემთხვევაში დადგენილი იქნა, რომ არ არსებობდა „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ (ამჟამად „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონი) საქართველოს კანონის მე-18 მუხლით დადგენილი კრიტერიუმები, პაციენტისათვის არანებაყოფლობითი სტაციონალური ფსიქიატრიული დახმარების განევის თაობაზე ანუ, ექიმ-ფსიქიატრთა კომისიის დასკვნა იყო მცდარი და სტაციონარში იძულებით ყოფნის პირობებში ვერ იქნებოდა მიღწეული ე. წ. თერაპიული მი-

ზანი - პაციენტის გამოჯანმრთელება. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ გამოყენებული ღონისძიება ვერ უზრუნველყოფდა თავისუფლების შეზღუდვის ვერც სოციალურ და ვერც თერაპიულ მიზანს, რაც იწვევს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 5 | „ე“ მუხლის დარღვევას და მოსარჩელეს ანიჭებს დაცვის ღირს ინტერესს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სტაციონარულ ფსიქიატრიულ მკურნალობაზე მოსარჩელის თანხმობის არარსებობის პირობებში მისი მოთავსება მოპასუხე სამედიცინო დაწესებულებაში უნდა შეფასდეს თავისუფლების არამართლზომიერ შეზღუდვად, რომელიც ვერ იქნება გამართლებული, რამდენადაც არ აკმაყოფილებს კონვენციითა და ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ იმ მინიმალურ სტანდარტს, რაც სავალდებულოა პირისათვის არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული მკურნალობის დასადგენად. საკასაციო პალატამ მიუთითა სკ-ის 18 II და 413 I მუხლებზე და განმარტა, რომ აღნიშნული საკანონმდებლო მონესრიგება მიზნად ისახავს, შეამციროს, შეზღუდოს ამ ნორმით გათვალისწინებული შედეგის დაუსაბუთებელი გაფართოება. მორალური ზიანის მახასიათებელია ადამიანის ფსიქიკურ და სულიერ სფეროზე ნეგატიური ზემოქმედება, რაც გამოიხატება მის ზნეობრივ ტანჯვაში. ზიანის ანაზღაურებისას გადამწყვეტ როლს ასრულებს ზიანის სიმძიმე. მსუბუქი სულიერი განცდები მხედველობაში არ მიიღება, ხოლო, როდესაც მოსალოდნელია მძიმე ფსიქიკური განცდები, სულიერი ტანჯვა და ა.შ., ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ საწინააღმდეგოს დადასტურებამდე ივარაუდება, რომ დაზარალებულმა მძიმე სულიერი ტკივილი განიცადა. **მოსარჩელე მორალური ზიანის არსებობის ფაქტს უკავშირებს იმ ფსიქო-ემოციურ სტრესს, რაც მან განიცადა მოპასუხე სამედიცინო დაწესებულებაში უკანონო მოთავსებით.** საკასაციო პალატის მოსაზრებით, განსაკუთრებულ მტკიცებას არ საჭიროებს ის ფაქტი, რომ, მოსარჩელემ, ფსიქიატრიულ დაწესებულებაში უკანონო მოთავსებით, მისი ხელშეუხებლობისა და თავისუფლების შეზღუდვით, გა-

ნიცადა მძიმე სულიერი ტკივილი, ფსიქოლოგიური და ემოციური სტრესი, რის გამოც არსებობს მორალური ზიანის ანაზღაურების წინაპირობები.<sup>120</sup>

### ე) ფსიქიკური დარღვევების პრობლემა

ერთ-ერთ საქმეში მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხე სატრანსპორტო კომპანიის წინააღმდეგ და მოითხოვა 14 5000 ლარის ოდენობით მორალური ზიანის ანაზღაურება იმ საფუძვლით, რომ მეტროს სადგურში ძაბვის ვარდნის გამო, გამოირთო ელექტროენერგია, მოსარჩელემ დაკარგა ორიენტაცია და ჩავარდა მატარებლის სამოდრო ორმოში. მოძრავი შემადგენლობის გადაადგილების გამო მიიღო სხეულის დაზიანება, ასევე მძიმე სულიერი ტრავმა. მოპასუხემ მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი შესაგებლით განმარტა, რომ მოსარჩელეს უნდა გამოეჩინა წინდახედულობა და არ გადაადგილებულიყო სიბნელეში, მომხდარში მოპასუხეს ბრალი არ მიუძღვის. სასამართლომ დადგენილად ცნო, რომ მეტროს სადგურში გაითიშა ელექტროენერგია. მოსარჩელე, რომელმაც სადგურში განათების გამორთვის გამო, დაკარგა ორიენტაცია, გადავარდა მატარებლის სავალ ლიანდაგებში, რა დროსაც შემოდიოდა სადგურში მატარებელი, რელსებს შორის მყოფი მოსარჩელე მატარებლის მოძრავი შემადგენლობის ქვეშ აღმოჩნდა (მოსარჩელე განმარტავდა, რომ მან მოახერხა მატარებლის რელსებს შორის ჩანოლა, რითაც თავიდან აიცილა ფატალური შედეგი. სიბნელეში შემოსულმა მატარებელმა ვერ მოასწრო შეჩერება და რამდენიმე ვაგონმა რელსებს შორის მყოფ მოსარჩელეზე გადაიარა). პაციენტის სამედიცინო ბარათის თანახმად, მოსარჩელემ მიიღო ტვინის დაზიანებული ტრავმა, თავის ტვინის შერყევა, თავის რბილი ქსოვილების დაჟეჟილობა, ხერხემლის დაზიანებული ტრავმა, მარცხენა ტერფის მეოთხე, მეხუთე თითის დაჟეჟილობა. მოსარჩელეს, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ჩაუტარდა

სხვადასხვა გამოკვლევები. სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, მოსარჩელეს აღენიშნება პოსტტრავმული სტრესული აშლილობა F-43.1 (დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაცია მე-10 გადასინჯვა), რაზეც მიუთითებს ანამნეზური მონაცემები - რამდენიმე თვის წინ (6 თვე) გადატანილი, განსაკუთრებული სტრესული მოვლენა, **რის შედეგადაც აღენიშნება გადატანილი სტრესის განმეორებითი განცდა, აკვიატებული ხატოვანი მოგონებები, კომპარული სიზმრები, ემოციური გაზერელება, ადამიანებისაგან განდევილობა, განმარტოება, დეპრესიული სიმპტომები სუიციდური აზრები, შიშის, პანიკის, აგრესიის ეპიზოდები. აღნიშნული მდგომარეობა პირდაპირ მიზეზ-შედეგობრივ კავშირშია შემთხვევის დღეს მიღებულ ფსიქიკურ და ფიზიკურ ტრავმასთან.** დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ როდესაც მეტროსადგურში გაითიშა ელექტროენერგია, სადგურის ბაქანზე არ ჩართულა საავარიო განათება, შესაბამისად, არ იყო დაცული მოქალაქეთა უსაფრთხოება. სასამართლომ განმარტა, რომ სამართლის მიერ დაცულ ერთ-ერთ სიკეთეს, რომლის ხელყოფის შედეგად დაზარალებულმა შეიძლება მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანისათვის ანაზღაურება, წარმოადგენს ადამიანის ჯანმრთელობა. სხეულის დაზიანება ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენება ადამიანის სიცოცხლის იმგვარი ხელყოფაა, რომელიც დაზარალებულს არასრულფასოვნად და ზოგ შემთხვევაში, შრომისუუნაროდ აქცევს, სხეულის და/ან ჯანმრთელობის ხელყოფით გამოწვეული მორალური ზიანი უშუალოდ სამართალდარღვევიდან შეიძლება არც გამომდინარეობდეს, არამედ მისი თანმდევი შედეგი იყოს (როგორცაა უშედეგო მკურნალობა, ხანგრძლივი უმწეო მდგომარეობა, აქტიური ცხოვრების შეუძლებლობა, ცხოვრების წესისა და რითმის შეცვლა, მკურნალობის უშედეგობის გამო ცხოვრების ხალისის დაქვეითება, ნერვული დაძაბულობა, რაც პირს არასრულფასოვნების კომპლექსსა თუ სხვა ნეგატიურ განცდებს უყალიბებს), თუმცა,

<sup>120</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 16 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1929-2020;

2023 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1444-2022.

ასეთ დროს, სავალდებულოა, დასტურდებოდეს, რომ დაზარალებულის მორალური განცდები და სულიერი ტანჯვა სხეულისა თუ ჯანმრთელობის ხელყოფის შედეგია. სასამართლოს მოსაზრებით, სამოქალაქო კოდექსის 413 II მუხლით განსაზღვრული ჯანმრთელობის დაზიანებით გამოწვეული მორალური ზიანის მახასიათებელი თვისება არის ადამიანის ფსიქიკური და სულიერი ბუნების სფეროში ნეგატიური ზემოქმედების მოხდენა, რაც გამოიხატება ფიზიკურ და ზნეობრივ ტანჯვაში. განსახილველ შემთხვევაში, საქმეში წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, მორალური ზიანის ასანაზღაურებლად თანხის გონივრულ ოდენობად სასამართლომ 20 000 ლარი მიიჩნია.<sup>121</sup>

ერთ-ერთ საქმეზე დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ მიკროავტობუსი მართვისას მოძრაობდა ღია კარით, საიდანაც დამუხრუჭებისას მოსარჩელე გადმოვარდა, რის შედეგადაც მიიღო ჯანმრთელობის მძიმე ხარისხის დაზიანება. დაზიანებები ერთობლიობაში სიცოცხლისთვის სახიფათო მძიმე ხარისხის დაზიანებას მიეკუთვნებოდა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276 IV მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის გამო ზემოთ მითითებული ქმედებისთვის სასამართლო განაჩენით მიკროავტობუსის მძღოლი დამნაშავედ იქნა ცნობილი. მოსარჩელე ადვოკატია და საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს. დაზარალებულმა (მოსარჩელე) ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მიღებული ჯანმრთელობის დაზიანების გამო მოითხოვა მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება. სასამართლომ სარჩელი მორალური ზიანის ნაწილში დააკმაყოფილა შემდეგი დასაბუთებით: მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის წარმოდგენილი უნდა იყოს, როგორც ჯანმრთელობის დაზიანების დამადასტურებელი, ასევე, მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და მოსარჩელის ავადმყოფობას შორის ადეკვატური მიზეზობრივი კავშირის არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულება. საქმეზე უდავოდ დადგენილია, რომ ავტოსატრანსპორტო

შემთხვევის შედეგად მოსარჩელემ ჯანმრთელობის მძიმე ხარისხის დაზიანება მიიღო, **განიცადა ფსიქიკური ტრავმაც**, რის გამოც დაერღვა ცხოვრების ნორმალური რიტმი, რადგან ჯერ სტაციონარში მოათავსეს, ხოლო შემდეგ, დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში, გადიოდა მკურნალობის კურსს შრომისუნარიანობის დაქვეითების გამო. სასამართლომ მიიჩნია, რომ ზემოთ მითითებული დაზიანებებით ხელყოფილ იქნა დაზარალებულის სხეული, რამაც მოსარჩელის ორგანიზმის სრულყოფილი ფუნქციონირების შეფერხება გამოიწვია. ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მოპასუხეს უნდა აენაზღაურებინა მორალური ზიანის სახით, მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი თანხა (სკ-ის 413-ე მუხლი).<sup>122</sup>

მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე ავიაკომპანიის მიმართ მორალური ზიანის - 80 000 ლარის დაკისრების მოთხოვნით. სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა მორალური ზიანის 10 000 ლარის ანაზღაურება შემდეგი დასაბუთებით: სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხე ავიაკომპანიას საზღვარგარეთიდან ტრანზიტული რეისით უნდა ჩამოესვენებინა თბილისში მოსარჩელის შვილის ცხედარი. თბილისში ჩამოფრენილ თვითფრინავში არ აღმოჩნდა ცხედარი. მოსარჩელემ ინფორმაციისათვის მიაკითხა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში არსებულ მოპასუხე ავიაკომპანიის წარმომადგენლობას, თუმცა, ინფორმაცია მისი შვილის ცხედრის ადგილსამყოფელის შესახებ, ვერ მიიღო, რის შემდეგაც, დახმარების მიზნით, მიმართა პოლიციასა და ტელევიზიას. დადგინდა, რომ ავიაკომპანიამ ცხედარი შეცდომით გადააგზავნა სამხრეთ კორეაში. ცხედარი თბილისში ჩამოასვენეს მომდევნო დღის ბოლოს. მოსარჩელემ მიუთითა, რომ ავიაკომპანიამ იგი შეგნებულად არ ჩააყენა საქმის კურსში, რამაც დიდი დაღი დაასვა მოსარჩელეს, მის ფსიქიკურ და ემოციურ მდგრადობას. მან განიცადა წარმოუდგენელი ფსიქიკური და

<sup>121</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-452-431-2015.

<sup>122</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2024 წლის 03 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-462-2024.

ემოციური სტრესი, რომელიც ცხოვრების ბოლომდე დაღს დაასვამს მის ჯანმრთელობას. სასამართლომ აღნიშნა, რომ სასარჩელო მოთხოვნის (მორალური ზიანის ანაზღაურება) მარეგულირებელ სამართლებრივ საფუძველს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლი წარმოადგენს, თუმცა უნდა შემოწმდეს ის წინაპირობები, რომელთა არსებობასაც უკავშირებს კანონი ნორმით გათვალისწინებული შედეგის დადგომას, სამართლის მიერ დაცულ ერთ-ერთ სიკეთეს, რომლის ხელყოფის შედეგად დაზარალებულმა შეიძლება მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანისათვის ანაზღაურება, წარმოადგენს ადამიანის ჯანმრთელობა. სხეულის დაზიანება ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენება ადამიანის სიცოცხლის იმგვარი ხელყოფაა, რომელიც დაზარალებულს არასრულფასოვნად და ზოგ შემთხვევაში, არაშრომისუნარიანად აქცევს, სხეულის და/ან ჯანმრთელობის ხელყოფით გამოწვეული მორალური ზიანი უშუალოდ სამართალდარღვევიდან შეიძლება არც გამომდინარეობდეს, არამედ მისი თანმდევი შედეგი იყოს (როგორცაა უშედეგო მკურნალობა, ხანგრძლივი უმწეო მდგომარეობა, აქტიური ცხოვრების შეუძლებლობა, ცხოვრების წესისა და რითმის შეცვლა, მკურნალობის უშედეგობის გამო ცხოვრების ხალისის დაქვეითება, ნერვული დაძაბულობა, რაც პირს არასრულფასოვნების კომპლექსსა თუ სხვა ნეგატიურ განცდებს უყალიბებს), თუმცა, ასეთ დროს, სავალდებულოა, დასტურდებოდეს, რომ დაზარალებულის მორალური განცდები და სულიერი ტანჯვა სხეულისა თუ ჯანმრთელობის ხელყოფის შედეგია. სამოქალაქო კოდექსის 413 II მუხლით განსაზღვრული ჯანმრთელობის დაზიანებით გამოწვეული მორალური ზიანის მახასიათებელი თვისება არის ადამიანის ფსიქიკური და სულიერი ბუნების სფეროში ნეგატიური ზემოქმედების მოხდენა, რაც გამოიხატება ფიზიკურ და ზნეობრივ ტანჯვაში. დადგენილია და მოპასუხეს დასაბუთებული პრეტენზია არ წარმოუდგენია იმ გარემოების თაობაზე, რომ მან მოსარჩელეს არ აცნობა მიზეზი, თუ რამ განაპირობა ნეშტის კონკრეტული რეისით ჩამოუსვენებლობა, სად იმყოფებოდა იგი და როდის მოხდებოდა ნეშტის

დანიშნულების ადგილას გადატანა. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნი სარჩელში მითითებულ გარემოებაზე, რომ შვილის ცხედრის შეთანხმებულ დროს ჩამოუსვენებლობის, ასევე ინფორმაციის არადროული მიწოდების შედეგად, მოსარჩელემ ძლიერი სულიერი სტრესი განიცადა, **ამ გარემოებამ მის ფსიქიკას დაღი დაასვა და გავლენა იქონია მის ემოციურ მდგრალობაზე.** სასამართლომ დამატებით მოიხმო მოსარჩელის განმარტება, რომ გარდაცვლილი შვილის ცხედარი, შორ მანძილზე გადაადგილების გამო, ცუდ მდგომარეობაში იყო და არ მიეცა მისი ნახვის, ასევე ჩასასვენებლით დაკრძალვის შესაძლებლობა, აღნიშნულმა კი, მძიმედ იმოქმედა მოსარჩელის ჯანმრთელობაზე. სასამართლომ მტკიცების საგნად არ მიიჩნია საქართველოში დამკვიდრებული მიცვალებულის უკანასკნელ გზაზე სათანადო პატივით გაცილების, ასევე დედის მიერ შვილის ცხედრის პირველად ნახვასთან დაკავშირებული სულიერი ტკივილის თაობაზე დამკვიდრებული ტრადიცია და განმარტა, რომ ამგვარ ვითარებაში მყოფი პირისათვის შვილის ცხედრის ადგილსამყოფელის, ასევე იმის დროულად შეუტყობინებლობა, თუ რა მიზეზით არ აღმოჩნდა ნეშტი კონკრეტულ რეისზე, იძლევა პრეზუმფციის დაშვების შესაძლებლობას, რომ ავიაკომპანიის მხრიდან ვალდებულების დარღვევით განცდილი ზემოაღნიშნული ნეგატიური ფაქტორებიდან გამომდინარე, მოსარჩელის ჯანმრთელობას მიაღწია იმგვარი ზიანი, რასაც შედეგად პირის სულიერი ტანჯვა და ძლიერი ემოციური სტრესი მოჰყვა. სასამართლომ განმარტა, რომ პრეზუმირებული ფაქტი ისეთი ფაქტია, რომელიც არ შედის მტკიცების საგანში, ხოლო პრეზუმფციის გაქარწყლების ტვირთი ეკისრება იმ მხარეს, რომლის სანინააღმდეგოდაც მოქმედებს პრეზუმფცია (ვისთვისაც არახელსაყრელი შედეგის მომტანია). ამგვარი მტკიცებულება მოპასუხის მხრიდან არ წარმოდგენილა. ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით კი, სასამართლომ მიუთითა, რომ დადგენილად მიჩნეული ფაქტები (მოპასუხის მხრიდან ვალდებულების დარღვევა, ზიანის დადგომა, მიზეზობრივი კავშირი მოპასუხის ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის) იძლევა



სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლით გათვალისწინებული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შემადგენლობას.<sup>123</sup>

## II. ქმედების მართლწინააღმდეგობა

ზიანი მართლწინააღმდეგო ქმედებით უნდა იყოს მიყენებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც წესი, ზიანის ანაზღაურების საკითხი არ დადგება. მართლწინააღმდეგოდ მოქმედებს ის, ვინც არღვევს სამართლებრივ დანაწესებს, სამართლის ნორმათა მოთხოვნებს. მართლწინააღმდეგობა სამართალდარღვევის ობიექტური ნიშანია და მისი არსებობა არაა დამოკიდებული მოვალის ცნობიერების ხასიათზე ანუ აცნობიერებდა თუ არა მოვალე თავისი ქმედების სამართლებრივ ხასიათს. მთავარია, რომ ვალდებული პირის ქმედება არ შეესაბამება კანონის მოთხოვნებს. მართლწინააღმდეგო ქმედებით დელიქტურ ურთიერთობებში მოვალე ძირითადად კრედიტორის აბსოლუტურ უფლებებს არღვევს. მართლწინააღმდეგო ქმედება გულისხმობს როგორც აქტიურ მოქმედებას, ისე უმოქმედობასაც. მისი არსი ისაა, რომ ქმედება არღვევს სამართლის ნორმით გამოხატული მოქმედების ან უმოქმედობის ვალდებულებას. კანონის ან ხელშეკრულების ძალით პირი ვალდებული იყო (სამართლებრივი კრიტერიუმი, რომელიც გულისხმობს განსაზღვრული მოქმედების განხორციელების სამართლებრივ ვალდებულებას) და შეეძლო ემოქმედა (მოქმედების განხორციელების ფაქტობრივი შესაძლებლობა), თუმცა არ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა განსაზღვრული მოქმედება. სამოქალაქო სამართალში მართლწინააღმდეგოდ მიიჩნევა სხვა პირთა დაცული ინტერესის ხელყოფა.

მართლწინააღმდეგობა მოიცავს როგორც კანონით დადგენილი წესების, ისე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევას.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 823 I პარაგრაფის მიხედვით, მართლწინააღმდეგობა (*Rechtswidrigkeit*) დელიქტური პასუხისმგებლობის დამოუკიდებელი პირობაა, განცალკევებულია ბრალის (*Vershulden*) კონცეფციისგან, ბრალი გულისხმობს სუბიექტურ დამოკიდებულებას, განზრახვას ან გაუფრთხილებლობას, მაშინ, როდესაც მართლწინააღმდეგობა გამოიხატება ობიექტურად სამართლის ნორმების დარღვევასა და კანონწინააღმდეგო შედეგის დადგომასში.<sup>124</sup>

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მართლწინააღმდეგობას სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის წინაპირობად მიიჩნევს, გენერალური დელიქტური დათქმით - სკ-ის 992-ე მუხლი. მითითებული ნორმა აერთიანებს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 823 I, 823 II და 826-ე პარაგრაფების რეგულირების სფეროებს, კერძოდ, გენერალური დელიქტური დათქმა არა აბსოლუტურ სიკეთეებზე აპელირებაა, არამედ მართლწინააღმდეგობის განზოგადებული შემადგენლობა, თავის მხრივ, მართლწინააღმდეგობა სახეზე გვაქვს არა მხოლოდ მაშინ, როცა ქმედება წინააღმდეგობაშია კონკრეტულ ნორმასთან, არამედ აბსოლუტური სიკეთეების დაზიანებისას და გარდა ამისა, ზოგადად, სამართლებრივი ფასეულობებისა და პრინციპების ხელყოფისას.<sup>125</sup>

სამედიცინო მუშაკის ქცევა მართლწინააღმდეგოა, თუ პაციენტს ზიანი მიადგა არსებული სტანდარტების გვერდის ავლით განხორციელებული სამედიცინო მომსახურებით.<sup>126</sup> სამედიცინო მუშაკის ქცევის, როგორც მართლწინა-

<sup>123</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-979-940-2014.

<sup>124</sup> *Markesinis B., Unberath H., The German Law of Torts, A Comparative Treatise, 4th ed., 2002, P.79.*

<sup>125</sup> *რუსიაშვილი/ჰაგენლოხი*, ნორმის ანდა ხელშეკრულების მიზანს აცდენილი უფლების განხორციელების მცდელობა: უფლების ბოროტად გამოყენება და ზიანის ანაზღაურება, კრებულში: პროფ. ლადო ჭანტურიას 60

წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო გამოცემა, 2023, ქართულ-გერმანული შედარებითი სამართლის ჟურნალი 6/2023, 19. მეორეული პუბლიკაცია.

<sup>126</sup> *კვანტალიანი*, სამედიცინო მომსახურებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების კანონით დადგენილი წინაპირობების ასახვა ქართულ სასამართლო პრაქტიკაში, „ჩემი ადვოკატი“ №3. 2020.; *მონონელიძე ნ.*, სამედიცინო შეცდომის დადგენის პრობლემატიკა ექიმის პასუხისმგებლობის განსაზღვრის დროს, მართლმსაჯულება და კანონი, №3 (71), 2021, გვ.108.

ნაალმდეგო ქცევის კვალიფიკაციისას, აუცილებელია არასათანადო სამედიცინო დახმარების აღმოჩენის ფაქტის დადგენა.<sup>127</sup>

არასათანადო სამედიცინო მომსახურება ხასიათდება არა მხოლოდ დიაგნოსტიკური და სამკურნალო ჩარევების მეთოდურად და ტექნიკურად განხორციელებით, არამედ სამედიცინო დანიშნულებით დიაგნოსტიკური და სამკურნალო ღონისძიებების სავალდებულო მოცულობის შეუსრულებლობით, რომელიც ავადმყოფზე სათანადო დაკვირვებითა და მისი მოვლით უზრუნველყოფილი არ არის.<sup>128</sup> მართლსაწინააღმდეგო ქმედებად მიიჩნევა სამედიცინო დაწესებულების მიერ არასწორად განხორციელებული დიაგნოსტიკა და მკურნალობა, რამაც გამოიწვია ზიანი.<sup>129</sup> ამასთან, ზიანის მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედება მოიცავს არა მარტო მის აქტიურ მოქმედებებს, არამედ უმოქმედობასაც.<sup>130</sup> უზენაესი სასამართლო აღნიშნავს, რომ ზიანის მიმყენებლის პასუხისმგებლობა უნდა შემოიფარგლოს მის მიერ განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებით.<sup>131</sup>

#### ა) ინფორმირებული თანხმობა

„არ ავნო“ – „*primum non nocere*“ პრინციპი, ავალდებულებს სამედიცინო მომსახურების გამწვევს, რომ პაციენტს ზიანი არ მიაყენოს. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, სამედიცინო მომსახურების გამწვევა უნდა დაიცვას მედიცინაში დადგენილი სავალდებულო ქცევის სტანდარტი, რათა თავიდან იქნეს აცილებული უარყოფი-

თი შედეგი.<sup>132</sup> „არ ავნო“ პრინციპი ზიანის თავიდან არიდების მიზნით კრძალავს გაუმართლებელ ქმედებას.<sup>133</sup>

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად, ინფორმირებული თანხმობა არის პაციენტის, მისი ნათესავის ან კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა პაციენტისათვის საჭირო სამედიცინო ჩარევის ჩატარებაზე, მისი ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის ამ ჩარევასთან დაკავშირებული რისკის განმარტების შემდეგ. „ინფორმირებული თანხმობის ნამდვილობის წინაპირობაა სამედიცინო ჩარევაზე თანხმობის გაცხადება უფლებამოსილი პირის მიერ. ასეთად მიიჩნევა სრულწლოვანი, ქმედუნარიანი, გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარის მქონე პაციენტი. საწინააღმდეგოს დადასტურებამდე ივარაუდება, რომ ყველა ზრდასრულ ადამიანს აქვს ამის შესაძლებლობა.“<sup>134</sup>

ტერმინი „ინფორმირებული თანხმობა“ უკავშირდება გადაწყვეტილებას საქმეზე „*Salgo v. Leland Stanford, Jr. University Board of Trustees*“ (1957), სადაც ექიმის მიერ არ მოხდა პაციენტის ინფორმირება ქირურგიული ოპერაციის თანხმობის რისკზე, რომლის რეალიზებამ კიდურების დამბლა გამოიწვია. სასამართლომ განმარტა, რომ მკურნალობის ალტერნატივების ან მასთან დაკავშირებული რისკების პაციენტისთვის გამჟღავნება აუცილებელი ვალდებულება იყო ინფორმირებული თანხმობის მისაღებად.<sup>135</sup>

დელიქტურ სამართალშიც, „*volenti non fit iniuria*“ გამორიცხავს პაციენტის თანხმობის შემთხვევაში ექიმის მხრიდან ჩარევის მართლნი-

<sup>127</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-260-244-2014.

<sup>128</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-645-2019.

<sup>129</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-1124-1044-2017.

<sup>130</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-1800-2019.

<sup>131</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-260-244-2011.

<sup>132</sup> ჰაგენლოხი, პაციენტის ინფორმირება გერმანიაში, შედარებითი სამართლის ჟურნალი, 6/2023, გვ. 31 და შემდგ.

<sup>133</sup> გელაშვილი, პაციენტის უფლებები, თბილისი, 2024, გვ. 27-29.

<sup>134</sup> ლიპარტია/მეტრეველი, პაციენტის ინფორმირებული თანხმობა, როგორც პაციენტის ინფორმირებულობის ელემენტი, ადამიანის უფლებათა დაცვა და სახელმწიფოს დემოკრატიული ტრანსფორმაცია (სტატიათა კრებული), კორკელია კ., (რედ.), თბილისი, 2020, 157.

<sup>135</sup> *Salgo v. Leland Stanford Jr. Univ. Bd. Trustees*. 154 Cal. App. 1957, ხელმისაწვდომია: <https://law.justia.com/cases/california/court-of-appeal/2d/154/560.html>.

ნააღმდეგობას იმ პირობით, თუ თანხმობა გაცემულია ნებაყოფლობით, თავისუფლად და სათანადო ინფორმირების შედეგად.<sup>136</sup> აღსანიშნავია, რომ ფიზიკური მთლიანობის ეს დაცვა, რომელიც უკავშირდება ახსნა-განმარტების ვალდებულებას, ეფუძნება პაციენტის თვითგამორკვევის უფლების დაცვას, ამიტომ ბოლო ათწლეულების განმავლობაში სასამართლო პრაქტიკასა და დოქტრინაში ჯანმრთელობისა და სხეულის დაცვაზე ორიენტირებულმა ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებამ თვითგამორკვევის უფლების დაცვის უზრუნველყოფისკენ გადაინაცვლა.<sup>137</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, ინფორმირებული თანხმობის უფლება ექცევა კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ სფეროში. (ECHR, *Marckx v. Belgium*, No. 6833/74, 13.06.1979, 31). ინფორმირებული თანხმობის უფლების იგნორირებამ შეიძლება გამოიწვიოს პირადი ცხოვრების უფლების დარღვევასთან ერთად, როგორც კონვენციის მე-3 მუხლის, ასევე კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა იმ შემთხვევაში, თუ პირი გარდაიცვალა. (ECHR, *Altug and Others v. Turkey*, No. 32086/07, 30.06.2015).

„პაციენტს უნდა ჰქონდეს დრო, გაიაზროს მოსალოდნელი შედეგები, რისკები და ამის გათვალისწინებით მიიღოს გადაწყვეტილება, ოპერაციამდე, მოაწეროს თუ არა ხელი თანხმობის ფორმას. საკითხის ამგვარი გადაწყვეტა ემსახურება იმას, რომ ინფორმირებული თანხმობის გაცემა არ იქნეს დაყვანილი ტექნიკური წესების დაცვამდე, არამედ იგი მოიაზრებს პაციენტისათვის შინაარსობრივად მნიშვნელოვანი ინფორმაციის სრულად, მარტივად და გასაგებად მიწოდებას თავისუფალი გადაწყვეტილების მისაღებად.“<sup>138</sup>

პაციენტის ავტონომია – უფლება თავად განსაზღვროს მისთვის სამედიცინო დახმარების

აღმოჩენის ყველა საკითხი მოიცავს შესაძლებლობასაც, პირმა წინასწარ გადანყვიტოს, უგონო მდგომარეობაში აღმოჩენისას, ან გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარის დაკარგვის შემთხვევაში, როგორ მოექცნენ მის სხეულს. ამგვარად, წინასწარი ნების/მითითების მიზანია დაიცვას პაციენტის ავტონომია გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარის დაკარგვის შემთხვევაში.<sup>139</sup>

ერთ-ერთ საქმეში სასამართლომ დააკმაყოფილა პაციენტის მოთხოვნა არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ნაწილში, რაც დაეფუძნა ოპერაციის თანმდევი რისკის თაობაზე მოპასუხე კლინიკის მხრიდან არასრულ ინფორმირებას. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“, მოიცავს სპეციალურ თავს „თანხმობა“, რომელშიც დეტალურად არის განსაზღვრული სამედიცინო მომსახურების განევისას პაციენტის თანხმობის მიღების პირობები. ინფორმირებული თანხმობა სამედიცინო ეთიკის ერთ-ერთი პრინციპის – „პაციენტის ავტონომიის“ პატივისცემის რეალიზაციის მთავარი ინსტრუმენტია. „პაციენტის ავტონომია“ - ესაა პაციენტის უფლება დამოუკიდებლად განსაზღვროს მისთვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის საკითხი. აუცილებელია, ინფორმირებული თანხმობა წინ უსწრებდეს ნებისმიერ ჩარევას სამედიცინო მომსახურების განევისას და ბიოსამედიცინო კვლევის წარმოებისას; იყოს თავისუფალი (გამორიცხული უნდა იყოს ნებისმიერი სახის ზეწოლა); იყოს გააზრებული, რისთვისაც პაციენტს ან კვლევის სუბიექტს წინასწარ უნდა მიეწოდოს ინფორმაცია ჩარევის შესახებ. (იხ. დამატებით: ქირურგიული ჩარევის შესახებ ინფორმირებული თანხმობა, ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია, #3, 2017, 103-105.) ინფორმირებული თანხმობა წინ უძღვის სამედიცინო მომსახურებას. ინფორმირებული

<sup>136</sup> გელაშვილი, პაციენტის უფლებები, თბილისი, 2024, გვ. 37.

<sup>137</sup> ჰაგენლოხი, პაციენტის ინფორმირება გერმანიაში, სამედიცინო სამართლისა და მენეჯმენტის ჟურნალი, №2, 2023, გვ. 3.

<sup>138</sup> ბიჭია, ინფორმირებული თანხმობის გაცემის ოქროს წესები ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, ადამიანის უფლებათა დაცვა: საერთაშორისო და ეროვნული გამოცდილება, კორკელია კ. (რედ.), თბილისი, 2022, გვ. 193.

<sup>139</sup> გელაშვილი, პაციენტის უფლებები, თბილისი, 2024, გვ. 107.

თანხმობა გულისხმობს, რომ პაციენტი ან მისი კანონიერი წარმომადგენელი უნდა ფლობდეს სრულ ინფორმაციას ყველა შესაძლო (როგორც სახარბიელო, ისე არასახარბიელო) გამოსავლის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტულ სამედიცინო მანიპულაციასთან, იმისათვის, რომ პაციენტმა ან მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება. (იხ. დამატებით: ადამიანის უფლებები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, პრაქტიკული სახელმძღვანელო იურისტებისათვის ავტორთა კოლექტივი, ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“). „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველო კანონის მე-18 მუხლის თანახმად, პაციენტს უფლება აქვს, სამედიცინო მომსახურების გამწვევისაგან მიიღოს სრული, ობიექტური, დროული და გასაგები ინფორმაცია. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საერთაშორისო სტანდარტი გულისხმობს კლინიკის ვალდებულებას, მიაწოდოს პაციენტს ობიექტური და შინაარსობრივად ამომწურავი ცნობები, რომელიც ჩამოყალიბებულია აღქმადი, გასაგები და მისაღები ფორმით. პაციენტის აღნიშნული უფლება დაცულია არაერთი საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტით, როგორცაა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია (მე-8 მუხლი), ასევე, „ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენცია (მე-5 მუხლი), პაციენტის ინფორმირებული თანხმობა არ განიხილება, როგორც უბრალო ნების გამოვლენა, არამედ როგორც პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს პაციენტის შესაძლებლობას, გააკეთოს ნებაყოფლობითი და გაცნობიერებული არჩევანი დაგეგმილი სამედიცინო ჩარევის თაობაზე. ამავდროულად, მტკიცების ტვირთი ინფორმაციისა და განმარტების ვალდებულების სრულფასოვან შესრულებაზე, ეკისრება კლინიკას. სწორედ მის ხელთ არის ბერკეტი იმისა, რომ შექმნას სარწმუნო მტკიცებულებები ინფორმირების ვალდებულების შესრულების დასადასტურებლად. ადამიანის/პაციენტის თვითგამორკვევის უფლებიდან გამომდინარე

კლინიკა ვალდებულია პაციენტს აცნობოს ყველა იმ არსებითი ფაქტის შესახებ, რაც აუცილებელია ამ უკანასკნელის თანხმობის მისაღებად, რადგან მხოლოდ ინფორმირებულ პაციენტს შეუძლია გადამწყვიტოს, ჩარევას დაექვემდებაროს თუ არა და ამაზე თანხმობის გაცემა სურს თუ არა. (იხ., დამატებით: ფ. ბაქრაძე, „მტკიცების ტვირთის განაწილება სამედიცინო დავებში“, სამართლის მიმოხილვა N3, 2018, 89). განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი პაციენტის თანხმობის კვლევის შედეგად მიიჩნია, რომ იგი ძალიან ზოგადი ხასიათისაა. მოსარჩელის აპელირება მასზედ, რომ თანხმობაზე ხელი ოპერაციამდე რამდენიმე საათით ადრე მოაწერა და მანამდე მისთვის თანხმობის შესახებ დეტალური ინფორმაცია არავის მიუწოდებია, საქმეში წარდგენილი სხვა საპირწონე მტკიცებულებებით გაქარწყლებული არ არის. **(სამედიცინო დახმარების ხელშეკრულება, პაციენტის თანხმობა და ქირურგიული ოპერაცია, სამივე მოქმედება განხორციელებულია ერთ დღეს)** აღნიშნული კი, შეიძლება შეფასდეს, როგორც არასტაბილურ ფსიქოემოციურ ფონზე დოკუმენტზე ხელის მოწერა, მაშინ როდესაც მოსარჩელე ოპერაციისთვის ემზადებოდა და მისი გონივრული განსჯის შესაძლებლობა არ შეესაბამებოდა ჩვეულებრივ არასტრესულ მდგომარეობაში მყოფი პირის გონივრული განსჯის სტანდარტს. რაც შეეხება პაციენტის ინფორმირებული თანხმობის არარსებობის გამო, მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სკ-ის 413-ე მუხლის ფართო განმარტებით, პაციენტის ინფორმირებულობის სტანდარტის იმგვარი დარღვევა, რომელმაც შესაძლებელია ჯანმრთელობას ავნოს, მორალური ზიანის ანაზღაურების წინაპირობაც შეიძლება გახდეს.<sup>140</sup>

ერთ-ერთი საქმის მიხედვით მოსარჩელეს მოპასუხე კლინიკაში ჩაუტარდა ოპერაცია. ოპერაციის შემდგომ განვითარდა ჰემორაგიული გართულება – ნაოპერაციები არკოტომიების მიდამოში ეპიდურული და ინტრაკანალური

<sup>140</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-645-2019.

ჰემატომები, რამაც გამოიწვია ქვედა კიდურების პარაპლეგია (ქვედა კიდურების მგრძობლობის დაკარგვა). მოსარჩელემ ოპერაციის დღეს ხელი მოაწერა მოპასუხე კლინიკის მიერ გადაცემულ დოკუმენტს – პაციენტის წერილობით ინფორმირებულ თანხმობას სამედიცინო მომსახურების განევაზე, სადაც მითითებულია განუთქმული სამედიცინო დახმარების მოსალოდნელი გართულებები, ჯანმრთელობისა და სიცოცხლის რისკების შესახებ, ასევე აღნიშნულია, რომ გართულება შეიძლება გამოიხატოს ტერფში სენსორული და მოტორული დეფიციტის ჩამოყალიბებაში. **წერილობით თანხმობაში არ არის მითითებული, რომ ოპერაციას შეეძლო გამოეწვია ქვედა კიდურების პარაპლეგია, რაც მას ოპერაციის შემდეგ დაემართა.** მოსარჩელეს ესაჭიროება რეაბილიტაციური მკურნალობა, განმეორებითი კურსის ჩატარების საფასური კი ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით 19 180.50 აშშ დოლარს შეადგენს, რომლის გადახდის საშუალებაც მას არ გააჩნია. მოსარჩელემ მოპასუხე კლინიკისაგან მოითხოვა, როგორც მატერიალური, ისე მორალური ზიანის ანაზღაურება. **სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხე კლინიკის მხრიდან ადგილი ჰქონდა სამედიცინო დაუდევრობას, რაც განსახილველ შემთხვევაში გამოხატული იყო პაციენტის ინფორმირებული თანხმობის დარღვევაში.** ამასთან, დადგენილია, რომ პაციენტის მიმდინარე მდგომარეობა, მიუხედავად ჩატარებული ინტენსიური რეაბილიტაციური ღონისძიებებისა, გაუარესებულია ოპერაციამდელ მდგომარეობასთან შედარებით. სასამართლომ აღნიშნა, რომ სამართლის მიერ დაცულ ერთ-ერთ სიკეთეს, რომლის ხელყოფის შედეგად დაზარალებულმა შეიძლება მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანის გამო ანაზღაურება, წარმოადგენს ადამიანის ჯანმრთელობა. სხეულის დაზიანება ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენება ადამიანის სიცოცხლის იმგვარი ხელყოფაა, რომელიც დაზარალებულს არასრულფასოვნად და ზოგ შემთხვევაში, არაპრომისუნარიანად აქცევს, სხეულის და/ან ჯანმრთელობის ხელყოფით გამოწვეული მორალური ზიანი უშუალოდ სამართალდარღვევიდან შეიძლება არც გამომდინარეობდეს,

არამედ მისი თანმდევი შედეგი იყოს (როგორცაა უშედეგო მკურნალობა, ხანგრძლივი უმწეო მდგომარეობა, აქტიური ცხოვრების შეუძლებლობა, ცხოვრების წესისა და რითმის შეცვლა, მკურნალობის უშედეგობის გამო ცხოვრების ხალისის დაქვეითება, ნერვული დაძაბულობა, რაც პირს არასრულფასოვნების კომპლექსსა თუ სხვა ნეგატიურ განცდებს უყალიბებს), თუმცა, ასეთ დროს სავალდებულოა, დასტურდებოდეს, რომ დაზარალებულის მორალური განცდები და სულიერი ტანჯვა სხეულისა თუ ჯანმრთელობის ხელყოფის შედეგია. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელემ ხელი მოაწერა მოპასუხის მიერ გადაცემულ დოკუმენტს – პაციენტის წერილობით ინფორმირებულ თანხმობას სამედიცინო მომსახურების განევაზე, თუმცა არსად არის მითითებული, რომ ოპერაციას შეეძლო გამოეწვია ქვედა კიდურების პარაპლეგია, რაც მას დაემართა ოპერაციის შემდეგ. მოპასუხემ სათანადო მტკიცებულებებზე მითითებით, ვერ დაადასტურა მისი მტკიცების საგანში შემავალი გარემოება, რომ მოსარჩელე ინფორმირებული იყო იმ შესაძლო გართულების შესახებ, რაც ოპერაციის შემდეგ განუვითარდა. პაციენტის ინფორმირებულობის სტანდარტის იმგვარი დარღვევა, რომელმაც შესაძლებელია მის ჯანმრთელობას ავნოს, მორალური ზიანის ანაზღაურების წინაპირობაც შეიძლება გახდეს. სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღო შექმნილი მდგომარეობა – ოპერაცია, ოპერაციის შემდგომი გართულება – პარაპლეგია, რომლის აღმოსაფხვრელად აუცილებელი გახდა კვლავ საოპერაციო ჩარევა/რეოპერაცია, რაც ობიექტური, საშუალო განვითარების მომხმარებლის – მესამე პირის გადასახედიდანაც თავისთავად მიუთითებს მძაფრი ტკივილის გამოწვევის თაობაზე ფაქტობრივი გარემოების სარწმუნოობაზე. ფიზიკური ტკივილი და დისკომფორტი, ასოცირდება უარყოფით განცდებთან, ამგვარი მდგომარეობით გამოწვეულ ნეგატიურ პროცესებთან. ამდენად, სამართლიანობისა და გონივრულობის კრიტერიუმის, მორალური ზიანის ფუნქციისა და მისი პრევენციული ბუნების გათვალისწინებით, სასამართლომ დაასკვნა, რომ მო-

სარჩელისათვის მიყენებული მორალური ზიანის საკომპენსაციოდ, მოპასუხეს უნდა დაკისრებოდა 5 000 ლარის გადახდა.<sup>141</sup>

მაშასადამე, როცა სახეზეა ჯანმრთელობის დაზიანება, მორალური ზიანის არსებობაც ნავარაუდევია, რაც შეეხება არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას სხვა პირადი უფლებების დარღვევის შემთხვევაში, მაგალითად, ინფორმირებული თანხმობის წესის დარღვევისას, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება დარღვევის ხასიათს, თუ დარღვეულია ტექნიკური ხასიათის ან დოკუმენტაციის წარმოების ისეთი მოთხოვნები, რომელიც თვითგამორკვევის უფლებაზე გავლენას ვერ მოახდენდა, მაშინ ეს გამოიწვევს სამედიცინო დაწესებულების ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას. პაციენტისათვის არჩევანის თავისუფლების შეზღუდვის/წართმევის ფაქტი არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას წარმოშობს დამატებითი მტკიცებულებების გარეშეც, ვინაიდან ექიმის მიერ პაციენტისათვის საკუთარ სხეულზე გადამწყვეტილების მიღების თავისუფლების უგულებელყოფა ლახავს მის ღირსებას. ზიანის მტკიცებას არ საჭიროებს და პრეზუმირებულია არაქონებრივი ზიანის არსებობა კონფიდენციალობის უფლების დარღვევის შემთხვევაშიც, თუმცა ცალკეულმა გარემოებებმა, ხელყოფის ხარისხმა, შედეგის სიმძიმემ და ა.შ. შეიძლება გავლენა მოახდინოს ანაზღაურების ოდენობაზე.<sup>142</sup>

როგორც წესი, ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში სხეულისა და ჯანმრთელობის დაზიანებისას მორალური ზიანის ოდენობა უმეტესად 5 000 ლარით განისაზღვრება,<sup>143</sup> თუმცა ისეთ შემთხვევაში, როცა პაციენტს მოპასუხე კლინიკაში ორი უშედეგო ოპერაციის შემდეგ კვლავ ესაჭიროებოდა დამატებითი ქირურგიული ჩარევა და რთული რეაბილიტაცია, სასამართლომ არაქონებრივი ზიანი 50 000 ლარის ოდენობით განსაზღვრა,<sup>144</sup> ხოლო განსაკუთრებით მძიმე შედეგის დადგომისას, როცა ინფორმირებული

თანხმობის წესის დარღვევით ჩატარებულმა B ჰეპატიტის სანიანალმდეგო პროფილაქტიკურმა აცრამ ბავშვის კიდურების დამბლა გამოიწვია, სასამართლომ მოპასუხეს არაქონებრივი ზიანის ასანაზღაურებლად 75 000 ლარის გადახდა დააკისრა.<sup>145</sup>

## ბ) სამკურნალო მიზნით ჩარევისას ინფორმირებული თანხმობის პრობლემა

ერთ-ერთ საქმეზე მოსარჩელემ სარჩელით მიმართა სასამართლოს მოპასუხე სამედიცინო კლინიკისა და მკურნალი ექიმის წინააღმდეგ და მოითხოვა მორალური ზიანის სახით 10 000 ლარის მოპასუხეებისათვის სოლიდარულად დაკისრება. სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა შემდეგ გარემოებათა გამო: დადგენილია, რომ მოსარჩელეს დაეჯახა ავტომანქანა. შეჯახების შედეგად მოსარჩელემ მიიღო ტრავმები და დაკარგა გონება. იგი უგონო მდგომარეობაში მიიყვანეს მოპასუხე კლინიკაში. პაციენტს, სასიცოცხლო ჩვენებით, მუცლის ღრუს ორგანოთა ტრავმული დაზიანებისა და ჰემოპერიტონეუმის არსებობის გამო, გაუკეთდა ოპერაცია. პოსტოპერაციული პერიოდი მიმდინარეობდა მძიმედ, სიმძიმეს განაპირობებდა შოკი, გამოწვეული მრავლობითი ტრავმითა და სისხლის დიდი რაოდენობით დანაკარგით, რასაც ადასტურებდა კლინიკური და ლაბორატორიული მონაცემები და რის გამოც საჭირო გახდა სასიცოცხლო ჩვენებებით ჰემოტრანსფუზია. ვინაიდან მოცემულ ეტაპზე პაციენტის წარმომადგენლის (შვილის) მიერ გაცხადებული იყო წერილობითი უარი სისხლის გადასხმაზე, შესაბამისად, აღნიშნული ჩარევისაგან იმ ეტაპზე თავი იქნა შეკავებული. მდგომარეობა რჩებოდა მძიმე, განპირობებული მრავლობითი ტრავმით, ტრავმულ-ჰემორაგიული შოკით, რჩებოდა ანემია, ჰემოგლობინის მაჩვენებლის კლებადი დინამიკით, ჰემოდინამიკის სტაბილიზაციისთვის

<sup>141</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-253-2021.

<sup>142</sup> გელაშვილი, პაციენტის უფლებები, თბილისი, 2024, გვ. 190.

<sup>143</sup> სუსგ-ები: № ას-1046-966-2017, 20 ივლისი, 2018 წ.; № ას-253-2021, 11 ივნისი, 2021 წ.

<sup>144</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-613-2023.

<sup>145</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 08 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე № ბს-972-936-9 (3კ-08).

საჭიროებდა ადრენომიმეტურ მხარდაჭერას. პაციენტის მეუღლემ, რელიგიური თვალსაზრისით უარი განაცხადა სისხლის პრეპარატების გადასხმაზე, თუმცა პაციენტის დისგან მიღებული იქნა წერილობითი თანხმობა. სასამართლომ უდავოდ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე იეჰოვას მოწმეების მიმდევარი ქრისტიანია. ამ რელიგიით იეჰოვას მოწმეთა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დანაწესია, რომ ისინი უნდა მოერიდონ სხვისი სისხლის მიღებას, მათ შორის - სისხლის გადასხმას, რასაც მოსარჩელე იზიარებდა და იზიარებს. მოსარჩელის განმარტებით, მას სისხლის გადასხმით მკურნალობის მიმართ წინასწარ ჰქონდა ნება გამოვლენილი და სამედიცინო მანიპულაციის წინააღმდეგი იყო. შესაბამისად, მიუხედავად შედეგისა, მოსარჩელისთვის სისხლი არ უნდა გადაესხათ. **საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, წინამდებარე დავის სწორად გადაწყვეტისათვის, პირველ რიგში, შესაფასებელია საკითხი, დაირღვა თუ არა მემბრანის მხრიდან პაციენტისათვის სისხლის გადასხმით ამ უკანასკნელის პირადი ცხოვრების, თვითგამორკვევისა და ავტონომიის უფლება**, რისთვისაც აუცილებელია, დადგინდეს ზღვარი პაციენტის ნების ავტონომიასა და ექიმის/სამედიცინო დანებებულების მხრიდან პაციენტის სიცოცხლის გადარჩენის ვალდებულებას შორის. **საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ასეთ შემთხვევაში, სასამართლოსთვის ამოსავალი წერტილია, პაციენტის ავტონომიურ უფლებასა და გადაუდებელ სამედიცინო შემთხვევაში, სამედიცინო სფეროს წარმომადგენელთა ვალდებულებას შორის ბალანსის დაცვა.** საგულისხმოა, თუ რას უნდა მიენიჭოს უპირატესობა მსგავსად კრიტიკულად მძიმე და გადაუდებელ შემთხვევაში, უგონოდ მყოფი პაციენტის წინასწარ, ავტოსაგზაო შემთხვევამდე რამდენიმე წლით ადრე გაცხადებულ ნებას (სისხლის გადასხმის წინააღმდეგობის თაობაზე), თუ – პაციენტის მკურნალი ექიმების დასკვნასა და მათ ერთობლივ რეკომენდაციას მისი სიცოცხლის გადარჩენის მოტივით ჰემოტრანსფუზიის აუცილებლობაზე. საკითხის დელიკატური და სენსიტიური ბუნებიდან გამომდინარე, მხედველობაშია მისა-

ღები, როგორც სამართლებრივი, ისე სამედიცინო და ეთიკური ასპექტები. საქმეზე დადგენილია, რომ პაციენტის კრიტიკულად მძიმე მდგომარეობის გამო, ექიმთა კონსილიუმმა სასიცოცხლოდ აუცილებლად მიიჩნია ჰემოტრანსფუზია. პაციენტის მეუღლემ და შვილებმა რელიგიური მრწამსიდან გამომდინარე უარი განაცხადეს სისხლის გადასხმაზე, **პაციენტის დამკვირვებელიც ასევე იეჰოვას მოწმეა, წერილობით ინფორმირებული თანხმობა განაცხადა ჰემოტრანსფუზიაზე.** პაციენტის დისგან გაცხადებული წერილობითი თანხმობის შემდეგ მოსარჩელეს ჰემოტრანსფუზია რამდენჯერმე ჩაუტარდა. ჩატარებული მკურნალობის შედეგად, მოსარჩელის მდგომარეობა გაუმჯობესდა, დასტაბილურდა და იგი გაენერა კლინიკიდან. პაციენტისათვის თანამოსახელე ერთორციტული მასის ტრანსფუზია წარმოადგენდა სასიცოცხლო ჩვენებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ანემიისა და ქსოვილების ჟანგბადით მომარაგების მწვავე დეფიციტის გამო განვითარებულ შეუქცევად ცვლილებებს შესაძლებელია გამოეწვივა ავადმყოფის სიკვდილი. „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 22 I მუხლის შესაბამისად, სამედიცინო მომსახურების განევის აუცილებელი პირობაა პაციენტის, ხოლო მისი მცირეწლოვანების ან მის მიერ გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების შეუძლებლობის შემთხვევაში – პაციენტის ნათესავის ან კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებული თანხმობის მიღება. ინფორმირებული თანხმობის მიღება წინ უძღვის სამედიცინო მომსახურების განევის. „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 38 I „ბ“ მუხლის თანახმად, დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტი პროფესიული მოვალეობის აღსრულებისას უნდა ხელმძღვანელობდეს მხოლოდ პროფესიული სტანდარტებით, ჰუმანიზმის პრინციპებით, საქართველოს კანონმდებლობით, პატივს სცემდეს პაციენტის ღირსებას, აღმსარებლობასა და ტრადიციებს. ამავე კანონის 45 III მუხლის მიხედვით, თუ არსებობს მცირეწლოვანი ან გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარის არმქონე პაციენტის სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობა, რის გა-

მოც აუცილებელია მისთვის გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების განწევა, მაგრამ პაციენტის ნათესავი ან კანონიერი წარმომადგენელი სამედიცინო მომსახურების განწევის წინააღმდეგია, დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტი სამედიცინო მომსახურების განწევის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პაციენტის ჯანმრთელობის ინტერესების გათვალისწინებით. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-8 მუხლის დაცულ სფეროში ექცევა ადამიანის პირადი ცხოვრების ასპექტი, რაც თავის მხრივ წარმოადგენს ფართო სფეროს, რომელიც, მათ შორის, მოიცავს პირის პერსონალურ ავტონომიას, რომლის ფარგლებშიც მას შეუძლია თავისუფლად წარმართოს თავისი პიროვნების განვითარება, დაამყაროს და განავითაროს ურთიერთობები სხვა ადამიანებთან და გარესამყაროსთან (იხ. *Evans v. the United Kingdom* [GC], no. 6339/05, § 71, ECHR 2007-IV; *Sidabras and Džiautas v. Lithuania*, nos. 55480/00 და 59330/00, §§ 42-50, ECHR 2004-VIII; და *Niemietz v. Germany*, 16 დეკემბერი 1992, § 29, სერია A no. 251-B). საკასაციო სასამართლომ განმარტა: *მრავალი რელიგიის საერთო მახასიათებელია, რომ ისინი განსაზღვრავენ ქცევის დოქტრინალურ სტანდარტებს, რომლებიც მათმა მიმდევრებმა უნდა დაიცვან პირად ცხოვრებაში. რელიგიური წესები, რაც არეგულირებს მიმდევრების ქცევას პირად ცხოვრებაში, მოიცავს, მაგალითად, საეკლესიო მსახურებებზე რეგულარულ დასწრებას, გარკვეული რიტუალების შესრულებას, როგორცაა ზიარება ან აღსარება, რელიგიური დღესასწაულების დაცვა ან სამუშაოსგან თავის შეკავება კვირის კონკრეტულ დღეებში* (იხ. *Casimiro and Ferreira v. Luxembourg* (განჩინება), no. 44888/98, 27 აპრილი 1999, და *Konttinen v. Finland*, no. 24949/94, კომისიის 1996 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილება), სპეციალური ტანისამოსის ტარებას (იხ. *Leyla Şahin v. Turkey* [დიდი პალატა], no. 44774/98, § 78, ECHR 2005-XI, და *Phull v. France* (განჩინება), no. 35753/03, 11 იანვარი 2005), კვებით შეზღუდვებს (იხ. *Cha'are Shalom Ve Tsedek v. France* [დიდი პალატა],

no. 27417/95, § 73, ECHR 2000-VII), და *მრავალი სხვა*. იეჰოვას მოწმეებისთვის სისხლის გადასხმა წარმოადგენს რა, მათი რწმენისთვის მიუღებელ სამედიცინო პროცედურას, არის ზემოხსენებული ქცევის დოქტრინალური სტანდარტი, რასაც ისინი იცავენ პირად ცხოვრებაში, შესაბამისად, იგი ექცევა ევრო კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ სფეროში. **პაციენტის (მოსარჩელის) პერსონალურ ავტონომიაში ჩარევის ლეგიტიმურობის შესამოწმებლად საკასაციო პალატამ ყურადღება მიაქცია შემდეგ საკითხებს:** 1. საკითხის მაღალი ეთიკური და სენსიტიური სამართლებრივი კონტექსტიდან გამომდინარე, რამდენად შეიძლება დროის ფაქტორმა წარმოშვას ეჭვი ნების ვალიდურობასთან დაკავშირებით და, ასევე, რა როლი შეიძლება ჰქონდეს ნების გამოვლენის ფორმას; 2. როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი უგონოდ მყოფი პაციენტის ნათესავების ან/და წარმომადგენელთა შორის აზრთა სხვადასხვაობის დროს. ამ კუთხით, ყურადსაღებია, სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე მყოფი პაციენტის მკურნალობასთან დაკავშირებული სამედიცინო გადაწყვეტილების მიღების პროცესის შესახებ ევროპის საბჭოს ბიოეთიკის კომიტეტის მიერ შემუშავებული გზამკვლევი, რომლის მიხედვით, იმ ქვეყნებშიც კი სადაც წინასწარი ნების გამოვლენას სამართლებრივად სავალდებულო ძალა გააჩნია, არსებობს ფართო თანხმობა იმ კონკრეტული მიზეზების შესახებ, რომელიც ექიმს უფლებას აძლევს არ დაემორჩილოს, არ გაითვალისწინოს პაციენტის სურვილები. მაგალითად, როდესაც ასეთი ნება/სურვილი გამოხატულია ქმედუუნარობის დადგომამდე **რამდენიმე წლით ადრე** ან როდესაც ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან სამედიცინო პროგრესს წინასწარი დირექტივების შედგენის შემდეგ, რასაც პირდაპირი გავლენა აქვს მათ შინაარსზე (Guide on the decision-making process regarding medical treatment in end-of-life situations, p. 20, COE). **წინამდებარე დავის გადაწყვეტისათვის ერთ-ერთი საკვანძო საკითხია ასევე პაციენტის ახლო ნათესავებს შორის სისხლის გადასხმასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობის არსებობა.** სახელდობრ, უდავო გარემოებაა, რომ მოსარჩე-



ლის მეუღლე და შვილები კონკრეტულ შემთხვევაში, ეწინააღმდეგებოდნენ სისხლის გადასხმას, ხოლო დამ, რომელიც ასევე იეჰოვას მოწმეა, კრიტიკულ მომენტში, ექიმთა კონსილიუმის დასკვნის გათვალისწინებით, წერილობითი თანხმობა განაცხადა ჰემოტრანსფუზიაზე, მითითებით „და გადავირჩინეთ და ღმერთი ყველაფერს გვაპატიებს“. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ როდესაც წყდება ისეთი მაღალი ინტერესის დაცვის საკითხი, როგორც არის ადამიანის სიცოცხლე, შესაბამისი ნების გამოვლენის საეჭვოობისას და ოჯახის წევრთა მოსაზრებების კოლიზიისას, სამედიცინო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას უგონოდ მყოფი პაციენტის სიცოცხლის გადარჩენის სასარგებლოდ. გადაუდებელ შემთხვევაში, მაშინ, როდესაც, ჰემოტრანსფუზია უალტერნატივოა პაციენტის სიცოცხლის შესანარჩუნებლად, ამის შესახებ არსებობს ექიმთა კონსილიუმის დასკვნა და არსებულ ვითარებაში შეუძლებელია პაციენტის ნების გამოვლენა, მრავალ მოწინააღმდეგეთა შორის, თუნდაც ერთი ნათესავი, აცხადებდეს თანხმობას პაციენტისათვის სისხლის გადასხმაზე, იგი უნდა განხორციელდეს, ანუ, საკითხი უნდა გადაწყდეს პაციენტის ჯანმრთელობის საუკეთესო ინტერესების სასარგებლოდ. ამასთან, იმ პირობებში, როდესაც, პაციენტის დას თანხმობა ჰქონდა გაცხადებული სისხლის გადასხმაზე და ექიმთა კონსილიუმის დასკვნის თანხმობადაც, ჰემოტრანსფუზია უალტერნატივო იყო მოსარჩელის სიცოცხლის შესანარჩუნებლად, მედპერსონალს არ ჰქონდა სხვა არჩევანი, გარდა იმისა, რომ ემოქმედა თავისი საქმიანობის ძირითადი ვალდებულების შესაბამისად და ყველა ღონე ეხმარა, პაციენტის გადასარჩენად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, მოპასუხეთა მიერ პაციენტის სამედიცინო მდგომარეობის შესაბამისი/ადეკვატური მკურნალობის შედეგად, პაციენტის სიცოცხლის გადარჩენის მთავარი მიზანი მიღწეული იქნა. საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ მკურნალობის თავდაპირველ ეტაპზე, მედპერსონალის მხრიდან თავი იქნა შეკავებული მოსარჩელისთვის

სისხლის გადასხმაზე მიუხედავად საჭიროებისა, პაციენტის ნათესავების მიერ კლინიკისათვის მოსარჩელის აღმსარებლობისა და მკურნალობის კონკრეტული მეთოდის („არა სისხლი“) აკრძალვის შესახებ მიწოდებული ზეპირი ინფორმაციისა და ბარათის საფუძველზე. მოსარჩელეს სისხლი გადაესხა მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ჰემოტრანსფუზია გახდა კრიტიკულად აუცილებელი, რომლის განუხორციელებლობა მაღალი ალბათობით პაციენტის სიკვდილს გამოიწვევდა. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ წინასწარი ნების გამოვლენის ინსტიტუტი აღიარებულია როგორც საერთაშორისო სამართლის ინსტრუმენტებით, ასევე სასამართლო პრაქტიკით. კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით პაციენტის წინასწარი ნების პატივისცემა და მასთან დაკავშირებული სტანდარტები დადგენილია სხვადასხვა საქმეებში მათ შორის ყველაზე ავტორიტეტულია: *Pretty v. the United Kingdom*, no. [2346/02](#), § 61-67 et seq., ECHR 2002-III; *JEHOVAH'S WITNESSES OF MOSCOW AND OTHERS v. RUSSIA*, საჩივარი no. [302/02](#), § 135-136, 10 ივლისი 2010; ასევე იხ. კონვენცია ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ, მე-9, ადრე გამოხატული ნება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სახელმძღვანელო პრინციპს წარმოადგენს, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელია ურთიერთსაპირისპირო ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსის დაცვა. წინამდებარე საქმეში, ერთი მხრივ, წარმოდგენილია სახელმწიფოს ვალდებულება დაიცვას და პატივი სცეს პირის პირადი ავტონომიის უფლებას, ხოლო მეორე მხრივ, უზრუნველყოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხები და მიიღოს შესაბამისი ზომები პირთა სიცოცხლის გადასარჩენად და მათი ჯანმრთელობის დასაცავად. პაციენტის უარი პოტენციურად სიცოცხლის შემანარჩუნებელ სამედიცინო მკურნალობაზე რელიგიური საფუძვლით თავისთავად რთულ სამართლებრივ პრობლემას წარმოადგენს (იხ. *Jehovah's Witnesses of Moscow and Others v. Russia*, no. [302/02](#), 2010, § 134). ასეთ შემთხვევაში, ეროვნულ ხელისუფლებას და, მით უმეტეს, სასამართლოს ბენვის ხიდზე უნევს გავლა,

რამდენადაც საქმე ეხება საკითხს, რომელიც თავისი სამართლებრივი და ფაქტობრივი შინა-რსით უკავშირდება მაღალ ეთიკურ და სენსიტიურ სამართლებრივ პრობლემას, ხოლო ასეთ დროს დემოკრატიული საზოგადოების პირდაპირი მოთხოვნაა, რომ სასამართლოებმა ქირურგიული სიზუსტით გაავლონ ზღვარი და დაამყარონ ბალანსი ურთიერთსაპირისპირო ინტერესებს შორის. ხელშემკვრელ სახელმწიფოებს ეკისრებათ პოზიტიური ვალდებულება, კონვენციის შესაბამისი დებულებების, განსაკუთრებით მე-2 და მე-8 მუხლების მიხედვით, მიიღონ შესაბამისი ზომები მათი იურისდიქციის ფარგლებში მყოფთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დასაცავად (იხ. VAVŘIČKA AND OTHERS v. THE CZECH REPUBLIC, nos. 47621/13 and 5 others, 08/04/2021, § 281; L.C.B. v. the United Kingdom, 9 ივნისი 1998, § 36, Reports of Judgments and Decisions 1998-III; Budayeva and Others v. Russia, nos. 15339/02 and 4 others, §§ 128-30, ECHR 2008 (ამონარიდები); Furdík v. Slovakia (dec.), no. 42994/05, 2 დეკემბერი 2008, დამატებითი მითითებებით; Hristozov and Others, §§ 106 და 116; Ibrahim Keskin v. Turkey, no. 10491/12, § 62, 27 მარტი 2018; და Kotilainen and Others v. Finland, no. 62439/12, §§ 78 et seq., 17 სექტემბერი 2020). **საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ სფეროში ჩარევა მიიჩნევა დარღვევად, თუ იგი არ არის კანონით განსაზღვრული, არ ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს და არ არის აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში. რათა შეფასდეს იყო თუ არა ჩარევა „აუცილებელი“, სასამართლო ითვალისწინებს შეფასების ზღვარს, რომელიც რჩება სახელმწიფო ხელისუფლებას, თუმცა სახელმწიფოს მოვალეობაა აჩვენოს ჩარევის მიღმა არსებული მწვავე სოციალური საჭიროება** (იხ. Paradiso and Campanelli v. Italy [დიდი პალატა], § 179; Parrillo v. Italy [დიდი პალატა], no. 46470/11, § 168, ECHR 2015; S.H. and Others v. Austria, § 91; და K. and T. v. Finland, § 154). შეფასების გარკვეული ზღვარი ეძლევა ეროვნულ ხელისუფლებას. მისი ზომა დამოკი-

დებულია კონკრეტული შემთხვევის მიერ ნაკარნახევ რიგ ფაქტორებზე. ზღვარი იქნება შედარებით ვიწრო, როდესაც სასწორზე დადებული უფლება გადამწყვეტია ინდივიდის ინტიმური ან ძირითადი უფლებებით ეფექტური სარგებლობისთვის. როდესაც საქმე ეხება ინდივიდის არსებობას ან იდენტობის განსაკუთრებით მნიშვნელოვან ასპექტს, სახელმწიფოსთვის დაშვებული ზღვარი ასევე შეზღუდულია. როდესაც კონვენციის ხელშემკვრელ მხარეებს შორის არ არის კონსენსუსი, როგორც სასწორზე არსებული შედარებითი ინტერესების მნიშვნელობასთან, ასევე, მისი დაცვის საუკეთესო საშუალებების შესახებ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება მგრძობიარე მორალურ ან ეთიკურ საკითხებს, ზღვარი უფრო ფართო იქნება (იხ. Vavřicka and Others v. the Czech Republic [დიდი პალატა], §§ 273). ჯანდაცვის პოლიტიკის საკითხები, პრინციპში, ექვემდებარება ეროვნული ხელისუფლების თავისუფალი შეფასების ფარგლებს, რომლებიც საუკეთესო პოზიციაში იმყოფებიან პრიორიტეტების, რესურსების გამოყენებისა და სოციალური საჭიროებების შესაფასებლად (იხ. Vavřicka and Others v. the Czech Republic [დიდი პალატა], §§ 274; Hristozov and Others v. Bulgaria, nos. 47039/11 and 358/12, § 119, ECHR 2012 (ამონარიდები)). მოპასუხე სახელმწიფოს შეფასების ზღვარი, როგორც წესი, ფართო იქნება, თუ მას მოეთხოვება ბალანსის დამყარება კონკურენტ კერძო და საჯარო ინტერესებს ან კონვენციურ უფლებებს შორის (იხ. Evans v. the United Kingdom [დიდი პალატა], no. 6339/05, § 77, ECHR 2007-I; Vavřicka and Others v. the Czech Republic [დიდი პალატა], §§ 275). ჩარევა ჩაითვლება „აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში“ ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, თუ ის პასუხობს „მწვავე სოციალურ საჭიროებას“ და, კერძოდ, თუ ეროვნული ხელისუფლების მიერ მის გასამართლებლად მოყვანილი მიზეზები არის „რელევანტური და საკმარისი“, ასევე, თუ იგი დასახული კანონიერი მიზნის პროპორციულია (იხ. Paradiso and Campanelli v. Italy [დიდი პალატა], § 184; Parrillo v. Italy [დიდი პალატა], no. 46470/11, § 168, ECHR 2015; S.H. and Others v. Austria, § 91; and K. and T. v.

Finland, § 154). კონვენციის სისტემას ფუნდამენტურად სუბსიდიარული როლი აქვს. ეროვნულ ხელისუფლებას აქვს პირდაპირი დემოკრატიული ლეგიტიმაცია, რამდენადაც ეს ეხება ადამიანის უფლებათა დაცვას და, მათი ქვეყნების სასიცოცხლო ძალებთან პირდაპირი და მუდმივი კავშირის გამო, ისინი, პრინციპში, უკეთეს მდგომარეობაში არიან, ვიდრე საერთაშორისო სამართლო ადგილობრივი საჭიროებებისა და პირობების შესაფასებლად (იხ. Vavříčka and Others v. the Czech Republic [დიდი პალატა], §§ 273). **საკასაციო პალატის განსჯით, მოცემულ შემთხვევაში, კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული პაციენტის პირადი ავტონომიის უფლებაში ჩარევა 8 II პარაგრაფის საფუძველზე ემსახურებოდა სიცოცხლის, პირადი ავტონომიისა და საზოგადოებრივი ინტერესის დაცვას, რაც ლეგიტიმური მიზანია.** ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში, ჩარევა იყო პროპორციული და მოპასუხეთა მხრიდან მოსარჩელის პირადი ავტონომიის ბრალეულ ხელყოფას ადგილი არ ჰქონია, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ არ ვლინდება მოპასუხეთათვის მოსარჩელის სასარგებლოდ მორალური ზიანის დაკისრების საფუძველი.<sup>146</sup>

### III. მიზეზობრივი კავშირი

მიზეზობრივი კავშირი სამართალდარღვევის ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტია. ანაზღაურდება მხოლოდ ისეთი ზიანი, რომელიც მართლსაწინააღმდეგო ქმედებით იყო გამოწვეული. იმისათვის, რომ მოვალეს დაეკისროს პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გაირკვეს, წარმოადგენს თუ არა ზიანი მოვალის

მოქმედების უშუალო შედეგს. პირი მხოლოდ მაშინ აგებს პასუხს ზიანისათვის, როცა მისი ქმედება ადეკვატურ კავშირშია დამდგარ შედეგთან/ზიანთან („causa principalis sine qua non“)<sup>147</sup> ანუ დამდგარი ზიანი დარღვეული ვალდებულების რეალური და მოსალოდნელი შედეგია და მისი მიზეზობრივი კავშირი ქმედებასთან ობიექტური გადმოსახედიდან დასტურდება.<sup>148</sup>

უშუალო ანუ ადეკვატური მიზეზობრიობის თეორიის თანახმად, შედეგის მიზეზად ერთი პირობაც საკმარისია, თუ ის ქმნის შედეგის დადგომის ობიექტურ შესაძლებლობას ანუ მიზეზობრივი კავშირის დადგენისას გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მოვლენებს შორის ობიექტური კავშირის არსებობას და იმას, რომ მიზეზსა და შედეგს მნიშვნელობა აქვს მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევაში. პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება მხოლოდ მაშინაა ზიანის მიზეზი, როცა ის უშუალოდაა დაკავშირებული დამდგარ ზიანთან. ამგვარად, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მისი გამომწვევი ქმედების უშუალო, აუცილებელი, პირდაპირი შედეგია.<sup>149</sup> „ის გარემოება, რომ ზიანი გამოიწვია სამედიცინო პერსონალის ქმედებამ, უტყუარად უნდა დადგინდეს.“<sup>150</sup>

არასწორი მკურნალობის შედეგად გამოწვეული ზიანის ანაზღაურება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დაკმაყოფილდეს, თუკი პირისათვის მიყენებული ზიანი გამოწვეულია უშუალოდ მცდარი სამედიცინო მოქმედებით, ანუ გამოკვეთილია მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. უშედეგო მკურნალობა ან მკურნალობის უარყოფითი შედეგი თავისთავად (უდავოდ) არ იწვევს სამედიცინო პერსონალის პასუხისმგებლობას. ზიანი გამოწვეული უნდა იყოს მკურნალობისას დაშვებული შეცდომებით, ანუ, თუ

<sup>146</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-970-2022.

<sup>147</sup> ბიოლინგი/ლუტრინგჰაუსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძველების სისტემური ანალიზი, თბილისი, 2009, გვ. 48.; სუსგ № ას-667-2023, 16 ნოემბერი, 2023 წ.

<sup>148</sup> რუსიაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი III, ჭანტურია (რედ.), თბილისი, 2019, 412-ე, მუხლი, ველი 3.

<sup>149</sup> კვანტალიანი, მიზეზობრივი კავშირის დადგენის პრობლემები სამედიცინო მუშაკის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და პაციენტისათვის მიყენებულ ზიანს შორის, “მართლმსაჯულება და კანონი”, N2(33)12, 2012, გვ. 7.

<sup>150</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები: № ას-45-2024, 19 ივნისი, 2024წ; № ას-151-2013, 20 ივლისი, 2023 წ; № ას-600-2021, 22 ივნისი, 2022 წ; № ას-1169-2022, 17 ნოემბერი, 2022 წ; № ას-253-2021, 20 ივლისი, 2021 წ.

მკურნალობა სწორადაა წარმართული, თუნდაც მას უარყოფითი შედეგი მოჰყვეს, არ იწვევს ექიმის პასუხისმგებლობას.<sup>151</sup>

სამედიცინო მუშაკის ქცევის, როგორც მართლსაწინააღმდეგო ქცევის კვალიფიკაციისას, აუცილებელია არასათანადო სამედიცინო დახმარების აღმოჩენის ფაქტის დადგენა. ზიანის მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედება მოიცავს არა მარტო მის აქტიურ მოქმედებებს, არამედ, უმოქმედობასაც. „უმოქმედობის კაუზალობა მაშინ გვაქვს სახეზე, თუ მოქმედება პირის მოვალეობა იყო. ექიმის მკურნალობის მოვალეობა (ზრუნვის ვალდებულება) შეიძლება გამომდინარეობდეს როგორც კანონიდან (გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში), ისე სახელშეკრულებო ურთიერთობიდან.<sup>152</sup>

სამედიცინო მომსახურების თავისებურებიდან გამომდინარე, შეუძლებელია მკურნალობის სასურველი, დადებითი შედეგის გარანტირება, ამიტომ უმოქმედობის მიზეზობრიობის დადგენა განსაკუთრებულად რთულია. მაშასადამე, როცა უმოქმედობისას მაღალია ალბათობა, რომ მოქმედების, მოვალეობის ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში ზიანი თავიდან იქნებოდა აცილებული, უმოქმედობა განიხილება ადეკვატურ კაუზალობად, ხოლო თუ ალბათობა არ არის მაღალი და ჯეროვანი მოქმედების შემთხვევაშიც ზიანი შესაძლებელია, მაინც დამდგარიყ ან უარყოფითი შედეგის დადგომა სხვა ფაქტორებითაც გამოწვევით, მიზეზობრივი კავშირის დადგენა საკამათოა.<sup>153</sup>

ქართულ სამართალში გაზიარებულია მიდგომა, რომლის მიხედვითაც, მიზეზობრივი კავშირი უტყუარად უნდა დგინდებოდეს, რაც თავის მხრივ, მიუთითებს ალბათობის მაღალ ხა-

რისზე. „საქმეში, რომელშიც გამოძახებაზე მისულმა გადაუდებელი დახმარების სამსახურმა ინფარქტის დიაგნოსტიკა ეკვ აპარატის არქონის გამო ვერ მოახდინა და პაციენტი გარდაცვალა, სასამართლომ მიუთითა, რომ მართლსაწინააღმდეგო ქმედება გამოიხატება უმოქმედობაშიც.<sup>154</sup>

გერმანული სამართლის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა ექიმის მართლსაწინააღმდეგო, უხეში ბრალით ჩადენილი ქმედება, თუმცა ცალსახა მიზეზობრივი კავშირი ვერ დგინდება ქმედებასა და ზიანს შორის, მტკიცების ტვირთი გადადის ექიმზე, რომელმაც უნდა ამტკიცოს, რომ მისი ქმედების მიუხედავად, იგივე შედეგი დადგებოდა.<sup>155</sup>

სამედიცინო დავებში მიზეზობრივი კავშირის დადგენა გარკვეული სირთულით ხასიათდება, რადგან პაციენტისათვის არასასურველი შედეგი ყოველთვის სამედიცინო მომსახურებით არ დგება და ერთმნიშვნელოვნად იმის მტკიცება, რომ დაავადების დროული დიაგნოსტიკა ან მკურნალობის სწორი ტაქტიკის შერჩევა გამორიცხავდა უარყოფით შედეგს, არ შეიძლება, ვინაიდან ადამიანის ორგანიზმის სპეციფიკის გამო გამოჯანმრთელების გარანტირება შეუძლებელია.<sup>156</sup>

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არერთ საქმეზე განმარტა, რომ სამედიცინო მუშაკის ქცევის, როგორც მართლსაწინააღმდეგო ქცევის კვალიფიკაციისას, აუცილებელია არასათანადო სამედიცინო დახმარების აღმოჩენის ფაქტის დადგენა. **რაც შეეხება მიზეზშედეგობრივ კავშირს**, მკურნალობის შედეგად გამოწვეული ზიანის ანაზღაურება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დაკმაყოფილდეს, თუკი პირისათვის მიყენებული ზიანი გამოწვეულია

<sup>151</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-1046-966-2017; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-1800-2019, 20 თებერვალი, 2020.

<sup>152</sup> *მახათაძე*, მიზეზობრივი კავშირის სტანდარტი ექიმის უმოქმედობით პაციენტისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას, სამედიცინო სამართლისა და მენეჯმენტის ჟურნალი, 1/2022, გვ. 45.

<sup>153</sup> *გელაშვილი*, პაციენტის უფლებები, თბილისი, 2024, გვ. 224.

<sup>154</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-1800-2019.

<sup>155</sup> *ჰაგენლოხი*, სამედიცინო შეცდომის მტკიცების ტვირთი გერმანიაში, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 2/2023, გვ. 10.

<sup>156</sup> *კვანტალიანი*, მიზეზობრივი კავშირის დადგენის პრობლემები სამედიცინო მუშაკის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და პაციენტისათვის მიყენებულ ზიანს შორის, „მართლმსაჯულება და კანონი“, N2(33)12, 2012, გვ. 8.

უშუალოდ მცდარი სამედიცინო მოქმედებით, ანუ გამოკვეთილია მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. ზიანი გამონვეული უნდა იყოს მკურნალობისას დაშვებული შეცდომებით, ანუ, თუ მკურნალობა სწორადაა წარმართული, თუნდაც, მას უარყოფითი შედეგი მოჰყვეს, არ იწვევს ექიმის პასუხისმგებლობას.<sup>157</sup>

თავის მხრივ, „მცდარი საექიმო ქმედების“ განმარტება მოცემულია ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 3 „ო“ მუხლის და გულისხმობს ექიმის მიერ უნებლიეთ პაციენტის მდგომარეობისათვის შეუსაბამო სადიაგნოზო და/ან სამკურნალო ღონისძიებებს, რაც მიყენებული ზიანის უშუალო მიზეზი გახდა. საექიმო შეცდომად მიიჩნევა ექიმის მიერ საზოგადოდ აღიარებული სამედიცინო და ეთიკური სტანდარტების, კანონმდებლობით განსაზღვრული წესების დარღვევა, რამაც განაპირობა პაციენტის შეუსაბამო სადიაგნოზო და/ან სამკურნალო ღონისძიებები, რაც, თავის მხრივ, პაციენტისათვის ზიანის მიყენების უშუალო მიზეზი გახდა. ექიმს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ პაციენტს მართლზომიერად და უშეცდომოდ უმკურნალა, რადგან იგი პასუხს აგებს არასწორ მკურნალობაზე და მხოლოდ ასეთი მკურნალობის თანამდეგ უარყოფით შედეგზე. ამდენად, ექიმის პასუხისმგებლობის საფუძველი არის არა მკურნალობის უარყოფითი შედეგი, არამედ სამედიცინო სტანდარტებიდან გადახვევა.<sup>158</sup>

ერთ-ერთ საქმეში მოსარჩელემ მორალური ზიანის სახით 100 000 ლარის დაკისრების შესახებ მოთხოვნა დაუკავშირა, მისთვის მოპასუხე სამედიცინო კლინიკის მიერ განეულ არაკვალიფიციურ, არაკომპეტენტურ მკურნალობას და ამით გამონვეულ ტანჯვას. საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, მხოლოდ პაციენტის განმარტება, რომ ის გაუ-

საძლისი ტკივილები, რომლითაც იგი იტანჯებოდა, გამონვეული იყო მის სხეულში სტენტის ჩადგმით, არ იქნა გაზიარებული.<sup>159</sup>

ერთ-ერთ საქმეში მოსარჩელე მოითხოვდა არასწორი მკურნალობით მიყენებული მატერი-ალური და მორალური ზიანის ანაზღაურებას. მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ მან მოპასუხეს (სტომატოლოგი ექიმი) კბილის წკირის დასაბუჟნად მიმართა, რომელმაც წკირის გაკეთებისთვის აუცილებელად ჩათვალა ზედა უბნის მოუხსნელი ფაიფურის პროთეზის გაკეთება. მკურნალობა ჩატარდა უხარისხოდ, რის გამოც, მოსარჩელეს ჰქონდა ძლიერი ტკივილი, ამის გამო იძულებული გახდა მიემართა სხვა ექიმებისთვის. აღმოჩნდა, რომ ტკივილის მიზეზი იყო ნაწილობრივ კბილების არხების დაბუჟნა და ცუდად გაკეთებული პროთეზი. ხიდობრივი პროთეზის გაკეთების დროს აღმოჩნდა, რომ კბილების ცუდი დამუშავების გამო, პროთეზის ტარება არ შეიძლებოდა და კბილები ამოსაღები იყო. სასამართლომ განმარტა, რომ ამ კატეგორიის დავებში პაციენტს (მოსარჩელე) ეკისრება ფაქტების სრულყოფილად და დამაჯერებლად წარდგენის ვალდებულება. ექიმი პასუხს აგებს არასწორ მკურნალობაზე და მხოლოდ ასეთი მკურნალობის თანამდეგ უარყოფით შედეგზე. ამით გარკვეულია მკურნალობის დროს დაშვებულ შეცდომასა და პაციენტისათვის მიყენებულ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენის აუცილებლობა. სამედიცინო ხასიათის შეცდომის შედეგად მიყენებული ზიანის კვლევისას, დაზარალებულის მტკიცების ტვირთია დამდგარი ზიანისა და მიზეზობრივი კავშირის არსებობა. საკასაციო პალატამ სრულად გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ არ დასტურდება მოპასუხე მკურნალი ექიმის მხრიდან პაციენტის მდგომარეობისათვის შეუსაბამო ისეთი სადიაგნოზო და/ან სამკურნალო ღონისძიებების განხორციელების ფაქტი, რაც განაპირობებდა ზიანის ანაზღაურებისთვის სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებული

<sup>157</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები: №ას-600-2021, 22 ივნისი, 2022 წ.; №ას--1800-2019, 20 თებერვალი, 2020 წ.; №ას1224-1042017, 30 ივლისი, 2018 წ.; №ას-1046-966-2017, 20 ივლისი, 2018 წ.; №ას-260-244-2018, 28 მაისი, 2014 წ.

<sup>158</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1268-1526-09.

<sup>159</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 11 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-111-111-2018, პ.110-111.

წინაპირობების არსებობას, ამასთან არ დასტურდება მიზეზობრივი კავშირი მოპასუხის მიერ განხორციელებულ სამკურნალო ღონისძიებებსა (კბილების დაბუნება) და ექსპერტიზის დასკვნებში მითითებულ შედეგს შორის. შესაბამისად, გაზიარებული იქნა მოპასუხის შედავება, რომ მას კბილების დაბუნების ნაწილში არ დაუშვია იმგვარი საექიმო შეცდომა, რასაც სარჩელში მითითებული ზიანის გამომწვევა შეეძლო.<sup>160</sup> „ექიმი პასუხს აგებს არასწორ მკურნალობაზე და მხოლოდ ასეთი მკურნალობის თანამდევ უარყოფით შედეგზე. ამით გარკვეულია მკურნალობის დროს დაშვებულ შეცდომასა და პაციენტისათვის მიყენებულ ზიანს შორის მიზეზობრივი არსებობის აუცილებლობა.“<sup>161</sup>

#### IV. ზიანის მიმყენებლის ბრალი

ბრალის სამართლებრივი კატეგორია განსაკუთრებული იურიდიული მნიშვნელობის მქონეა, როგორც კონტინენტური, ისე საერთო სამართლის სისტემაში. სკ-ის 992-ე მუხლის თანახმად, ზიანის მიმყენებელს პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ეს დანაწესი მსგავსია გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 276 I პარაგრაფისა, რომლის თანახმად, მოვალე პასუხს აგებს განზრახვის ან გაუფრთხილებლობისათვის, თუკი უფრო მკაცრი ან უფრო მსუბუქი პასუხისმგებლობა არ არის დადგენილი, ან არ გამომდინარეობს ვალდებულებითი ურთიერთობის შინაარსიდან. ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი, საყოველთაოდაა აღიარებული როგორც სახელშეკრულებო, ისე დელიქტურ სამართალში.<sup>162</sup>

სამოქალაქო სამართალში განასხვავებენ ბრალის ორ ფორმას: განზრახვა (*dolus*) და გაუფრთხილებლობა (*culpa*), რომლებიც პირის

ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ელემენტებია.<sup>163</sup> განზრახვის ცნების დეფინიციას საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ იცნობს. ცივილისტურ დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში გამოიყენება განზრახი ბრალის ის ცნება, რომელიც მოქმედია სისხლის სამართალშია. განზრახ მოქმედებს ის, ვინც აცნობიერებს თავისი მოქმედების როგორც შედეგს, ისე მისი მოვალეობებისადმი წინააღმდეგობას და ამას აკეთებს საკუთარი სირვილით. ამდენად, განზრახვა – ეს არის მართლსაწინააღმდეგო შედეგის ცოდნა და სურვილი. განზრახვა მოიცავს ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის ფაქტობრივი გარემოებების, მხარეთა უფლება-მოვალეობების ცოდნას, ასევე ქმედების მართლწინააღმდეგობის გაცნობიერებას. განზრახვის აუცილებელი კომპონენტია საკუთარი ქმედების „შედეგის ცოდნა და სურვილი მართლწინააღმდეგობის შეგნებით“ (იხ., Palandt/Heinrichs, §276. Rn.6. Staudinger/Löwisch, §276. Rn.15.).

ქმედების მართლწინააღმდეგობის შეგნება ბრალის ინტელექტუალური (კოგნიტური) ელემენტია, რომელიც სამართალდამრღვევის ცნობიერების შეფასებას გულისხმობს. სამართლებრივად მნიშვნელოვანი ფაქტებისა და გარემოებების ცოდნა გადამწყვეტია პირის ბრალეულობის განსაზღვრისათვის. განზრახვა შეიძლება იყოს ორი სახის: პირდაპირი და არაპირდაპირი. სამოქალაქო სამართალში განზრახი ბრალის სახეობად დაყოფას არა აქვს რაიმე სამართლებრივი მნიშვნელობა, რამეთუ განზრახვა იქნება პირდაპირი თუ არაპირდაპირი, მიყენებული ზიანი სრულად უნდა ანაზღაურდეს.

გაუფრთხილებლობა ბრალის ყველაზე გავრცელებული ფორმაა სამოქალაქო სამართალში. თუ განზრახვასთან მიმართებით ცივილისტიკა მთლიანად სისხლის სამართალს ემყარება, გაუფრთხილებლობაში მას გარკვეული კო-

<sup>160</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1169-2022.

<sup>161</sup> გაგუა, მტკიცების ტვირთი არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებისას, „მართლმსაჯულება და კანონი“, N49(72) 2021, გვ: 75-78.

<sup>162</sup> ჩიტაშვილი, ბრალის მნიშვნელობა სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის, „სამართლის ჟურნალი“ №1, 2009, გვ. 143.

<sup>163</sup> ვაშაკიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ჭანტურია (რედ.), 2019, მუხლი 395-ე, ველი 20.

რექტივები შეაქვს. გაუფრთხილებლობა გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელი აუცილებელი წინდახედულობისა და ყურადღებიანობის უგულვებლყოფას. კერძო სამართალში დამკვიდრებული გაუფრთხილებლობის კონცეფცია ძირეულად განსხვავდება სისხლის სამართალში განმტკიცებული ანალოგიისაგან. „გაუფრთხილებლად მოქმედებს ის, ვინც არღვევს სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელ აუცილებელ სიფრთხილეს“, რომელიც განისაზღვრება ობიექტური მასშტაბით და არა კონკრეტული ინდივიდის პიროვნებიდან გამომდინარე. სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეს მოეთხოვება მისი პროფესიის „საშუალო წარმომადგენლისათვის“ დამახასიათებელი ჩვეული წინდახედულობის დაცვა (იხ., *ცვაიგერტი/კოტცი*, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი II, 2001, გვ. 290).

გაუფრთხილებლობის არსი გერმანულ სამართალშიც ობიექტურადაა განსაზღვრული. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 276 II პარაგრაფის თანახმად, გაუფრთხილებლობით მოქმედებს პირი, რომელიც ვერ იჩენს სამოქალაქო ბრუნვაში აუცილებელ გონივრულ ყურადღებიანობას (*Staudinger/Löwisch*, §276. Rn. 26. *Bamberger/Roth* (Hrsg.), *Grüneberg* §276. Bd. 1. Rn.17). გაუფრთხილებლობა სამოქალაქო სამართალში იყოფა ორ სახედ: უხეში გაუფრთხილებლობა (*culpa lata*) და მარტივი გაუფრთხილებლობა (*culpa levis*). უხეში გაუფრთხილებლობით მოქმედებს ის, ვინც თავისი ქმედებით სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელ აუცილებელი ყურადღებიანობის მოთხოვნებს არღვევს უჩვეულოდ მაღალი ხარისხით, რის გამოც განზრახვა და უხეში გაუფრთხილებლობა ხშირად ერთ სიბრტყეზე განიხილება. მარტივი გაუფრთხილებლობისას კი გონივრული

წინდახედულებისა და ყურადღებიანობის დარღვევის ხარისხი მნიშვნელოვნად შემცირებულია. უხეში გაუფრთხილებლობა, როგორც სამოქალაქო ბრუნვისათვის საჭირო გულმოდგინების განსაკუთრებით მძიმე, უჩვეულო ხარისხით დარღვევა, პასუხისმგებლობის საფუძვლად გამოიყენება, როცა ამის შესახებ პირდაპირ უთითებს განვითარებული პოზიციის მიხედვით, განზრახვა და უხეში გაუფრთხილებლობა აუცილებლად გულისხმობს მხარის გაცნობიერებულ ქმედებას.<sup>164</sup>

ზიანი გამონეგული უნდა იყოს მკურნალობისა და შევბუდი შეცდომებით, ე. ი. თუ მკურნალობა სწორადაა ჩატარებული, თუნდაც მას უარყოფითი შედეგი მოჰყვეს, ექიმის პასუხისმგებლობა არ დგება.<sup>165</sup> სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების მიზნებისათვის სამედიცინო მომსახურების გამწვევის ბრალი არის სამედიცინო მომსახურების გამწვევის არა სუბიექტური, ფსიქიკური განწყობა მისი მოქმედების მიმართ, არამედ პაციენტისათვის უარყოფითი შედეგების თავიდან აცილების მიზნით შესაძლო ობიექტური ზომების არ მიღება.<sup>166</sup>

ექიმის ბრალეულობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება სათანადო კვალიფიკაციის, უნარებისა და გამოცდილების მქონე პროფესიონალი ექიმის გონივრული, სავალდებულო ქცევის სტანდარტი. შესაბამისად, ბრალეულ ქმედებად კვალიფიკაციისათვის მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, რამდენად მოქმედებს ექიმი აღიარებული სტანდარტის შესაბამისად, მიუხედავად იმისა, ეთანხმება თუ არა იგი ამას. სამედიცინო სამართალში მიუთითებენ ე. წ. ბოლამის ტესტზე (*Bolam v. Friern Hospital Management Committee*, [1957] 1 WLR 582). პაციენტ ბოლამს ფსიქიკური ჯანმრთელობის და-

<sup>164</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-1479-2019, 21 იანვარი, 2020.

<sup>165</sup> *პეპანაშვილი*, სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება, თბილისი, 2016; *ქოჩაშვილი*, ბრალი, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა, (შედარებითსამართლებრივი კვლევა), „სამართლის ჟურნალი“, №1/2009, გვ.

89. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-260-244-2011.

<sup>166</sup> *კვანტალიანი*, სამედიცინო მომსახურებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების კანონით დადგენილი წინაპირობების ასახვა ქართულ სასამართლო პრაქტიკაში, „ჩემი ადვოკატი“, 3/2020.

ნესებულებაში ელექტროკონვულსიური თერაპიის წინ არ გაუკეთეს კუნთების მოსადუნებელი საშუალება და მისი სხეული არც სხვაგვარად დაუფიქსირებიათ მყარად, რის გამოც პროცედურის შეწყვეტამდე პაციენტმა მიიღო სერიოზული დაზიანებები. მიუხედავად ამისა, სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი. ინგლისის სასამართლომ ჩამოაყალიბა მედიცინის მუშაკის მიერ პაციენტის მიმართ სათანადო ზრუნვის/მოვლის სტანდარტი, რომლის თანახმადაც, ექიმი არ არღვევს სათანადო ზრუნვის ვალდებულებას, თუ ის მოქმედებს სხვა სამედიცინო პროფესიონალთა მიერ აღიარებული პრაქტიკის შესაბამისად, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა მას განვითარებული და აღიარებული პრაქტიკისგან განსხვავებული მოსაზრება და მიდგომა.<sup>167</sup> ამასთან, გამოცდილი ექიმის სტანდარტი ყოველთვის არ ნიშნავს ექიმის მიერ მკურნალობის უახლესი კონცეფციების, აპარატურისა და მეთოდის გამოყენებას. ზოგჯერ, თვით ახალი მეთოდის გამოყენება შეიძლება იქნეს მიჩნეული არაადეკვატურად, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იგი მეტად სარისკოა ან/და სამედიცინო მეცნიერებაში სადავო.<sup>168</sup> ექიმის ბრალი ზოგჯერ გამოიხატება არა სამედიცინო მომსახურებისას პირადად დაშვებულ გადაცდომაში, არამედ მისი პასუხისმგებლობის ქვეშ მოქმედი პირების არასათანადო კონტროლის განხორციელებაში.

ცალკე უნდა აღინიშნოს შემთხვევა, როცა სამედიცინო მომსახურების განწევს პროცესში მონაწილეობს რამდენიმე პირი და პაციენტს ზიანი ადგება არა უშუალოდ მკურნალი ექიმის, არამედ გუნდის სხვა წევრის შეცდომით. თანამედროვე ჰოსპიტალური მედიცინისათვის დამახასიათებელია ის, რომ პაციენტი წარსდგება არა კონკრეტულად ერთი ექიმის, არამედ სამედიცინო გუნდის წინაშე, რომელიც შედგება ექიმების, ექთნების, ტექნიკოსებისა თუ ასისტენტებისაგან, ქირურგიაში კი ხშირად რამდენიმე

დამოუკიდებელი ქირურგი ერთდროულად ოპერირებს. სამედიცინო ჰოსპიტალი უზრუნველყოფს გუნდს, რომელზე ზედამხედველობას ახორციელებს ქირურგი თუ მედიის გუნდის ხელმძღვანელი. შესაბამისად, პასუხის გასაცემად კითხვაზე, ვინ აგებს პასუხს სამედიცინო შეცდომაზე, უშუალოდ პირი, ვისი ქმედების პირდაპირი შედეგიც არის ზიანი თუ ზედამხედველი, მთავარია იმის გარკვევა, ვინ იყო რეალურად პასუხისმგებელი და ვისი ინსტრუქციის შესრულება იყო სავალდებულო შემთხვევის მომენტში? საკითხი აქტუალურია იმდენად, რამდენადაც საოპერაციოსა და ოპერაციის შემდეგ პერიოდში ზრუნვის ვალდებულება სხვადასხვა პირს ეკისრება, ამავდროულად, თუ მაგ., ანესთეზიოლოგს ჰოსპიტალის პერსონალი ეხმარება, ხშირად ქირურგს უშუალოდ მასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე თავისი დამხმარე ჰყავს. ექიმმა პროფესიული ვალდებულება უნდა შეასრულოს პირადად, სხვა სამედიცინო პერსონალთან თანამშრომლობით და მას არ აქვს უფლება პაციენტის თანხმობის გარეშე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სხვას გადააბაროს, თუმცა, პირადად შესრულების ვალდებულება არ გამორიცხავს ექიმის უფლებას, ჰყავდეს დამხმარე. იმ შემთხვევაში, როდესაც ექიმია დამსაქმებელი, იგი თავადვეა დამხმარის ქმედებაზე პასუხისმგებელი, შესაბამისად, ექიმის პასუხისმგებლობა დგება არა ბრალის გარეშე, არამედ „*culpa in eligendo*“ პრინციპით, რაც ნიშნავს იმას, რომ ექიმის ბრალი დამხმარის შერჩევაში გამოიხატება. თუმცა, ეს წესი არ გამოიყენება მაშინ, როდესაც სხვა ექიმის ჩართულობა დამოუკიდებელი დავალებაა და სხვა სფეროს სპეციალისტის საქმეა. როგორც აღინიშნა, სამოქალაქო პასუხისმგებლობის საკითხი დგება სამედიცინო პერსონალის გაუფრთხილებელი ქმედების შედეგად, რაც უნდა განიმარტოს ისეთ ქცევად, როდესაც მან ვერ გამოიჩინა შესაბამისი გულისხმიერება, წინადახედუ-

<sup>167</sup> გელაშვილი, პაციენტის უფლებები, თბილისი, 2024, გვ. 253.

<sup>168</sup> მონონელიძე, სამედიცინო შეცდომის დადგენის პრობლემატიკა ექიმის პასუხისმგებლობის განსაზღვრის დროს, მართლმსაჯულება და კანონი, 3 (71), 2021, 110.



ლობა და არ გამოიყენა თავისი ცოდნა და კვალიფიკაცია, ასევე, მის ხელთ არსებული საშუალებები მოსალოდნელი და დასაშვები რისკების თავიდან აცილების პრევენციისათვის.<sup>169</sup>

ქართულ სამართალში მოქმედებს სამედიცინო მომსახურების გამწვანის (ექიმის, ექთნის, სამედიცინო დაწესებულების და ა.შ.) ბრალეულობის პრეზუმფცია. პრეზუმფციის დანიშნულება სამართალში იმის წინასწარ განსაზღვრას ემსახურება, რომ დაადგინოს სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე რომელი მხარისათვის უფრო ადვილი იქნება ობიექტურად დაამტკიცოს ესა თუ ის ფაქტი. პრეზუმფციის დაშვებით, კანონმდებელი, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეს იცავს მტკიცების გადაუღალავი ტვირთის დაკისრებისაგან და ამ მიზნით, აწესებს მტკიცების სტანდარტს. შესაბამისად, პრეზუმირდება, რომ პაციენტის ჯანმრთელობას ზიანი სამედიცინო დაწესებულების ბრალით მიადგა და საწინააღმდეგოს დადასტურება სამედიცინო დაწესებულების მტკიცების ტვირთია. შესაბამისად, მოპასუხის ბრალი ივარაუდება, მანამ, სანამ მოპასუხე, საწინააღმდეგოს არ დაამტკიცებს. ექიმს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ პაციენტის მიმართ ჩატარდა მართლზომიერი და უშეცდომო მკურნალობა. თუ ექიმი სამედიცინო სტანდარტების შესაბამისად მოქმედებს, მაშინ ის არ არღვევს რაიმე ვალდებულებას და ბრალი არ მიუძღვის. ექიმი პასუხს აგებს არასწორ მკურნალობაზე და მხოლოდ ასეთი მკურნალობის თანამდევ უარყოფით შედეგზე. ამით გარკვეულია მკურნალობის დროს დაშვებულ შეცდომასა და პაციენტისათვის მიყენებულ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის აუცილებლობა. სამედიცინო ხასიათის შეცდომის შედეგად მიყენებული ზიანის კვლევისას, მოპასუხე (ზიანის პრეზუმირებული მიმყენებელი) ამტკიცებს მართლწინააღმდეგობისა და ბრალის არარსებობას.<sup>170</sup>

პაციენტისათვის მიყენებული ზიანის შემთხვევაში, როგორც წესი, ექიმის განზრახი ბრალი არ იკვეთება. ასეთ შემთხვევებში საკმარისია დადგინდეს ექიმის გაუფრთხილებლობა, რაც გულისხმობს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების აუცილებელი გულისხმიერებისა და ყურადღების გარეშე განხორციელებას. გულისხმიერება და ყურადღებიანობა გამოიხატება ექიმის მიერ საჭირო სამედიცინო მოქმედებების ზედმინევენით ხარისხიანად, აღიარებული სამედიცინო სტანდარტების შესაბამისად შესრულებაში.<sup>171</sup> სკ-ის 992-ე და 1007-ე მუხლების თანახმად, ზიანის მიმყენებელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ დაამტკიცებს, რომ ზიანის დადგომაში მას ბრალი არ მიუძღვის.<sup>172</sup>

ამასთან, იმისდა მიხედვით, როგორია გულისხმიერებისა და წინდახედულობის ზომების უგულებელყოფის ხარისხი, შეცდომა შეიძლება შეფასდეს უხეშ შეცდომად. შეცდომა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება შეფასდეს უხეშად, თუ ექიმმა აშკარად არ გაითვალისწინა დამკვიდრებული სამედიცინო მკურნალობის წესები ან პრაქტიკაში დამკვიდრებული სამედიცინო მიღწევები და დაუშვა შეცდომა, რომელსაც, ობიექტური თვალსაზრისით, ახსნა არ აქვს, რადგან პრაქტიკოსი ექიმის მიერ ასეთი შეცდომის ჩადენა დაუშვებელია.<sup>173</sup> არ არის აუცილებელი, რომ უხეში სამედიცინო შეცდომა სხეულის დაზიანების ერთადერთი შესაძლო მიზეზი იყოს, უხეში შეცდომისას საკმარისია თანამიზეზობრიობა, როცა მცდარი საექიმო ქმედება დამდგარ დაზიანებასთან მიმართებით გამოწვეულია სხვა მიზეზით, რომელიც არ უნდა მიეთვალოს მკურნალობის გამწვან მხარეს, მაშასადამე, თანამიზეზობრიობა საკმარისია, რომ დამზიანებელს შეერაცხოს მთლიანი ზიანი, მაშინაც, რო-

<sup>169</sup> გელაშვილი, პაციენტის უფლებები, თბილისი, 2024, გვ. 254.

<sup>170</sup> ვაგუა, მტკიცების ტვირთი არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებისას, „მართლმსაჯულება და კანონი“, N49(72), 2021, გვ: 75-78.

<sup>171</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 18 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-38-2021.

<sup>172</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-1163-1092-2012.

<sup>173</sup> ჰაგენლოხი, სამედიცინო შეცდომის მტკიცების ტვირთი გერმანიაში, სამედიცინო სამართლისა და მენეჯმენტის ჟურნალი, 2 (5), 2024, გვ. 55.

ცა არ დგინდება, რომ ის მხოლოდ ზიანის გამო-ცალკევებული ნაწილისთვის იყო კაუზალური.<sup>174</sup>

ქართულ სამართალში სამედიცინო შეცდომა სხვადასხვა ტერმინით აღინიშნება: „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ კანონის მიხედვით, მცდარი სამედიცინო ქმედება არის ექიმის მიერ უნებლიეთ პაციენტის მდგომარეობისათვის შეუსაბამო სადიაგნოზო და/ან სამკურნალო ღონისძიებების ჩატარება, რაც მიყენებული ზიანის უშუალო მიზეზი გახდა. „პაციენტის უფლებების შესახებ“ კანონის მიხედვით, პაციენტს ან მის კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც გამოწვეულია მცდარი სამედიცინო ქმედებით, „საექიმო საქმიანობის შესახებ“ კანონი კი იყენებს ტერმინს „პროფესიული შეცდომა.“ სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრებული განმარტებით, სამედიცინო შეცდომაში იგულისხმება ექიმის მიერ საზოგადოდ აღიარებული სამედიცინო და ეთიკური სტანდარტების, კანონმდებლობით განსაზღვრული წესების დარღვევა, რამაც განაპირობა პაციენტის შეუსაბამო სადიაგნოსტიკო და/ან სამკურნალო ღონისძიებების ჩატარება, რაც თავის მხრივ, პაციენტისათვის ზიანის მიყენების უშუალო მიზეზი გახდა.<sup>175</sup>

ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა სამედიცინო შეცდომით გამოწვეული ზიანის შემადგენლობაში ბრალის ხარისხზე. სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის სავალდებულოა დადასტურდეს ექიმის გაუფრთხილებლობა და არა განზრახვა არასასურველი შედეგის დადგომის გამო, ამასთანავე, დამდგარი ზიანი უშუალოდ ამ ქმედების შედეგს უნდა წარმოადგენდეს და არა მკურნალობის თანმდევ შედეგს, რომლის თავიდან აცილების შესაძლებლობაც სამედიცინო დაწესებულებას ობიექტურად არ შეეძლო.<sup>176</sup>

უხეში გაუფრთხილებლობისას სამედიცინო დაწესებულების მიმწოდებლის ქმედება ნაკლებად გონივრულია, ვიდრე ჩვეულებრივი გაუფრთხილებლობის შემთხვევაში და მცირედ ან საერთოდ არ არის დაცული ზრუნვის მისაღები ხარისხი, იმდენად არაგონივრულია ქმედება, რომ მის დამტკიცებას არ სჭირდება ექსპერტი და აშკარაა არაპროფესიონალი ადამიანისთვისაც კი.<sup>177</sup>

სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში დადგენილად მიიჩნია ექიმის მხრიდან უხეში გაუფრთხილებლობა, კერძოდ, პაციენტს მენჯ-ბარძაყის კოქსართროზის გამო მკურნალობის ტაქტიკად განესაზღვრა სახსრის ტოტალური ენდოპროთეზირება. მას სამჯერ ჩაუტარდა ერთი და იმავე სახის რთული ქირურგიული ოპერაცია. შედეგად, ნაცვლად გამოჯანმრთელებისა, პაციენტი გახდა მყარი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი. ექსპერტიზის დასკვნით დადგინდა, რომ ოპერაციები ჩატარდა არასწორად. განმეორებით ჩატარებული ორი ოპერაციის დროსაც არასწორად შეირჩა ენდოპროთეზი და არ იქნა გამოყენებული მაღალტექნოლოგიური კონსტრუქციის იმპლანტი. მოპასუხემ არასწორად დანიშნა ავადმყოფის პოსტოპერაციული სარეაბილიტაციო მკურნალობაც – ხანგრძლივი ნოლითი რეჟიმი, რაც არამართებული იყო. პირიქით, კიდურის დატვირთვა უნდა დაწყებულიყო პირველი ორი კვირის ფარგლებში ყავარჯნების დახმარებით. მოსარჩელე დამატებით საჭიროებდა ოპერაციულ ჩარევას, ენდოპროთეზის კომპონენტის ამოღებასა და რეენდოპროთეზირებას. მკურნალობის პროცესში დაშვებული შეცდომების გარდა, დაირღვა დადგენილი სტანდარტის მოთხოვნა, კერძოდ ავადმყოფს არ ჩაუტარდა ნევროპათოლოგის, ანესთეზიოლოგისა და თერაპევტის კონსულტაცია. სასამართლომ მიუთითა, რომ სახეზე იყო უხე-

<sup>174</sup> ბაქრაძე, ექიმის სახელშეკრულებო და დელიქტური პასუხისმგებლობის საფუძვლები, სამედიცინო სამართლისა და მენეჯმენტის ჟურნალი, 1, 2022, გვ. 74.

<sup>175</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-1268-1526-09.

<sup>176</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-593-568-2016.

<sup>177</sup> კვანტალიანი, მტკიცების ტვირთის ანალიზი სამედიცინო დავებში ქართული, ინგლისური და ამერიკის შეერთებული შტატების სამართლის მიხედვით, სამედიცინო სამართლისა და მენეჯმენტის ჟურნალი, 2, 2023, გვ. 65.; მონონელიძე, დამზღვევის უხეში გაუფრთხილებლობის შესახებ საკანონმდებლო დანაწესისა და პრინციპის „ყველაფერი ან არაფერი“ რეფორმის საჭიროება, ჩემი ადვოკატი, IV, 2020.

ში გაუფრთხილებლობა, აუცილებელი ყურადღებებიანობის მოთხოვნების უჩვეულოდ მაღალი ხარისხით დარღვევა, რის გამოც მოპასუხეს დააკისრა არაქონებრივი ზიანისთვის 10 000 ლარის გადახდა.<sup>178</sup>

### ა) შერეული ბრალი

დელიქტით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ასევე შერეული ბრალის საკითხს. საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ პასუხისმგებლობის დაკისრების ერთ-ერთ საფუძველს დელიქტური ვალდებულება წარმოადგენს, რომლისაგან ნაწარმოები პასუხისმგებლობის გენერალური დათქმა მოცემულია სკ-ის 992-ე მუხლში. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სკ-ის 415-ე მუხლით (1. თუ ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამაც, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ამ ანაზღაურების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ უფრო მეტად რომელი მხარის ბრალით არის ზიანი გამოწვეული. 2. ეს წესი გამოიყენება მაშინაც, როცა დაზარალებულის ბრალი გამოიხატება მის უმოქმედობაში – თავიდან აეცილებინა ან შეემცირებინა ზიანი) გათვალისწინებული შერეული (კრედიტორისა და მოვალის თანმხვედრი) ბრალი მოქმედებს ყველა სახელშეკრულებო და კანონისმიერი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შემთხვევაში, მაშინაც კი, როდესაც ბრალის გარეშე პასუხისმგებლობას ეხება საქმე<sup>179</sup> (Oetker, in MüKo BGB, 7. Aufl., 2016, § 254, Rn 7 ff). დელიქტურ ვალდებულებებთან მიმართებით სკ-ის 415-ე მუხლის გამოყენება ეფუძნება ამავე კოდექსის 326-ე მუხლს, რომლის თანახმადაც წესები სახელშეკრულებო ვალდებულების შესახებ გამოიყენება ასევე სხვა არასახელშეკრულებო ვალდებულებათა მიმართ, თუკი ვალდებულების ხასიათიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს (შდრ. სუსგ-ებები: №ას-786-735-2017, 03.11.2017წ.; №ას-150-150-2018, 16.03.2018

წ.; №ას-504-481-2016, 30.09.2016წ.). შერეული ბრალის არსებობისას სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრა გულისხმობს არა ზიანის ანაზღაურებას დაზარალებულის მიერ, არამედ ზიანის მიმყენებლის პასუხისმგებლობის შემცირებას და ზიანის შესაბამისი ნაწილის დაზარალებულზე (კრედიტორი) დაკისრებას. ამ ვითარებაში არსებული ზიანი მოვალისა და დაზარალებულის ერთობლივი მოქმედების განუყოფელი შედეგია. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ანაზღაურების მოცულობა განისაზღვრება მხარეთა ბრალეულობის ხარისხით – უფრო მეტად თუ რომელი მხარის ბრალით არის ზიანი გამოწვეული (სკ-ის 415-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევის ანალოგიურ დებულებებს ითვალისწინებს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 254-ე პარაგრაფი – „თანაბრალეულობა“ (იხ: Münch Komm BGB/Oetker §254. Bd 2a. Rn. 10. Palandt/Heinrichs, §254. Rn.15. Staudinger/Schiemann, §254. Rn.67. Bamberger/Roth., Grüneberg §254. Bd. 1. Rn.11. 19. სუსგ № ას-992-2020, 29.09.2021წ.). ასეთ დროს, სასამართლო ვალდებულია, დაადგინოს, რომელ მხარეს რა მოცულობით ეკისრებათ მიყენებულ ზიანზე პასუხისმგებლობა და მისი ანაზღაურების ოდენობაც აღნიშნული მოცულობის პროპორციულად განსაზღვროს.<sup>180</sup>

### V. ხანდაზმულობა

დელიქტური ნორმების საფუძველზე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება ექვემდებარება ხანდაზმულობის სამწლიან ვადას (სკ-ის 1008-ე მუხლი: დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა არის სამი წელი იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის

<sup>178</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-33-406-05.

<sup>179</sup> გ. რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი 2019, მუხლი 415-ე, ველი 9.

<sup>180</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 05 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-575-2021.

ნის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ).<sup>181</sup> ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ ვალდებული პირი უფლებამოსილია უარი თქვას მოქმედების შესრულებაზე.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ მოთხოვნის განხორციელების შემთხვევებელი შესაგებელის (ხანდაზმულობა) წარდგენისას, მოპასუხე შესაძლოა ეთანხმებოდეს სარჩელში გაუღწერებულ მხარეთა შორის წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობას (სადავოდ არ ხდიდეს სარჩელში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს), თუმცა, უარს აცხადებდეს მის შესრულებაზე, რადგან მოთხოვნა ხანდაზმულად მიაჩნდეს (სსკ-ის 144-ე მუხლი).<sup>182</sup>

ხანდაზმულობის ვადების დაწესებით, კანონმდებლის მიზანია გამორიცხოს კრედიტორის უფლების განხორციელების არათანაზომიერად ან ბოროტად გამოყენების საფრთხე. გარდა ამისა: ა) ხანდაზმულობის ვადა სასამართლოს უმსუბუქეებს ფაქტების დადგენისა და შესწავლის პროცესს და ამ გზით, ხელს უწყობს დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანას; ბ) ხელს უწყობს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილიზაციას; გ) აძლიერებს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტების ურთიერთკონტროლს და იძლევა დარღვეული უფლების დაუყონებლივ აღდგენის სტიმულს.<sup>183</sup>

აღსანიშნავია, რომ ხანდაზმულობის ვადის გასვლით აღარ არსებობს სასამართლოს ან სხვა ორგანოს მეშვეობით პირის მოთხოვნის იძულებით განხორციელების შესაძლებლობა, მაგრამ არა სასამართლოსათვის ან სხვა ორგანოსათვის მიმართვის უფლება.<sup>184</sup> ხანდაზმულობის ვადა ანადგურებს უფლების იძულებით განხორციელების შესაძლებლობას მატერიალური და არა პროცესუალური თვალსაზრისით. ხანდაზმულობის ვადის საფუძველია უფლების

დარღვევა, რომელიც შესაძლოა კანონიდან გამომდინარეობდეს ან ხელშეკრულების საფუძველზე წარმოიშვას.

ხანდაზმულობის ვადების გათვალისწინება სასამართლოს მიერ ხორციელდება არა საკუთარი ინიციატივით, არამედ მხოლოდ საქმის განხილვაში მონაწილე მხარეების (მხარის) მიერ აღნიშნულზე მითითების შემთხვევაში. „მოთხოვნის ხანდაზმულობაზე სასამართლო იმსჯელებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამის შესახებ მოპასუხეს შესაგებელში აქვს მითითებული ან მიუთითებს პირველ ინსტანციაში საქმის მომზადების დასრულებამდე.“<sup>185</sup> „მხარეთა სასარჩელო შესაძლებლობები ხშირად არის ვადით შეზღუდული. სამოქალაქო სამართალში სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ პირი კარგავს უფლების სასამართლო გზით დაცვის შესაძლებლობას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №1/3/161.).

სასარჩელო ხანდაზმულობის ვადები ასევე მიიჩნევა საქმის სწორად გადაწყვეტის ერთ-ერთ ეფექტურ გარანტიად. კერძოდ: გადაწყვეტილება ეფუძნება მხარეთა მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს, შესაბამისად, მტკიცებულებათა უტყუარობა, მათი ვარგისიანობის, ნამდვილობის უტყუარად დადგენის შესაძლებლობა უმნიშვნელოვანესია სწორი და ობიექტური გადაწყვეტილების მისაღებად. სამართალწარმოებისას უმთავრესი მიზანია შეცდომის თავიდან აცილება. ამასთან, ხანგრძლივი დროის გასვლამ შეიძლება გამოიწვიოს მტკიცებულებების შეცვლა ან მათი მოპოვების უკიდურესად გართულება, ზოგჯერ კი – განადგურება, რაც, საბოლოო ჯამში, გაართულებს სადავოდ გამხდარი მტკიცებულებების საიმედოობის დადგენას. როდესაც ხანგრძლივი დროა გასული იმ მოვლენიდან, რომელმაც სადავო გარემოებები წა-

<sup>181</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 04 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-1322-2019; სუსგ № ას-199-2020, 28 აპრილი, 2022 წ.

<sup>182</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-679-2021.

<sup>183</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, თბილისი, 2007, გვ. 63.

შდრ: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-360-2021.

<sup>184</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 04 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-1322-2019.

<sup>185</sup> *ბოელინგი/ჭანტურია*, სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, თბილისი, 2004, გვ. 170.

რმოშვა, მაღალია ალბათობა, რომ მტკიცებულებები, რომლებიც ადრე არსებობდა, შეიძლება დაკარგული ან სახეშეცვლილი იყოს, ასევე გაფერმკრთალდება მონმეთა მესხიერება, რომელთა ჩვენებებს სასამართლო დავის გადაწყვეტისას უნდა დაეყრდნოს, გაიზრდება სავარაუდო, არასანდო მტკიცებულებათა რიცხვი. შედეგად, დიდი ალბათობით, შეიქმნება ნიადაგი საქმის ფაქტობრივი გარემოებების არაობიექტური შეფასებისათვის. ხანდაზმულობის ვადა წარმოადგენს მცდელობას, დაიცვას მხარეები ასეთი საფრთხეებისაგან.<sup>186</sup>

ზემოთ ჩამოთვლილი ლეგიტიმური მიზნების არსებობას იზიარებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც. 1996 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში **საქმეზე სტაბინგი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, სასამართლო განმარტავს**: „... ხანდაზმულობის ვადები ემსახურება რამდენიმე მნიშვნელოვან მიზანს, კერძოდ, სამართლებრივ განსაზღვრულობას და საბოლოობას, პოტენციური მოპასუხეების დაცვას ძველი სარჩელებისგან, რომლებსგან, შეიძლება, რთული აღმოჩნდეს თავის დაცვა და უსამართლობის თავიდან აცილებას, რომელიც შეიძლება წარმოიშვას, თუ სასამართლოები იძულებული გახდებიან გადაწყვიტონ საქმეები, რომლებიც შორეულ წარსულში მოხდა, იმ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რომლებიც შესაძლოა, დროის გასვლის გამო არასაიმედო ან არასრული აღმოჩნდეს” (პარ. 51).

ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყების საფუძველია უფლების დარღვევა, რომელიც შესაძლოა კანონიდან გამომდინარეობდეს ან ხელშეკრულების საფუძველზე წარმოიშვას. ხანდაზმულობის ვადის სწორი გამოთვლისათვის არსებითია, ზუსტად დადგინდეს მოთხოვნის წარმოშობის დრო.<sup>187</sup>

სკ-ის 130-ე მუხლი ხანდაზმულობის დაწყებას მოთხოვნის წარმოშობის მომენტს უკავშირებს, ხოლო მოთხოვნის წარმოშობის მომენტად მიიჩნევა დრო, როდესაც პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. ამდენად, ხანდაზმულობის ვადის სწორად გამოთვლისათვის უმნიშვნელოვანესია მისი დენის დაწყების მომენტის განსაზღვრა. ხანდაზმულობის ვადის დასაწყისი შეესაბამება დღეს, როდესაც წარმოიშვა მოთხოვნის უფლება, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა, როდესაც მოთხოვნის წარმოშობის ვადის განსაზღვრა ზოგადი წესისგან განსხვავებულია რეგულირებული, მისი წარმოშობა დაკავშირებულია მომენტთან, როდესაც პირმა გაიგო ან უნდა გაეგო უფლების დარღვევის თაობაზე. სკ-ის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენის დასაწყისი დაკავშირებულია **ობიექტურ მომენტთან** – უფლების დარღვევის ფაქტთან და **სუბიექტურ მომენტთან** – დრო, როდესაც უფლებამოსილი პირისათვის უფლების დარღვევის შესახებ გახდა ცნობილი ან გარემოებათა გათვალისწინებით უფლების დარღვევის ფაქტი უნდა შეეტყო.

როგორც წესი, ივარაუდება, რომ პირი უფლების დარღვევის ფაქტს მისი დადგომისთანავე შეიტყობს ან საშუალო გულისხმიერების გამოჩენის შემთხვევაში შეეძლო შეეტყო ამ ფაქტის თაობაზე. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, ანუ უფლების დარღვევის დაგვიანებით შეტყობის მტკიცების ტვირთი კი უფლებადარღვეულ პირს ეკისრება. თუ დადგინდება, რომ პირმა თავისი დაუდევრობის გამო ვერ გაიგო უფლების დარღვევის შესახებ, მაშინ ხანდაზმულობის ვადის დენა დაიწყება იმ მომენტიდან, როცა საქმის გარემოებების მიხედვით, პირს უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.<sup>188</sup>

<sup>186</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-801-2021.; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2013 წლის 05 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №3/1/531.

<sup>187</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2024 წლის 02 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-491-2024.

<sup>188</sup> კვანტალიანი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017, მუხლი 130-ე, ველი 5.; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-360-2021.

ვინაიდან სასამართლო მოთხოვნის ხანდაზმულობას მხოლოდ მოპასუხის მითითების საფუძველზე იკვლევს, მოთხოვნის ვადაში წარდგენა მოსარჩელის მტკიცების ტვირთს წარმოადგენს. „თუ ხანდაზმულობის წარმოშობის მომენტის დადგენა ობიექტურად შეუძლებელია, ყურადღება უნდა მიექცეს სუბიექტურ მომენტს. ამასთან, იგულისხმება, რომ ხანდაზმულობის წარმოშობის ობიექტური და სუბიექტური მომენტები თანმხვედრია, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე არ ეთანხმება ხანდაზმულობის წარმოშობის ობიექტური და სუბიექტური მომენტების თანხვედრას, მაშინ მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს ეკისრება იმის გასარკვევად, თუ როდიდან უნდა დაიწყოს ხანდაზმულობის ვადის დენა.“<sup>189</sup>

ხანდაზმულობის დაწყებისათვის, როგორც წესი, არ არის სავალდებულო, რომ კრედიტორმა მისთვის ცნობილ ფაქტებს სამართლებრივი შეფასება მისცეს. **თუ კრედიტორი მცდარ დასკვნებს გამოიტანს, ფაქტებს მცდარად შეაფასებს, ხანდაზმულობის ვადის დინება მაინც იწყება.** ხანდაზმულობის ვადების დაწყებისათვის მიზანშეწონილად უნდა იქნეს მიჩნეული ხანდაზმულობის საფუძველად არსებული ფაქტობრივი გარემოებების ცოდნა მისი სამართლებრივი შეფასების გარეშე, რადგან რთულია შესაბამისი განათლების არმქონე პირს მოთხოვოს ნორმის ქმედების შემადგენლობის კომპონენტების შეფასება. სკ-ის 130-ე მუხლი ხანდაზმულობის ვადის ათვლის სუბიექტური ფაქტორის განსაზღვრისას, პოზიტიურ ცოდნასთან ერთად ითვალისწინებს ბრალეულ არცოდნასაც. **თუ დადგინდება, რომ პირმა თავისი დაუდევრობის გამო ვერ გაიგო უფლების დარღვევის თაობაზე, ხანდაზმულობის ვადის ათვლა დაიწყება იმ მომენტიდან, როცა საქმის გარემოებებიდან გამომდინარე პირს უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.**<sup>190</sup>

არაქონებრივი ზიანის მიყენების შემთხვევა გარკვეული თავისებურებით ხასიათდება და ზიანის დადგომის ფაქტი შესაძლოა არ ემთხვეოდეს ქონებრივი ზიანის დადგომის ფაქტს, არამედ მოგვიანებით დადგეს, როცა პაციენტის უფლების დარღვევამ უარყოფითი ემოციური განცდებიდან მიაღწია ტანჯვის ხარისხს, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ობიექტური გარემოებების გათვალისწინებით უნდა შეაფასოს სასამართლომ.<sup>191</sup> საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ დელიქტური ნორმების გამოყენებისას, მოთხოვნის განხორციელების გამომრიცხავ გარემოებას, მოპასუხის ვარგისი შედავების საფუძველზე, სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით სკ-ის 1008-ე მუხლი წარმოადგენს **(დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა არის სამი წელი იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ).**<sup>192</sup>

ერთ-ერთ საქმეში, რომელშიც პაციენტმა სამედიცინო შეცდომის შედეგად დაკარგა თირკმელი, მისი მოთხოვნა სამომავლო მკურნალობის, პლასტიკური ოპერაციის და მასთან დაკავშირებული ხარჯების, აგრეთვე, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებაზე, არ დაკმაყოფილდა მოთხოვნის ხანდაზმულობის გამო. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველია ჯანმრთელობის დაზიანება და მისი არსებობა დამოკიდებულია ჯანმრთელობის დაზიანებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების საფუძველზე და მოცულობაზე. მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია, თუ სახეზეა ჯანმრთელობის დაზიანებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი წინაპირობა – მათ შორის, ხანდაზმულობის ვადა. სასამართლოს განმარტებით, არაქონებრივი ზიანის

<sup>189</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, თბილისი, 2007, გვ. 64.

<sup>190</sup> ახვლედიანი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, თბილისი, 1999, მუხლი 130-ე, გვ. 320.

<sup>191</sup> გელაშვილი, პაციენტის უფლებები, თბილისი, 2024, გვ. 209.

<sup>192</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები: № ას-491-2023, 02 თებერვალი, 2024 წ; № ას-182-2023, 05.10.2023 წ; № ას-360-2021, 16 დეკემბერი, 2022 წ; № ას-444-2022, 15 ივლისი, 2022 წ; № ას-801-2021, 15 ოქტომბერი, 2021 წ.

ანაზღაურების მოთხოვნის ვადაც უნდა აითვალოს იმ მომენტიდან, როცა პირმა შეიტყო ზიანის და მის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ, ამიტომ სარჩელი ამ ნაწილშიც ხანდაზმულად იქნა მიჩნეული.<sup>193</sup>

ერთ-ერთ საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ ინფორმირებული თანხმობის წესების დარღვევით ჩატარებული B ჰეპატიტის სანიწა-ალმდეგო ვაქცინის შედეგად, ბავშვს განუვითარდა ტეტრაპარეზი (კიდურების დამბლა), რის გამოც მოპასუხე სამედიცინო დაწესებულებებსა და ვაქცინის მწარმოებელს დაეკისრათ ქონებრივი ზიანის ანაზღაურება. ბავშვის კანონიერმა წარმომადგენელმა მოგვიანებით შეიტანა სარჩელი ჯანმრთელობის დაზიანებით გამოწვეული ვალდებული პირებისთვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების დაკისრების მოთხოვნით. მოპასუხეთა ძირითადი არგუმენტი რომ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ხანდაზმული იყო სკ-ის 1008-ე მუხლის მიხედვით, რამდენადაც ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტიდან გასული იყო 3 წლიანი ვადა, არ იქნა გაზიარებული. სასამართლოს განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში ბავშვისათვის მორალური ზიანის მიყენების ფაქტი არ უკავშირდება კონკრეტულ თარიღს, ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების მომენტს, მორალური ზიანი შესაძლოა მოგვიანებით მკურნალობის უშედეგობის, ხანგრძლივი უმწეო მდგომარეობის, აქტიური ცხოვრების შეუძლებლობის, ცხოვრების წესისა და რიტმის შეცვლის, დათრგუნულობის, გაურკვევლობის, ცხოვრების ხალისის დაქვეითების, ნერვული დაძაბულობის, არასრულფასოვნების კომპლექსისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით დადგეს. შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ხანდაზმულად არ მიიჩნია.<sup>194</sup> ეს განმარტება გავრცელდა

სხვა დელიქტურ საქმეზეც, სადაც ასევე ეხებოდა საკითხი, ბავშვის ჯანმრთელობის დაზიანებით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურებას. ამასთან, სასამართლომ მიუთითა, რომ სამედიცინო მომვლელის ხარჯები, ყოველთვიური სარჩო, სარეაბილიტაციო მკურნალობის ხარჯების მოთხოვნა პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებებს განეკუთვნებოდა, რომელზეც უნდა გავრცელებულიყო სკ-ის 129 II მუხლით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადა, რომლის ათვლაც გარკვეული თავისებურებით ხასიათდება. თითოეული ვალდებულების დარღვევა ცალ-ცალკე წარმოშობს მოთხოვნის უფლებას და ცალკე ქმნის ხანდაზმულობის ვადას. შესაბამისად, როცა მოთხოვნა ეხება არა განუულ ხარჯებს, არამედ მომავალში გასაწევ ხარჯს, თუ ზიანი განგრძობითი ხასიათისაა, ხოლო მომვლელის საჭიროება წარმოიშვა არა დაზიანებისთანავე, არამედ მკურნალობის უშედეგობის გამო, მასზე შეიძლება არა 1008-ე, არამედ 129-ე მუხლის გავრცელება. მით უფრო, თუ ამგვარმა დაზიანებამ პირის შესაძლებლობების შეზღუდვა გამოიწვია.<sup>195</sup> უზენაესმა სასამართლომ სხვა საქმესთან დაკავშირებით განმარტა, რომ ცალკეულ, საგამონაკლისო შემთხვევებში არ არის გამორიცხული მორალური და მატერიალური ზიანის განსხვავებულ მომენტებში დადგომის შესაძლებლობა, აღნიშნული არ უარყოფს მორალური ზიანის მოთხოვნის მიმართ ხანდაზმულობის ვადის მოქმედებას.<sup>196</sup>

*„სასამართლომ მიუთითა, რომ სამართლის მიერ დაცულ ერთ-ერთ სიკეთეს, რომლის ხელყოფის შედეგად დაზარალებულმა შეიძლება მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანისათვის ანაზღაურება, წარმოადგენს ადამიანის ჯანმრთელობა. სხეულის დაზიანება ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენება ადამიანის სიცოცხლის იმგვარი ხელყოფაა, რომელიც დაზა-*

<sup>193</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 01 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-247-237-2013.

<sup>194</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 08 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე № ბს-972-936-(3კ-08).

<sup>195</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 05 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე № ბს-494-488(2კ-12).

<sup>196</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 11 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე № ბს-710-702 (2კ-15).

რალეზულს არასრულფასოვნად და ზოგ შემთხვევაში, არაშრომისუნარიანად აქცევს, სხეულის და/ან ჯანმრთელობის ხელყოფით გამოწვეული მორალური ზიანი უშუალოდ სამართალდარღვევიდან შეიძლება არც გამომდინარეობდეს, არამედ მისი თანმდევი შედეგი იყოს (როგორცაა უშედეგო მკურნალობა, ხანგრძლივი უმწეო მდგომარეობა, აქტიური ცხოვრების შეუძლებლობა, ცხოვრების წესისა და რითმის შეცვლა, მკურნალობის უშედეგობის გამო ცხოვრების ხალისის დაქვეითება, ნერვული დაძაბულობა, რაც პირს არასრულფასოვნების კომპლექსსა თუ სხვა ნეგატიურ განცდებს უყალიბებს), თუმცა, ასეთ დროს, სავალდებულოა, დასტურდებოდეს, რომ დაზარალებულის მორალური განცდები და სულიერი ტანჯვა სხეულისა თუ ჯანმრთელობის ხელყოფის შედეგია. სკ-ის 413 II მუხლით განსაზღვრული ჯანმრთელობის დაზიანებით გამოწვეული მორალური ზიანის მახასიათებელი თვისება ადამიანის ფსიქიკური და სულიერი ბუნების სფეროში ნეგატიური ზემოქმედების მოხდენაა, რაც ფიზიკურ და ზნეობრივ ტანჯვაში გამოიხატება (იხ. სუსგ №ას-1207-2022, 20 იანვარი, 2023). განსახილველი სარჩელის ფაქტობრივი საფუძველი სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესულ განაჩენში მითითებული ინციდენტების შედეგად **მოპასუხის მიერ მოსარჩელისათვის მიყენებული ფიზიკური ტკივილებითა და სულიერი ტანჯვითა და დასაბუთებული. საექსპერტო დასკვნების მიხედვით, მოსარჩელე ფსიქოლოგიურად მონყვლადა, შეემჩნევა დაუცველობის განცდა, გაღიზიანებადობა, არასტაბილური ფსიქო-სოციალური ფონი, აკუმულირებული ბრაზი, ქორწინების ფსიქოტრავმული მოგონება, ობიექტურად გამოსატული ქვეზღვრული წონა - კახექსია, ინსომნია და სხვა შერეული ტიპის ადაპტაციური აშლილობის ნიშნები. ვლინდება ექსტრემალური სტრესის შემდგომი - ადაპტაციური აშლილობის ნიშნები (შერეული ტიპის - შფოთვა/დეპრესიული განწყობა), ესაჭიროება ფსიქო-ემოციური განწყო-**

ბის სტაბილიზაცია, ინტენსიური ფსიქოლოგიური დახმარება. **მოსარჩელე ინტენსიურ შიშს, შფოთვას განიცდის, რაც ფსიქოლოგიურ და სოციალურ ფუნქციონირებაში მნიშვნელოვნად ხელს უშლის.** სადავო საკითხის გადაწყვეტისას განაჩენთან ერთად სასამართლომ მხედველობაში მიიღო მოსარჩელის მიერ საქმეზე წარმოდგენილი ფსიქოლოგის დასკვნა-შეფასებები, რომლის გამაქარწყლებელი რაიმე მტკიცებულება მოპასუხეს სასამართლოსათვის არ წარუდგენია. საკასაციო პალატამ არ გაიზიარა კასატორის მიერ სარჩელის ხანდაზმულობაზე გაცხადებული პრეტენზია და განმარტა, რომ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა კონკრეტული დავის სპეციფიკიდან გამომდინარე იმ მომენტიდან უნდა აითვალოს, როდესაც მოსარჩელემ ზიანისა და მის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ შეიტყო. შესაბამისად, სკ-ის 1008-ე მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის სამნლიანი ვადის დარღვევას ადგილი არ აქვს.<sup>197</sup>

„რაც შეეხება კასატორის პრეტენზიას მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, პალატამ აღნიშნა, რომ კასატორი ზიანის არსებობისა და მის ანაზღაურებაზე ვალდებულ პირს თავადვე უთითებს (სკ-ის 1008-ე მუხლი). ამასთან, მის მიერ წარმოდგენილია, კლინიკური მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის სამედიცინო დოკუმენტაცია, რომლის მიხედვითაც დაენიშნა კონსერვატული მკურნალობა და მკურნალობის არაეფექტურობის შემთხვევაში მიეცა კოჭ-წვივის სახსრის ენდოპროთეზირების შესახებ რეკომენდაცია. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე კანონით განსაზღვრული სამნლიანი ვადა მართებულად დაუკავშირა უბედური შემთხვევის თარიღს, რაც მოპასუხის შესაგებლის პირობებში გამორიცხავს მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.“<sup>198</sup>

<sup>197</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 05 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-182-2023.

<sup>198</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-444-2022.



„სასამართლომ სკ-ის 413-ე მუხლის საფუძველზე წარდგენილი მოთხოვნის დასაბუთებულობაზე იმსჯელა და მიუთითა, რომ აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ არსებობს ჯანმრთელობის დაზიანებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი წინაპირობები, მათ შორის ერთ-ერთია უფლების განხორციელების ხანდაზმულობის ვადა, რადგან ამ ვადის ამონურვის შემდეგ მოთხოვნა განუხორციელებელი ხდება. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა, ასევე უნდა აითვალოს იმ მომენტიდან, როდესაც მოსარჩელემ ზიანისა და მის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ შეიტყო. სასამართლომ სკ-ის 1008-ე მუხლის საფუძველზე მიიჩნია, რომ სარჩელი ხანდაზმულია და არ არსებობს მისი დაკმაყოფილების საფუძველი.“<sup>199</sup>

## VI. მტკიცების ტვირთი

სკ-ის 413 II მუხლით განსაზღვრული ჯანმრთელობის დაზიანებით გამოწვეული მორალური ზიანის მახასიათებელი თვისება არის ადამიანის ფსიქიკური და სულიერი ბუნების სფეროში ნეგატიური ზემოქმედების მოხდენა, რაც გამოიხატება ფიზიკურ და ზნეობრივ ტანჯვაში. ზიანის ოდენობის განსაზღვრა იმ განცდილი ზიანის კომპენსირებაში მდგომარეობს, რომელიც მოსარჩელეს მოპასუხის ქმედებით მიადგა. განცდილი ზიანის ოდენობა კი, განეკუთვნება არა სამართლის, არამედ ფაქტის საკითხს; ფაქტობრივ გარემოებებზე მითითება და რელევანტური მტკიცებულებების წარდგენა კი, მოსარჩელის საპროცესო ვალდებულებაა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგ - სსკ) მე-4 მუხლით მოდავე მხარეებს თანაბარი შესაძლებლობა აქვთ განსაზღვრონ ფაქტები თავიანთი მოთხოვნებისა თუ შესაგებლის დასაბუთებლად და თვითონვე მიიღონ გადაწყვეტილება, თუ რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული

ეს ფაქტები. ამავე კოდექსის 102-ე მუხლით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს, ე. ი. მხარეს ეკისრება, როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი, რაც სათანადო მტკიცებულებების წარდგენით უნდა განახორციელოს. ზიანის ოდენობის განსაზღვრა იმ განცდილი ზიანის კომპენსირებაში მდგომარეობს, რომელიც მოსარჩელეს მიადგა მოპასუხის ქმედებით. განცდილი ზიანის ოდენობა კი, განეკუთვნება არა სამართლის, არამედ ფაქტის საკითხს; ფაქტობრივ გარემოებებზე მითითება და რელევანტური მტკიცებულებების წარდგენა კი, მოსარჩელის საპროცესო ვალდებულებაა.

სამართლებრივი დავისას სამოქალაქო საქმის განმხილველ მოსამართლეს ორი ამოცანა აქვს დასაძლევია: პირველ რიგში, მან უნდა გამოარკვიოს, თუ რა მოხდა სინამდვილეში. მეორე რიგში კი, მოსამართლემ სამართლებრივად უნდა შეაფასოს ფაქტობრივი გარემოებები და დაადგინოს, არსებობს თუ არა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი. მოსარჩელემ სასამართლოს უნდა მიუთითოს ყველა იმ გარემოებაზე, რომლებიც კანონის მიხედვით ასაბუთებს სასარჩელო მოთხოვნას. თუ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები ვერ აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნას, მაშინ სარჩელი უკვე ამ საფუძველითვე არ უნდა დაკმაყოფილდეს. ასეთ შემთხვევაში, მოსამართლეს არა აქვს უფლება, საკუთარი ინიციატივით მოიძიოს სასარჩელო მოთხოვნის დამადასტურებელი გარემოებები და შეაგროვოს მტკიცებულებები. თუ მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებულია ყველა ის გარემოება, რომელიც კანონის მიხედვით ადასტურებს მოთხოვნის არსებობას, მაშინ უკვე მოპასუხეზეა დამოკიდებული, ამ გარემოებების არსებობის უარყოფა.<sup>200</sup>

მტკიცების საგანში შემავალი გარემოებებიდან ერთი ნაწილი უნდა დაამტკიცოს მოსარჩელემ, მეორე ნაწილი კი – მოპასუხემ. ამასთან

<sup>199</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-801-2021.

<sup>200</sup> ჰერმანი, მტკიცებულებითი სამართალი, GIZ, თბილისი, 2016, გვ. 3-4.

ერთად, მტკიცების ტვირთის განაწილების საფუძველზე, მოსარჩელე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომლებიც მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს და პირიქით, მოპასუხე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომლებიც მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს. მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების ინსტიტუტი მიუთითებს არა მარტო იმაზე, თუ რომელმა მხარემ რა ფაქტები უნდა დაამტკიცოს, არამედ იმაზეც, თუ რომელი ფაქტების დადგენის მოვალეობისაგან თავისუფლდება ესა თუ ის მხარე. შესაბამისად, მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს, ხოლო მოპასუხემ კი – ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს.<sup>201</sup>

სსკ-ის 103 I მუხლის მიხედვით, მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები. აღნიშნული მსჯელობა მიუთითებს, რომ სადავოდ მიჩნეული უფლების კანონიერება უნდა დამტკიცდეს; დარღვეული უფლების დაცვა მხარეს კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით შეუძლია და ამ ფაქტების მითითება მისივე მოვალეობაა; საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტები, რომლებიც სადავოა, დამტკიცებას საჭიროებს; ფაქტების დამტკიცების ტვირთი ფაქტების მიმთითებელ მხარეებს ეკისრებათ; გამონაკლისს წარმოადგენს მატერიალური სამართლით გათვალისწინებული შემთხვევა, როდესაც ფაქტების დამტკიცების ტვირთი ამა თუ იმ ნორმით განსხვავებულადაა მონესრიგებული. მხედველობაშია მტკიცების განსხვავებული სტანდარტი, რომე-

ლიც მოცემულია მოთხოვნის მატერიალურ სამართლებრივ საფუძველში. „ნიშანდობლივია, რომ მტკიცების ტვირთის გადანაწილებას არა მარტო საპროცესო-სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს, არამედ არსებითი მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობაც გააჩნია, ვინაიდან მხარის მიერ ამ საპროცესო მოვალეობის შეუსრულებლობას ან არაჯეროვნად განხორციელებას, შედეგად მოჰყვება ამავე მხარისათვის უარყოფითი, არახელსაყრელი მატერიალურ-სამართლებრივი შედეგი, რაც სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმაში ვლინდება.“<sup>202</sup>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტების თანახმად, სამედიცინო ხასიათის შეცდომის შედეგად მიყენებული ზიანის კვლევისას დაზარალებულის მტკიცების ტვირთს წარმოადგენს ასეთი ზიანის მიყენების ფაქტის არსებობის დადასტურება.<sup>203</sup> სამედიცინო ხასიათის შეცდომის შედეგად მიყენებული ზიანის კვლევისას, დაზარალებულის მტკიცების ტვირთია ზიანის დადგომა. მან აგრეთვე, უნდა ამტკიცოს დამდგარი ზიანისა და მიზეზობრივი კავშირის არსებობა.<sup>204</sup> პაციენტმა უნდა წარმოადგინოს და დაამტკიცოს, რომ დამდგარი ზიანი ეფუძნება სამედიცინო დანესებულების მიერ ვალდებულების დარღვევას. პაციენტის მიერ მხოლოდ ფაქტებზე მითითება არ წარმოადგენს სასურველი მატერიალურსამართლებრივი შედეგის მიღწევის წინაპირობას, აუცილებელია მითითებული ფაქტების მტკიცების ტვირთის რეალიზაცია.<sup>205</sup> „ექიმის პასუხისმგებლობის საფუძველი არის არა მკურნალობის უარყოფითი შედეგი, არამედ სამედიცინო მეცნიერების სტანდარტებიდან გადახვევა.“<sup>206</sup>

<sup>201</sup> ბოელინგი/ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, თბილისი, 2004, გვ. 65; ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2005, გვ. 87.

<sup>202</sup> ბაქრაძე, მტკიცების ტვირთის განაწილება სამედიცინო დავებში, „თსუ სამართლის მიმოხილვა“ № 3, 2018, გვ. 89.

<sup>203</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-111-111-2018. (გერმანულ სამართალში მტკიცების ტვირთთან დაკავშირებით იხილეთ: ჰაგენლოხი, სამედიცინო შეცდომის

ტვირთი გერმანიაში, ქართულ-გერმანული სამართლის ჟურნალი, 2/23, გვ.1-26.).

<sup>204</sup> გაგუა, მტკიცების ტვირთი არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებისას, „მართლმსაჯულება და კანონი“, №49(72), 2021, გვ:75-78.

<sup>205</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები: № ას-111-111-2018, 11 მაისი, 2018 წ; №ას-1169-2022, 17 ნოემბერი, 2022 წ.

<sup>206</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-1268-1526-2009.

ერთ-ერთ საქმეზე სწორედ სკ-ის 413 II მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის – არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი წინაპირობების განხორციელებულად მიჩნევა დაედო საფუძველად, მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილებას. ამ საქმეზე დადგენილი იქნა, რომ კლინიკამ მოსარჩელეს ორთოპედიული მკურნალობა არასწორად ჩაუტარა, რის შედეგადაც პროთეზირების შემდგომ მოსარჩელის ჯანმრთელობა საგრძნობად გაუარესდა; მას დაუზიანდა ჯანმრთელი კბილები, რამაც დამატებითი მკურნალობის აუცილებლობა წარმოშვა. პალატამ პაციენტის სამედიცინო შემონმების დასკვნის საფუძველზე დაადგინა, რომ მკურნალობის პროცესში ხარვეზები დაშვებულ იქნა, არა მარტო შეუსაბამო სადიაგნოზო და სამკურნალო ღონისძიებების ჩატარების დროს, არამედ სტომატოლოგიურ ლაბორატორიაში ფაიფურის გამონვის პროცესშიც.<sup>207</sup>

მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხე სამედიცინო კლინიკის მიმართ არაკვალიფიციური, არაკომპეტენტური მკურნალობის გამო და, ასევე მოსარჩელის მიმართ გამოჩენილი გულგრილობით გამონეული მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. მოპასუხემ მოთხოვნის გამომრიცხველ შედაგებაში მიუთითა მკურნალობის პროცესში მოქმედი სამედიცინო სტანდარტების დაცულობაზე. საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ დავის საგანს წარმოადგენს არასწორი მკურნალობის განხორციელება და ამით, პაციენტის ჯანმრთელობისათვის ვნების, ტანჯვის მიყენება, რაც სკ-ის 992-ე, 1007-ე და 413-ე მუხლებით გათვალისწინებული წინაპირობების განხორციელებულად მიჩნევის შემთხვევაში, სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველია. **აღნიშნული ვალდებულება წარმოიშობა დაზარალებულის აბსოლუტური სუბიექტური სამოქალაქო უფლებების დარღვევის შედეგად, ატარებს არასახელმეკ-**

**რულებო ხასიათს და მიმართულია მიყენებული ქონებრივი ან მორალური ზიანის ანაზღაურებისაკენ (მდრ: სუსგ №ას-1268-1526-09, 25 მაისი, 2010 წელი; №ას-260-244-2014, 28 მაისი, 2014 წელი).** საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ საქმეში, მოსარჩელემ ვერ მოახდინა მისთვის დაკისრებული მტკიცების ტვირთის რეალიზება, რაც სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.<sup>208</sup>

ერთ-ერთ საქმეში მოსარჩელე მოითხოვდა მოპასუხე სამედიცინო დაწესებულებისაგან და მკურნალი ექიმისაგან არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას შემდეგ გარემოებებზე მითითებით: მოსარჩელეს მოპასუხე კლინიკაში ერთწლიანი გამოკვლევის შედეგად, კლინიკის მონვეული პროფესორის მიერ ჩაუტარდა ზემო-წინა შუასაყრის სიმსივნე თიმობის თიმოქტომია სტერნოტომული მიდგომით, წინა შუასაყრის დრენაჟირება. ოპერაციის შემდგომ პერიოდში, მას ამოეთესა ბაქტერია სეუდომონას ერუგინოსა, რომლის საშიშროებასა და თვისებებზე მისთვის ცნობილი არ იყო და არც ექიმებს განუმარტავთ სათანადოდ. სავადმყოფოდან გაწერის შემდეგ პაციენტის მდგომარეობა გაუარესდა, რის გამოც, იგი მოათავსეს ონკოლოგიის ნაციონალურ ცენტრში, სადაც დაუდგინეს მკერდუკანა ჯირკვლის სიმსივნე გართულებული მიასტენიით, ოპერაციის შემდგომი გართულება, მკერდის ძვლის ნეკნების ოსტეომელიტი. ამის შედეგად მას ჩაუტარდა განმეორებითი ოპერაცია, ხოლო შემდგომ კი მე-3 ოპერაცია საზღვარგარეთ. სარჩელის ფაქტობრივ გარემოებებში შემავალი ფაქტების დამტკიცების მიზნით მოსარჩელემ მიუთითა, რომ მის ორგანიზმში პირველი ოპერაციის შედეგად, რომელიც მოპასუხე კლინიკაში ჩატარდა, ხარვეზით შეჭრილმა ჰოსპიტალურმა ბაქტერიამ ოპერაციებისა და ტრავმების შედეგად მისი ჯანმრთელობა საგრძნობლად გააუარესა, რამაც არსებითად შეუმცირა მას შრომის უნარი (ფაქტებზე მითითების ტვირთის რეალიზება). სასამართ-

<sup>207</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-866-816-2015, 12 თებერვალი, 2016.; სუსგ №ას-866-816-2015, 24 ნოემბერი, 2015 წ.

<sup>208</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-111-111-2018.

ლომ იხელმძღვანელა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, რომლის თანახმად, სამედიცინო დანესებულების ხარვეზი, რაზედაც (ფაქტებზე მითითების ტვირთის რეალიზების ფარგლებში) მიუთითებდა მოსარჩელე მხარე (პაციენტი) და რასაც შეეძლო გამოეწვია მის ჭრილობაში ჰოსპიტალური ბაქტერიის შეჭრა, არ დადასტურდა. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ ვერ შეძლო მტკიცების ტვირთის სათანადოდ რეალიზება ე. ი. იმ გარემოებების დამტკიცება, რომლებზედაც იგი ამყარებდა თავის მოთხოვნებს. აქედან გამომდინარე, არ გამოიკვეთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის წარმოშობის ის საფუძველი, როგორცაა ვნების მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული ქმედება და მიზეზობრივი კავშირი ამ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, რის გამოც მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე.<sup>209</sup>

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ მოცემულ

შემთხვევაში მოსარჩელეებმა ვერ უზრუნველყვეს მათი წილი მტკიცების ტვირთის რეალიზება და იმ გარემოების უტყუარად დადასტურება, რომ პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, რასაც მისი გარდაცვალება მოჰყვა, ექიმის შეცდომის შედეგს წარმოადგენდა.<sup>210</sup>

საკასაციო პალატამ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ **არ დასტურდება მოპასუხე მკურნალი ექიმის მხრიდან პაციენტის მდგომარეობისათვის შეუსაბამო ისეთი სადიაგნოზო და/ან სამკურნალო ღონისძიებების განხორციელების ფაქტი, რაც განაპირობებდა ზიანის ანაზღაურებისთვის სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობას.** მოსარჩელემ ვერ მოახდინა მტკიცების ტვირთის რეალიზება, რის გამოც, სამედიცინო დელიქტის განმარტობებელი ფაქტობრივი წინაპირობების არარსებობამ, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა გამოწვია.<sup>211</sup>

<sup>209</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-874-1146-05.

<sup>210</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-151-2023.

<sup>211</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-1169-2022.

## გაქვითვის სამხრივი შეთანხმებები (ნაწილი II): სინალაგმატურობა და სახელშეკრულებო პრიორიტეტი\*

პროფ. დოქ. რალოფ ბრუბეიკერი  
ილინოისის უნივერსიტეტი

### შესავალი

გადახდისუუნარობის სამართლის შესახებ სტატიის წინამდებარე გამოცემა არის სამი გავლენიანი სასამართლო გადაწყვეტილების, რომლებიც მაღალი რეპუტაციის მქონე გადახდისუუნარობის სასამართლოების მიერ, დელავერში იყო მიღებული იყო (SemCrude<sup>1</sup> და, ყველაზე ახალი, Orexigen Therapeutics,<sup>2</sup> 2018 წლის ნოემბერი) და ნიუ იორკის სამხრეთ ოლქში (Lehman Brothers),<sup>3</sup> ორ-ნაწილიანი ანალიზის მეორე ნაწილი. თითოეულმა ამ გადაწყვეტილებამ განმა-

რტა, რომ გადახდისუუნარობაში გაქვითვა, სახელშეკრულებო „სამხრივი გაქვითვის“ შეთანხმების შესაბამისად, არ არის დაშვებული.<sup>4</sup>

რა თქმა უნდა, „ფედერალური გაქვითვის ახალი უფლება გადახდისუუნარობის კოდექსით არ იქმნება“ არამედ, 553(a) სექცია ადგენს, რომ „გარკვეული გამონაკლისებით, გაქვითვის არსებული უფლება ნარჩუნდება გადახდისუუნარობის დროს.“<sup>5</sup> შესაბამისად, 553(a) სექციის ზოგადი წესი ითვალისწინებს, რომ „გადახდისუუნარობის კოდექსი გავლენას არ ახდენს გაქვითვაზე“.<sup>6</sup> დელავერისა და ნიუ იორკის გადახდისუუნარობის სასამართლოებმა არ უარყვეს სა-

\* ინგლისურიდან თარგმნა გოჩა ოყრეშიძემ. Reprinted from Bankruptcy Law Letter and translated from English to Georgian with permission of Thomson Reuters. Copyright © 2019. Further use without the permission of Thomson Reuters is prohibited. For further information about this publication, please visit <https://legalthomsonreuters.com/en/products/law-books> or call 800.328.9352.

<sup>1</sup> In re SemCrude, L.P., 399 B.R. 388, 51 Bankr. Ct. Dec. (CRR) 20, Bankr. L. Rep. (CCH) P 81400, 171 O.G.R. 646 (Bankr. D. Del. 2009), aff'd, 428 B.R. 590, 174 O.G.R. 661 (D. Del. 2010).

<sup>2</sup> In re Orexigen Therapeutics, Inc., 596 B.R. 9 (Bankr. D. Del. 2018).

<sup>3</sup> In re Lehman Bros. Inc., 458 B.R. 134, 55 Bankr. Ct. Dec. (CRR) 137, 66 Collier Bankr. Cas. 2d (MB) 860 (Bankr. S.D. N.Y. 2011).

<sup>4</sup> SemCrude-ს და Lehman Brothers-ს გადაწყვეტილების სხვა კრიტიკა იხ. Charles J. Tabb & Ralph Brubaker, Bankruptcy Law: Principles, Policies, and Practice 557-64 (4th ed. 2015); Charles J. Tabb & Ralph Brubaker, Teacher's Manual for Bankruptcy Law: Principles, Policies, and Practice 584-87 (4th ed. 2015); Martin J. Bienenstock et al., Are Triangular Setoff Agreements Enforceable in Bankruptcy?, 83 Am. Bankr. L.J. 325 (2009); Dennis Connolly & Kevin Hembree, The Contractual Right of Triangular Setoff in Bankruptcy Proceedings: Issues and Alternatives, 2013 Ann. Surv. Bankr. L. 1.

<sup>5</sup> Citizens Bank of Maryland v. Strumpf, 516 U.S. 16, 18, 116 S. Ct. 286, 133 L. Ed. 2d 258, 28 Bankr. Ct. Dec. (CRR) 97, 33 Collier Bankr. Cas. 2d (MB) 869, Bankr. L. Rep. (CCH) P 76666A (1995) (ხაზგასმა დამატებულია).

<sup>6</sup> Strumpf, 516 U.S. at 20.

მმხრივი გაქვითვა თითოეულ საქმეში იმ საფუძვლით, რომ გაქვითვა დაუშვებელი იყო სხვაგვარად გამოსაყენებელი შტატის სამართლის მიხედვით. ამის ნაცვლად, ამ სასამართლოებმა 553(a) სექციაში ამოიკითხეს დასაშვები გაქვითვის დამოუკიდებელი ფედერალური გადახდისუუნარობის „ორმხრივობის“ სტანდარტი ისე, რომ უგულებელყვეს სხვაგვარად გამოსაყენებელი სამართლის ორმხრივობის სტანდარტი და, მართლაც, შეენიშნა ლმდეგენ (1) საყოველთაოდ აღიარებული ორმხრივობის მოთხოვნის ფართოდ აღიარებულ გაგებას და (2) ორმხრივობის ისტორიულად დამკვიდრებულ პრინციპებს, რაც ინტეგრირდა საერთო სამართლის გაქვითვის თანამედროვე დოქტრინასთან.

ნიუ იორკისა და დელავერის სასამართლოთა მიერ სამმხრივი გაქვითვის შეთანხმებების უარყოფა არ ეფუძნება კოდექსის 553(a) სექციას ან მის უკან მდგარ სამართლის მიზნებს. მართლაც, კანონის ტექსტი და მისი მიზნები საშუალებას იძლევა, რათა სამმხრივი გაქვითვის შეთანხმებები აღსრულდეს სხვაგვარად გამოსაყენებელი შტატის სამართლის მიხედვით.

### გაქვითვის ორმხრივობის წინაპირობის (ვერ)გაგება

წინამდებარე სტატიის პირველი ნაწილი, გადახდისუუნარობის სამართლის სტატიის წინათვის გამოცემაში, არ ეთანხმება დელავერისა და ნიუ იორკის სასამართლოთა განმარტებას, რომ ვალდებულების ორმხრივობა ან სუბიექტობის წინაპირობა დასაშვები გაქვითვისათვის შეიძლება არსებობდეს, მხოლოდ, წმინდად არასახელშეკრულებო გაქვითვის უფლებებისთვის. ამ სასამართლოების მიხედვით „სახელშეკრულებო დანაწესები, რომლებიც მიზნად ისახავს წარმოიშვას ხელოვნური ორმხრივობა, არ შეიძლება იყოს რეალური ორმხრივობის ჩამნაცვლებელი.“<sup>7</sup> მათი მოსაზრებით, ვალდებულების ორ-

მხრივობის წინაპირობა უბრალოდ „არ შეიძლება ჩანაცვლდეს მრავალმხრივი შეთანხმებით, რომელიც ადგენს სამმხრივ გაქვითვას.“<sup>8</sup>

### 1. სახელშეკრულებო ორმხრივობა არის „რეალური“ ორმხრივობა

ორმხრივობის მოთხოვნის წმინდად არასახელშეკრულებო კონცეფცია არ არის დასაბუთებული და, მართლაც, საკმაოდ ირონიულად და უადგილოდაც კი ჟღერს თუკი გავითვალისწინებთ საერთო სამართლის ისტორიას ორმხრივობის წინაპირობასთან დაკავშირებით. როგორც გამოკვლეულ იქნა ამ სტატიის პირველ ნაწილში, საერთო სამართლის გაქვითვის დოქტრინის ისტორიის უმეტეს ნაწილში ორმხრივობის მოთხოვნა მოიცავდა სახელშეკრულებო ორმხრივობის განზომილებასაც, მოითხოვდა რა მხარეთა შორის პირდაპირ ან ნავარაუდებ შეთანხმებას (რომ მოთხოვნები შეიძლება ერთმანეთში გაიქვითოს), გაქვითვის უფლების არსებობისთვის. რეალურად, ორმხრივი ვალდებულებების არსებობა „ორ მხარეს შორის, რომელთაგან თითოეული ... ვალდებულია მეორის წინაშე განსაზღვრული თანხით“<sup>9</sup>, ძირითადად, მნიშვნელოვანი იყო დასკვნის გასაკეთებლად, რომ „ტრანზაქცია არის იმგვარი, რომელიც ქმნის პრეზუმფციას, რომ არსებობს გაქვითვის შეთანხმება.“<sup>10</sup>

ამიტომ, იმის თქმა, რომ მხარეთა შორის შეთანხმება (რომ მოთხოვნები შეიძლება ერთმანეთში გაიქვითოს) არ და ვერ შექმნის გაქვითვისათვის საჭირო ორმხრივობის წინაპირობას, წარმოადგენს გაქვითვის უარყოფას ზუსტად იმ საქმეებში, რომლებშიც დაფიქსირდა თავდაპირველი და პარადიგმატული გამართლება მთლიანად საერთო სამართლის გაქვითვის დოქტრინისათვის. ადრე არსებული წესები კი, ყველა ფედერალურ გადახდისუუნარობის კანონში, რომელთაგანაც 553-ე სექცია წარმოიშვა, პირ-

<sup>7</sup> *Lehman Bros.*, 458 B.R. at 136-37.

<sup>8</sup> *SemCrude*, 399 B.R. at 397. *Accord Orexien Therapeutics*, 596 B.R. at 20-22.

<sup>9</sup> *Scammon v. Kimball*, 92 U.S. 362, 367, 23 L. Ed. 483, 1875 WL 17816 (1875).

<sup>10</sup> *Scott v. Armstrong*, 146 U.S. 499, 508, 13 S. Ct. 148, 36 L. Ed. 1059 (1892) (ხაზგასმა დამატებულია). იხ. 2 Joseph Story, *Commentaries, on Equity Jurisprudence, as Administered in England and America* § 1435, at 891-92 (4th ed. 1846).

დაპირ აღასრულებდა სახელშეკრულებო გაქვითვის შეთანხმებებს გადახდისუუნარობაში, საკანონმდებლო დაშვების შესაბამისად, რომ ელიარებიან „ორმხრივი კრედიტის შეთანხმება“ გადახდისუუნაროსა და კრედიტორს შორის<sup>11</sup> – რაც იმას ნიშნავს, რომ „სახეზე ან ნაგარაუდები ან პირდაპირი შეთანხმება გაქვითვის თაობაზე (ე. ი. *stoppage*<sup>12</sup>) *pro tanto*, ან ორმხრივი კრედიტის შეთანხმება.“<sup>13</sup>

## 2. ორმხრივობის უნიკალური ფედერალური გადახდისუუნარობის სტანდარტი?

დელავერისა და ნიუ იორკის თითოეულ საქმეში, სხვაგვარად გამოსაყენებელი შტატის სამართალი დაადგენდა, რომ აღსრულებადი გაქვითვის უფლებებისათვის საჭირო სუბიექტობის ან ვალდებულების ორმხრივობის წინაპირობა იქმნება სამხრთივი გაქვითვის მრავალმხრივი შეთანხმებით. აღსრულებადი სამხრთივი გაქვითვის შეთანხმება ადგენს სახელშეკრულებო ორმხრივობას, რაც წარმოშობს სახელშეკრულებო გაქვითვის უფლებებს. შესაბამისად, ამ საქმეებში გაქვითვის უარყოფით, სასამართლოებმა შექმნეს ორმხრივობის ძალიან უცნაური ფედერალური გადახდისუუნარობის სტანდარტი.

ამგვარი უპრეცედენტო შედეგი, სრულად წინააღმდეგობაში მოდის სხვაგვარად გამოსაყენებელ შტატის სამართალთან და იგი მაშინ

იქნებოდა გამართლებული, თუკი ამას დაადგენდა გადახდისუუნარობის კოდექსის ტექსტი. მართლაც, როდესაც სახეზეა ფედერალური გადახდისუუნარობისათვის სპეციფიკური მიზეზი, რომ გადავუხვიოთ სხვაგვარად გამოსაყენებელი შტატის სამართლის წინაპირობებს, 553(a) სექცია ამას პირდაპირ აკეთებს, მაგალითად, როდესაც პირდაპირ მოითხოვს, რომ გადახდისუუნარობის გაქვითვისათვის აუცილებელია ვალდებულებათა ორმხრივობა არსებობდეს პეტიციის შეტანამდე. კოდექსის 553(a) სექცია არ შეიცავს ამგვარ პირდაპირ შეზღუდვას, რომელიც შემოფარგლავდა მხარეთა შტატის სამართლით არსებული გაქვითვის უფლებების აღიარებასა და აღსრულებას მხოლოდ არასახელშეკრულებო გაქვითვის უფლებებით.

რეალურად, კოდექსის 553(a) სექცია ითვალისწინებს პირდაპირ და კარგად ფორმულირებულ ტექსტს ვალდებულების ან სუბიექტობის ორმხრივობის შესახებ, რაც ნიუ იორკისა და დელავერის სასამართლოებმა ვერ აღმოაჩინეს SemCrude, Lehman Brothers, და Orexigen Therapeutics საქმეებში. მეტიც, ამ სასამართლოების დასკვნების საწინააღმდეგოდ, კოდექსის ტექსტი ადგენს იმ სახელშეკრულებო სამხრთივი გაქვითვის შეთანხმებების აღსრულებას, რომლებიც აღსრულებადია სხვაგვარად გამოსაყენებელი შტატის სამართლის მიხედვით.

<sup>11</sup> 1800-ე აქტი გამოიყენებოდა “როდესაც დადგინდება . . . რომ სახეზეა ორმხრივი კრედიტის შეთანხმება გადახდისუუნაროსა და ნებისმიერ სხვა პირს შორის, ან ორმხრივი ვალდებულება მათ შორის.” 1800 Act § 42 (ხაზგასმა დამატებულია), reprinted in 4 James Wm. Moore et al., *Collier on Bankruptcy* 68.01[1], at 843 n.5 (14th ed. 1978). 1841-ე აქტი გამოიყენებოდა “ყველა საქმეში, სადაც სახეზეა მხარეთა შორის ორმხრივი ვალდებულება ან ორმხრივი კრედიტის შეთანხმება.” 1841 აქტის მე-5 სექცია (ხაზგასმა დამატებულია), reprinted in 4 Collier (14th ed.), 68.01[1], at 843 n.6. 1867 აქტი გამოიყენებოდა “ყველა საქმეში, სადაც იყო მხარეთა შორის ორმხრივი ვალდებულება ან ორმხრივი კრედიტის შეთანხმება.” 1867 Act § 20 (ხაზგასმა დამატებულია), reprinted in 4 Collier (14th ed.), 68.01[1], at 843 n.7. 1898 აქტი გამოიყენებოდა “ყველა საქმეში, სადაც გადახდისუუნაროსა და კრედიტორს შორის არსებობდა ორმხრივი ვალდ-

ბულება ან ორმხრივი კრედიტი.” 1898 Act § 68a (emphasis K 2019 Thomson Reuters added), reprinted in 4 Collier (14th ed.), 68.01[3], at 844 n.10.

<sup>12</sup> „გაქვითვას ადრე ერქვა *Stoppage*.” 2 Story, *Commentaries*, § 1430, at 887 n.1. „ამ ადრეულ საქმეებში პრაქტიკა აღწერილია, როგორც *stoppage*, ვინაიდან მოვალე ექვითიში უფლებამოსილი იყო შეეჩერებინა ან გამოეკლო მის მიმართ არსებული მოთხოვნიდან თავისი საკუთარი მოთხოვნის ოდენობა.” *William H. Loyd, The Development of Set-Off*, 64 U. Pa. L. Rev. 541, 549 (1916).

<sup>13</sup> *Greene v. Darling*, 10 F. Cas. 1144, 1149 (C.C.D. R.I. 1828) (No. 5,765) (Story, Circuit Justice) (ხაზგასმა დამატებულია). იხ. ასევე *Gray v. Rollo*, 85 U.S. 629, 632, 21 L. Ed. 927, 1873 WL 15929 (1873) (განმარტა, რომ საკანონმდებლო მითითება „ორმხრივ კრედიტზე“ 1867 წლის აქტის მე-20 სექციაში მოქმედებს, როდესაც “შეთანხმება იყო . . . დადებული მხარეთა შორის, რომ ერთი მოთხოვნა გაიქვითებოდა მეორეში”).

**კოდექსის 553(a) სექციის მიერ  
ვალდებულების ორმხრივობის წინაპირობის  
კოდიფიკაცია**


კოდექსის 553(a) სექცია შემდეგნაირად ანესებს ვალდებულების ან სუბიექტობის ორმხრივობის წინაპირობას (ხაზგასმა დამატებულია):

*გადახდისუუნარობის კოდექსი არ ეხება კრედიტორის უფლებას გაქვითოს ორმხრივი ვალდებულება, რომელიც მას მოვალის მიმართ გააჩნია და რომელიც წარმოიშვა გადახდისუუნარობის საქმის დაწყებამდე ... იმ მოთხოვნაში, რომელიც კრედიტორს აქვს მოვალის მიმართ და რომელიც საქმის დაწყებამდე წარმოიშვა . . .*

კიდევ ერთხელ, სამმხრივი გაქვითვის საკანონმდებლო ანალიზი მცირედით განსხვავდება ერთ-კრედიტორიან და ორ-კრედიტორიან სამმხრივ გაქვითვაში, ამიტომ ნება მოგვეცით, ანალიზი დავიწყოთ კოდექსის 553(a) სექციის მიერ დადგენილი სუბიექტობის ან ვალდებულების ორმხრივობის წინაპირობით, როგორც ეს გამოყენებულ იქნა ერთ-კრედიტორიან სამმხრივ გაქვითვაში, რაც იყო სადავო SemCrude-ის საქმეში.

**1. ერთ-კრედიტორიანი სამმხრივი გაქვითვა: SemCrude**

სამმხრივი ვალდებულებები, რომლებიც სადავო იყო SemCrude-ის გადაწყვეტილებაში და რომელზეც ყველა მხარე ხელშეკრულებით შეთანხმდა, კერძოდ, მათი ურთიერთგაქვითვის შესახებ, შეიძლება გრაფიკულად გამოისახოს (თითოეული ისარი აჩვენებს პეტიციამდელ მოთხოვნასა და საპასუხო პეტიციამდელ ვალდებულებას, რომელიც ამ მხარეს გააჩნდა იმ პირობის მიმართ, ვისკენაც ისარია მიმართული), შემდეგნაირად:



როგორც პირველ ნაწილში განვიხილეთ, სამმხრივ შეთანხმებას, რომლის აღსრულებასაც Chevron-ი ცდილობდა, მხოლოდ SemCrude-ის გადახდისუუნარობის ქონების მასაზე ექნებოდა გავლენა. შესაბამისად, SemCrude-ი დავაში რელევანტური მოვალეა, რაც შეეხება კოდექსის 553(a) სექციის მოქმედებას მხარეთა სახელშეკრულებო სამმხრივი გაქვითვის შეთანხმებაზე. ვალდებულების ან სუბიექტობის ორმხრივობის წინაპირობა, რაც აუცილებელია გაქვითვისათვის, 553(a) სექციის პირდაპირი მითითებით მოქმედებს მაშინ, როცა გადახდისუუნარობის მოვალის „კრედიტორს“ აქვს პეტიციამდელი „მოთხოვნა ... მოვალის წინაშე.“ „კრედიტორი“ უფლებამოსილია გაქვითოს ეს „მოთხოვნა“ „ურთიერთმოთხოვნაში“, რომელიც განიმარტება, როგორც პეტიციამდელი „ვალდებულება, რომელიც კრედიტორს გააჩნია მოვალის მიმართ.“

SemCrude-ის საქმეში ცალსახად სახეზე იყო პეტიციამდელი „ვალდებულება, რომელიც გააჩნდა Chevron-ს მოვალის მიმართ“, რომელიც იყო SemCrude-ი. თუმცა, SemCrude-ის გადახდისუუნარობის სასამართლომ დაადგინა, რომ Chevron-ი არ იყო SemCrude-ის „კრედიტორი“ (რომელსაც კოდექსის 101(10)(A) სექცია განმარტავს, როგორც სუბიექტს, რომელსაც პეტიციამდელი „მოთხოვნა აქვს მოვალის მიმართ“), ვინაიდან Chevron-ს არ გააჩნდა „მოთხოვნა“ SemCrude-ის მიმართ, კოდექსის 101(5) სექციის მიზნების შესაბამისად.

კოდექსის 101(5) სექციის ნაცნობი დანაწესები ადგენენ, რომ „მოთხოვნა ნიშნავს (ა) გადახდის უფლებას ... ან (ბ) ვალდებულების დარღვევისას ექვითიში რაიმე უფლებას, თუკი ასეთი დარღვევა წარმოშობს გადახდის მოთხოვნის



უფლებას.“ **SemCrude**-ის გადახდისუუნარობის სასამართლოს მიხედვით:

„მიუხედავად იმისა, რა სახელშეკრულებო უფლება გააჩნია ვალდებულებების ურთიერთგაქვითვის შტატის სამართლის მიხედვით, ფაქტია, რომ **Chevron**-ს ვალდებულება აქვს მხოლოდ ერთი მოვალის **SemCrude**-ის მიმართ, და **SemCrude**-ს არ გააჩნია რაიმე ვალდებულება **Chevron**-ის მიმართ. **Chevron**-ს „მოთხოვნაც“ კი არ აქვს **SemCrude**-ის მიმართ, ვინაიდან მოთხოვნისათვის აუცილებელია მას ჰქონდეს „გადახდაზე მოთხოვნის უფლება“ **SemCrude**-ისგან. იხ. 11 U.S.C. § 101(5). . . . გაქვითვის უფლება არასდროს წარმოშობს „გადახდის მოთხოვნის უფლებას“, იგი მხოლოდ წარმოშობს იმაზე ნაკლებს გადახდის უფლებას, რაც სხვაგვარად იქნებოდა. ამიტომ, **Chevron**-ის მიერ მოთხოვნილი გაქვითვა რჩება 553-ე სექციის მოქმედების ფარგლებს გარეთ და არ არის დაშვებული.<sup>14</sup>

ამის მსგავსად, რაც შეეხება 101(5)(B) სექციას, მიუხედავად იმისა, რომ **Chevron**-ს შეიძლება ჰქონდეს შტატის სამართლის მიხედვით ექვითიში გაქვითვის უფლება, ეს უფლება არ ეფუძნება ვალდებულების დარღვევას, რაც წარმოშობს „გადახდის მოთხოვნის უფლებას“, როგორც ზემოთ აღინიშნა. გაქვითვის ის უფლება, როგორც გვხვდება წინამდებარე საქმეში, იძლევა მხოლოდ უფლებას გადაიხადო ნაკლები ან საერთოდ არაფერი, თუმცა არ რთავს ნებას მიიღო გადახდა“.<sup>15</sup>

თუმცა, ამ არგუმენტაციას რამდენიმე პრობლემა აქვს:

## 2. გაქვითვა არის ორმხრივი ვალდებულებების „გადახდა“

თავდაპირველად, **SemCrude**-ის გადახდისუუნარობის სასამართლოს დასკვნა, რომ „გადახ-

დის მოთხოვნის უფლება“ კოდექსის 101(5) სექციის მიზნებისთვის არ მოიცავს „უფლებას გადაიხადო უფრო ნაკლები, ვიდრე სხვაგვარად გადაიხდიდი“,<sup>16</sup> არის ძალიან უცნაური და ვინაშე განმარტება იმისა, თუ რას ნიშნავს ვალდებულების „გადახდა.“ განსაკუთრებით იმ დროში, როცა აბსოლუტურად ყველა „გადახდა“ (მათ შორის, რაც ბანკში ჩეკის გამონერით ხდება) შესაძლებელია ბუღალტერიაში მოთხოვნებისა და ვალდებულებების ცვლილებით, ნაცვლად ნაღდი ანგარიშსწორებისა, ეს არის კონტექსტიდან ამოვარდნილი (თითქმის „კაპრიზამდე“ დასუფილი), რომ „გადახდის“ კონცეფციიდან კატეგორიულად გამორიცხო „საბუღალტრო შესწორებები, სადაც ერთი ვალდებულება იქვითება მეორეში.“<sup>17</sup>

როგორც მოსამართლე ლამარმა განმარტა საკუთარ გადაწყვეტილებაში საქმეში **Studley v. Boylston National Bank**, ბანკსა და კლიენტს შორის ორმხრივი ვალდებულების არსებობისას „ბანკს შეეძლო გამოეყენებინა ... კუთვნილი გაქვითვის უფლება, ისე, რომ ... კლიენტის ანგარიშზე არსებული თანხები მიემართა კლიენტის ვალდებულების გადასახდელად, რომლებიც იმ დროისათვის ვადამოსული იყო.“<sup>18</sup> და როგორც მოსამართლე დეიმ განმარტა საქმეში **New York County National Bank v. Massey**, „გაქვითვის უფლების შესაბამისად, რომელსაც აღიარებს და აღასრულებს სამართალი“, „გადახდისუუნარო მოვალის ყველა კრედიტორი, რომელსაც მოთხოვნა გააჩნია გადახდისუუნარობის მასის მიმართ, რომელიც შეიძლება გაიქვითოს იმ ვალში, რომელიც მას გააჩნია მოვალის მიმართ, ... გაქვითვის ფარგლებში ეს კრედიტორი დაკმაყოფილებულია სრულად.“<sup>19</sup>

რეალურად, რომაული გაქვითვის დოქტრინის სახელიც კი - *compensatio* (კომპენსაცია), არის გადახდის სინონიმი. „კომპენსაცია (ანუ

<sup>14</sup> *SemCrude*, 399 B.R. at 397-98.

<sup>15</sup> *SemCrude*, 399 B.R. at 398 n.8.

<sup>16</sup> *SemCrude*, 399 B.R. at 398.

<sup>17</sup> *Studley v. Boylston Nat. Bank of Boston*, 229 U.S. 523, 528, 33 S. Ct. 806, 57 L. Ed. 1313 (1913).

<sup>18</sup> *Studley*, 229 U.S. at 529 (ხაზგასმა დამატებულია).

<sup>19</sup> *New York County Nat. Bank v. Massey*, 192 U.S. 138, 147, 24 S. Ct. 199, 48 L. Ed. 380 (1904) (ხაზგასმა დამატებულია).

გაქვითვა) - წერს პორტიე, არის გადახდა.<sup>20</sup> და კომპენსაციის ცნება (რომ „შესაბამისი მოთხოვნები „კომპენსირებულია“ - გადახდილია, გაუქმებულია, შეწყვეტილია - უფრო მცირე ოდენობის ვალის ფარგლებში“),<sup>21</sup> ასევე, ცენტრალურია გაქვითვის ანგლო-ამერიკული კონცეფციისათვის. როგორც მოსამართლე ლორდ მენსფილდმა განმარტა: „ბუნებითი ექვითი მოითხოვს, რომ ურთიერთმოთხოვნებმა უნდა დააკმაყოფილონ ერთმანეთი, უფრო მცირე ვალის უფრო დიდ ვალში გაქვითვის გზით.“<sup>22</sup> შესაბამისად, თუნდაც მე-17 და მე-18 საუკუნის ინგლისელმა იურისტებმაც კი ინტუიციურად აღიარეს მიდგომა, რომ როდესაც გაქვითვის (ანუ „stoppage“) უფლება არსებობს „გაქვითვა მიიღება, როგორც გადახდის საშუალება.“<sup>23</sup> აღსრულებადი გაქვითვის უფლება „ვალდებულების შესამცირებლად ან ერთი ვალის მეორეში ჩასათვლელად, მას აქცევს გადახდად.“<sup>24</sup>

ამის მსგავსად, მეოცე საუკუნეში გადახდის უუნარობის და კომერციული სამართლის წამყვანმა მკვლევარმა, პროფესორმა ჯერარდ გლენმა განმარტა, რომ „ძველი ავტორები მართლები იყვნენ თავიანთ პოზიციაში, რომ გაქვითვა არის გადახდა“ „ვინაიდან ვალდებულებები ამ გზით გადაიხდება და მოვალეს უფლება აქვს გამოიყენოს გაქვითვა ისევე, თითქოს მას თანხით განეხორციელებინოს გადახდა.“<sup>25</sup> „გაქვითვა გადახდის ერთ-ერთი საშუალებაა“ და მხარეთა შეთანხმების შესაბამისად გაქვითვა (როგორც არის სამმხრივი გაქვითვის შეთანხმებები) არის „გადახდის საშუალება, როგორც ეს მხარეებმა დაადგინეს.“<sup>26</sup>

გაქვითვის უფლება არის გადახდის უფლება, როგორც დადგენილია ჩვეულებრივი და დიდი ხნის დამკვიდრებული პრაქტიკით. შესაბამისად, შტატის სამართლის მიხედვით სახელშეკრულებო გაქვითვის უფლების მფლობელი, თუნდაც ისეთი, რომელსაც არ გააჩნია მოვალის მიმართ სხვა „მოთხოვნის უფლება გადახდაზე“ (როგორც იყო Chevron-ი, SemCrude-ის საქმეში), არის „კრედიტორი“ „მოთხოვნის უფლებით მოვალის მიმართ“, კოდექსის 101(5), 101(10)(A), და 553(a) სექციების უბრალოდ და ჩვეულებრივი მნიშვნელობით. ეს დასკვნა დამატებით გამყარებულია კოდექსის 102(2) სექციით, რომელიც პირდაპირ ადგენს (101(10)(A) სექციასთან ერთობლიობაში), რომ მხოლოდ უზრუნველყოფით შემოფარგლული მოთხოვნის უფლების მფლობელი არის „კრედიტორი“, „რომელსაც მოვალის მიმართ გააჩნია მოთხოვნა.“

### 3. ვალდებულების ორმხრივობა ერთ-კრედიტორიან სამმხრივ სახელშეკრულებო გაქვითვაში: მოვალის გარანტიით შემოფარგლული ვალდებულება

იმის დასადგენად, შტატის სამართლის მიხედვით აღსრულებადი გაქვითვის უფლება სახელშეკრულებო სამმხრივი შეთანხმების საფუძველზე აკმაყოფილებს თუ არა ვალდებულების ან სუბიექტობის ორმხრივობის მოთხოვნას, როგორც ეს დადგენილია კოდექსის 553(a) სექციაში, კარგი იქნება გამოვიკვლიოთ, თუ როგორ კმაყოფილდება ვალდებულების ან სუბიექტო-

<sup>20</sup> Michael E. Tigar, Comment, Automatic Extinction of Cross-Demands: Compensatio from Rome to California, 53 Cal. L. Rev. 224, 246 (1965) (ხაზგასმა დამატებულია). Pothier არის დასავლური სამყაროს ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული იურისტი. იხ. ზოგადად “Pothier, Robert Joseph,” The Oxford International Encyclopedia of Legal History (Stanley N. Katz ed. 2009); James E.G. de Montmorency, Robert Joseph Pothier and French Law, in Great Jurists of the World 447 (Sir John MacDonell & Edward Manson eds. 1913). კომპენსაციის სამართალში „Pothier-ის გავლენა გაცილებით აღემატება ნებისმიერი სხვის“ და „Pothier-მ ასევე მოიპოვა დიდი გავლენა ამერიკასა და ინგლისშიც, სადაც მისი წიგნი, ვალდებულებით სამართალზე, ითარგმნა და გამოიცა.“ Tigar, 53 Cal. L. Rev. at 246 & n.145. Pothier, შესაბამისად, „ასევე

არაპირდაპირად გავლენას ახდენს ურთიერთმოთხოვნათა სამართალზე ინგლისსა და ამერიკაში.” Id. at 247.  
<sup>21</sup> Tigar, 53 Cal. L. Rev. at 224.  
<sup>22</sup> Green v. Farmer, 98 Eng. Rep. 154, 157, 4 Burr. 2214, 2220 (K.B. 1768).  
<sup>23</sup> Curson v. African Co, 23 Eng. Rep. 358, 359, 1 Vern. 121, 122 (Ch. 1682).  
<sup>24</sup> Jeffs v. Wood, 24 Eng. Rep. 668, 669, 2 Peere Williams 128, 129 (1723).  
<sup>25</sup> Garrard Glenn, The Law Governing Liquidation as Pertaining to Corporations, Partnerships, Individuals, Dece-dents, Bankruptcy, Receivership, Reorganization § 544, at 787, 786 (1935).  
<sup>26</sup> Glenn, Liquidation, § 544, at 787.

ბის ორმხრივობის წინაპირობა შტატის სამართლის მიხედვით. მართლაც, როგორც **SemCrude**-ის გადახდისუუნარობის სასამართლომ აღიარა, კოდექსის 553(a) სექცია ამ ორმხრივობას მოვალისა და კრედიტორის, შესაბამისად, ორმხრივი „ვალის“ და „მოთხოვნის“ თვალსაზრისით განმარტავს. „გადახდის მოთხოვნის უფლება“, რომელიც მიემართება ორივეს, „მოთხოვნასაც“ და „ვალსაც“ (როგორც ეს განმარტებულია კოდექსის 101(5) & (12) სექციებში), გამომდინარეობს სხვაგვარად გამოსაყენებელი შტატის და არა ფედერალური გადახდისუუნარობის სამართლიდან.<sup>27</sup>

სხვაგვარად გამოსაყენებელი შტატის სამართლის შესაბამისად, როგორც იგი მოქმედებს სამმხრივი ვალდებულებების მიმართ, რაც სადავო იყო **SemCrude**-ის საქმეში, ვალდებულების ორმხრივობის წინაპირობა არ არსებობს სამმხრივი მოთხოვნის გაქვითვის შეთანხმების გარეშე. თუმცა, სახელშეკრულებო სამმხრივი გაქვითვის შეთანხმება ანაცვლებს საჭირო სახელშეკრულებო ვალდებულებების ორმხრივობის წინაპირობას, რომელიც წარმოშობს აღსრულებად სამმხრივ გაქვითვის უფლებას შტატის სამართლის შესაბამისად. მაგალითად ავიღოთ **SemCrude**-ის საქმე.

ცალსახად, **Chevron**-ს გააჩნდა სახელშეკრულებო ვალდებულება **SemCrude**-ის მიმართ. დამატებით, როდესაც **SemCrude**-ი ხელშეკრულებით შეთანხმდა **Chevron**-თან, რომ **Chevron**-ს შეეძლო გაექვითა ის ვალი, რომელიც მართებდა **SemFuel**-სა და **SemStream**-ს, ყველა იმ ვალში, რომელიც არსებობდა **SemCrude**-ის მიმართ, ამით **SemCrude**-მა იკისრა სახელშეკრულებო გარანტია **SemFuel**-ისა და **SemStream**-ის ვალდებულებებისათვის, რომელიც არსებობდა **Chevron**-ის მიმართ.


უნდა ვაღიაროთ, რომ **SemCrude**-ის გარანტირებული ვალდებულება **Chevron**-ის მიმართ არ იყო აბსოლუტური, შეუზღუდავი ვალის გარანტია - **SemCrude**-ის ერთადერთი აქტივი, რომელიც **Chevron**-ს შეეძლო გამოეყენებინა, რათა დაექმაცოფილებინა **SemCrude**-ის საგარანტიო ვალდებულება, იყო ის თანხა, რომელიც **Chevron**-ს ემართა **SemCrude**-ის მიმართ და **SemCrude**-ს არ ჰქონდა დამატებითი პირადი პასუხისმგებლობა **SemFuel/SemStream**-ის ვალდებისათვის. თუმცა, **SemCrude**-ს გადახდისუუნარობის სასამართლოს განმარტების საპირისპიროდ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ „**SemCrude**-ს არ გააჩნდა **Chevron**-ის მიმართ რაიმე ვალდებულება“<sup>28</sup> **SemFuel/SemStream**-ის ვალდებისათვის. **SemCrude**-მა აშკარად იკისრა პასუხისმგებლობა **Chevron**-ის წინაშე **SemFuel/ SemStream**-ის ვალდებულებებისათვის, რაც, უბრალოდ იყო, უზრუნველყოფით შემოფარგლული, გარანტირებული ვალდებულება, რაც ემსგავსება უზრუნველყოფილ ვალს.

ასე რომ, რეალურად, სახეზე იყო სწორედ ექვივალენტური სახელშეკრულებო ვალდებულებების ორმხრივობა **SemCrude**-სა და **Chevron**-ს შორის: **Chevron**-ს გააჩნდა **SemCrude**-ის მიმართ \$1.4 მილიონის ოდენობით ვალდებულება და **SemCrude**-ის სახელშეკრულებო გარანტიის მიხედვით, რომელიც ეხებოდა **SemFuel**-ისა და **SemStream**-ის ვალდებულებებს **Chevron**-ის მიმართ, **SemCrude**-ს ასევე ვალდებულება გააჩნდა **Chevron**-ის მიმართ \$1.4 მილიონის ოდენობით, რომელიც გრაფიკულად შემდეგნაირად შეიძლება გამოსახოს:

<sup>27</sup> იხ. *Midland Funding, LLC v. Johnson*, 137 S. Ct. 1407, 1411, 197 L. Ed. 2d 790, 64 Bankr. Ct. Dec. (CRR) 31, 77 Collier Bankr. Cas. 2d (MB) 1308, Bankr. L. Rep. (CCH) P 83101 (2017) (მოთხოვნა არის გადახდის მოთხოვნის უფლება. 11 U.S.C.A. § 101(5)(A). შტატის სამართალი, როგორც წესი, განსაზღვრავს აქვს თუ არა პირს ამგვარი უფლება.); *Travelers Cas. and Sur. Co. of America v. Pacific Gas and Elec. Co.*, 549 U.S. 443, 451, 127 S. Ct. 1199, 167 L. Ed. 2d 178, 47 Bankr. Ct. Dec. (CRR) 265, 57 Collier Bankr. Cas. 2d (MB) 314, Bankr. L. Rep. (CCH)

P 80880 (2007) (ადგენს, რომ „როდესაც გადახდისუუნარობის კოდექსი იყენებს ტერმინს „მოთხოვნა“, რომელსაც კოდექსი განმარტავს, როგორც გადახდის მოთხოვნის უფლებას, 11 U.S.C.A. § 101(5)(A) - იგი, როგორც წესი, მიუთითებს იმ მოთხოვნის უფლებაზე, რომელიც არსებობს შტატის სამართლის შესაბამისად“); 11 U.S.C.A. § 101(12) (“ტერმინი ‘ვალი’ ნიშნავს მოთხოვნაზე პასუხისმგებლობას.”).

<sup>28</sup> *SemCrude*, 399 B.R. at 397.



**4. „კრედიტორი”, რომელიც ფლობს „მოთხოვნას მოვალის მიმართ” მოიცავს მოთხოვნას მოვალის ერთადერთი ქონების მიმართ**

იმის გაანალიზება, რომ SemCrude-ის სახელშეკრულებო გარანტიას SemFuel/SemStream-ს Chevron-ის მიმართ არსებული ვალისათვის აქვს ლიმიტირებული ბუნება, ავლენს SemCrude-ის გადახდისუნარობის სასამართლოს მსჯელობაში აშკარა ხარვეზს, გამორჩენის სახით. სასამართლო შეცდა კიდევ ერთხელ, როცა დაასკვნა, რომ Chevron-ის მოთხოვნებმა SemCrude-ის მიმართ მხარეთა სახელშეკრულებო სამმხრივი გაქვითვის შეთანხმების საფუძველზე არ წარმოშვა „კრედიტორი Chevron-ის მოთხოვნა მოვალე SemCrude-ის მიმართ” 553(a) სექციის მნიშვნელობით.

დიახ, „მოთხოვნა” განმარტებულია 101(5) სექციაში, როგორც „გადახდის მოთხოვნის უფლება” და ერთადერთი უფლება, რომელიც Chevron-ს ჰქონდა SemCrude-თან, რაც მისი შეთანხმების საფუძველზე იყო SemCrude-სადმი არსებული ვალდებულების გაქვითვა, ანუ ეს იყო SemCrude-ის ერთადერთი ქონება, რომელზეც Chevron-ს შეეძლო SemCrude-ის გარანტიის აღსრულება, რომელიც მან იკისრა Chevron-სადმი SemFuel-ისა და SemStream-ის ვალდებულებებისათვის. თუნდაც, იმ ფაქტის გარდა (როგორც ზემოთ იქნა განხილული) რომ ასეთი მოთხოვნის გაქვითვა არის „გადახდის მოთხოვნის

უფლება” გაქვითული ვალდებულებებისათვის, სასამართლოს ანალიზი ასევე არ ითვალისწინებს კოდექსის 102(2) სექციის მოთხოვნებს, როგორც ეს არაერთმა კომენტატორმა აღნიშნა.<sup>29</sup>

„მოთხოვნა მოვალის მიმართ” (სარეზოლუციო და გადამწყვეტი ტექსტუალური ფრაზა 553(a) სექციაში) დამატებით განმარტებულია 102(2) სექციაში, რომ მოიცავს „მოთხოვნას მოვალის ქონების მიმართ.” ეს დანაწესი შეგნებულად შეიქმნა, რათა პირდაპირ მოეცვა უზრუნველყოფით შემოფარგლული ვალდებულებები კოდექსის „ვალდებულებისა” და „მოთხოვნების” ფართო კონცეფციით,<sup>30</sup> და ეს არის ზუსტად ის, რაც SemCrude-მა გადასცა Chevron-ს მხარეთა სამმხრივი გაქვითვის შეთანხმებით - უზრუნველყოფით შემოფარგლული გარანტია Chevron-ის მიმართ SemFuel-ისა და SemStream-ის ვალდებულებისათვის, რომლისთვისაც SemCrude-ის ერთადერთი ქონება, რომელზეც Chevron-ს შეეძლო აღსრულების მიქცევა იყო ის თანხა, რომელიც Chevron-ს ემართა SemCrude-სადმი.

შესაბამისად, კოდექსის ტექსტში არაფერია ისეთი, რაც რაიმე სახით ეწინააღმდეგება (და ცალსახად არ ქმნის ბათილად ცნობის საფუძველს) Chevron-ს აშკარა მოთხოვნას შტატის სასამართლის მიხედვით, რათა სრულად აღასრულოს შეთანხმებული სამმხრივი გაქვითვა. რეალურად, კოდექსის 553(a) სექციაში ორმხრივობის წინაპირობის ტექსტუალური ფორმულირებიდან ჩანს, რომ იგი არის არაფერი მეტი, ვიდრე უნივერსალური და ელემენტარული ვალდებულებისა და სუბიექტობის ორმხრივობის განზომილების უბრალო კოდიფიკაცია. სახელშეკრულებო ვალდებულებების ორმხრივობა, რომელიც წარმოშობს აღსრულებად სამმხრივ გაქვითვის უფლებას სხვაგვარად გამოსაყენებელი შტატის სასამართლის მიხედვით, შესაბამისად

<sup>29</sup> იხ. Tabb & Brubaker, Bankruptcy Law, at 563-64; Tabb & Brubaker, Teacher’s Manual, at 586; Bienenstock et al., 83 Am. Bankr. L. J. at 328-30; Connolly & Hembree, 2013 Ann. Surv. Bankr. L. at 23-27.

<sup>30</sup> „ეს პარაგრაფი [(2) of § 102] გამიზნულია, რათა მოიცავს უზრუნველყოფით შეზღუდული სესხის ხელშეკრულებები, რომელშიც კრედიტორის ერთადერთი უფლე-

ბები მიემართება მოვალის ქონებას და არა მოვალეს პარადად. შესაბამისად, ასეთი შეთანხმება წარმოშობს მოთხოვნას, რომელიც განხილული იქნება, როგორც პერსონალურად მოვალის მიმართ წარდგენილი მოთხოვნა, გადახდისუნარობის კოდექსის მიზნებისათვის.” S. Rep. No. 95-989, at 28 (1978); H.R. Rep. No. 95-595, at 315 (1977).

(რაც არ არის გასაკვირი), ცალსახად ჯდება კოდექსის 552(a) სექციის მოქმედების ფარგლებში.


შედეგად და SemCrude-ს გადაწყვეტილების საპირისპიროდ, კოდექსის 553(a) სექცია აღიარებს გადახდისუნარობისას ერთ-კრედიტორიან სახელშეკრულებო სამმხრივი გაქვითვის შეთანხმებებს, რომლებიც აღსრულებადია სხვაგვარად გამოსაყენებელი შტატის სამართლის მიხედვით. მეტიც (რაც არ არის გასაკვირი), მიუხედავად იმისა, რომ საკანონმდებლო ანალიზი მცირედ განსხვავებულია, იგივე შეიძლება ითქვას ორ-კრედიტორიანი სამმხრივი სახელშეკრულებო გაქვითვის შესახებ, რაც იყო სადავო Lehman Brothers-სა და Orexigen Therapeutics-ის საქმეებში.

**5. ორკრედიტორიანი სამმხრივი გაქვითვა: Lehman Brothers და Orexigen Therapeutics**

ორივე Lehman Brothers-ისა და Orexigen Therapeutics-ის საქმეები მოიცავდა ორკრედიტორიან სამმხრივ სახელშეკრულებო გაქვითვას, იმიტომ, რომ ორი ან მეტი დაკავშირებული კრედიტორი ვალდებული იყო და მოთხოვნასაც ფლობდა ერთი გადახდისუნარო მოვალის მიმართ, პეტიციის წარდგენის დროისათვის.

Lehman Brothers-ის საქმეში მოვალე იყო Lehman Brothers Inc. (LBI) და დაკავშირებული კრედიტორები იყვნენ (1) UBS AG, რომელსაც თანხა ემართა LBI-ს მიმართ, და (2) UBS Securities and UBS Financial Services, რომელთა მიმართაც LBI-ს გააჩნდა ფულადი ვალდებულება. UBS AG ცდილობდა გაექვითა თანხები, რომლებიც LBI-ს ემართა UBS-სთან დაკავშირებული კომპანიების მიმართ, იმ თანხებში, რომელიც UBS AG-ს ემართა LBI-ს მიმართ, მხარეთა სახელშეკრულებო შეთანხმების შესაბამისად, რომლის თანახმადაც თითოეულს ექნებოდა უფლება აღესრულებინა ამგვარი სამმხრივი გაქვითვა.

Orexigen Therapeutics-ის საქმეში მოვალე იყო Orexigen Therapeutics და დაკავშირებული კრედიტორები, რომელთა სამმხრივი სახელშეკრულებო გაქვითვის უფლებებიც სადავო იყო, აგრეთვე (1) McKesson Corporation, რომელსაც მოვალის მიმართ გააჩნდა, დაახლოებით, \$6.9 მილიონის ოდენობის დავალიანება, და (2) McKesson Patient Relationship Solutions (MPRS), რომლის მიმართაც მოვალეს გააჩნდა, დაახლოებით, \$9.1 მილიონის ოდენობით ვალი. ეს სამმხრივი ვალდებულებები გრაფიკულად შეიძლება შემდეგნაირად გამოისახოს:



მხარეთა სახელშეკრულებო შეთანხმების შესაბამისად, რომ თითოეულს შეეძლო სამმხრივი გაქვითვის აღსრულება, McKesson შეეცადა მოეპოვებინა უფლება, რომ \$6.9 მილიონი ვალდებულება, რომელიც Orexigen Therapeutics-ს ემართა MPRS-ს მიმართ გაექვითა იმ \$6.9 მილიონში, რომელიც McKesson-ს ემართა Orexigen Therapeutics-ს მიმართ, ისე, რომ ნეტი (გაქვითვის შემდგომ) (1) McKesson-ს აღარ ექნებოდა Orexigen Therapeutics-ს მიმართ დავალიანება, და (2) MPRS-ს ექნებოდა მხოლოდ \$2.2 მილიონი არაუზრუნველყოფილი მოთხოვნის უფლება Orexigen Therapeutics-ს გადახდისუნარობის ქონების მასის მიმართ.<sup>31</sup>

<sup>31</sup> ასევე, \$6.9 მილიონის გაქვითვასთან დაკავშირებით, MPRS-ს სავარაუდოდ ექნებოდა \$6.9 მილიონის არაუზრუნველყოფილი მოთხოვნა McKesson-ს წინააღმდეგ,

თუკი ხელშეკრულებით არა, მაშინ რესტიტუციის სამართლის საფუძველზე მაინც. იხ. ზოგადად Restatement (Third) of Restitution and Unjust Enrichment § 48 (2011).

## 6. ვალდებულების ორმხრივობა ორ-კრედიტორიან სამმხრივ სახელშეკრულებო გაქვითვაში: მოვალის გადახდის ვალდებულების უზრუნველყოფით შემოფარგლული მესამე მხარე - ბენეფიციარი

კვლავ, ორივე Lehman Brothers-ისა და Orexigen Therapeutics საქმეებში, სასამართლოებმა აღიარეს, რომ მხარეთა სამმხრივი სახელშეკრულებო გაქვითვის შეთანხმებები მხარეებს ანიჭებენ სრულად აღსრულებად სამმხრივი გაქვითვის უფლებას სხვაგვარად გამოსაყენებელი შტატის სამართლის შესაბამისად. ხოლო დაბრკოლება, 553(a) სექციის ვალდებულების ან სუბიექტობის ორმხრივობისადმი, ორივე საქმის სასამართლოს მიხედვით, იყო იგივე, რაც SemCrude-ის საქმეში: მხარე, რომელსაც ემართა თანხა მოვალის მიმართ (მაგალითად McKesson, Orexigen Therapeutics-ის საქმეში) სავარაუდოდ არ იყო „კრედიტორი“ „მოთხოვნით მოვალის წინაშე“, როგორც ამას აწესებს 553(a) სექციის ფორმულირება, რაც დადგენილია ვალდებულების ან სუბიექტობის ორმხრივობის წინაპირობის მიმართ.

კიდევ ერთხელ, მიუხედავად ამისა, კარგი იქნება მხედველობაში მივიღოთ, თუ როგორ კმაყოფილდება ვალდებულების ან სუბიექტობის ორმხრივობის წინაპირობა შტატის სამართლის მიხედვით. ამასთან, მხარეთა სახელშეკრულებო სამმხრივი გაქვითვის შეთანხმება თავად ანაცვლებს აუცილებელ სახელშეკრულებო ორმხრივობას, რომელიც წარმოშობს აღსრულებად სამმხრივი გაქვითვის უფლებას შტატის სამართლის შესაბამისად. განვიხილოთ, მაგალითად, Orexigen Therapeutics-ი.

ცალსახად, McKesson-ს გააჩნდა სახელშეკრულებო ვალდებულება Orexigen Therapeutics-ის მიმართ. დამატებით, როდესაც Orexigen Therapeutics-ი ხელშეკრულებით შეთანხმდა McKesson-სთან, რომ McKesson-ს შეეძლო გაექვითა თანხა, რომელიც Orexigen-ს მართებდა MPRS-სადმი იმ თანხაში, რომელიც McKe-

sson-ს ემართა Orexigen-სადმი, McKesson-ი გახდა განზრახული ბენეფიციარი Orexigen-ს გადახდის ვალდებულებისა MPRS-ს მიმართ,<sup>32</sup> იმ უფლებით, რომ აღსრულებინა MPRS-ის მოთხოვნა Orexigen-ის წინააღმდეგ, დადებული შეთანხმების შესაბამისად<sup>33</sup> – McKesson-ს ორმხრივი სახელშეკრულებო მოთხოვნა Orexigen Therapeutics-ის მიმართ.

McKesson-ს უფლება აღსრულებინა MPRS-ის მოთხოვნა Orexigen-ის მიმართ, რაც შეზღუდული იყო (მხარეთა შეთანხმებით) გაქვითვის აღსრულებაზე (იმ თანხაში, რომელიც McKesson-ს ემართა Orexigen-ის მიმართ), არ უქმდება იმ ფაქტით, რომ Orexigen-მა იკისრა სახელშეკრულებო ვალდებულება, რათა ნება მიეცა McKesson-ისათვის, რომ აღსრულებინა Orexigen-ის ვალდებულება MPRS-ს მიმართ გაქვითვის გზით. ვინაიდან, გაქვითვის უფლება არის „გადახდის მოთხოვნის უფლება“ (როგორც ზემოთ განვიხილეთ), McKesson-ი იყო, რეალურად, „კრედიტორი“, რომელსაც გააჩნდა „მოთხოვნა“ (როგორც ეს განმარტებულია კოდექსის 101(5) სექციაში) Orexigen-ის მიმართ, რომ მომხდარიყო იმ თანხის, რომელიც McKesson-ს ემართა Orexigen-ის მიმართ გაქვითვა იმ ვალში, რომელიც Orexigen-ს გააჩნდა MPRS-ს მიმართ (და McKesson-სადმი, როგორც მესამე პირი, ბენეფიციარი).


მეტიც, ფაქტი, რომ McKesson-ს, საკუთარი მესამე პირი ბენეფიციარის უფლებების აღსრულებისას, აღსრულების მიქცევა შეეძლო Orexigen-ის ქონების მხოლოდ გარკვეულ ნაწილზე (თანხები, რაც McKesson-ს ემართა Orexigen-სადმი) ასევე არ აკნინებს McKesson-ის სტატუსს, როგორც „კრედიტორი“, რომელსაც აქვს ორმხრივი „მოთხოვნის უფლება მოვალის მიმართ“, კოდექსის 553(a) სექციის მნიშვნელობით. კვლავ, კოდექსის 102(2) სექცია პირდაპირ ადგენს, რომ საკანონმდებლო ფრაზა „მოთხოვნა მოვალის მიმართ“ მოიცავს მოთხოვნას მოვალის ქონების მიმართაც.”

<sup>32</sup> იხ. ზოგადად Restatement (Second) of Contracts § 302(a) (1981).

<sup>33</sup> “დაპირება ხელშეკრულებაში ქმნის შემპირებლისათვის ვალდებულებას [Orexigen Therapeutics] იმ პირის მი-

მართ, ვის სასარგებლოდაც ეს დაპირება იქნება გაცემული [McKesson] რათა შეასრულოს დაპირება, და ბენეფიციარს უფლება აქვს აღასრულოს იგი.” Restatement (Second) of Contracts § 304.

შესაბამისად, სახეზე იყო სახელშეკრულებო ვალდებულებების ორმხრივობა **Orexigen**-სა და **McKesson**-ს შორის: **McKesson**-ს ემართა **Orexigen**-სადმი \$6.9 მილიონი და, მხარეთა შეთანხმების შესაბამისად, რომელმაც **McKesson** გახადა **MPRS**-ს მიმართ **Orexigen**-ს ვალის მქონე მესამე პირი ბენეფიციარი, **McKesson**-ს გააჩნდა \$ 6.9 მილიონი უზრუნველყოფით შემოფარგლული მოთხოვნა **Orexigen**-სადმი, რომელიც შეიძლება გრაფიკულად შემდეგნაირად იქნეს გამოსახული:




შესაბამისად, **McKesson**-ი იყო, ფაქტობრივად, „კრედიტორი“, რომელსაც ჰქონდა ორმხრივი სახელშეკრულებო „მოთხოვნის უფლება მოვალის მიმართ“, კოდექსის 553(a) სექციის ფორმულირების მნიშვნელობით, რაც დადგენილი იყო ვალდებულების ან სუბიექტობის ორმხ-

რივობის წინაპირობისათვის. იგივე სახელშეკრულებო ვალდებულებების ორმხრივობა, რომელიც აღსრულებად აქცევს მხარეთა სახელშეკრულებო სამმხრივი გაქვითვის შეთანხმებას, სხვაგვარად გამოსაყენებელი შტატის სამართლის მიხედვით, ასევე (რაც არ არის გასაკვირი) ცალსახად ექცევა 553(a) სექციის მოქმედების სფეროში.

**გადახდისუუნარობის პოლიტიკა და სახელშეკრულებო პრიორიტეტები**

553(a) სექციის ძირითადი ფუნქციის შესაბამისად, რომელიც არის მხარეთა გადახდისუუნარობის გარეთ არსებული შტატის სამართლის გაქვითვის უფლების აღსრულება, არ არსებობს გადახდისუუნარობისათვის სპეციფიკური მიზეზი, რომ ვალდებულების ან სუბიექტობის ორმხრივობის წინაპირობა განვმარტოთ ისეთნაირად, რომ იგი ნიშნავდეს რაიმე სხვას, გარდა იმისა რასაც უკვე ნიშნავს სხვაგვარად გამოსაყენებელი შტატის სამართლის მიხედვით. თუკი სამმხრივი გაქვითვის შეთანხმება სრულად აღსრულებადი იქნება შტატის სამართლის მიხედვით, ვალდებულების ორმხრივობის წინაპირობით (რომელიც იგი ნამდვილად იყო), მაშინ არ არის ცხადი რატომ უნდა ჩაითვალოს, რომ გადახდისუუნარობაში არ არსებობს ორმხრივობის წინაპირობა.<sup>34</sup>

<sup>34</sup> ასევე არსებობს სახელშეკრულებო „ოთხმაგი გაქვითვის“ შესაძლებლობა, რომელიც მოიცავს ორ (ან მეტ) დაკავშირებულ კრედიტორს და ორ (ან მეტ) დაკავშირებულ მოვალეს. მაგალითად, განვიხილოთ შემდეგი „ოთხმხრივი“ ვალდებულების სცენარი:



ანალიზი ამგვარი ოთხმხრივი გაქვითვისა მრავალმხრივი შეთანხმების საფუძველზე აერთიანებს, ორივე, (1) ერთ-კრედიტორიანი სახელშეკრულებო სამმხრივი გაქვითვისა (განსახილველი მოვალე, D1, არის ქონებით შეზღუდული სახელშეკრულებო გარანტორი მოვალის დაკავშირებული ვალდებულებისა, D2, მხარეთა მრავალმხრივი გაქვითვის შეთანხმების საფუძველზე) და (2) ორ-კრედიტორიანი სახელშეკრულებო სამმხრივი გაქვითვის უნიკალურ თვისებებს (განსახილველ კრედიტორს, Cr1, აქვს ქონებით შემოფარგლული მოთხოვნა მოვალის მიმართ, D1, როგორც მესამე პირი ბენეფიციარი დაკავშირებული კრედიტორის თანხის გადახდის მოთხოვნის უფლებისა, Cr2, მხარეთა მრავალმხრივი გაქვითვის შეთანხმების შესაბამისად). აუცილებელი სახელშეკრულებო ორმხრივობა ოთხმხრივი ვალდებულების გაქვითვისათვის, ზემოთ დასახელებული ორივე სცენარისათვის, შესაძლებელია გრაფიკულად გამოისახოს შემდეგნაირად:

თუმცა, დელავერისა და ნიუ იორკის სასამართლებმა, თავიანთი უნიკალური ფედერალური გადახდისუუნარობის ორმხრივობის სტანდარტის მხარდაჭერა ჰპოვეს (რომელიც ზღუდავს ნებადართულ გაქვითვას გადახდისუუნარობაში მხოლოდ წმინდად არასახელშეკრულებო გაქვითვის უფლებებით) სავარაუდო გადახდისუუნარობის მიზნებში. **SemCrude**-ის გადახდისუუნარობის სასამართლომ ეს მიზნები შემდეგნაირად განმარტა:

„სასამართლოს დასკვნა ასევე შეესაბამება 553-ე სექციის მიზანსა და კოდექსის ზოგად მიზნებს. კოდექსის ერთ-ერთი მთავარი მიზანი, თუ არა უმთავრესი, არის უზრუნველყოფის შესაძლებლობა, რათა მსგავს პოზიციაში მყოფი კრედიტორები იღებდნენ სამართლიან მოპყრობასა და სარგებლობდნენ მოვალისგან თანაბარი დაკმაყოფილების უფლებით, თუკი არ არსებობს რაიმე საპატიო მიზეზი ამ პრინციპიდან გადასახვევად. თუკი მხარეებს მიეცემათ უფლება ხელშეკრულებით გვერდი აუარონ 553-ე სექციის ორმხრივობის მოთხოვნას, ერთი ან რამდენიმე კრედიტორი არასამართლიანად მიიღებს მოვალისგან გადახდას, მოვალის სხვა კრედიტორების ხარჯზე, რითიც დაირღვევა პრიორიტეტის ის სქემა, რომელსაც კოდექსი ანებს და შემცირდება ყველა კრედიტორისათვის განკუთვნილი საერთო თანხა. იხ. *In re Bevill, Bresler & Schulman Asset Mgmt. Corp.*,


*896 F.2d 54, 57 (3d Cir.1990)* („გაქვითვა ეწინააღმდეგება გადახდისუუნარობის ფუნდამენტურ პრინციპს, კრედიტორებს შორის თანაბრობას . . .“); *BNY Fin. Corp. v. Masterwear Corp. (In re Masterwear Corp.)*, 229 B.R. 301, 311 (Bankr.S.D.N.Y.1999) („გაქვითვა მუშაობს, რათა უპირატესობა მიანიჭოს ერთ კრედიტორს ყველა დანარჩენის მიმართ“). ასეთი შედეგი ცალსახად ეწინააღმდეგება ... სამართლიანი გადახდის პრინციპს, რაც არის კოდექსის ცენტრალური პრინციპი“.<sup>35</sup>

ოლქის სასამართლომ აპელაციის წესით განხილვისას,<sup>36</sup> ისევე, როგორც გადახდისუუნარობის სასამართლოებმა ორივე **Lehman Brothers**-ისა<sup>37</sup> და **Orexigen Therapeutics**-ის<sup>38</sup> საქმეებში, ყველამ დაადასტურა ეს მიზანზე დამყარებული არგუმენტაცია, რომლითაც უარი ეთქვათ გადახდისუუნარობაში სამმხრივი გაქვითვის შეთანხმებების აღსრულებაზე.

**1. გაქვითვის ყველა უფლება ქმნის დისტრიბუციის პრიორიტეტს**

დელავერისა და ნიუ იორკის სასამართლოების მიერ გადახდისუუნარობის ზოგადი, კრედიტორთა თანაბრობის პრინციპის გამოყენება არის ზედმეტად ფართო და არასაჭირო.

მაშინ, როცა კრედიტორთა თანაბრობა ზოგადად მნიშვნელოვანია, გადახდისუუნარობის



<sup>35</sup> *SemCrude*, 399 B.R. at 399.  
<sup>36</sup> *SemCrude*, 428 B.R. at 594.  
<sup>37</sup> *Lehman Brothers*, 458 B.R. at 144.  
<sup>38</sup> *Orexigen Therapeutics*, 596 B.R. at 21-22.



კოდექსი არ უჭერს მხარს კრედიტორთა აბსოლუტურ თანაბრობას. ამის ნაცვლად, უპირატესობა ენიჭება წესს, რომ თანაბარი მოპყრობა უნდა მოხდეს მსგავს მდგომარეობაში მყოფი კრედიტორების მიმართ. შესაბამისად, მონოდება კრედიტორთა თანაბრობის თაობაზე ბადებს კითხვებს: არიან ეს კრედიტორები ერთი და იმავე ტიპის, ან მათი უფლებრივი განსხვავება ხომ არ ქმნის საფუძველს მათი განსხვავებული მოპყრობისათვის?<sup>39</sup>

მართლაც, თუკი კრედიტორთა თანაბრობა უმთავრესი წესი იქნებოდა, მაშინ გადახდისუუნარობაში არასოდეს მოხდებოდა გაქვითვის უფლების რეალიზება, ვინაიდან, როგორც **SemCrude**-ის გადაწყვეტილების ზემოთ მოყვანილი პასაჟი აღიარებს, გაქვითვა ყოველთვის „მოქმედებს რათა უპირატესობა მიანიჭოს ერთ კრედიტორს ყველა სხვასთან მიმართებით.“<sup>40</sup> **SemCrude**-ის სასამართლოს კრედიტორთა თანაბრობის კონცეპცია, შესაბამისად, აუცილებლად განიხილავს **553(a)** სექციას და გადახდისუუნარობის გაქვითვის უფლებებს, მთლიანად, კარგ გადახდისუუნარობის პოლიტიკასთან შეუსაბამოდ. ფაქტობრივად, ზემოთ ციტირებული პასაჟი არსებითად იგივეს აცხადებს: „გაქვითვა ეწინააღმდეგება გადახდისუუნარობის ფუნდამენტურ პრინციპებს, რაც არის კრედიტორთა შორის თანაბრობა.“<sup>41</sup>

თუმცა, ყველა კონგრესი, რომელსაც ოდესმე მიუღია ფედერალური გადახდისუუნარობის კანონი, არ ეთანხმებოდა ამ შეფასებას, ამკარად მიიჩნევდა რა, რომ კრედიტორი, რომელსაც აქვს გაქვითვის უფლებები არ არის იმავე მდგომარეობაში, როგორშიც ზოგადად არაუზრუნველყოფილი კრედიტორები არიან. ყველა ფედერალური გადახდისუუნარობის კანონი, რომელიც ოდესმე არსებულა, ადგენდა, რომ კრედიტორის ყველა მოთხოვნა, რომელზეც გაქვითვის უფლება ვრცელდება უნდა იღებდეს პრიორიტეტს ზოგადად არაუზრუნველყოფილ

მოთხოვნებთან შედარებით, ისე, როგორც ეს ხდება უზრუნველყოფილ მოთხოვნებთან მიმართებით. მართლაც, მოქმედი გადახდისუუნარობის კოდექსის ავტორებმა საკმაოდ პირდაპირ აღიარეს, რომ უზრუნველყოფილი კრედიტორების პრიორიტეტული უფლებები, რაც აუცილებლად თან სდევს გადახდისუუნარობაში გაქვითვის დაშვებას:

საკითხი იმის შესახებ გაქვითვა უნდა იყოს თუ არა დაშვებული ან უარყოფილი, რათა კრედიტორს, რომელიც იყენებს გაქვითვის უფლებას არ მიეცეს შესაძლებლობა საკუთარი მოთხოვნისათვის მიიღოს უფრო დიდი პროცენტული დაკმაყოფილება, ვიდრე ზოგადად არაუზრუნველყოფილი კრედიტორები იღებენ, შეიძლება დანახულ იქნეს იმ თვალსაზრისით გაქვითვის უფლების მქონე კრედიტორი არის თუ არა, ფაქტობრივად, უზრუნველყოფილი თუ არაუზრუნველყოფილი. თუკი იგი უზრუნველყოფილია, მაშინ გაქვითვის დაშვებით იგი იმავე მოპყრობას მიიღებს, რასაც უზრუნველყოფილი კრედიტორები იღებენ. თუკი იგი მიიჩნევა არაუზრუნველყოფილად, მაშინ გაქვითვის უფლების გაუქმება და მოთხოვნა, რომ მან მოვალის გადახდისუუნარობის მასას უნდა გადაუხადოს ვალი, მიანიჭებს მას იმავე მოპყრობას, რასაც იღებენ არაუზრუნველყოფილი კრედიტორები.<sup>42</sup>

თუმცა, ამ უკანასკნელ შესაძლებლობასთან დაკავშირებით, რაც ეხება ზოგადი არაუზრუნველყოფილი კრედიტორის სტატუსს, როგორც *ლორდმა მენსფილდმა* განმარტა „ეს ეწინააღმდეგებოდა ადამიანის ბუნებრივი სამართლიანობის განცდას, გადახდისუუნარობის საქმეებში“<sup>43</sup> და, შესაბამისად, გაქვითვის უფლებებს მიენიჭათ პრიორიტეტი (უზრუნველყოფილი მოთხოვნების ექვივალენტურად) ანგლო-ამერიკულ გადახდისუუნარობის სამართალში, როგორც,

<sup>39</sup> *Ralph Brubaker*, *Bankruptcy Injunctions and Complex Litigation: A Critical Reappraisal of Non-Debtor Releases in Chapter 11 Reorganizations*, 1997 U. Ill. L. Rev. 959, 981 (ციტირება გამოტოვებულია).

<sup>40</sup> *SemCrude*, 399 B.R. at 399 (ციტირებს *In re Masterwear Corp.*, 229 B.R. 301, 311 (Bankr. S.D.N.Y. 1999)).

<sup>41</sup> *SemCrude*, 399 B.R. at 399 (ციტირებს *In re Beville, Bresler & Schulman Asset Mgmt. Corp.*, 896 F.2d 54, 57 (3d Cir. 1990)).

<sup>42</sup> H.R. Rep. No. 95-595, at 184 (1977).

<sup>43</sup> *Green v. Farmer*, 98 Eng. Rep. at 158.

მინიმუმ, მეჩვიდმეტე საუკუნის ბოლოდან<sup>44</sup> და გადახდისუუნარობის კოდექსის ავტორებისათვის გაქვეითვისათვის არსებითად დამახასიათებელი და დიდი ხნის დამკვიდრებული პრიორიტეტი „არის საკმარისი, რათა გაქვეითვის უფლების მქონე კრედიტორს მიენიჭოს იგივე დაცვა, რაც ენიჭება უზრუნველყოფილ კრედიტორებს.“<sup>45</sup>

მხოლოდ იმ მარტივი ჭეშმარიტების განცხადება, რომ სახელშეკრულებო სამმხრივი გაქვეითვის დაშვება გადახდისუუნარობაში გაქვეითვის უფლების მქონე კრედიტორს მიანიჭებს პრიორიტეტს არ წარმოადგენს გაქვეითვის უფლების უარყოფის დასაბუთებას, ისევე, როგორც ეს არ იქნებოდა საკმარისი დასაბუთება 553(a) სექციის დანაწესის უგულებელყოფისა და გადახდისუუნარობაში ყველა სახის გაქვეითვის უარსაყოფად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუკი კრედიტორთა თანაბრობის ზოგადი პრინციპი ამართლებს გადახდისუუნარობაში სამმხრივი გაქვეითვის უფლებების უარყოფას, მაშინ იგი ამართლებს გადახდისუუნარობაში ყველა სახის გაქვეითვის უარყოფასაც.<sup>46</sup>

## 2. გადახდისუუნარობის კოდექსი აღიარებს სახელშეკრულებო პრიორიტეტებს

იმისათვის, რომ სათანადოდ მოხდეს გადახდისუუნარობაში სამმხრივი სახელშეკრულებო გაქვეითვის უფლების უარყოფის რაციონალიზაცია, აუცილებელია სახელშეკრულებო სამმხრივი გაქვეითვის უფლება განვასხვაოთ გაქვეითვის ყველა სხვა უფლებისაგან. განმასხვავებელი ნიშანი, დელავერისა და ნიუ იორკის სასამართლოთა თვალსაწიერით, არის მხოლოდ სამმხრი-

ვი გაქვეითვის შეთანხმებების წმინდად სახელშეკრულებო ბუნება, როგორც ეს ჩანს მათ მიერ გამუდმებული მითითებით გაქვეითვის პრიორიტეტის აუცილებელი ორმხრივობის წინაპირობის „ხელშეკრულებით გვერდის ავლის“ შემთხვევისას. (**contracting around**) (ან უფრო ზუსტად, „**contracting into**“). თუმცა, ეს არ არის სხვაგვარად გამოსაყენებელი შტატის სამართლის ორმხრივობის სტანდარტზე უარის თქმის საფუძველი.

ყველაზე მნიშვნელოვანი და შედეგობრივი პრიორიტეტი, რასაც გადახდისუუნარობაში ვაღიარებთ არის, შტატის სამართლის მიხედვით, შეთანხმებით წარმოშობილი პრიორიტეტი, რომლითაც კონკრეტულ კრედიტორს ნებაყოფლობით ენიჭება უზრუნველყოფა მოვალის ქონებაზე. შესაბამისად, როგორც ჩვენ ვიხილეთ, სამმხრივი გაქვეითვის შეთანხმება არის უბრალოდ ისეთი შეთანხმება, რომელიც ქმნის სახელშეკრულებო პრიორიტეტს იმ ოდენობაზე, რაც კონკრეტულ კრედიტორს მართებს მოვალის მიმართ. შესაბამისად, თუკი ამას რაიმე მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს, სამმხრივი გაქვეითვის შეთანხმების სახელშეკრულებო ბუნება გადახდისუუნარობაში კრედიტორისთვის, სხვებთან მიმართებით, პრიორიტეტის მინიჭების სასარგებლო არგუმენტს წარმოადგენს.<sup>47</sup>

არც ზოგადად კრედიტორთა თანაბრობის და არც გადახდისუუნარობაში აღიარებული რომელიმე სხვა პრინციპი არ ქმნის საფუძველს უარყოფით სხვაგვარად აღსრულებადი სახელშეკრულებო გაქვეითვის პრიორიტეტი იმ ოდენობით, რა ვალდებულებაც არსებობს მოვალის მიმართ. მართლაც, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გაკვეთილი, რასაც გვასწავლის მონუმენტური მნიშვნელობის საქმე **Chicago Board of**

<sup>44</sup> იხ. *Ralph Brubaker*, *Triangular Setoff Agreements (Part I): (Mis)Understanding the Mutuality Requisite for Setoff*, 39 *Bankr. L. Letter* No. 2, at 1, 1 (Feb. 2019).

<sup>45</sup> H.R. Rep. No. 95-595, at 186.

<sup>46</sup> არიან ისეთებიც, რომლებიც ამას ამჯობინებენ. მაგალითად, პროფესორი *McCoid*, მაშინ როცა გულწრფელად აღიარებს, რომ ეს „სავარაუდოდ არასოდეს მოხდება“, მაინც ამტკიცებს, რომ გადახდისუუნარობის პრიორიტეტი გაქვეითვის უფლებებისათვის უნდა გაუქმდეს, სრულად. *John C. McCoid, II, Setoff: Why Bankruptcy Priority?*, 75 *Va. L. Rev.* 15, 43 (1989).

<sup>47</sup> მაგალითად, ერთ-ერთი საფუძველი რის გამოც პროფესორი *McCoid* აკრიტიკებს გადახდისუუნარობის პრიორიტეტს გაქვეითვის უფლებებისათვის არის ის, რომ ისინი წარმოიშობა კანონის ძალით (ნაცვლად ხელშეკრულებისა) რაც არ არის საკმარისად მსგავსი შეთანხმებისმიერი უზრუნველყოფის უფლებებისა, რათა მათ მიენიჭოთ იგივე პრიორიტეტული უფლებები. იხ. *McCoid*, 75 *Va. L. Rev.* at 33-34.

*Trade v. Johnson*<sup>48</sup> არის ის, რომ მოვალის გადახდისუუნარობის ქონების მასა, როგორც მოვალის უფლებამონაცლე, არ იღებს „იმაზე უფრო მეტ უფლებებს, რაც თავად მოვალეს გააჩნდა.“<sup>49</sup> შესაბამისად, ქონება, რომელიც დატვირთულია ნამდვილი სანივთო უფლებებით (როგორც არის სახელმეკრულებო პრიორიტეტის უფლება, რაც განხილვის საგანი იყო *Chicago Board of Trade*<sup>50</sup> საქმეში) რჩება დატვირთული შტატის სამართლის პრიორიტეტით გადახდისუუნარობის საქმეშიც. თუ რა ფარგლებში მოქმედებს მოვალის ქონებიდან დაკმაყოფილების უფლება სხვა კონკურენტი მოსარჩელების მიმართ უნდა დადგინდეს გადახდისუუნარობის გარეთ არსებული შტატის სამართლის შესაბამისად, რომლისგანაც მომდინარეობს მოვალის უფლებები. „კონგრესმა ზოგადად გადახდისუუნარობის მასაში სანივთო უფლებების განსაზღვრა შტატის სამართალს მიანდო“, ვინიდან „სანივთო უფლებები იქმნება და განისაზღვრება შტატის სამართლით.“<sup>51</sup>

შესაბამისად, კოდექსის 553(a) სექციის ზოგადი წესი, რომელიც ცნობს შტატის სამართლით დადგენილ გაქვითვის პრიორიტეტს, არის უბრალოდ გადახდისუუნარობის სამართალში ფართოდ აღიარებული მიდგომის კოდიფიკაცია, რომლის მიხედვითაც გადახდისუუნარობაში მოთხოვნათა პრიორიტეტის განსაზღვრა ხდება შტატის სამართლის მიხედვით. მეტიც, იგივე პრინციპი მიუთითებს იმისკენ, რომ ვალდებულების ორმხრივობის წინაპირობის განსაზღვრა, გადახდისუუნარობაში სამმხრივი გაქვითვის შეთანხმებების აღსასრულებლად უნდა მოხდეს სხვაგვარად გამოსაყენებელი შტატის სამართლის მიხედვით.

### 3. გაქვითვის უფლებები უპირატესია ტრასტის ან მფლობელი-მოვალის „ძლიერი მკლავის“ უფლებებთან შედარებით

იმ საკითხის სრულფასოვანი გამოკვლევისას, უნდა მიენიჭოს თუ არა სხვაგვარად გამოსაყენებელი შტატის სამართლით დადგენილ გაქვითვის უფლებას პრიორიტეტის გადახდისუუნარობაში, უნდა განვიხილოთ 544(a) სექციაში დადგენილი „ძლიერი-მკლავის უფლებები“.<sup>52</sup> „ძლიერი-მკლავის უფლებები არის კოდექსის სექციის არსებითი ნაწილი, რომლის მიხედვითაც იგი ცდილობს გაყინოს კრედიტორის შედარებითი პრიორიტეტული უფლებები გადახდისუუნარობის პეტეციის შეტანის თარიღისათვის.“<sup>53</sup>

ფართოდ აღიარებული მოსაზრება არის „რომ მას შემდეგ, რაც დადგინდება მისი არსებობა, 553-ე სექციაში დადგენილი გამონაკლისების გარდა, ... გაქვითვის უფლება არ არის შეზღუდული გადახდისუუნარობის რომელიმე სხვა დანაწესით, მათ შორის 544-ე სექციით.“<sup>54</sup> მიუხედავად ამისა, იმის დასადგენად, თუ რამდენად გამართლებულია გაქვითვის უფლებებისათვის გადახდისუუნარობაში უზრუნველყოფილი კრედიტორების ექვივალენტური პრიორიტეტის მინიჭება, სასარგებლო გონებრივი გამოწვევა იქნება დავსვათ კითხვა – შეესაბამება თუ არა ეს გაქვითვის უფლებების შტატის სამართლის პრიორიტეტს ზოგად არაუზრუნველყოფილ კრედიტორებთან შედარებით. გადახდისუუნარობა, სწორედ ამის ანალიზს ახდენს „ძლიერი-მკლავის“ უფლებების მეშვეობით:

„უზრუნველყოფის“ პრიორიტეტი მოვალის ქონებაში საბოლოოდ ნარჩუნდება თუ არა გადახდისუუნარობაში ... უნდა გადაწყდეს კოდექსის 544(a) სექციის „ძლიერი-მკლავის“ უფლებე-

<sup>48</sup> *Chicago Board of Trade v. Johnson*, 264 U.S. 1 (1924).

<sup>49</sup> S. Rep. No. 95-989, at 82 (1978); H.R. Rep. No. 95-595, at 367 (1977).

<sup>50</sup> იხ. *Chicago Board of Trade*, 264 U.S. at 15 (ახასიათებს სახელმეკრულებო ტრანსფერის შეზღუდვებს, როგორც გარკვეული კრედიტორებისათვის ფაქტობრივ პრიორიტეტებს, როგორც ეს არის „იპოთეკაში.“)

<sup>51</sup> *Butner v. United States*, 440 U.S. 48, 54-55 (1979).

<sup>52</sup> იხ. *Philip T. Lacy*, *Setoff and the Principle of Creditor Equality*, 43 S.C. L. Rev. 951, 958-59 (1992).

<sup>53</sup> *Ralph Brubaker*, *Successor Liability and Bankruptcy Sales: Free and Clear of What?*, 23 *Bankr. L. Letter* No. 6, at 6, 11 (June 2003).

<sup>54</sup> *In re New England Motor Co.*, 426 B.R. 178, 194 (Bankr. N.D. Miss. 2010). That is not, however, a foregone conclusion. Cf. *Ralph Brubaker*, *The Code's (Incompatible?) Directives Regarding Setoff of a Discharged Debt Against Exempt Amounts Owning to an Individual Debtor*, 21 *Bankr. L. Letter* No. 12, at 1, 3-4 (Dec. 2001).

ბის მეშვეობით, რაც წარმოადგენს გადახდისუუნარობის კონსტრუქციას, რომლითაც ვზომავთ კრედიტორის შედარებით არაგადახდისუუნარობის პრიორიტეტულ უფლებებს. „ძლიერი-მკლავის“ უფლებები ტრასტს ან მფლობელ-მოვალეს ანიჭებს, პეტიციის მომენტისათვის და ზოგადად არაუზრუნველყოფილი კრედიტორების სასარგებლოდ, ზოგად სასამართლო უზრუნველყოფას მოვალის მთლიან ქონებაზე. შესაბამისად, თუკი კრედიტორს მოვალის ქონებაში აქვს გადახდისუუნარობის გარეთ მოპოვებული პრიორიტეტი, რომელსაც უპირატესობა აქვს ტრასტის/მფლობელი-მოვალის ჰიპოთეტურ სასამართლო უზრუნველყოფაზე, მაშინ კრედიტორის პრიორიტეტული უფლება ხელშეუხებლად შენარჩუნდება გადახდისუუნარობაშიც. თუმცა, თუკი ტრასტის/მფლობელი-მოვალის ჰიპოთეტურ სასამართლო უზრუნველყოფას კრედიტორის უფლებაზე უპირატესი მოქმედების ძალა აქვს, ტრასტს უფლება აქვს გააუქმოს კრედიტორის უფლება, რითიც კრედიტორს წაართმევს ზოგადი არაუზრუნველყოფილი კრედიტორის პრიორიტეტის სტატუსს.<sup>55</sup>

მაგალითად, განვიხილოთ SemCrude-ის საქმის ფაქტობრივი გარემოებები. მოვალის სადავო ქონება არის პეტიციის დღისთვის არსებული \$1.4 მილიონი, რომელიც Chevron-ს მართებდა SemCrude-ის მიმართ. ამ კონკრეტულ ქონებასთან დაკავშირებით, პეტიციის დღისთვის არსებული ჰიპოთეტური სასამართლო უზრუნველყოფა, რომელიც გააჩნია გადახდისუუნარობის ქონების მასას (ზოგადი არაუზრუნველყოფილი კრედიტორების სასარგებლოდ) 544(a) სექციის მიხედვით არის Chevron-ის ვალზე, რომელიც მას მართებს მოვალის SemCrude-ის მიმართ, არსებული ყადაღა („garnishment lien“). შესაბამისად, რელევანტური შეკითხვა პრიორიტეტზე, არის შემდეგი: შტატის სამართლის პრიორიტეტის დავაში მხარეებს შორის (1) SemCrude-ის

კრედიტორი, რომელმაც დააყადაღა (და შესაბამისად შეეცადა Chevron-ის იძულება, რათა მას გადაეხადა კრედიტორისათვის) \$1.4 მილიონი, რომელიც Chevron-ს ემართა SemCrude-ის მიმართ და (2) Chevron-ი, რომელიც აცხადებდა სახელშეკრულებო სამმხრივ გაქვითვის უფლებებს, როგორც \$1.4 მილიონის გადახდისგან თავდაცვის საშუალებას, მიენიჭებოდა თუ არა უპირატესობა კრედიტორს, და შესაბამისად, დაამარცხებდა თუ არა იგი Chevron-ის სახელშეკრულებო სამმხრივი გაქვითვის უფლებებს?

პასუხი, რა თქმა უნდა, არის – არა. Chevron-ს უეჭველად ექნებოდა ვალიდური შესაგებელი, ვინაიდან მას გააჩნდა ნამდვილი და სრულად აღსრულებადი შტატის სამართლის მიხედვით გაქვითვის უფლება იმ ოდენობაზე, რომელიც Chevron-ის მიმართ ემართა SemFuel-სა და SemStream-ს სასამართლო უზრუნველყოფის წარმოშობის მომენტისათვის (აქ იგულისხმება პეტიციის წარდგენის დღე). შტატის „სასამართლოები, თითქმის ერთიანად განმარტავენ, რომ უზრუნველყოფის ადრესატის („garnishee“) (როგორც Chevron-ი) უფლებები უპირატესია მეორე მხარის („garnishor“) უფლებებთან მიმართებით”,<sup>56</sup> და ზოგიერთი შტატის უზრუნველყოფის კანონმდებლობა პირდაპირ ადგენს ამ შედეგს.<sup>57</sup> რეალურად,

უზრუნველყოფის ძირითადი კონცეფცია სხვაგვარ შედეგს ვერც დაუშვებდა. მეორე მხარე („garnishor“) დგება მოვალის პოზიციაში და მის მიმართ მოქმედებს ყველა შესაგებელი, რომელიც უზრუნველყოფის ადრესატს („garnishee“) შეიძლება ჰქონდეს მოვალის მიმართ. არსებითად, უზრუნველყოფა არის ცესიის გარკვეული ნაირსახეობა, რომელშიც ცესიონერი („garnishor“) ვერ მოიპოვებს იმაზე მეტ უფლებებს, ვიდრე ცედენტს („მოვალე“) გააჩნია.<sup>58</sup>

შესაბამისად, დელავერისა და ნიუ იორკის სასამართლოების ანალიზის საწინააღმდეგოდ,

<sup>55</sup> Brubaker, 23 Bankr. L. Letter No. 6, at 11.

<sup>56</sup> Stephen L. Sepinuck, The Problems with Setoff: A Proposed Legislative Solution, 30 Wm. & Mary L. Rev. 51, 77 (1988). See also Lacy, 43 S.C. L. Rev. at 959; McCoid, 75 Va. L. Rev. at 33. „ეს შედეგი ძალიან ლოგიკურია. გაქვითვის უფლებები ფაქტობრივად დაკარგავდა მნიშვნელობას, თუკი შემდგომი სასამართლო უზრუნველყოფა

მათზე უპირატესი იქნებოდა.“ Sepinuck, 30 Wm. & Mary L. Rev. at 85.

<sup>57</sup> იხ. მაგალითად: 735 Ill. Comp. Stat. Ann. 5/12- 708.

<sup>58</sup> Sepinuck, 30 Wm. & Mary L. Rev. at 78. მეტიც, UCC-ს მე-9 მუხლი ადგენს მსგავს დაცვას მოვალის გაქვითვის უფლებებისათვის ცესიონერის მიმართ. იხ. UCC § 9-109(d)(10)(B), 9-404(a).

გადახდისუუნარობის პოლიტიკა, რომ მსგავსი კრედიტორები თანაბარ პირობებში უნდა იყვნენ, არ გულისხმობს სხვაგვარად აღსრულებადი სამმხრივი გაქვითვის შეთანხმებების გაბათილებას გადახდისუუნარობაში. როგორც ყველა სხვა შტატის სამართლით აღსრულებადი გაქვითვის უფლება, სახელშეკრულებო სამმხრივი გა-

ქვითვის უფლებაც არის ექვივალენტი უზრუნველყოფილი მოთხოვნისა შტატის სამართლის საფუძველზე ზოგადი არაუზრუნველყოფილი კრედიტორების მიმართ პრიორიტეტის თვალსაზრისით, და ეს ნამდვილი შტატის სამართლის პრიორიტეტული უფლება უნდა აღსრულეს გადახდისუუნარობაშიც.

# **ანგარიშის მწარმოებლის ლიკვიდაციის პროცესში, დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობიდან გამომდინარე, ბენეფიციარი მესაკუთრის დაკმაყოფილების სამართლებრივი გარანტიები\***

ანი გოგიშვილი

ეროვნულ ბანკთან არსებული დავების განმხილველი კომისიის მხარდაჭერის აპარატის უფროსი იურისტი

## **აბსტრაქტი**

დემატერიალიზებული ფორმის ფასიანი ქაღალდები არსებობს უშუალოდ ანგარიშზე ჩანაწერის სახით (book-entry) და მათზე საკუთრების უფლება დასტურდება სისტემის ამონაწერით. მართალია, არამატერიალური ფორმის ფასიანი ქაღალდის არსებობა, იურიდიულ ლიტერატურასა და კანონმდებლობაში, სიახლეს არ წარმოადგენს, თუმცა დემატერიალიზებული ფორმის ფასიანი ქაღალდის ცნება და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი რეგულირება სიახლეა. მიუხედავად იმისა, რომ არამატერიალური ფორმის ფასიანი ქაღალდს კავშირი არ აქვს დემატერიალიზებული ფორმის ფასიან ქაღალდთან, აღნიშნული ფორმის ფასიანი ქაღალდის ფლობიდან გამომდინარე სამართლებრივი რეგულირება, შესაბამისად უზრუნველყოფილი, 2024 წლის 1 მარტის კანონში ცვლილებამდე, არ ყოფილა.

ცხადია, ფასიანი ქაღალდების ფორმიდან გამომდინარე, სხვადასხვაა მათ ფლობასთან დაკავშირებული რისკი. კერძოდ, თუ მატერიალური ფორმის ფასიანი ქაღალდთან დაკავშირებული რისკი, უშუალოდ, დოკუმენტის დაკარგვაა, დემატერიალიზებული ფორმის ფასიანი ქაღალდთან დაკავშირებული რისკი ანგარიშის მწარმოებლის ლიკვიდაციას ან მის მიერ კანონმდებლობის დარღვევას უკავშირდება. ცვლილებამდე, მოქმედი კანონმდებლობა, არ ადგენდა ანგარიშის მწარმოებლის (კომერციული ბანკი ან საბროკერო კომპანია) ლიკვიდაციის შემთხვევაში ანგარიშის მფლობელთან დემატერიალიზებული ფორმის ფასიანი ქაღალდების მოპყრობის საკითხს.

შესაბამისად, ნაშრომში განხილული იქნება ანგარიშის მწარმოებლის ლიკვიდაციის პროცესში, დემატერიალიზებული ფორმის ფასიანი ქაღალდის საკუთრებიდან გამომდინარე, ბენეფიციარი მესაკუთრის დაკმაყოფილების საკითხი და თუ რა სამართლებრივი გარანტიებით არის უზრუნველყოფილი იგი. ამასთან, წარმოდგენილი იქნა სამართლებრივი ანალიზი, თუ რამდენად სამართლებრივად, შესაბამისად, მონესრიგდა ხსენებული პრობლემური საკითხი საკანონმდებლო ნოვაციით.

**საკვანძო სიტყვები:** ფასიანი ქაღალდი; დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდი; ანგარიშის მწარმოებელი; ლიკვიდაცია; ნომინალური მფლობელი.

## შესავალი

ცხადი და განჭვრეტადი სამართლებრივი ჩარჩოს არსებობა კაპიტალის ბაზრის განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა. ამასთან, ფასიანი ქაღალდების ფლობასთან დაკავშირებული სამართლებრივი რეგულირება, ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებისათვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კომპონენტია. ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება და მასთან დაკავშირებული ჩარჩოს სამართლებრივი უზრუნველყოფა ინვესტორების მეტი სანდოობისა და ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის სანდოობისა და ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის სანდოობისა. გამომდინარე აქედან, ფასიანი ქაღალდების ბაზრის სამართლებრივი ჩარჩოს სრულყოფის მიზნით, კანონმდებლობასა და იურიდიულ ლიტერატურაში არაერთი მნიშვნელოვანი ცვლილება და სიახლე განხორციელდა. ამ უკანასკნელს განამტკიცებს 2020 წელს „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის ძირეული რეფორმა, რომლის მსგავსიც 90-იანი წლების თავდაპირველი რედაქციის შემდეგ არ განხორციელებულა და საკანონმდებლო ნოვაცია, რომელიც დემატერიალიზებული ფორმის ფასიანი ქაღალდის საკანონმდებლო მონესრიგებას უკავშირდება კანონით „დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობის“ შესახებ. კანონმა გააუქმა „ფასიანი ქაღალდების ნომინალური ფლობის“ წესი და კანონმდებლობასა და იურიდიულ ლიტერატურაში „გააჩინა“ ფასიანი ქაღალდის ახალი ფორმა, რომელსაც იგი ამ დრომდე, არ იცნობდა.

ჯერ კიდევ, 1998 წლის „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონმა შემოგვთავაზა ფასიანი ქაღალდების დაყოფა მატერიალურ და არამატერიალურ ფასიან ქაღალდებად. ხსენებული კანონის მიხედვით, არამატერიალური ფასიანი ქაღალდი „არ არსებობს ქაღალდის ფორ-

მით, მაგრამ არსებობს ჩანაწერის სახით ფასიანი ქაღალდების რეესტრში ან ცენტრალურ დეპოზიტარში ბენეფიციარი მესაკუთრის ან ნომინალური მფლობელის სახელზე”.

ფასიანი ქაღალდების არაპირდაპირ, ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავლის მეშვეობით ფლობის სისტემის - **a system of holding through intermediaries (an indirect holding system)** - ჩამოყალიბება და განვითარება მნიშვნელოვნად უკავშირდება ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში მიმდინარე არამატერიალური ფასიანი ქაღალდების ინსტიტუტის განვითარებას. სწორედ ამ სისტემის ფარგლებში იდება დღეს ფასიანი ქაღალდების გარიგებათა დიდი ნაწილი, რადგან იგი მიმართულია ფინანსური ოპერაციების სისწრაფისა და ეფექტურობისაკენ, ამასთან დაკავშირებული ხარჯების შემცირებისა და ინვესტორების მეტი სანდოობისათვის<sup>1</sup>. თუმცა, ცალსახაა, რომ მნიშვნელოვანია, არამატერიალური ფასიანი ქაღალდების ფლობიდან გამომდინარე, საკუთრების უფლება სამართლებრივად უზრუნველყოფილი და გარანტირებული იყოს. მიმდინარედ, მოქმედი კანონმდებლობით არ იყო ცხადი ანგარიშზე ჩანაწერის სახით არსებული ფასიანი ქაღალდებიდან გამომდინარე მოთხოვნები თუ ვის მიმართ შეიძლებოდა რომ აღსრულებულიყო, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხი გახლდათ ანგარიშის მწარმოებლის ლიკვიდაციის ან მის მიერ კანონმდებლობის დარღვევისას.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, საკანონმდებლო ნოვაციამ, ერთის მხრივ შემოგვთავაზა ფასიანი ქაღალდის „ახალი“ ფორმა - „დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდი“ და მეორეს მხრივ, ეცადა, კანონმდებლობაში აღმოეფხვრა არსებული ხარვეზები, რაც დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდის ფლობას უკავშირდებოდა.

<sup>1</sup> Outline of the Convention, The Hague Securities Convention: A Modern and Global conflict of laws regime for transactions involving securities held an intermediary. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <[http://www.hcch.net/index\\_en.php?act=conventions.text&cid=72](http://www.hcch.net/index_en.php?act=conventions.text&cid=72)> [წვდომის თარიღი 13.11.2024].  
Background to the UNIDROIT Convention on Substantive

Rules for Intermediated Securities, [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<http://www.unidroit.org/english/conventions/2009intermediatedsecurities/overview.htm>> [წვდომის თარიღი 13.11.2024].

წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია მიმოიხილოს და შეაფასოს, სამართლებრივად რამდენად უზრუნველყოფილია, დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალის ფლობიდან გამომდინარე, ინვესტორის/ბენეფიციარი მესაკუთრის უფლებები. გამომდინარე იქიდან, რომ არამატერიალური და დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდები არ არსებობს მატერიალური ფორმით და მათი ფლობიდან გამომდინარე რისკი, მეტწილად დაკავშირებულია ანგარიშის მწარმოებლის ლიკვიდაციასთან ან მის მიერ კანონმდებლობის დარღვევასთან, შესაბამისად მნიშვნელოვანია კანონმდებლობაში აღნიშნული რეგულირება იყოს ცხადი.

როგორც აღინიშნა, არამატერიალური ფასიანი ქაღალდის არსებობა სიახლეს არ წარმოადგენს თუმცა, დემატერიალიზებული ფორმის ფასიანი ქაღალდი კანონმდებლობაში 2024 წელს, კანონის „დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობის შესახებ“ ამოქმედებით დამკვიდრდა. თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებას უკავშირდება ფასიანი ქაღალდის ახალი - დემატერიალიზებული ფორმით გამოჩენაც. თანამედროვე სამყაროში აღარ არის საჭირო ფასიანი ქაღალდების მატერიალური ფორმით ფლობა ან მათი რეგისტრაცია, რაც საჭიროა არამატერიალური ფასიანი ქაღალდის ფლობის დროს. პრაქტიკული თვალსაზრისით, დემატერიალიზაცია საშუალებას იძლევა ყოველდღიურად მარტივად განხორციელდეს ფასიანი ქაღალდებზე სხვადასხვა სახის ტრანზაქციები, რაც კაპიტალის ბაზრის სწრაფი განვითარებისა და საბოლოოდ, ეკონომიკური ზრდის წინაპირობაა. გამარტივებული პროცესები, როგორც ქართველი, ისე უცხოელი ინვესტორებისათვის მეტად მომხიბვლელია, თუმცა, რადგანაც ხსენებული ფორმის ფასიანი ქაღალდების წარმოება ხორციელდება ანგარიშის მწარმოებლის დახმარებით, რომელიც არის კომერციული ბანკი ან საბროკერო კომპანია, მნიშვნელოვანია, რომ ანგარიშის მწარმოებლის ლიკვიდაციასთან ან

მის მიერ კანონმდებლობის დარღვევასთან დაკავშირებული რისკები შესაბამისად იყოს რეგულირებული.

### დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდის სამართლებრივი ბუნება

ფორმის მიხედვით, ფასიანი ქაღალდები, კლასიკური გაგებით, შეიძლება არსებობდეს მატერიალური ან არამატერიალური ფორმით. მატერიალური ფორმით ფასიანი ქაღალდი არსებობს უშუალოდ ქაღალდის ფორმით, მატერიალურად, ხოლო არამატერიალური ფასიანი ქაღალდების შემთხვევაში, ასეთი ფორმის ფასიანი ქაღალდზე, საკუთრების უფლება დამოკიდებულია რეესტრის ჩანაწერზე, ან დასტურდება „სერტიფიკატით“. ჯერ კიდევ 1998 წლის კანონმა „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ მოახდინა ფასიანი ქაღალდების მატერიალურ და არამატერიალურ ფორმებად დაყოფა<sup>2</sup>. რაც შეეხება „დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდის“ ცნებას და საკანონმდებლო რეგულირებას, 2024 წლიდან შესაბამისი კანონის ამოქმედებით დამკვიდრდა. 1998 წლის „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, არამატერიალური ფასიანი ქაღალდის არსებობისათვის არ არის საჭირო მისი მატერიალური ფორმით არსებობა, თუმცა მისი არსებობა დაკავშირებული არის ჩანაწერზე, რომელიც უნდა იყოს გაკეთებული ფასიანი ქაღალდების რეესტრში ან ცენტრალურ დეპოზიტარში.

არამატერიალური ფასიანი ქაღალდის არსებობა, სიახლეს არ წარმოადგენს და მისი წარმოშობა აშშ-ს უკავშირდება. კერძოდ, მისი წარმოშობა ამერიკის ბირჟაზე შექმნილ „ქაღალდების ბუმს“ უკავშირდება<sup>3</sup>, რომელიც 70-იანი წლებიდან იღებს სათავეს. ფასიანი ქაღალდების კლასიკური თეორიის თანახმად, ეს იყო უფლებისა და ქაღალდის მჭიდრო კავშირი. ამასთან ფასიანი ქაღალდების კლასიკური თეორია, სახელო-

<sup>2</sup> ზარნაძე, ე., ფასიანი ქაღალდების კლასიფიკაცია, შურონალი სამართალი N 8-9, 2000, [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <[https://old.tsu.ge/data/file\\_db/faculty-law-public/jur%20samartali%202000%20w\(8-9\).pdf](https://old.tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/jur%20samartali%202000%20w(8-9).pdf)> [წვდომის თარიღი 13.11.2024].

<sup>3</sup> Uniform commercial code. Official text-1990 with comments. The American law institute national conference of commissioners o uniform state laws. 12-H ed-West publishing lo.1991, p. 711-713.



ბით აქციას მიიჩნევდა ერთადერთ ფასიან ქალაქად, რომლის წარდგენა ყოველთვის აუცილებელი არ იყო მასში გამოხატული შესრულების მისაღებად. ამიტომ, ამ საკითხზე საუბრისას, სწორედ სახელობით აქციას განიხილავენ როგორც არამატერიალური ფასიანი ქალაქის თეორიის საწყისად. კანონმდებლობაში არამატერიალური ფორმით არსებობის შესაძლებლობასთან დაკავშირებული არის მხოლოდ პირადი ფასიანი ქალაქი, კერძოდ, არამატერიალური ფასიანი ქალაქი იმ პირადი ფასიანი ქალაქის ფორმით, რომელიც „ფასიანი ქალაქების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, შეიძლება იყოს საჯარო შეთავაზების საგანი.<sup>4</sup>

არამატერიალური და დემატერიალიზებული ფასიანი ქალაქები ფორმის მიხედვით ერთმანეთის იდენტურია იმ გაგებით, რომ არცერთი არ არსებობს უშუალოდ მატერიალურად, ქალაქის ფორმით, თუმცა რეალურად მათ შორის სხვაობა არსებითია. კერძოდ, განსხვავებულია ხსენებულ ფორმის ფასიანი ქალაქის ფლობიდან წარმოშობილი უფლებამოვალეობები და, ასევე, განსხვავებულია ამ ფორმის ფასიანი ქალაქთან დაკავშირებული საკუთრების უფლების წარმოშობის მომენტი. იურიდიულ ლიტერატურაში არსებული განმარტების თანახმად, არამატერიალური ფასიანი ქალაქი არის ფასიანი ქალაქი, რომელიც ქალაქის ფორმით არ არსებობს, მაგრამ არსებობს ფასიანი ქალაქების რეესტრში ან ნომინალური მფლობელის ჩანაწერებში რეგისტრირებული მესაკუთრის ან ნომინალური მფლობელის სახელზე. ხსენებული დეფინიცია რეგისტრირებული

ფასიანი ქალაქის მახასიათებელია. გამოდის, არამატერიალური ფასიანი ქალაქისათვის დამახასიათებელია მისი რეგისტრაციის მომენტი.<sup>5</sup> თუმცა, რაც შეეხება დემატერიალიზებული ფასიანი ქალაქის ფორმას და მის სამართლებრივ ბუნებას, ამ ტიპის ფასიანი ქალაქების გამოშვება ინარმოებს ცენტრალურ დეპოზიტარში და მათთან დაკავშირებული ტრანზაქციებიც ინარმოებს ციფრულად ანგარიშზე დადებულ ბა/დაკრედიტების გზით.<sup>6</sup> საგულისხმოა, რომ მისი საბოლოოობა არ იქნება დამოკიდებული ჩანაწერის გაკეთებასთან, რომელსაც არამატერიალური ფასიანი ქალაქების მსგავსად ანარმოებს რეგისტრატორი.<sup>7</sup>

დემატერიალიზებული ფასიანი ქალაქების, ფორმიდან გამომდინარე, ფლობის რეჟიმი განსხვავებულია სხვადასხვა იურისდიქციაში. მაგალითისათვის, ხუთ მოდელს განასხვავებს UNIDROIT-ს საკანონმდებლო სახელმძღვანელო.<sup>8</sup> საქართველოს შემთხვევაში გათვალისწინებული მოდელი ე.წ. თანასაკუთრების მოდელის იდენტურია. სწორედ ამ მოდელითვე სარგებლობენ ბელგიასა და ლუქსემბურგში, სადაც ოპერირებენ ისეთი მსხვილი საერთაშორისო ცენტრალური დეპოზიტარები, როგორებიც არიან EUROCLEAR და CLEARSTREAM. კანონმდებლობით არჩეული, ე.წ. თანასაკუთრების მოდელის უპირატესობა ისაა, რომ რისკები კარგად არის დაზღვეული, რაც შეიძლება წარმოიქმნას ანგარიშის მწარმოებლის ლიკვიდაციისას. გამომდინარე იქიდან, რომ ნომინალური მფლობელის ქრილში, დემატერიალიზებული ფორმის ფასიანი ქალაქებთან მიმართებით,

<sup>4</sup> ზარნაძე, ე., ფასიანი ქალაქების ცნება და კლასიფიკაცია, პროფესორ ზურაბ ახვლედიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული, გამომცემლობა „მერიდიანი“, გვ. 95-96, 2004 [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <[https://mail1.tsu.ge/data/file\\_db/faculty-law-public/zurab%20axvlediani.pdf](https://mail1.tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/zurab%20axvlediani.pdf)> [წვდომის თარიღი 13.11.2024].

<sup>5</sup> ზარნაძე, ე., ფასიანი ქალაქის ნომინალური მფლობელის ინსტიტუტის ნორმათა უნიფიცირება და ყენევის კონვენცია ფასიანი ქალაქების შესახებ, ბესარიონ ზოიძე 60, საიუბილეო კრებული, 2013.

<sup>6</sup> საქართველოს კანონი დემატერიალიზებული ფასიანი ქალაქების ფლობის შესახებ, მუხლი 3, ნაწილი 1 [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია:

<<https://matsne.gov.ge/ka/document/view/5961597?publication=0>> კონსოლიდირებული ვერსია.

<sup>7</sup> განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „დემატერიალიზებული ფასიანი ქალაქების ფლობის შესახებ“. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/282812>> [წვდომის თარიღი 13.11.2024].

<sup>8</sup> დეტალებისთვის იხილეთ: guide on intermediated securities, [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.unidroit.org/instruments/capital-markets/legislative-guide>> [წვდომის თარიღი 13.11.2024].

გვევლინება ანაგრიშის მწარმოებელი, რომელიც შეიძლება იყოს კომერციული ბანკი ან საბროკერო კომპანია, შესაბამისად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათ ლიკვიდაციასთან დაკავშირებული რისკის მიტიგაციაც.

დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდი არსებობს ანგარიშზე ჩანანერის სახით, რომელსაც ანარმოებს ანგარიშის მწარმოებელი, ეს უკანასკნელი ის ფინანსური ინსტიტუტია, რომელიც, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე უფლებამოსილია კლიენტს გაუხსნას და ანარმოოს ფასიანი ქაღალდების ანგარიში<sup>9</sup>.

გამომდინარე იქიდან, რომ იურიდიული ლიტერატურა ამ დრომდე არ იცნობდა დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდის ცნებას, შესაბამისად, გაურკვეველი და ბუნდოვანი იყო მთელი რიგი საკითხები, რაც გამომდინარეობდა აღნიშნული ტიპის ფასიანი ქაღალდის მიმოქცევიდან. უნდა აღინიშნოს, რომ განსაკუთრებით საყურადღებო იყო საკითხები, რომლებიც დაკავშირებული იყო ამ ფორმის ფასიანი ქაღალდების საკუთრების უფლების დასადგენად თუ რანორმები უნდა გამოყენებულიყო, ან მათი გასხვისებისას. ასევე, ფასიანი ქაღალდების ფორმის მიხედვით სხვადასხვაა მათ ფორმასთან დაკავშირებული რისკიც. პირობითად, მატერიალური ფორმის ფასიანი ქაღალდზე თუ რისკი მისი დაკარგვაა, დემატერიალიზებული ფორმის ფასიანი ქაღალდზე რისკი ანაგრიშის მწარმოებლის ლიკვიდაცია ან მის მიერ კანონმდებლობის დარღვევაა, რომელ საკითხებსაც კანონმდებლობა ამ დრომდე არ არეგულირებდა. აღნიშნულის შესაბამისად, მნიშვნელოვანი იყო დემატერიალიზებული ფორმის ფასიანი ქაღალდების ფლობის მარეგულირებელი კანონმდებლობის

არსებობა<sup>10</sup>. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ პროცესის სისწრაფის, სიმარტივისა და უსაფრთხოებისათვის დემატერიალიზაცია საუკეთესო გამოსავალია, თუმცა აღნიშნული დაკავშირებულია რისკებთან, რომელიც მნიშვნელოვანია რომ შესაბამისი, ცხადი, სამართლებრივ ჩარჩოთი იყოს უზრუნველყოფილი.

კანონი ადგენს, იმ კონკრეტულ შემთხვევებს როდესაც ფასიანი ქაღალდი მხოლოდ დემატერიალიზებული ფორმით შეიძლება იყოს გამოშვებული და ასევე ადგენს იმ შემთხვევებს, როდესაც შესაძლებელია ფასიანი ქაღალდის დემატერიალიზაცია. მაგალითად, ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონის თანახმად, დემატერიალიზებული ფორმით გამოშვებას ექვემდებარება მხოლოდ საჯარო ტიპის ფასიანი ქაღალდები<sup>11</sup>, რომელიც გამოშვებული უნდა იყოს ცენტრალური დეპოზიტარის სისტემაში. ხოლო მეორე შემთხვევას რაც შეეხება, კანონი განსაზღვრავს ერთი და იმავე კლასის ფასიანი ქაღალდების დემატერიალიზებული ფორმით ცვლილებას, ეს შედეგი კი ცენტრალურ დეპოზიტარში ფასიანი ქაღალდის აღრიცხვით მიიღწევა. ამასთანავე, კანონი არ ზღუდავს კერძო ფასიანი ქაღალდებთან დაკავშირებულ ურთიერთობას და შესაძლებელს ხდის ამ ტიპის ფასიანი ქაღალდების დემატერიალიზაციასაც. ეს უკანასკნელი კი ემიტენტისა და ინვესტორის ნება სურვილზე არის დამოკიდებული<sup>12</sup>.

### დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდის ანგარიშის მწარმოებელი

როგორც უკვე აღინიშნა, დემატერიალიზებული ფორმის ფასიანი ქაღალდი არსებობს

<sup>9</sup> საქართველოს კანონი დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობის შესახებ, მუხლი 2, ნაწილი 1 დ, [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/5961597?publication=0>> კონსოლიდირებული ვერსია.

<sup>10</sup> დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობის მარეგულირებელი ჩარჩოს მნიშვნელობაზე იხილეთ საერთაშორისო სავალუტო ფონდის პუბლიკაცია, გვ. 28-30, [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.imf.org/en/Publications/WP/Issues/2020/11/20/Local-Currency-Bond-Markets-Law-Reform-A-Methodology-for-Emerging-Markets-and-Developing-49905>>

[წვდომის თარიღი 13.11.2024].

<sup>11</sup> საქართველოს კანონი ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ, მუხლი 10, ნაწილი 1 [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/18196?publication=48>> კონსოლიდირებული ვერსია.

<sup>12</sup> საქართველოს კანონი ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ, მუხლი 10<sup>1</sup>, ნაწილი 1\ [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/18196?publication=48>> კონსოლიდირებული ვერსია.

ელექტრონული ჩანაწერის სახით ანგარიშებზე, რომელსაც აწარმოებს შუამავალი - ანგარიშის მწარმოებელი.

ანგარიშის მწარმოებლის სტატუსით სარგებლობს კომერციული ბანკი ან საბროკერო კომპანია, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად უფლებამოსილია კლიენტს გაუხსნას და აწარმოოს ფასიანი ქაღალდების ანგარიში.

ფასიანი ქაღალდების ნომინალური მფლობელობა/ანგარიშის მწარმოებლობა წარმოადგენს ფასიანი ქაღალდების შუამავლობას საფონდო ბირჟაზე. ფასიანი ქაღალდების შუამავლობა, ე.წ. ფასიანი ქაღალდების არაპირდაპირ, ფასიანი ქაღალდების შუამავლის მეშვეობით ფლობის სისტემა (**a system of holding through intermediaries**) გულისხმობს ერთი ან რამდენიმე შუამავლის არსებობას ემიტენტსა და ინვესტორს შორის, რომელიც საქართველოში 1998 წლის ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონით დამკვიდრდა. სწორედ ამ უკანასკნელს უკავშირდება ასევე ე.წ. არაპირდაპირი ფლობის სისტემის გაჩენა საქართველოს ბაზარზეც. შუამავლის მეშვეობით ფლობის სისტემა განსხვავდება პირდაპირი ფლობის სისტემისაგან (**a direct holding system**), იმით, რომ ამ უკანასკნელის შემთხვევაში ემიტენტსა და ინვესტორს არ ყოფს შუამავალი.

1998 წლის „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, კანონი ნომინალური მფლობელის სამართლებრივ სტატუსს ანიჭებდა იურიდიულ პირს, რომელიც იყო შუამავალი ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, ეს უკანასკნელი კი შეიძლებოდა ყოფილიყო კომერციული ბანკი ან ცენტრალური დეპოზიტარი. ეს უფლება ნომინალურ მფლობელს წარმოეშობოდა რეგისტრირებული მესაკუთრის წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე, რომლითაც ბენეფიციარი მესაკუთრე, ნომინალური მფლობელს უფლებას ანიჭებდა, ნომინალური მფლობელის სახელზე შეეტანა ფასიანი ქაღალდები რეესტრში და ჩაბმულიყო ამ ურთიერთობებში, რეგისტრირებული მესაკუთრის ან ნომინალური მფლობელის სახელით (მუხლი 2.43).

მიმდინარედ, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონი, ნომინალური მფლობელის სამართლებრივ სტატუსს, მცირედით განსხვავებულად განმარტავს, რომლის თანახმად, იგი ნომინალური მფლობელის სამართლებრივ სტატუსს ანიჭებს იმ საბროკერო კომპანიას ან სხვა შუამავალს, რომელსაც ზედამხედველობას უწევს საქართველოს ეროვნული ბანკი<sup>13</sup>. ამდენად, შუამავლის როლში გვევლინება, საბროკერო კომპანია ან სხვა შუამავალი, რომლის ზედამხედველობასაც ეროვნული ბანკი ახორციელებს. გარდა, ზემოაღნიშნული განმარტებისა, ნომინალური მფლობელის სტატუსთან დაკავშირებით, საყურადღებოა, რომ თუ აქამდე კანონმდებლობის შესაბამისად, ფინანსური ინსტიტუტი ნომინალური მფლობელის როლში გვევლინებოდა ზუსტად ამავე ფორმულირებით, „დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობის“ შესახებ საქართველოს კანონი, ფინანსურ ინსტიტუტს, კომერციულ ბანკსა და საბროკერო კომპანიას მოიხსენიებს ანგარიშის მწარმოებლის როლში. კანონის თანახმად, „ანგარიშის მწარმოებელი“ არის ის ფინანსური ინსტიტუტი (მათ შორის ცენტრალური დეპოზიტარი) რომელიც კანონმდებლობით არის უფლებამოსილი კლიენტს გაუხსნას და აწარმოოს ფასიანი ქაღალდების ანგარიში.

### ლიკვიდაციის პროცესში ანგარიშის მწარმოებლის ვალდებულებები

როგორც უკვე ვისაუბრეთ, ფასიანი ქაღალდები არამატერიალური ფორმით არსებობისას, მაშინ როდესაც საუბარია ფასიანი ქაღალდების ჩანაწერით ფლობის სისტემაზე, მნიშვნელოვანია, შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩოს არსებობით, ცხადი და ნათელი იყოს ნომინალური მფლობელის/ანგარიშის მწარმოებლის ვალდებულებები. ინვესტორებს თავინთ ფასიან ქაღალდებზე წვდომა, ნომინალური მფლობელობის რეჟიმში, აქვთ შესაბამისი ფასიანი ქაღალდების ანგარიშის საშუალებით, რომელსაც აწარმოებს ანგარიშის მწარმოებელი.

<sup>13</sup> ვრცლად იხილეთ, ცნობარი საქართველოს ეროვნული ბანკის ფუნქციებისა და საქმიანობის შესახებ, საბანკო

ზედამხედველობის ძირითადი პრინციპები, საქართველოს ეროვნული ბანკი, თბილისი, 2006.

გამომდინარე იქიდან, რომ მატერიალური, არამატერიალური და დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობის რეჟიმში, მათი ფლობიდან გამომდინარე, რისკი არის სხვადასხვა, რაც გამოიხატება იმაში, რომ თუკი მატერიალური ფასიანი ქაღალდის შემთხვევაში, რისკი მისი დაკარგვაა, არამატერიალური ან დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდის ფლობის რეჟიმში რისკია ანგარიშის მწარმოებლის ლიკვიდაცია ან მის მიერ კანონმდებლობის დარღვევა. ამიტომ, მითითებულ ქვეთავში განვმარტავ რავალდებულებები წარმოეშობა ნომინალურ მფლობელს/ანგარიშის მწარმოებელს ლიკვიდაციის პროცესში და როგორ არის, აღნიშნული, საკანონმდებლო დონეზე რეგულირებული.

საკანონმდებლო დონეზე, ნომინალური მფლობელი/ანგარიშის მწარმოებელი ვალდებულია, იმ შემთხვევაში, თუკი მის მიმართ დაწყებულია ლიკვიდაციის პროცესი, იმოქმედოს „დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობის“ შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3-მე-9 პუნქტის შესაბამისად.

კერძოდ, „დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად: „ანგარიშის მწარმოებლის ლიკვიდაციის შემთხვევაში მოთხოვნას იმ იდენტური ფასიანი ქაღალდების ერთობლიობაზე, რომლებიც ანგარიშის მწარმოებლის სახელით განთავსებულია ცენტრალურ დეპოზიტარში ან სხვა ანგარიშის მწარმოებელთან (მათ

შორის, უცხოურ ანგარიშის მწარმოებელთან) გახსნილ ომნიბუსსეგრეგირებულ<sup>14</sup> ანგარიშზე, ახორციელებს ანგარიშის მწარმოებლის ლიკვიდატორი კოლექტიურად, ყველა ანგარიშის მფლობელის სახელით. თუ ანგარიშის მწარმოებლის მიერ ანგარიშის მფლობელის სასარგებლოდ ცენტრალურ დეპოზიტარში ან სხვა ანგარიშის მწარმოებელთან (მათ შორის, უცხოურ ანგარიშის მწარმოებელთან) გახსნილია ინდივიდუალური სეგრეგირებული ანგარიში, ანგარიშის მწარმოებლის ლიკვიდატორი ანგარიშის

მფლობელის სახელით მოთხოვნას ახორციელებს შესაბამის ინდივიდუალურ სეგრეგირებულ ანგარიშზე არსებულ ფასიან ქაღალდებზე“.

თუმცა, მითითებული მუხლით მოწესრიგების შემთხვევაში, ყოველთვის არ არის შესაძლებელი ინვესტორის მოთხოვნის დაკმაყოფილება და შესაძლოა მოთხოვნა დაკმაყოფილდეს როგორც სრულად, ისე ნაწილობრივ. იმ შემთხვევაში, თუკი მოთხოვნის დაკმაყოფილება სრულად არის შესაძლებელი პრობლემა არ არის (მე-7 მუხლის მე-5 პუნქტი), თუმცა იმ შემთხვევაში, თუკი ანგარიშის მწარმოებელთან/ნომინალურ მფლობელთან არსებული იდენტური დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ერთობლიობა არ არის საკმარისი სრულად რესტიტუციისათვის, კანონმდებლობით განსაზღვრულია ჩანაწერები „დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობის“ შესახებ კანონის მე-7 მუხლის შესაბამის ნაწილებში. კერძოდ, განვიხილავ ორ შემთხვევას, როდესაც ლიკვიდაციის პროცესში მყოფი ანგარიშის მწარმოებლის/ნომინალური მფლობელის მიერ მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია ნაწილობრივ ან შემთხვევას, როცა სრულად დაკმაყოფილება არ არის შესაძლებელი და ინვესტორებს, აღნიშნულის შესაბამისად, წარმოეშობა არაუზრუნველყოფილი მოთხოვნა თავიანთი უფლებების პროპორციულად.

1. შემთხვევა, როდესაც ინვესტორის დაკმაყოფილება შესაძლებელია ნაწილობრივ:

იმ შემთხვევაში თუკი, ნომინალური მფლობელის/ანგარიშის მწარმოებლის ომნიბუსსეგრეგირებულ ანგარიშზე არსებული აქციათა რაოდენობა არ არის სრულად საკმარისი იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს ინვესტორების დაკმაყოფილება, პირველ რიგში, მოხდება ომნიბუსსეგრეგირებულ ანგარიშზე არსებული აქციების გადანაწილება ინვესტორებს შორის, მათი უფლებების პროპორციულად, რომლის შემდგომაც, იმ შემთხვევაში, თუკი ნომინალური მფლობელის/ანგარიშის მწარმოებელი თავის

<sup>14</sup> ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონის მუხლი 2, ნაწილი 69 თანახმად: აღნიშნული, ფასიანი ქაღალდების ანგარიშის სახეობაა, რომელიც გამიჯნულია ან-

გარიშის მწარმოებლის საკუთარი ფასიანი ქაღალდების ანგარიშისგან და გამოიყენება ამ ანგარიშის მწარმოებლის კლიენტთა მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდების ერთობლივად აღრიცხვისათვის.

სასარგებლოდ ფლობს იდენტურ ფასიან ქალაქებს, შესაბამისად მოხდება ანგარიშის მფლობელთა დაკმაყოფილება, მათი უფლებების პროპორციულად ლიკვიდაციის პროცესში მყოფი ანგარიშის მწარმოებლის საკუთარი ანგარიშებიდან (მე-7 მუხლის მე-5 პუნქტი).

2. მეორე შემთხვევა, როდესაც ინვესტორის დაკმაყოფილება შესაძლებელია ნაწილობრივ, რომლის შესაბამისადაც ანგარიშის მფლობელს წარმოეშობა არაუზრუნველყოფილი მოთხოვნა სალიკვიდაციო მასიდან:

იმ შემთხვევაში თუკი, ნომინალური მფლობელის/ანგარიშის მწარმოებლის ომნიბუსსეგრეგირებულ ანგარიშზე არსებული აქციათა რაოდენობა არ არის სრულად საკმარისი იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს ინვესტორების დაკმაყოფილება, პირველ რიგში მოხდება ომნიბუსსეგრეგირებულ ანგარიშზე არსებული აქციების გადანაწილება ინვესტორებს შორის მათი უფლებების პროპორციულად, რომლის შემდგომაც, იმ შემთხვევაში თუკი ნომინალური მფლობელის/ანგარიშის მწარმოებელი თავის სასარგებლოდ ფლობს იდენტურ ფასიან ქალაქებს, შესაბამისად მოხდება ანგარიშის მფლობელთა დაკმაყოფილება, მათი უფლებების პროპორციულად ლიკვიდაციის პროცესში მყოფი ანგარიშის მწარმოებლის საკუთარი ანგარიშებიდან (მე-7 მუხლის მე-5 პუნქტი). ხოლო, თუკი ამ უკანასკნელის შემთხვევაშიც ვერ მოხდება ანგარიშის მფლობელის სრულად დაკმაყოფილება, კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, „ანგარიშის მფლობელებს ანგარიშის მწარმოებლის მიმართ აქვთ არაუზრუნველყოფილი მოთხოვნა იმ უფლებების პროპორციულად, რომლებიც ვერ დაკმაყოფილდა ამ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად“. ეს უკანასკნელი გულისხმობს, რომ ანგარიშის მფლობელები ანაზღაურებას მიიღებენ, არაუზრუნველყოფილი მოთხოვნების შესაბამისად, დადგენილი რიგითობით, სალიკვიდაციო მასიდან.<sup>15</sup> მნიშვნელოვანია, რომ კანონის მე-7 მუხლის მე-

9 პუნქტის თანახმად, ლიკვიდაციის პროცესში მყოფი კომერციული ბანკის „სალიკვიდაციო მასაში არ შედის ის ფასიანი ქალაქები, რომელთა მიმართ მოთხოვნის უფლება ამ მუხლის მე-3-მე-5 პუნქტების შესაბამისად აქვთ ანგარიშის მფლობელებს“.

გარდა ზემოაღნიშნული ვალდებულებებისა კანონის მე-7 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად: „დემატერიალიზებული ფასიანი ქალაქების რესტიტუცია ხორციელდება მათი გადატანით სხვა ანგარიშის მწარმოებელთან გახსნილ ფასიანი ქალაქების ანგარიშზე. სხვა ანგარიშის მწარმოებელს შეარჩევს ანგარიშის მწარმოებლის ლიკვიდატორი“. რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის კლიენტების ფასიანი ქალაქებზე ვალდებულებებს ადგენს „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის შესაბამისადაც, სპეციალური მმართველი ვალდებულია მოქმედებები განახორციელოს „დემატერიალიზებული ფასიანი ქალაქების ფლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და განახორციელოს ქმედებების ჩამონათვალთაგან ერთ-ერთი, რომელიც ამავე მუხლით არის განსაზღვრული:

1. განახორციელოს ფასიანი ქალაქების რესტიტუცია

2. განახორციელოს ფასიანი ქალაქების გადატანა სხვა ანგარიშის მწარმოებელთან/ნომინალურ მფლობელთან;

3. უზრუნველყოს ანგარიშის მფლობელთა ხელმისაწვდომობა ფასიან ქალაქებზე. მითითებული მუხლით მოქმედების შესრულებისათვის ანგარიშის მფლობელის თანხობა არ არის საჭირო<sup>16</sup>.

## დასკვნა

დემატერიალიზებული ფასიანი ქალაქების ფლობის შესახებ საქართველოს კანონმა ქართულ კანონმდებლობასა და იურიდიულ ლიტერატურაში „გააჩინა“ ფასიანი ქალაქის ახალი

<sup>15</sup> განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „დემატერიალიზებული ფასიანი ქალაქების ფლობის შესახებ“, [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/282812>> [წვდომის თარიღი 13.11.2024].

<sup>16</sup> საქართველოს კანონი კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ, მუხლი 37<sup>15</sup>, ნაწილი 1 [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/32962?publication=50>> კონსოლიდირებული ვერსია.

ფორმა, რომელიც „დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდის“ სახელწოდებით არის ცობილი. კანონით შემოთავაზებული უნიფიცირებული მატერიალური ნორმების მონესრიგება ისეთ საწყისებზეა აგებული, რომელიც ფასიანი ქაღალდების შენევის კონვენციითაა აღიარებული. ამასთან, საკანონმდებლო ნოვაციამ ერთმანეთისგან გამიჯნა არამატერიალური და დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდის ფორმები და შემოგვთავაზა ნომინალურ მფლობელთან/ანგარიშის მწარმოებელთან დაკავშირებული სამართლებრივი რეგულირება, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მათი ლიკვიდაციის პროცესის დროს.

წარმოდგენილი მოდელის უპირატესობა მდგომარეობს მასში, რომ კარგად არის დაზღვეული ანგარიშის მწამოებლის ლიკვიდაციასთან დაკავშირებული რისკები. კერძოდ, წარმოდგენილი საკანონმდებლო მონესრიგების ფარგლებში, ანგარიშის მწამოებლის/ნომინალური მფლობელის ლიკვიდაციისას, ბენეფიციარი მესაკუთრეების ფასიანი ქაღალდები არ შედის ანგარიშის მწამოებლის სალიკვიდაციო მასაში და ამ დროს ინვესტორების სახელით, ლიკვიდატორი თავად ახორციელებს უფლებებს ცენტრალური დეპოზიტარის მიმართ და მათ ანგარიშებზე არსებული ფასიანი ქაღალდებიც მხოლოდ

გადაინაცვლებს სხვა ანგარიშის მწამოებელთან გახსნილ ფასიანი ქაღალდების ანგარიშებზე.

ვფიქრობ, კანონში განხორციელებული ცვლილებები, ცალსახად, არის მიმართული საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწისა და სრულყოფისკენ. ქართული ფასიანი ქაღალდები ნელ-ნელა მიიწევენ იმისაკენ, რომ ფართო ბრუნვისთვის იყოს მზად მსოფლიო საფონდო ბირჟებზე. აღნიშნულს მოწმობს ისიც, რომ არჩეული საკანონმდებლო მოდელი, სადაც კარგად არის დაზღვეული ანგარიშის მწამოებელთან დაკავშირებული რისკები, ფაქტობრივად არის იდენტური იმ მოდელისა რომლითაც სარგებლობენ ისეთი მსხვილი საერთაშორისო ცენტრალური დეპოზიტარები როგორც არიან **EUROCLEAR** და **CLERASTRAM**. აღნიშნული ამასთან მოწმობს, რომ უცხოელი ინვესტორებისათვის ეს მოდელი არის ნაცნობი და ენდობიან მას, შესაბამისად საქართველოს შემთხვევაშიც არსებული საკანონმდებლო მონესრიგება მათთვის მეტად სანდო და ნაცნობი იქნება.

ტექნოლოგიურ სამყაროში, დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების არსებობის მნიშვნელობა, სიმარტივე და საჭიროება დადასტურებულია და, ალბათ, წარმატებით „მოიკიდებს ფეხს“ საქართველოშიც.

## პირობადებული თავდაბობა და თავდაბობის შინაარსის გამართვის ალტერნატიული ფორმაები

ასოც. პროფ. დოქ. გიორგი რუსიაშვილი

გარიგების დადებით მხარეები ისახავენ გარკვეულ მიზნებს. თუმცა, ხშირად ამ მიზნების მიღწევა დამოკიდებულია ჯერ კიდევ, გაურკვეველ ფაქტორებზე. ასეთი გაურკვეველობების გათვალისწინებით და მისთვის ზღვარდასაღებად მხარეებს შეუძლიათ გარიგების მოქმედება (ძალაში შესვლა) პირობის დადგომაზე გახადონ დამოკიდებული. პირობა გულისხმობს გარიგებასთან დაკავშირებულ დამატებით დათქმას, რომლის მიხედვითაც, გარიგების სამართლებრივი მოქმედება (ნამდვილობა) დამოკიდებულია სამომავლო და უცნობ მოვლენაზე (სკ-ის 90-ე მუხლი).

საქართველოსა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსები, მოქმედების მიხედვით, პირობის ორ სახეს იცნობენ: გადადების პირობა (სკ-ის 96-ე მუხლი) და გაუქმების პირობა (სკ-ის 97-ე მუხლი). გადადების პირობის შემთხვევაში, სამართლებრივი შედეგები ძალაში შედის პირობის – ანუ სამომავლო უცნობი მოვლენის – დადგომის შემდეგ; გაუქმების პირობის შემთხვევაში – პირობის დადგომა იწვევს გარიგების სამართლებრივი შედეგების გაუქმებას. კონსტრუქციის მიხედვით, პირობა შეიძლება იყოს პოზიტიური (სკ-ის 93-ე მუხლი) და ნეგატიური (სკ-ის 94-ე მუხლი); ერთ შემთხვევაში, პირობის დადგომად ითვლება გარე სამყაროში რაიმე ცვლი-

ლების დადგომა, მეორე შემთხვევაში – ამ ცვლილების არდადგომა. ის, თუ რა სახის პირობადებულ გარიგებასთან გვაქვს საქმე, დგინდება გარიგების განმარტებით.

### I. პირობის სახეები

სამომავლო უცნობი მოვლენის დადგომა შეიძლება გარიგების მხარეთა ძალაუფლების მიღმა იყოს; მხარეებს არ შეეძლოთ მასზე ზეგავლენის მოხდენა – ე. წ. შემთხვევითობაზე დამოკიდებული პირობა. ამ პირობის მაგალითია: ნასყიდობა იმ დათქმით, რომ ნივთის უფრო დაბალ ფასად შოვნა ბაზარზე შეუძლებელია; მინის იჯარა იმ დათქმით, რომ ნიადაგი გამოსადეგია კონკრეტული მარცვლეულის კულტურის მოყვანისათვის ან სახელმწიფო არ შეწყვეტს სოფლის მეურნეობის სუბსიდირებას; არქიტექტორული მომსახურების ხელშეკრულების დადება დათქმით, რომ არქიტექტორი შეიძლება შესაბამისი ნებართვების წინასწარ მოპოვებას და ა. შ.

ამის საპირისპიროდ, პირობის დადგომა, შეიძლება გარკვეულწილად, მხარეთა ნებაზეც იყოს დამოკიდებული. დამოკიდებულების ხარისხის მიხედვით ერთმანეთისაგან მიჯნავენ პოტესტატურ და ნება-სურვილზე დამოკიდებულ პირობებს.

## II. პოტესტატური პირობა

პირობად დადებული მოვლენის დადგომა შეიძლება იყოს დამოკიდებული ერთ-ერთი მხარის ნებაზე, როდესაც პირობის დადგომად (რაც გარიგებას ნამდვილად აქცევს) ითვლება რაიმე მოქმედების შესრულება/მისგან თავის შეკავება მხარის მიერ, როდესაც მხარის ძალაუფლებაში არსებული ეს მოვლენა არის გარკვეული ობიექტური გამოხატულების მქონე (გარკვეული შედეგის გამონვევა ან არგამონვევა მხარის მიერ) და არ შემოიფარგლება მხოლოდ ამ მხარის მიერ გარიგების ნამდვილობის „მოსურვებით“ ან „არმოსურვებით“.<sup>1</sup> ასეთ შემთხვევაში საუბარია პოტესტატურ პირობაზე (*condicio potestativa*), რომლის მაგალითიცაა: ნივთის ჩუქება ლუდომანი-სათვის იმ პირობით, რომ ის აზარტულ თამაშებს გადაეჩვევა; ბანკის მიერ კრედიტის გაცემა იმ პირობით, რომ მხარე სრულად დაფარავს ბანკის წინაშე მანამდე არსებულ დავალიანებას. პოტესტატური პირობა არ განეკუთვნება „ნებაზე დამოკიდებულ პირობას“ სკ-ის 92-ე მუხლის გაგებით, რომლის ქვეშაც იგულისხმება მხოლოდ ნება-სურვილის-პირობა. ამიტომაც, პოტესტატური პირობა შეუზღუდავად არის დასაშვები, რადგან ის მოიაზრებს გარიგების მხარის მიერ ამ გარიგების ნამდვილობის არა მხოლოდ „მოსურვებას“, არამედ მისი ნების გარკვეულ ობიექტურ, „გარიგების მოსურვებისაგან“ დამოუკიდებელ მანიფესტირებას. გარიგებისმიერი ბოჭვა აქ ეჭვქვეშ არ დგება, რადგან, მართალია, ამ პირობის დადგომა დამოკიდებულია მხარის ნებაზე, მაგრამ ეს არ არის აბსოლუტურად თავისუფალი ნება, არამედ ზღვარდადებული, მისი მხრიდან გარკვეული ობიექტური ქცევის (მოქმედება თუ უმოქმედობა) აუცილებლობით/სავალდებულოობით, რითიც განსხვავდება გარიგების „მოსურვების“ რეჟიმისაგან. თუ მეორე მხარე თანახმაა „იყიდოს“ მისგან ეს ქცევა სანაცვლოდ გაღებული საკუთარი გარიგების მიერი ბოჭვით, ეს სრულად არის მოცული მისი

კერძო ავტონომიით. ამით, პოტესტატური პირობა იძლევა პირის ნებაზე შემოქმედების საშუალებას იმ სფეროებში, სადაც სამართლებრივი ვალდებულების ელემენტის შემოტანა შეუძლებელია<sup>2</sup>, მაგალითად: ჩუქება ქორწინებაში დარჩენის პირობით ან საოჯახო რელიკვიის საკუთრებაში გადაცემა მისი გაუსხვისებლობის დათქმით. ერთ შემთხვევაში შეუძლებელია ქორწინებაში დარჩენის რაიმე ტიპის მბოჭავი სამართლებრივი ვალდებულების დაწესება (ამასთან ლეგიტიმურია, მაგალითად, მეუღლის მშობლის ინტერესი, რომ მის მიერ გაცემული მნიშვნელოვანი ქონებრივი ღირებულებები არ დარჩეს მის შვილს გაცილებულ მეუღლეს), მეორე შემთხვევაში, უპირობო საკუთრების გადაცემის შემდეგ შეუძლებელი იქნებოდა მესაკუთრისათვის ნივთის განკარგვის შემდგომი ხელშეშლა (რის მიმართაც ოჯახური რელიკვიის მფლობელს ასევე ლეგიტიმური ინტერესი აქვს). ამათგან ვერც ერთ შემთხვევას მხოლოდ ვალდებულებითი მოქმედების მქონე შემადგენლობები (სკ-ის 398-ე თუ 977-ე მუხლები) სრულად ვერ ფარავენ და ვერ უზრუნველყოფენ მხარის დაცვის ღირსი ინტერესის სრულად განხორციელებას.

პოტესტატური პირობის ყველაზე გავრცელებულ ნაირსახეობას პირობადებული საკუთრება წარმოადგენს (სკ-ის 188-ე მუხლი), რომლის დროსაც მავალდებულებელი გარიგება უპირობოდ არის დადებული, თუმცა საკუთრების გადაცემისათვის აუცილებელი სანივთო გარიგება ფასის სრულად გადახდის გადადების პირობით (სკ-ის 96-ე მუხლი) ითვლება დადებული. საკუთრება შემძენზე გადადის მხოლოდ მას შემდეგ, რაც პირობა შესრულდება. ამ მომენტამდე ნივთის მესაკუთრე არის გამყიდველი. ფასის უკანასკნელი ნაწილის გადახდასთან ერთად საკუთრება ავტომატურად გადადის გამყიდველიდან მყიდველზე, მხარეთა ყოველგვარი დამატებითი მოქმედების გარეშე.<sup>3</sup>

<sup>1</sup> Motive zu dem Entwurfe eines Bürgerlichen Gesetzbuches für das Deutsche Reich, Band I, Berlin 1888, 266; Flume, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, Band II, 4. Aufl. 1992, 683; MüKoBGB/Westermann BGB, 6. Aufl. 2013, § 158 Rn. 18.

<sup>2</sup> Flume, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, Band II, 4. Aufl. 1992, 683.

<sup>3</sup> იხ. დეტალურად რუსიაშვილის/ირდაძე/ევგენატაშვილი, სანივთო სამართალი, თბილისი 2019, 151-ე და მომდევნო გვერდები.



### III. ნება-სურვილი, როგორც პირობა

პოტესტატური პირობისაგან უნდა გაიმიჯნოს „ნება-სურვილის“ პირობა („მოსურვების“-პირობა), რომელსაც ლათინურად ეწოდება *condicio si voluero* („თუ მომინდა“-პირობა). გერმანულ დოქტრინაში ამ პირობის აღსანიშნავად გამოიყენება ტერმინი – *Wollensbedingung*<sup>4</sup>, ხოლო ფრანგულში – *condition purement potestative*<sup>5</sup>.

ნება-სურვილზე დამოკიდებული გარიგება განსხვავდება პოტესტატური პირობის ქვეშ დადებული გარიგებისაგან. მართალია, პოტესტატური პირობის შემთხვევაში, სამართლებრივი გარიგების მოქმედება ასევე ერთ-ერთი მხარის ნებაზეა დამოკიდებული, ანუ, პოტესტატური პირობაც ეხება მოქმედებას ან უმოქმედობას, რომელიც მხარის ნებას, მის გადაწყვეტილებას ემყარება, მაგრამ მოქმედება ან უმოქმედობა უშუალოდ სამართლებრივ გარიგებას (მისი ნამდვილობის მოსურვებას) არ უკავშირდება. ხოლო ნება-სურვილის, როგორც პირობის, შემთხვევაში საქმე ეხება იმას, რომ მხარე, რომლის ნებაზეც არის დამოკიდებული გარიგება, მხოლოდ შინაგანი გადაწყვეტილებით და მისი მხოლოდ გაცხადებით წყვეტს, უნდა შევიდეს თუ არა გარიგება ძალაში. ამიტომაც, პრობლემურია, არის თუ არა ნება-სურვილის პირობა, რომელიც სრულად ეფუძნება იმ პირის ნებას, მის თავისუფალ გადაწყვეტილებას, რომელიც სამართლებრივი გარიგებით უნდა შეიბოჭოს, თავსებადი გარიგების ცნებასთან, რომლისათვისაც ეს მბოჭავობა კონსტიტუციური მდგენელია. შესაძლებელია თუ არა სამართლებრივი ბოჭვის არსებობა, ანუ სამართლებრივი ურთიერთობის დაფუძნება, თუ გარიგების ნამდვილობა დამოკიდებულია იმ პირის ნებაზე, რომელიც ამ გარიგებით უნდა შეიბოჭოს? წარსულშიც და დღე-

საც ამ შეკითხვაზე, ზოგადად, უარყოფით პასუხს სცემენ.<sup>6</sup> ერთადერთ დასაშვებ გამონაკლისად მიჩნეულია „ნასყიდობა, ნივთის მონონების პირობით“ (სკ-ის 520-ე მუხლი).<sup>7</sup> თუ გამყიდველი სთავაზობს საქონელს დათქმით: „თუ არ დარჩებით კმაყოფილი, თანხას უკან დაგიბრუნებთ“, ხელშეკრულება დადებულია ან ნება-სურვილზე დამოკიდებული გაუქმების პირობით ან სახელშეკრულებო, უწინაპირობო გასვლის დათქმით.<sup>8</sup>

დღესდღეობით აღიარებული მოსაზრებით,<sup>9</sup> ყველა სხვა შემთხვევაში ნება-სურვილის დათქმა შეიძლება წარმოადგენდეს ცალმხრივად მბოჭავი ოფციის ხელშეკრულებას ან ვადიან ოფერტს (სკ-ის 331-ე მუხლი), ან, უკვე ხსენებული, უწინაპირობო სახელშეკრულებო გასვლის უფლების მინიჭებას მეორე მხარისათვის, რომლის გამოყენების შემდეგაც განხორციელებული შესრულების უკუქცევა უნდა მოხდეს გასვლისმიერი რესტიტუციის წესების (სკ-ის 352-ე და მომდევნო მუხლები) მიხედვით და არა შესრულების კონდიქციით (სკ-ის 976 I ა) მუხლი).

ქართულ სამართალში ეს გადაწყვეტა, რომ ნება-სურვილი ვერ იქნება პირობა სკ-ის 90-ე და მომდევნო მუხლების გაგებით, უფრო იმპერატიულიც კია, ვიდრე გერმანულ სამართალში, ვინაიდან პირდაპირ კანონშია დაფიქსირებული (სკ-ის 92-ე მუხლი).

### IV. თავდები ვალის გადადება

პირობადებული გარიგების კონსტრუქტი აქტიურად გამოიყენება კრედიტის უზრუნველყოფის სამართალში. ეს ეხება, არა მხოლოდ ყველაზე გავრცელებულ პირობადებულ საკუთრებას, არამედ, ასევე ყველა სხვა უზრუნველყოფის საშუალებაც შეიძლება შეთანხმდეს პირო-

<sup>4</sup> Erman/Lützenkirchen, BGB, 15. Aufl., § Vor 158 Rn. 13.

<sup>5</sup> Chen-Wishart/Vogenauer, Contents of Contracts and Unfair Terms, Oxford 2020, 158.

<sup>6</sup> Erman/Lützenkirchen, BGB, 15. Aufl., § Vor 158 Rn. 13 და იქ მითითებული ლიტერატურა; Jauernig/Mansel BGB, 19. Aufl 2023, § 158 Rn. 4.

<sup>7</sup> BGH NJW-RR 1996, 1167.

<sup>8</sup> Lindacher, „Bei Nichtzufriedenheit Geld zurück“, Zur bürgerlichrechtlichen und lauterkeitsrechtlichen Verortung einschlägiger Händler- und Herstellerverspr, FS Köhler, 2014, 445.

<sup>9</sup> იხ. Stadler, Allgemeiner Teil des BGB, 20. Aufl. München, 243.

ბადებულად, რათა ანგარიში გაეწიოს უზრუნველყოფის გამცემისა თუ მიმღების შესაბამის ინტერესებს.

მაგალითად, საბანკო-საკრედიტო ხელშეკრულების უზრუნველყოფი თავდებობის პირობებში, უკანასკნელ პერიოდში გვხვდება მოცემული ტიპის დათქმები: „თავდებობა იმ შემთხვევაში შევა ძალაში, თუ ბანკსა და მსესხებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში, მსესხებლის დავალიანება გასცდება ... [პირობითად: 10 000] ლარს“. საკითხავია, ეს დათქმა თავდებობის წინააღმდეგ, შესაგებლად უნდა განიმარტოს, სამომავლო მოთხოვნის უზრუნველყოფად თუ პირობადებულ თავდებობად.

### 1. დილატორული (გადადებითი) შესაგებელი

გამომდინარე იქიდან, რომ ზემოთ მოყვანილ სიტუაციაში, თავდებობის ნამდვილობის გადადებაზე უფრო მეტად, ის ინტერესია არტიკულირებული, რომ ბანკს არ ჰქონდეს უფლება, მოთხოვნა წაუყენოს თავდებს, სანამ ძირითადი მოვალის ვალდებულება ბანკის წინაშე გარკვეულ ოდენობას არ მიაღწევს, აქ შეიძლება ყველაზე მარტივ და გამოსადეგ სამართლებრივ გადაწყვეტას წარმოადგენდეს თავდებისათვის ბანკის წინააღმდეგ დილატორული (მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი, გადადების ტიპის) შესაგებლის მინიჭება, შემდეგი ფორმულირებით: „ბანკს მხოლოდ მას შემდეგ აქვს უფლება მოსთხოვოს თავდებს გადახდა, რაც ძირითადი მოვალის ვალდებულება ბანკის წინაშე მიაღწევს ..... ლარს“.

მოცემული კონსტრუქცია პირობადებული თავდებობისაგან განსხვავდება იმით, რომ თავდებობა თავიდანვე ძალაშია და თავდებს შეუძლია უკვე საკუთარი ვალდებულების (მათ შორის, სკ-ის 365-ე მუხლის მიხედვით, წინასწარ<sup>10</sup>) შესრულებით, შესრულების სუროგატითა თუ გაქვითვით<sup>11</sup> მოიპოვოს მოთხოვნა ძირითადი მოვალის წინაშე, სკ-ის 905-ე მუხლის მიხედვით, ისე, რომ არ იყოს დამოკიდებული სკ-ის 371-ე

მუხლის წინაპირობების შესრულებასა და რეგრესის კონდიქციაზე (სკ-ის 986-ე მუხლი). კანონისმიერი ცესია სკ-ის 905-ე მუხლის მიხედვით თავდების მხრიდან მხოლოდ საკუთარი ვალდებულების შესრულების ერთადერთ წინაპირობაზეა მიბმული.<sup>12</sup> რა თქმა უნდა, თავდებს მხოლოდ აბსოლუტური გამონაკლისის სახით ექნება საკუთარი ნებით, ბანკის მხრიდან მოთხოვნის გარეშე, ნაკისრი ვალდებულების შესრულების მიმართ ინტერესი (მაგ., როდესაც ის და ძირითადი მოვალე დაკავშირებული საწარმოები არიან და ერთის საკრედიტო ისტორია მეორეზეც აისახება), თუმცა, ზოგადად, თავდებობის თავიდანვე ძალაში შესვლის მიმართ მხარეებს შეიძლება ჰქონდეთ სხვა ინტერესიც, მაგალითად, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი დაკრედიტირების მოთხოვნების შესრულება.

თავდებისათვის მხოლოდ შესაგებლის მინიჭება, გულისხმობს, რომ მისი წარდგენის, მტკიცების და ა. შ. რისკები მასზე გადადის, თუმცა მისი, როგორც სტანდარტული პირობის, ამ საფუძვლით გაბათილება, შინაარსის კონტროლის ნაწილში, ნაკლებსავარაუდოა; იმის გათვალისწინებით, რომ თავდებსაც შეიძლება ჰქონდეს თავდებობის დაუყოვნებლივი ნამდვილობის მიმართ ინტერესი.

### 2. ნოვაციის შედეგად წარმოშობილი სამომავლო მოთხოვნის უზრუნველყოფა

ბანკისა და მსესხებლის ინტერესების გათვალისწინებით, შემდეგ სამართლებრივ კონსტრუქციას წარმოადგენს სამომავლო მოთხოვნის უზრუნველყოფა, როდესაც, თავდებობა იდება უპირობოდ და უზრუნველყოფს მხოლოდ მომავალში წარმოსაშობ, გარკვეულ თანხას მიღწეულ მოთხოვნას. ამ გადაწყვეტაში პრობლემური შეიძლება იყოს მოთხოვნის „სამომავლო მოთხოვნად“ დაკვალიფიცირება სკ-ის 891 II მუხლის გაგებით.

ზოგადად, სამომავლო მოთხოვნის უზრუნველყოფის მთავარ პრობლემას წარმოადგენს განსაზღვრადობა, კერძოდ: უზრუნველყოფილი ძირითადი მოთხოვნა უნდა იყოს მისი ტიპისა და

<sup>10</sup> MüKoBGB/Habersack BGB, 6. Aufl. 2013, § 774 Rn. 4.

<sup>11</sup> MüKoBGB/Habersack BGB, 6. Aufl. 2013, § 774 Rn. 4.

<sup>12</sup> MüKoBGB/Habersack BGB, 6. Aufl. 2013, § 774 Rn. 4.

მოცულობის მიხედვით განსაზღვრული, ისევე, როგორც იდენტიფიცირებადი უნდა იყოს კრედიტორისა და ძირითადი მოვალის პიროვნება, რათა თავდებმა მოახერხოს ნაკისრი რისკის ჯეროვანი შეფასება. თუმცა არ არის აუცილებელი, რომ ვალდებულება, თავდებობის კისრების მომენტში, უკვე წარმოშობილი იყოს, რადგან სკ-ის 892 II მუხლი ცალსახად უშვებს თავდებობის კისრებას ასევე სამომავლო თუ პირობითი ვალდებულებისათვის. სამომავლო ვალდებულებისათვის საკმარისია მისი განსაზღვრადობა, არ არის საჭირო მის წარმოსაშობად მყარი საფუძვლის არსებობა, რომელიც აუცილებელია, მაგალითად, პირობადებული მოთხოვნის წარმოსაშობად. ამის საპირისპიროდ, საკმარისია, თუ მოთხოვნის წარმოშობის მომენტისათვის, თავდებობის შინაარსიდან გამომდინარე, ცალსახად დადგენადი იქნება ის გარემოება, მოცულია თუ არა ეს ვალდებულება თავდებობით. აქედან გამომდინარე, უზრუნველყოფაუნარიანია ასევე სამომავლო მოთხოვნებიც. აქცესორულობის პრინციპიდან გამომდინარე, თავდები ამ შემთხვევებში მხოლოდ მას შემდეგ აგებს პასუხს, რაც ძირითადი ვალდებულება წარმოიშობა და გახდება ვადამოსული. ამასთან დასაშვებია, რომ თავდებობამ უზრუნველყოს კრედიტორის ყველა ამჟამინდელი და სამომავლო მოთხოვნა კონკრეტული (ძირითადი) მოვალის მიმართ (ე. ნ. გლობალური თავდებობა), მიუხედავად იმისა, რომ ამით განსაზღვრულობის პრინციპისათვის დამახასიათებელი შემოსაზღვრის ფუნქცია მეტწილად უფასურდება. თუმცა, თავდებობის სტანდარტული პირობების მეშვეობით ამ პირობების შინაარსის კონტროლის ინსტიტუტი (სკ-ის 346-ე და მომდევნო მუხლები) იცავს თავდებს ამ წინასწარგანუჭვრეტელი რისკისაგან.<sup>13</sup>

ამგვარად, თუ სამართლებრივი ურთიერთობა უკვე არსებობს, მაგალითად, საკრედიტო ხაზის სახით, ამ ურთიერთობიდან წარმომდგარი ყველა მოთხოვნა (როგორც სახელშეკრულებო

ისე კანონისმიერი<sup>14</sup>) აკმაყოფილებს განსაზღვრადობის კრიტერიუმს და უზრუნველყოფაუნარიანია.

თუმცა პირობა – „თავდები პასუხს აგებს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ძირითადი მოვალის ვალდებულება გადასცდება .... ლარს“ – გულისხმობს იმას, რომ ძირითადი ვალდებულება/ვალდებულებები, გარკვეული ოდენობის მიღწევის შემდეგ, სრულად არის უზრუნველყოფილი და არა მხოლოდ მისი ახლად წარმოშობილი ნაწილი. პირობის მიზანი თავდებობის ვალის მხოლოდ ახლად წარმოშობილ ნაწილზე გავრცელება რომ ყოფილიყო, მაგალითად, პროცენტის გადახდის ახლად წარმოშობილ ვალდებულებაზე,<sup>15</sup> ვალდებულების ეს ნაწილი ჩაითვლებოდა სამომავლო მოთხოვნად. მაგრამ უკვე არსებული მოთხოვნების უზრუნველყოფა თავდებობის მეშვეობით, „სამომავლო მოთხოვნის უზრუნველყოფის“-კონსტრუქციის გავლით, პრობლემური ჩანს.<sup>16</sup> გამოსავალი შეიძლება იყოს, ნოვაციის გზით (მაგ., რესტრუქტურირების ფორმით), არსებული და ახლად წარმოშობილი ნაწილის ერთიან ახალ მოთხოვნად გარდაქმნა, რომელსაც თავდებობა, როგორც „სამომავლო მოთხოვნას“ ისე მიეძღებოდა. ამ ნოვაციაზე თანხმობა ძირითადმა მოვალემ შეიძლება გასცეს წინასწარ, ბანკის სტანდარტულ პირობებში. თუმცა ნოვაცია, რომელიც მხოლოდ მანამდე არსებული მოთხოვნის ხანდაზმულობის გვერდის ავლას ისახავს მიზნად, შეიძლება ვერ უძლებდეს სტანდარტული პირობების შინაარსის კონტროლს. გარდა ამისა, ნოვაციის შემთხვევაში, ყურადღებაა გასამახვილებელი წინარე (ნოვირებული) მოთხოვნ(ებ)ის უზრუნველყოფების შენარჩუნებაზე და, ასევე, (თავდაპირველი მოთხოვნის) მანამდე განხორციელებული განკარგვის თავიდან განხორციელებაზე, გამომდინარე იქიდან, რომ წინარე მოთხოვნა ნოვაციის შედეგად ქარწყლდება.

<sup>13</sup> რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, <https://gccc.tsu.ge/>, მუხ. 891 ველი 7.

<sup>14</sup> MüKoBGB/Habersack BGB, 6. Aufl. 2013, § 765 Rn. 78.

<sup>15</sup> OGH 30. 11. 2006, 6 Ob 116/05k, JBL 2007, 379.

<sup>16</sup> თუმცა შეიძლება საკამათო იყოს, ხომ არ აკმაყოფილებს მოთხოვნის მხოლოდ გაზრდადაც, თავდებობის კონტექსტში, მოთხოვნის „სამომავლობის“ წინაპირობებსაც.

### 3. პირობადებული თავდებობა

ბანკის პირობა – „თავდებობა მხოლოდ მაშინ შედის ძალაში, როდესაც ძირითადი ვალდებულება გადასცდება .... ლარს“ – პირველ რიგში, პირობადებულ თავდებობად აღიქმება.

თავდებობა, გარდა იმისა, რომ შეიძლება უზრუნველყოფდეს პირობადებულ მოთხოვნას, ასევე, თავადაც შეიძლება იყოს პირობადებული,<sup>17</sup> როგორც გადადების, ისე გაუქმების პირობით.<sup>18</sup> როგორც ზემოთ აღინიშნა, პოტესტატური პირობა, განსხვავებით ნება-სურვილის პირობისაგან (სკ-ის 92-ე მუხლი), შეუზღუდავად არის დასაშვები, რადგან ის გულისხმობს გარიგების მხარის მიერ ამ გარიგების ნამდვილობის არა მხოლოდ „მოსურვებას“, არამედ მისი ნების გარკვეულ ობიექტურ, „გარიგების მოსურვებისაგან“ დამოუკიდებელ გამოხატულებაზე (მოქმედების თუ უმოქმედობის ფორმით) დამოკიდებულად ქცევას, რაც საკმარისია გარიგებისმიერი ბოჭვისათვის.

მით უფრო დასაშვებია პოტესტატური პირობა, რომელიც მესამე პირის ნების გაცხადებასა თუ ფაქტობრივ ქმედება/უმოქმედობაში უნდა გამოიხატოს.<sup>19</sup> გამომდინარე იქიდან, რომ აქ პირობის დადგომა გარიგების მხარეთა ძალაუფლების მიღმაა და მესამე პირის ძალაუფლებაშია, ამ ტიპის პირობებს, საერთოდ პოტესტატურსაც აღარ უწოდებენ და სკ-ის 90-ე მუხლის გაგებით ჩვეულებრივ სამომავლო და უცნობ მოვლენას უთანაბრებენ.<sup>20</sup> მესამე პირის ქმედებაზე, როგორც პირობის შესრულებაზე, დამოკიდებული გარიგებები გავრცელებული სამოქალაქო ბრუნვის ყველა სფეროში: ნასყიდობა იმ დათქმით, რომ მესამე პირი საექსპორტო კომპანია არ შეცვლის ექსპორტის პირობებს; პარტნიორის ცვლილება, რომლის ნამდვილობაც დამოკიდებული უნდა იყოს საზოგადოების რომელიმე ორგანოს თანხმობაზე (მაშინ, როდესაც, წესდებით თუ კანონით, ეს ცვლილება ამ ორგანოს თანხმობას არ მოითხოვს).<sup>21</sup>

ძირითადი ვალდებულების ზრდაზე დამოკიდებულად თავდებობის ძალაში შესვლა (თავდებობის პასუხისმგებლობის გააქტიურება), არ აკისრებს თავდებს იმგვარ რისკებს, რომლებიც დაუშვებელი იქნებოდა ზოგადად ამ ხელშეკრულების ფარგლებში ან, თუნდაც, სტანდარტული პირობის ფორმით გათვალისწინების შემთხვევაში, ასცდებოდა ამ ხელშეკრულების პარადიგმას სკ-ის 346-ე მუხლის გაგებით. სკ-ის 891 II, 898 I და 893 2 მუხლების მიხედვით, თავდებობის პარადიგმასთან სრულებით თავსებადია ამაზე მეტი რისკის დაკისრებაც კი. კერძოდ:

სკ-ის 893 1 მუხლის მიხედვით, თავდების ვალდებულებისათვის განმსაზღვრელია შესაბამისი ძირითადი ვალდებულების არსებობა. ეს ამავდროულად ნიშნავს იმას, რომ, ზოგადად, თავდების პასუხისმგებლობის შინაარსი შეიძლება შეიცვალოს და გაფართოვდეს ამ ძირითადი ვალდებულების ცვლილება-გაფართოებასთან ერთად, რაც ზღვარდადებულია, პირველ რიგში, სკ-ის 898 I მუხლებით და ასევე 893 2 მუხლით. დათქმა, რომლის მიხედვითაც, „თავდებობა უზრუნველყოფს გარკვეულ თანხაზე გახსნილი საკრედიტო ხაზიდან წარმომდგარ ყველა ვალდებულებას და ძალაში შედის, როდესაც ძირითადი ვალი მიაღწევს .... ლარს“, ყველა ამ მოთხოვნას აკმაყოფილებს. თუ სკ-ის 891 II, 898 I და 893 2 მუხლებით დასაშვებად მიიჩნევა, რომ თავდების ვალდებულება გაიზარდოს წინასწარ მოხაზულ ფარგლებში და წინასწარ დადგენილი სქემით (წინასწარ განსაზღვრული სამართლებრივი საფუძვლები, საიდანაც წარმოსდგება სამომავლო მოთხოვნა თუ იზრდება მისი ფარგლები), მით უფრო უნდა იყოს დასაშვები, რომ ეს თავდებობა თავიდან საერთოდ არ იყოს ძალაში და მხოლოდ მოგვიანებით გააქტიურდეს ამ წინასწარდასახული გეგმის მიხედვით. თუ დასაშვებია, რომ თავდებმა თავიდანვე აგოს პასუხი ძირითადი მოვალის უკლებლივ ყველა ვალდებულებისათვის, რომელიც ამ უკანასკნელს წარმოეშობა ძირითადი საკრედიტო ხაზის ფარგლებში.

<sup>17</sup> რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, <https://gccccc.tsu.ge/>, მუხ. 891-ე, ველი 8.

<sup>18</sup> MüKoBGB/Habersack BGB, 6. Aufl. 2013, § 765 Rn. 46.

<sup>19</sup> MüKoBGB/Westermann BGB, 6. Aufl. 2013, § 158 Rn. 19.

<sup>20</sup> MüKoBGB/Westermann BGB, 6. Aufl. 2013, § 158 Rn. 20; OLG Hamm OLGZ 1968, 80.

<sup>21</sup> MüKoBGB/Westermann BGB, 6. Aufl. 2013, § 158 Rn. 20.

ბში, მით უფრო უნდა იყოს დასაშვები, რომ მისი პასუხისმგებლობა დადგეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ეს ვალდებულება გარკვეულ ზღვარს მიაღწევს, რაც არის უფრო „ნაკლები“ პასუხისმგებლობა პირველ ვარიანტთან შედარებით.

## V. შეჯამება

ბანკისა და თავდების იმ საერთო ინტერესის სამართლებრივი არტიკულირებისათვის, რომ ამ თავდებმა პასუხი აგოს გადადებულად, მხოლოდ მას შემდეგ, რაც ძირითადი მოვალის ვალდებულება გარკვეულ ზღვარს მიაღწევს, დოგმატურად გამოსადეგია, როგორც დილატორული შესაგებელი, ისე, ნოვაციის შედეგად წარმოშობილი სამომავლო მოთხოვნის თავდებობით

უზრუნველყოფა თუ პირობადებული თავდებობა. თუმცა, სტანდარტული პირობების კონტროლის კუთხით, ყველაზე უსაფრთხო გადაწყვეტას, სავარაუდოდ, ეს უკანასკნელი წარმოადგენს. თეორიულად შეიძლება მათი კომბინირება სალვატორული დათქმის<sup>22</sup> მეშვეობით; ან ერთმანეთის გვერდიგვერდ გათვალისწინება, ან (გამომდინარე იქიდან, რომ „შესაგებლის მეშვეობით გადანყვეტა“ და „პირობადებული თავდებობა“ ურთიერთგამომრიცხავია) მათი გათვალისწინება იმგვარად, რომ – „თუ ბათილია შესაგებლის პირობა, მაშინ თავდებობა პირობადებულად“ შეთანხმებულად ითვლება<sup>23</sup>, რათა „შესაგებლის მინიჭების“-დათქმის ბათილობამ, სკის 62-ე მუხლის მიხედვით, მთლიანი ხელშეკრულება არ გააბათილოს.

<sup>22</sup> ამ ტიპის პირობის ფორმულირების მაგალითი: *თუ ამ ხელშეკრულების ცალკეული დებულებები ბათილი/განუხორციელებელი იქნება ან ხელშეკრულების დადების შემდეგ გახდება ბათილი/განუხორციელებელი, ეს არ იმოქმედებს ხელშეკრულების დანარჩენი ნაწილის ნამდვილობაზე. არანამდვილი ან განუხორციელებელი დებულების ადგილი უნდა დაიკავოს ისეთმა ნამდვილმა და განხორციელებადმა დებულებებმა, რომელთა სამართლებრივი მოქმედება ბათილი დებულების ეკონომიკურ მიზანს მაქსიმალურად უახლოვდება. წინამდებარე დებულებები მოქმედებს შესაბამისად იმ შემთხვევაშიც, როდესაც ხელშეკრულება რეგულირების ხარვეზებს შეიცავს.*

<sup>23</sup> ამ შემთხვევაში „პირობადებული თავდებობა“, მხოლოდ სხვა „პირობის“ („შესაგებლის მინიჭების“-დათქმის ბათილობა) დადგომის შემთხვევაშია ძალაში, თუმცა ამგვარი

ვარი „სამართლებრივი პირობა“ („სამართლებრივ ნამდვილობაზე მიბმის პირობა“) საერთოდ არ ითვლება პირობად სკის 90-ე და მომდევნო მუხლების მიხედვით, რადგან დაუყოვნებლივ შედის ძალაში, გამომდინარე იქიდან, რომ სამართლებრივი მდგომარეობა უკვე არსებობს („შესაგებლის მინიჭების“-დათქმა თავიდანვე ან ნამდვილია, ან ბათილი) და მხოლოდ მხარეთათვის რჩება უცნობი. მაგალითად, დამსაქმებლის მიერ გაცხადებული მოშლა ვადის დაცვით, იმ შემთხვევისათვის, თუ ბათილია მის მიერ იმავე წერილში გაცხადებული ვადის დაუცველი მოშლა, დაუყოვნებლივ შედის ძალაში, თუ ეს პირველი მოშლა არანამდვილია (*Boemke/Ulrici, BGB Allgemeiner Teil, 2. Aufl., Heidelberg 2014, 371*). ამგვარი „სამართლებრივი პირობა“ შეუზღუდავად არის დასაშვები, მათ შორის, ისეთ გარიგებებში, რომლებსაც არ შეიძლება დაედოს პირობა სკის 90-ე და მომდევნო მუხლების გაგებით.